ВОПРОСЫ НОВОЙ И НОВЕЙШЕЙ ИСТОРИИ СТРАН БЛИЖНЕГО ВОСТОКА

STUDIES IN THE HISTORY OF THE NEAR EAST

ИЗДАТЕЛЬСТВО „МЕЦНИЕРЕБА"
PUBLISHING HOUSE „METSNIEREBA"
ТБИЛИСИ—TBILISI
1967

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები

გამომცემლობა "მეცნიერება"
თბილისი
1967

კრებულში მოთავსებულ სტატიებში განხილულია ეგვიპტის, ერაყის, ირანის, თურქეთის და ავღანისტანის ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, რომლებიც მოიცავენ ამ ქვეყნების როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკას, აგრეთვე აშუქებენ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ცალკეულ მომენტებს.

გ. ჟიკაშვილი

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ირანში

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში თითქმის საუკუნენახევრის წინათ წარმოიშვა და განვითარება-სრულყოფის ხანგრძლივი პერიოდი გაიარა. აზიის კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების უმრავლესობაში პირველი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ჩამოყალიბებული იქნა გასული საუკუნის ბოლოს და მიმდინარე საუკუნის დამდეგს. ირანი ერთ-ერთი უკანასკნელი დაადგა კოოპერატიული განვითარების გზას, რადგან ქვეყნის სოფლის მეურნეობაში უკანასკნელ დრომდე ფეხმოკიდებული იყო კაპიტალიზმამდელი საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობის ძლიერი ნაშთები — მსხვილმემამულური ნახევრად ფეოდალური მიწათმფლობელობა და მიწათსარგებლობის არქაული წილადობრივი სისტემა. ინგლისელი და ამერიკელი იმპერიალისტები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ გაეხანგრძლივებინათ წარსულის გადმონაშთების არსებობა ირანის სოფელში და უზრუნველეყოთ თავიანთი მრეწველობა იაფი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით.

მძაფრი სამხედრო-ფეოდალური და იმპერიალისტური ექსპლოატაციისა და ძარცვის შედეგად მოიშალა ქვეყნის ეკონომიკა. ეს გარემოება განსაკუთრებით მკვეთრად აისახა სოფლის მეურნეობაში, რომლის წარმოება წლითი-წლობით დაცემის გზით მიდიოდა. ოფიციალური მონაცემებით, 1957 წლისათვის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება ირანში კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით ასეთ სურათს იძლეოდა (ცხრ. 1)[1].

1-ლი ცხრილიდან ჩანს, რომ ძირითადი საკვები მარცვლეული კულტურების წარმოება ერთ ჰექტარზე ირანში მეტად მცირეა კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით.

[1] ცხრილი შედგენილია ირანის ოსთანების სოფლის მეურნეობის სამმართველოების უფროსების თათბირზე 1960 წლის 10 დეკემბერს სოფლის მეურნეობის მაშინდელი მინისტრის მოჰანდეს მაჰდავის გამოსვლაში მოტანილი მონაცემების მიხედვით. „کرنرمیت | نهرنن“ № 987, 1960 წ. 17 დეკემბერი. გვ. 26 (შემდეგში: „თეჰრან ეკონომისთი“).

ცხრილი 1

ქვეყნების დასახელება	სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება საშუალოდ ერთ ჰექტარზე			
	ხორბალი	ქერი	ბრინჯი	შაქრის ჭარხალი
ჰოლანდია	3620 კგ	3850 კგ	—	34,8 ტონა
დანია	3590 „	3450 „	—	42,9 „
ბელგია	3530 „	3350 „	—	49,5 „
შვეიცია	3230 „	—	—	—
ინგლისი	3080 „	2890 „	—	—
გერმანია	2280 „	—	—	—
იაპონია	2120 „	2280 „	4620 კგ	—
ესპანეთი	—	—	5780 „	—
იტალია	—	—	5250 „	—
საფრანგეთი	—	—	4850 „	—
ავსტრია	—	—	—	39,4 „
ირანი	700	1000 „	1800 კგ	17 „

კიდევ უფრო მკვეთრი განსხვავება არსებობს ძირითადი საკვები პროდუქტების (გარდა მარცვლეული პროდუქტებისა) ერთ სულ მოსახლეზე მოხმარების მხრივ:[2]

ცხრილი 2

ქვეყნების დასახელება	მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე, კგ					
	მარცვლეული პროდუქტები: ხორბალი, ქერი, ბრინჯი და სხვა	ხორცი	კარტოფილი	შაქარი	ქათმის კვერცხი	კალორია დღეში
დანია	78	71	128	47	8	3350
ბელგია	93	56	147	32	15	2930
შვეიცია	95	55	73	40	10	3180
ჰოლანდია	87	43	89	40	9	2930
იაპონია	157	—	67	12	5	2220
აშშ	77	90	47	41	20	3100
ირანი	70	12	7,5	18	2.7	1400

მოტანილი მონაცემები მოწმობს, რომ ირანის მოსახლეობის ერთ სულზე მარცვლეულის მოხმარება თითქმის უახლოვდება მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების მოხმარების დონეს, მაგრამ სამაგიეროდ მცირეა სხვა საკვები პროდუქტების მოხმარება. მაგალითად, ხორცის მოხმარება 3,5—7,5-ჯერ ნაკლებია ზემოდასახელებულ ქვეყნებთან შედარებით, კარტოფილისა 6—20-ჯერ, შაქრისა 2—3-ჯერ, ქათმის კვერცხისა 3—7-ჯერ.

2 „თეჰრან ეკონომისტი“, № 387, 1960 წლის 17 დეკემბერი, გვ. 28.

ამიტომ ირანი იძულებული იყო საზღვარგარეთიდან შემოეტანა სოფლის მეურნეობის პროდუქტები. მაგალითად, ამერიკიდან და ავსტრალიიდან შემოჰქონდა ხორბალი, ცვილი და თაფლი—ჰოლანდიიდან და დანიიდან, პამიდორი—ისრაელიდან, ვაშლი, ფორთოხალი და მუხუდო—იტალიიდან და ლიბანიდან, პირუტყვი—თურქეთიდან. უკანასკნელ წლებში დაიწყეს ბრინჯის შემოტანა პაკისტანიდან[3].

გაბატონებული კლასების პროიმპერიალისტური პოლიტიკის დამღუპველი შედეგები უპირველეს ყოვლისა გლეხობის მდგომარეობას აუარესებდა და მათ მასობრივ აღშფოთებას იწვევდა. გლეხთა გამოსვლები ხშირად მუშათა მოძრაობასთან კავშირში და მუშათა ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა და სერიოზულ წარმატებებსაც აღწევდა[4].

ირანის მმართველი წრეების შედარებით რეალურად მოაზროვნე წარმომადგენლები იმ დასკვნამდე მიდიოდნენ, რომ არსებულ სიტუაციაში მარტო ხიშტებზე დაყრდნობით მართვა შეუძლებელი იყო და მოითხოვდნენ ზომიერი რეფორმების გატარებას.

უკანასკნელი სამი ათწლეულის აგრარულ კანონმდებლობებში, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ფეოდალური მიწათმფლობელობისა და შუასაუკუნეობრივი მიწათსარგებლობის წესის თანდათანობით შეზღუდვას და კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის განვითარებას მიწათმოქმედებაში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული საზოგადოებების შექმნასა და განვითარებას.

ირანში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული შერქეთების — საზოგადოებების („შერქეთე თაავონი რუსთაი") შექმნის იდეა დაკავშირებულია სამიწათმოქმედო ბანკის ჩამოყალიბებასთან. 30-იან წლებამდე ირანში სპეციალური სასოფლო-სამეურნეო ბანკი არ არსებობდა. 1930 წლის 31 მარტს გამოცემული იქნა ირანის ეროვნულ ბანკთან სასოფლო-სამეურნეო ბანკის განყოფილების შექმნის კანონი. ამ განყოფილებას შემდეგში უნდა მოემზადებინა ბაზა სპეციალური სასოფლო-სამეურნეო ბანკის შესაქმნელად. ამ მიზნით ფინანსთა სამინისტრო ვალდებული იყო ირანის ეროვნული ბანკისათვის გამოეყო 75 მილიონი რიალი 15 წლის მანძილზე საორგანიზაციო ხარჯების სახით[5].

1933 წლის 4 ივნისს მთავრობამ მიიღო ახალი კანონი სასოფ-

---

[3] „თეჰრან ეკონომისთი", № 451, 1962 წ. 17 მარტი, გვ. 40.

[4] ჟურნალი ساب 1963 წ. № 3, გვ. 12.

[5] Развитие кризиса в Персии „Материалы по национально-колониальным проблемам", 1—2, 1934 г. стр. 111.

ლო-სამეურნეო ბანკის დაარსების თაობაზე. ბანკის პირველადი კაპიტალი 20 მილიონი რიალით განისაზღვრებოდა[6].

სასოფლო-სამეურნეო ბანკმა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ორგანიზებულად შესყიდვისა და გასაღების მიზნით მოაწყო კოოპერატიული შერქეთების შექმნის პირველი ცდები. ამ თვალსაზრისით, ჯერ კიდევ 1932 წელს ფინანსთა სამინისტროს მიერ შედგენილ სავაჭრო კანონპროექტში შეტანილი იყო სპეციალური განყოფილება სასოფლო-სამეურნეო შემსყიდველ-გამსაღებელი კოოპერატიული შერქეთების შექმნის შესახებ[7]. ამასთან ერთად, შეიქმნა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო სააგენტოები, რომელთა მიზანი იყო მომსახურება გაეწიათ სოფლის მოსახლეობისათვის სამიწათმოქმედო კულტურის ამაღლებისა და პროდუქტების გასაღების საქმეში. ამ სააგენტოების საქმიანობას დიდად ზღუდავდა ის გარემოება, რომ მათ არ გააჩნდათ არც ფულადი სახსრები და არც ტექნიკური ცოდნით აღჭურვილი შტატი[8]. ამიტომ, მათ მოღვაწეობას რამდენადმე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოყოლია.

1939 წელს გარმსარის ხალესეს (სახელმწიფო) მამულში საკრედიტო კოოპერატიული შერქეთი დააარსა ყარეხ მოჯადადმა (ირანის სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი). იგი პირად ხელმძღვანელობასა და მეთვალყურეობას უწევდა შერქეთის საქმიანობას, მაგრამ კაპიტალის უქონლობისა და კადრების უყოლობის გამო ამ შერქეთმა მალე შეწყვიტა საქმიანობა[9].

1940 წელს რეზა შაჰის თაოსნობით ჰაიდარ-აბადის რაიონში მოეწყო მეცხოველეობის საცდელ-საჩვენებელი ფერმა, სადაც აწარმოებდნენ ადგილობრივი ჯიშის ძროხის დანიურ ბუღა-მწარმოებელთან შეჯვარების ცდებს. ვეტერინალურ სადგურებში ფრანგი ექსპერტები იყვნენ მოწვეული[10].

1941 წელს ირანში შეიქმნა პირველი სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ასოციაცია. საკრედიტო ასოციაციის დაფინანსება ხდებოდა მეპაიეებზე აქციის მიყიდვის გზით და სასოფლო-სამეურნეო ბანკის პირდაპირი დოტაციით.[11]

---

[6] იქვე. იხ. აგრეთვე, Hadary Gedeon, the Agrarien reform problem in Iran. the middle, east journal, 1951. vol. 5. № 2, გვ. 192. შემდეგში: ჰადარი.

[7] مجله رسمی و ماهنامه وزارت کشاورزی № 7—8, 1959 წ. 23 სექტემბერი, გვ. 40.

[8] ჰადარი, გვ. 192.

[9] „თეჰრან ეკონომისტი", № 454, 1962 წ. 14 აპრილი, გვ. 6.

[10] Price Rhilips. the present situation in Persia „Journ. of the Payal Cent. Asia Society. London. 1950. vol. 38.

[11] 1950 წლის დამდეგს ირანში შექმნილი იყო 12 ასეთი ასოციაცია 3,5 მილიონი რიალი საერთო კაპიტალით. იხ. ჰადარი, გვ. 192.

ამრიგად, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ ირანის სოფელში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობისა და კაპიტალისტური წესის საწყისებზე მეურნეობის გაძღოლის ინტერესების შესაბამისად იყო რამდენიმე ცდა საკრედიტო, შემსყიდველ-გამსაღებელი კოოპერატივებისა და სანიმუშო საცდელ-საჩვენებელი სადგურების მოსაწყობად. ამ წამოწყების წარუმატებლობის ძირითადი მიზეზი იყო მემამულეთა მონოპოლიური მიწათმფლობელობა და გლეხების დიდი ნაწილის მოწყვეტა მიწისაგან, რაც აფერხებდა კაპიტალისტური წარმოების განვითარებას სოფლის მეურნეობაში.

ომის შემდგომ პერიოდში კვლავ გრძელდებოდა ასეთი ცდები. 1946 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მთავრობას წარუდგინა პროექტი სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივების შექმნის თაობაზე. მაგრამ ეს პროექტი მაშინ მთავრობის მიერ დამტკიცებული არ იქნა[12].

იმავე წელს მინისტრთა საბჭომ გამოსცა ინსტრუქცია მიწის მესაკუთრე და მეიჯარე გლეხების ურთიერთდამხმარე სალაროს (სანდუყე თაავონი) შექმნის შესახებ. ინსტრუქცია ითვალისწინებდა ურთიერთდამხმარე სალაროების საშუალებით სესხის მიცემას გლეხებზე მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის გაუმჯობესების მიზნით. სალაროს ფულადი თანხები უნდა შემდგარიყო განსაზღვრული გადარიცხვებით მემამულისა და გლეხის შემოსავლიდან. მემამულეს სალაროში უნდა შეეტანა წლიური შემოსავლის 3%, ხოლო მესაკუთრე გლეხს, რომელიც ერთ ჯოფთ[13] სახნავს ფლობდა— წლიური შემოსავლის 1,5%. სოფლის სხვა მცხოვრებლებს, რომლებსაც ეკუთვნოდათ ფარდულები, წისქვილები, ბაღები და სხვ. აგრეთვე 1,5% უნდა შეეტანათ. ინსტრუქციის თანახმად, ურთიერთდამხმარე სალაროს მართავდა გამგეობა, რომელიც 7 კაცისაგან შედგებოდა. გამგეობაში შედიოდა მხოლოდ ერთი გლეხი, რომელსაც მემამულის თანხმობით და წარდგენით ირჩევდნენ[14].

1949 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კვლავ შეიტანა მეჯლისში პროექტი, ამჯერად საკრედიტო კოოპერატივების შექმნის შესახებ.

მეთხუთმეტე მოწვევის მეჯლისს, რომელმაც მუშაობა დაამთავრა 1949 წლის ივნისში, ამ საკითხზე არავითარი გადაწყვეტილება არ

---

12 იქვე, გვ. 193.

13 ჯოფთი (جفت) ეწოდება ერთ ზეზონზე უღელი ხარის სახნავ მიწის ფართობს, რაც დაახლოებით 3 ჰექტარს ეღრის.

14 გაზ. „ეთელაათი" (اطلاعات), 1946 წ., 15 სექტემბერი. შემდეგში „ეთელაათი," იხ. აგრეთვე „რაჰბარი" (راهبر), 1946 წ., 8 ივლისი.

მიულია. ეს კანონპროექტი არ შეუტანიათ განსახილველად არც მეთექვსმეტე მოწვევის მეჯლისზე, რომელიც 1950 წლის თებერვალში გაიხსნა[15].

1951 წლის 6 თებერვალს პრემიერ მინისტრმა რაზმარამ გამოსცა ცირკულარი 1200 რაიონში სოფლის კოოპერატიული შერქეთების შექმნის შესახებ. თვითეულ რაიონში თითო შერქეთი უნდა შექმნილიყო, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო ბანკს დაექვემდებარებოდნენ. „შერქეთების მთავარი მიზანი არის — ნათქვამი იყო ცირკულარში — დახმარება გაუწიონ გლეხებს მათთვის საჭირო ქონების შეძენაში და გლეხური პროდუქციის შესყიდვა მოხდეს იმგვარად, რომ თავიდან იქნეს აშორებული ყოველგვარი გარიგებები გლეხების საზიანოდ“.

შერქეთის გამგეობას ირჩევდნენ რამდენიმე სახელმწიფო მოსამსახურისა და იმ პირთა შემადგენლობით, რომლებიც „ადგილობრივი მოსახლეობის ნდობით სარგებლობენ“. თვითეული კოოპერატიული შერქეთის ძირითადი კაპიტალი 500.000 თუმნით იყო განსაზღვრული. ამ თანხის ნახევარი უნდა შემდგარიყო საპაიო შენატანებისაგან (აქციისაგან), ხოლო მეორე ნახევარს სახელმწიფო დაფარავდა. სახელმწიფო თავისი დასაფარავი ნაწილის ნახევარს ნაღდ ფულად იძლეოდა, ხოლო მეორე ნახევრის ანგარიშში შერქეთის განკარგულებაში გადასცემდა შაქარს, შაქრის ფხვნილს, თამბაქოს და სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობებს[16].

50-იანი წლების დამდეგიდან ირანში ,ვაჩაღებული ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის გავლენით შაჰმა დაიწყო ფეჰლევის ოჯახის მამულების გლეხებზე მიყიდვა. 1951 წლის მარტში მან საკუთრების დოკუმენტები გადასცა ვარამინის რაიონის სოფელ დაუდ აბადის 110 გლეხის ოჯახს (534 სული), რომლებსაც მიყიდა 1378 ჰექტარი მიწა (ე. ი. თვითეულ ოჯახს დაახლოებით 12,5 ჰექტარი). აქვე შეიქმნა პირველი კოოპერატიული შერქეთი[17]. შაჰის თხოვნით ამერიკიდან მოწვეული იქნენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ექსპერტები. ამერიკელთა ერთმა ჯგუფმა სანიმუშო მეურნეობა მოაწყო ვარამინის რაიონის სოფელ მამაზანში, ხოლო მეორე ჯგუფი დაუდ აბადში დამკვიდრდა და ფრინველების ფერმა გახსნა[18].

1952 წლის სექტემბერში ამერიკელი ექსპერტების ხელმძღვანელობით შაჰმა შექმნა ფეჰლევის მიწების კეთილმოწყობისა და

[15] ჰადარი. გვ. 193.

[16] გაზეთი „დადი“ (داد) 1951 წ. 7 თებერვალი.

[17] „ეთელაათი“, 1951 წ. 5 მარტი.

[18] ჟურნალი „ბესუიე აინდე“ (بسوی آینده) № 551, 1952 წ. 7 მაისი.

კოოპერატივების ბანკი 15 მილიონი რიალი კაპიტალით[19]. მანვე დანიშნა ბანკის უმაღლესი საბჭო 10 კაცის შემადგენლობით, რომლის პირველი თავმჯდომარე იყო ჰოსეინ ალა[20].

ბანკის წესდებით, მის ამოცანას შეადგენდა ხელი შეეწყო გლეხების მიერ გამოსყიდული ფეჰლევის მიწების კეთილმოწყობისათვის. ბანკს კრედიტები უნდა მიეცა გლეხებისათვის, შეექმნა საწარმოო-სამომხმარებლო კოოპერატივები, მონაწილეობა მიეღო მათ საქმიანობაში[21].

1951 წლის აპრილში ხელისუფლების სათავეში მოვიდა მოსადეყის ეროვნული ფრონტის მთავრობა. რომელსაც არ წამოუყენებია თავისი განსაკუთრებული პროგრამა აგრარულ საკითხში. მაგრამ იძულებული გახდა 1952 წლის 6 ოქტომბერს გამოეცა კანონი მეიჯარე გლეხის ნაწილის გაზრდისა და კოოპერატიული ფონდების გადიდების შესახებ. კანონის თანახმად გლეხის წილი მოსავალში 10%-ით უნდა გადიდებულიყო მიწის მესაკუთრის ხარჯზე[22].

მოსადეყის კანონი, როგორც მისი შინაარსიდან ჩანს, ითვალისწინებდა კეთილმოწყობის ფართო პროგრამის განხორციელებას კოოპერატიულ საფუძველზე, მაგრამ ამ ღონისძიებას განხორციელება არ ეწერა, რადგან ძირითადი ამოცანა, რაც მსხვილმემამულური მიწათმფლობელობის ლიკვიდაციას ითვალისწინებდა, კვლავ გადაუჭრელი რჩებოდა.

მოსადეყის მთავრობის დამხობის შემდეგ ზაჰედის მთავრობას ოფიციალურად არ გაუუქმებია ზემოდასახელებული კანონმდებლობანი, მაგრამ არც მისი განხორციელებისათვის უზრუნვია. ამის შემდეგ შაჰის მთავრობამ კვლავ განაგრძო ღონისძიებანი შაჰისა და სახელმწიფო მიწებზე კოოპერატიული შერქეთების შესაქმნელად.

1954 წლის გაზაფხულზე პრემიერ-მინისტრის განკარგულებით შეიქმნა კომისია, რომელმაც შეიმუშავა პროექტი კანონისა „კეთილმოწყობისა და გლეხთა კოოპერატივების შესახებ"[23]. ამ კანონით გათვალისწინებული იყო მემამულის ხარჯზე გლეხების შემოსავლის გადიდება.

იმავე წლის ივნისის დამდეგს კომისიამ მომზადებული პრო-

---

[19] ჟურ. „Iran to day", 1960 წ. № 5, გვ. 11. აგრეთვე იხ. გაზ. کیهان 1952 წ. 17 სექტემბერი. შემდგომში „ქეიჰანი".

[20] „ქეიჰანი", 1952 წ. 23 სექტემბერი.

[21] „ქეიჰანი", 1952 წ. 4 აგვისტო.

[22] The new land dacrees in Persia., The world to day. des 1952. V. VIII. № 12, 532.

[23] „ქეიჰანი", 1954 წ. 9 ივნისი.

ექტი წარუდგინა მინისტრთა საბჭოს, რომელიც მალე მეჯლისმაც დაამტკიცა[24].

„კეთილმოწყობისა და გლეხთა კოოპერაციის“ კანონი შედგება 22 მუხლისა და 16 შენიშვნისაგან. კანონში აღნიშნულია, რომ მის მიზანს შეადგენს გლეხობის ცხოვრების დონის ამაღლება და მდგომარეობის გაუმჯობესება, განსაკუთრებით მათი საწარმოო და მსყიდველობითი შესაძლებლობის გადიდება, აგრეთვე დაბებისა და სოფლების კეთილმოწყობა. კეთილმოწყობისა და გლეხთა კოოპერაციის დაწესებულების მოვალეობაში შედიოდა: თვითეულ ბახშსა და სოფელში ენჯუმენების და გლეხთა კოოპერატიული შერქეთების ჩამოყალიბება, გზების, სკოლების, საავადმყოფოების, აბანოების მშენებლობა და სხვ. ამ დაწესებულებას დაეკისრა გლეხთა და ხურდემალექთა პროდუქციის გასაღება. კანონის თანახმად მემამულეებს კეთილმოწყობისა და კოოპერაციის ფონდში უნდა შეეტანათ შემოსავლის 20%, ხოლო მესაკუთრე გლეხებს — 4% სარწყავი და 2% ურწყავი მიწებიდან. შეკრებილი თანხის 70% მოცემული სოფლის კოოპერატივის ხარჯებს ხმარდებოდა, 15% დაიხარჯებოდა დეჰესთანის და 15% ბახშის კეთილმოწყობაზე[25].

1956 წლის მარტში მიღებულ იქნა ახალი კანონი კოოპერატივების შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა შერქეთების განთავისუფლებას გადასახადებისაგან, როგორც წამახალისებელ ღონისძიებას[26].

საკრედიტო და შემსყიდველ-გამსაღებელ კოოპერატივებთან ერთად სცადეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ერთობლივად ვამოყენების კოოპერატივებისა და იარაღების შემკეთებელი სახელოსნოების შექმნაც. ჯერ კიდევ 1953 წელს შედგენილ იქნა პროექტი სოფლის კოოპერატივების ხაზით სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ერთობლივად გამოყენების შესახებ. ამ მიზნით საგეგმო ორგანიზაციამ უცხოეთის ფირმებს შეკვეთა მისცა 540 ტრაქტორის, 100 თვითმავალი და 30 მისაბმელი კომბაინის შემოსატანად[27].

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანერგვის მთავარმა სამმართველომ ტრაქტორისტებისა და კომბაინერების კადრების მოსამზადებლად კურსები გახსნა ქერეჯში, გორგანსა და აჰვაზში. გორგანში, ხუზისთანსა და ხორასანში შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო მან-

---

24 იქვე.

25 ხსენებული კანონის სრული ტექსტი იხ. გაზ. „ქეიჰანი“, 1954 წლის 22 ივნისი.

26 „ქეიჰანი“, 1956 წ. 1 აპრილი.

27 „ეთელაათი“, 1953 წ. 19 მაისი.

ქანების შემკეთებელი სახელოსნოები. 1954 წლის აგვისტოდან 1955 წლის აგვისტომდე კოოპერატიულ შერქეთებს მიეყიდათ 70 ტრაქტორი და მომზადებული იქნა 150 ტრაქტორისტი[28].

1957 წლის იანვარში გამოქვეყნდა ინსტრუქცია სამიწათმოქმედო ტექნიკის შესასყიდად კრედიტის გამოყენების თაობაზე[29]. მანქანა-იარაღების შემოტანა უპირატესად წარმოებდა დასავლეთ გერმანიიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან. თუ 1954 წლის დამდეგს მაზანდარანის პროვინციის ქიაქოლას რაიონში, პირველი კოოპერატიული შერქეთის შექმნის დროისათვის მხოლოდ ერთი ტრაქტორი იყო, 1957 წლის იანვრისათვის ამ რაიონში უკვე 40 ტრაქტორი მუშაობდა.

მაგრამ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ერთობლივად გამოყენების კოოპერატიული შერქეთები და შემკეთებელი სახელოსნოები ჯერ მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელი იყო. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებას აფერხებდა ეროვნული მანქანათმშენებლობის უქონლობა, ფინანსიური კრიზისი და ისიც, რომ ქვეყანაში ერთიანი სამანქანო პარკი არ არსებობდა. არსებული სასოფლო-სამეურნეო მანქანების მნიშვნელოვანი ნაწილი სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო უმოქმედოდ იდგა. ეს იწვევდა კოოპერატიული შერქეთების ზარალს და ხშირად მათ გაკოტრებასა და დაშლას.

60-იანი წლების დამდეგისათვის ირანში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული შერქეთები იქმნებოდა უპირატესად ფეჰლევისა და ხალესეს დანაწილებულ მიწებზე. კოოპერატივების უმრავლესობა საკრედიტო და შემსყიდველ-გამსაღებელ ფუნქციებს ასრულებდნენ. კოოპერატიული შერქეთების და ურთიერთდამხმარე სალაროების სესხებით სარგებლობდნენ მხოლოდ მემამულეები და შეძლებული გლეხები. გლეხების უმრავლესობის უმიწობა, მსხვილ მემამულეთა მხრივ საბოტაჟი, ფინანსიური სივიწროვე და კოოპერატივის საქმის მცოდნე კადრების უყოლობა ხელს უშლიდა კოოპერატიული მოძრაობის გაშლას და განვითარებას.

ოფიციალური წყაროებიდან შეკრებილი ცნობების მიხედვით, 1962 წ. დამდეგისათვის ე. ი. მიწის რეფორმის კანონის განხორციელების დაწყებამდე, ირანის სოფლებში უკანასკნელ 9 წელიწადში კოოპერატიული შერქეთების შექმნა ასეთ სურათს იძლევა[30].

---

28 „ქეიჰანი", 1956 წ. 2 თებერვალი.

29 „ქეიჰანი", 1957 წ. 1 იანვარი.

30 ცხრილი შედგენილია ჟურნალ „თეჰრან ეკონომისთში" სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით. იხ. „თეჰრან ეკონომისთი", 1960, №№ 366, 367, 386 და 1964, № 519.

№3 ცხრილის მონაცემები მოწმობენ, რომ 1954 წელს ე. ი 22 წლის შემდეგ იმ დროიდან, რაც ირანში საფუძველი ჩაეყარა კოოპერატიულ მოძრაობას, შექმნილი იყო 74 კოოპერატიული შერქეთი, ხოლო შემდგომ სამ წელიწადში კოოპერატიული შერქეთების რაოდენობა 29 ერთეულით გაიზარდა, და 1957 წლისათვის ირანში შექნილი იყო მხოლოდ 103 კოოპერატიული შერქეთი. არსებული კოოპერატიული შერქეთებიდან ძალიან მცირე რიცხვი იყო სიცოცხლისუნარიანი. „გაბედულად შეიძლება ითქ-

ცხრილი 3

წლები	კოოპერატიულ. ...	კოოპერატიულ. ...	წევრთა საშ. რაოდ. თვით. შერქეთში	კაპიტალი რიალებში	კაპიტალის საშუალო რაოდენობა თვით. შერქეთში რიალებში	კაპიტალის საშუალო რაოდენობა თითეულ წევრ. რიალებში
1954	74	43.989	594	33.474.800	452.362	761
1955[31]	—	—	—	—	—	—
1956[31]	—	—	—	—	—	—
1957	103	88.154	856	50.000.000	485.437	567
1958	275	155.000	563	71.400.000	260,000	460
1959	367	198.689	541	89.593.000	244.122	456
1960	525	212.292	404	97.377.000	185.480	458
1961	624[32]	289.750	464	143.000.000	129.168	496
1962	950	399.600	420	210.000.000	221.052	520

ვას, — განაცხადა ერთ-ერთ თავის გამოსვლაში ირანის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს გენერალურმა მდივანმა ჰუსეინ ალი მანსურმა,[33]—რომ უკანასკნელ წლებამდე ირანში ერთი ისეთი სანიმუშო კოოპერატიული შერქეთიც არ არსებობდა, რომელიც კოოპერატიული პრინციპების შესაბამისად მუშაობდა და ქვეყნის ეკონომიკაში რაიმე როლს ითამაშებდა"[34]. ალი მანსურის აზრით, ამის მიზეზი ორი გარემოება იყო: პირველი, — ურთიერთნდობისა და კოოპერატიული თანამშრომლობის უქონლობა და, მეორე, არასათანადო ხელმძღვანელობა. ამიტომ, მისი თქმით, „კოოპერატიული შერქეთები დაარსებიდან მოკლე დროის შემდეგ ქრებიან". ალი მუჰამედ იზედი წერდა, რომ შექმნილი კოოპერატივები ირანში ან დაიშალ-

31 1955 და 1956 წლების მონაცემები ოფიციალურად არ გამოქვეყნებული.

32 1961 წელს კეთილმოწყობის ბანკის უშუალო ხელმძღვანელობით შექმნილი იქნა კიდევ 136 კოოპერატიული შერქეთი 109.470 წევრით და 77 მილიონი რიალი აირველადი კაპიტალით.

33 ჰოსეინ ალი მანსური შემდეგში ირანის პრემიერ მინისტრი იყო. იგი მოკლეს 1965 წლის თებერვალში.

34 „თეჰრან ეკონომისთი", № 313, 1959 წლის 11 ივლისი, გვ. 10.

ნენ ან დაშლის პირას არიან[35]. მაგალითისათვის იგი ასახელებს ქეკარისა და შირაზის ახლომდებარე ზარგანის კოოპერატიულ შერქეთებს: ერთმა მათგანმა შედეგს ვერ მიაღწია. მეორე შერქეთმა არსებობა შეწყვიტა მანამ, სანამ საქმიანობას შეუდგებოდა და მიღებული სესხი უკან დააბრუნა. მესამე დიდი დავიდარაბით გაიხსნა და მალე არსებობა დაასრულა სოფლის ქეთხუდის მკვლელობით[36].

კოოპერატიული შერქეთების შექმნისა და განვითარების მთავარი შემფერხებელი მიზეზი იყო გლეხობის სიღატაკე. მათ შესაძლებლობა არ ჰქონდათ შერქეთში შეეტანათ საპაიო შესატანები ძირითადი კაპიტალის სახით.

1958 წელს დაიწყო ხალესეს მიწების გამოსყიდვა. გრძელდებოდა ფეჰლევის მიწების დანაწილებაც. ეს გარკვეულ პირობებს ჰქმნიდა ახალი შერქეთების შესაქმნელად. კოოპერატივების ძნელი ფინანსიური მდგომარეობიდან გამოყვანის მიზნით 1958 წლის მარტში მთავრობამ მიიღო დადგენილება სასოფლო-სამეურნეო კრედიტის გადიდების შესახებ[37]. ამავე წელს გამოცემული იქნა ინსტრუქცია კრედიტის განაწილების თაობაზე, რომლის თანახმად მოკლევადიანი[38] კრედიტის თანხა შეიძლება ხუთჯერ მეტი ყოფილიყო კოოპერატივის კაპიტალთან შედარებით. კრედიტის გაფორმება ხდებოდა სათანადო დოკუმენტაციით, რაზეც გათვალისწინებული იყო თანხის 2%.

ამ გარემოებამ ერთგვვარად შეუწყო ხელი ახალი კოოპერატიული შერქეთების ჩამოყალიბების საქმეს. თუ უკანასკნელი ცხრილის მონაცემებს დავუბრუნდებით აშკარად შევნიშნავთ, რომ 1958 წლის შემდეგ გადიდდა კოოპერატივების ჩამოყალიბების ტემპი. ამ წელს თითქმის სამჯერ მეტი კოოპერატივი შეიქმნა, ვიდრე 1957 წლის მთელ წინაპერიოდში. თუ 1954—1957 წლებში წლიურად საშუალოდ 7—8 კოოპერატივი იქმნებოდა, 1958—1962 წლებში კოოპერატივების საშუალო წლიური მატება 168 ერთეულს შეადგენდა.

კოოპერატივების წევრთა რაოდენობა 1961 წელს 4,5-ჯერ გაიზარდა 1957 წელთან შედარებით. ამ პერიოდში კოოპერატივების ძირითადი კაპიტალი 50 მილიონი რიალიდან 210 მილიონ რიალამდე გადიდდა. ამასთან, შერქეთების საშუალო კაპიტალის რაოდენო-

---

[35] علی محمد ایزدی، تقسیم اراض دردی‌را دوا نمیکند، شیراز، اسفند ماه ۱۳۳۸ ص ۳۲

[36] იქვე.

[37] „ეთელაათე სალანე“ (اطلاعات سالانه). თეირანი, 1960. „კანონები“.

[38] მოკლევადიანი კრედიტი გამოყენებული უნდა ყოფილიყო ერთი წლის ვადაში. გამონაკლისის სახით დაშვებული იყო 2 წელიც.

ბა თითქმის ორჯერ შემცირდა, ხოლო თვითეული წევრის მიერ კოოპერატივში შეტანილი კაპიტალების საშუალო რაოდენობა 761 რიალიდან 496 რიალამდე ე. ი. 35%-ით დაეცა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთავრობის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა, თუმცა ხელი შეუწყო კოოპერატივების რაოდენობის გადიდებას და ერთგვარად დააჩქარა კოოპერირების ტემპი, მაგრამ კოოპერატივებისა და ცალკეული წევრების ფინანსიურ-ეკონომიური შესაძლებლობანი ამით არ გადიდებულა. ეს აიხსნება მთავრობის ცალმხრივი საკრედიტო პოლიტიკით, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ 1958 წელს რიალის კურსის გადაფასებასთან დაკავშირებით, თუმცა არსებითად შეივსო სასოფლო სამეურნეო კრედიტების თანხები, მაგრამ იგი ქვეყნის კრედიტების საერთო თანხასთან შედარებით მცირე ნაწილს შეადგენდა. (50 მილიარდ 368 მილიონი რიალიდან 2 მილიარდ 911 მილიონი რიალი[39] ანუ კრედიტების საერთო თანხის მხოლოდ 5%). აქედან კოოპერატიული შერქეთებისა და ურთიერთდამხმარე სალაროების საჭიროებისათვის ასიგნებული იყო მხოლოდ 700 მილიონი რიალი[40].

რეფორმის წინა სამი წლის მანძილზე სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ასე გაანაწილა კრედიტები[41].

ცხრილი 4

წლები	სესხების რაოდენობა	10 ათას რიალამდე	10 ათასიდან 500 ათას რიალამდე	500 ათას რიალის ზევით
1959	35220	33245 (94,46%)	1801 (5,1%)	174 (0,5%)
1960	45693	43748 (95,8 %)	1845 (4 %)	100 (0.2%)
1961	59422	58371 (98,2 %)	980 (1,7%)	71 (0,1%)

როგორც ცხრილიდან ჩანს, 1959—1961 წლებში სასოფლო-სამეურნეო სესხების რაოდენობა 59%-ით გაიზარდა. ამასთან მნიშვნელოვნად შემცირდა დიდ თანხებიანი სესხების რიცხვი, მაგრამ მათი საერთო თანხა სესხების საერთო თანხასთან შედარებით ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი იყო. გაცემული სესხების საერთო თანხიდან კოოპერატივებზე გაცემული თანხები მცირე პროცენტს შეადგენდა და მინიმალურად ვერ უზრუნველყოფდა მოთხოვნილებას. ამას მოწმობს 1960 წელს სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ სხვადასხვა სახის სესხების გაცემის მონაცემები[42].

39 „თეჰრან ეკონომისთი", № 386, 1960 წლის 10 დეკემბერი, გვ. 23.

40 „თეჰრან ეკონომისთი", № 418, 1961 წ. 29 ივნისი, გვ. 20.

41 მოკლევადიანი სესხის ვადა იყო ერთი წელი, საშუალო ვადიანი სესხის 6 წელი, ხოლო გრძელვადიანი სესხისა 10 წელი, იხ. „თეჰრან ეკონომისთი", № 418, 1961 წელი 29 ივნისი, გვ. 21.

42 „თეჰრან ეკონომისთი", № 386, 1960 წ. 10 დეკემბერი, გვ. 23.

სესხის სახე	სესხების რაოდენობა	% სესხის საერთო რაოდენობასთან შედარებით	სესხების თანხა რიალებში	% სესხების საერთო თანხასთან შედარებით
მოკლევადიანი[43]	32.554	74,5	503,576.487	38
საშუალოვადიანი	10.642	24,6	607.651.200	45
გრძელვადიანი . . .	440	0,9	203.288.000	17
სულ . . .	53.636	100	1.341.515.687	100

ამ თანხიდან 1960 წელს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის მიცემული სესხი შეადგენდა 278.205 რიალს[44].

ამრიგად, სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ ერთი წლის მანძილზე გაცემული იყო 53.636 სხვადასხვა სესხი, რაც საერთო თანხით 1.341.515.687 რიალს შეადგენდა. აქედან საშუალო და გრძელვადიანი სესხები იყო ყველა სესხის 25,5%, რომლებზეც მიდიოდა საერთო თანხის დაახლოებით ორი მესამედი, ხოლო მოკლევადიანი სესხები, რომლებიც სესხების საერთო რაოდენობის სამი მეოთხედი იყო, საერთო თანხის ერთ მესამედზე ცოტა მეტს შეადგენდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საშუალო და გრძელვადიანი სესხები მხოლოდ უძრავი ქონების საწინდრის ქვეშ იცემოდა, იგულისხმება, რომ გაცემული სესხების დიდი თანხები მემამულე-მევახშეებს უვარდებოდა ხელში. რაც შეეხება მოკლევადიან სესხებს მათი მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება მიეღოთ მხოლოდ შეძლებულ გლეხებს. ღარიბი გლეხები ფაქტიურად სესხებით ვერ სარგებლობდნენ. კოოპერატიულ შერქეთებზე მოდიოდა სესხების საერთო თანხის მეხუთედი ნაწილი. მაშასადამე, კოოპერატიული შერქეთებისათვის გამოყოფილი თანხები მინიმალურადაც ვერ უზრუნველყოფდნენ კოოპერატივის წევრთა მოთხოვნილებას სესხზე. ამიტომ ისინი იძულებული იყვნენ კვლავ დიდი პროცენტით აეღოთ სესხი კერძო პირებისაგან, რომლებიც თავის მხრივ შეღავათიან პირობებში იღებდნენ თანხებს სახელმწიფოსაგან[45]. ამასთან აღებული სესხი ხშირად იხარჯებოდა არა საწარმოო მიზნით, არამედ გლეხის ყოველდღიურ ხარჯებზე, რათა უბრალო არსებობა შეენარჩუნებინათ.

---

43 „თეპრან ეკონომისტი", № 495, 1963 წ. 26 იანვარი, გვ. 34.

44 იქვე.

45 სახელმწიფო სესხს აძლევს წლიურად 4%-ით, ხოლო კოოპერატივები გლეხებს აძლევენ 6%-ით.

1962 წლის იანვარში მიღებული მიწის რეფორმის კანონი, რომელიც ითვალისწინებს მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობის შეზღუდვას და გლეხების მიერ მემამულეთა მიწების განვადებით გამოსყიდვას, მიწის შეძენის ერთ-ერთ მთავარ პირობად აწესებს გლეხის წინასწარ შესვლას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრად[46]. ამასთან კოოპერატივის საწევრო განსაზღვრულია 50 თუმნით. ადვილი წარმოსადგენია, რომ ასეთ პირობებში უმიწაწყლო გლეხს, რომელიც ყოველდღიურ ლუკმაზე გამოდის, მიწის გამოსასყიდ თანხასთან ერთად საშუალება არა აქვს შეიძინოს კოოპერატივის აქცია და გახდეს მისი წევრი. კანონის საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ გლეხი, რომელმაც მიწა მიიღო, ვერ შესძლებს კოოპერატივის წესდების თანახმად მონაწილეობა მიიღოს სოფლის წარმოებისა და კეთილმოწყობის საქმეში და სათანადო მოვალეობანი შეასრულოს, მაშინ კოოპერატივის გადაწყვეტილებით იგი გაირიცხება კოოპერატივის რიგებიდან (მუხლი 19)[47]. ამასთან კანონში აღნიშნულია, რომ თუ გლეხი არ დაფარავს თავის დაეალიანებას, მაშინ მისი ნაკვეთი გადაეცემა სოფლის მეურნეობის სამინისტროს. რომელიც მიწის რეფორმის საფუძველზე ამ მიწას სხვა პირს გადასცემს (მუხლი 28)[48].

ამრიგად, მიწის რეფორმის კანონი არსებითად ზღუდავს ღარიბი გლეხების მონაწილეობას კოოპერატიულ შერქეთებში და ხელსაყრელ პირობებს აწესებს შეძლებული გლეხებისათვის, რომლებსაც ფაქტიურად პირველ რიგში აქვთ მიწების შეძენისა და კოოპერატივის წევრად შესვლის შესაძლებლობა. ამასთან ერთად, მიწის რეფორმის კანონის განხორციელებით იწყება ახალი პერიოდი ირანში კოოპერატიული მოძრაობის ისტორიაში. საქმე იმაშია, რომ რეფორმამდელი კოოპერატივების ბაზა შეზღუდული იყო ძირითადად შაჰისა და ხალესეს დანაწილებული სოფლებით, ახლა კი მსხვილი მემამულეების მიწების გამოსყიდვისა და გლეხებზე განვადებით მიყიდვის პროგრამა ახალ პერსპექტივებს სახავს კოოპერატივების რაოდენობრივი ზრდისა და საქმიანობის გაფართოებისათვის. მიწის რეფორმისა და გლეხთა კოოპერირების თავგამოდებული მომხრე, ირანის სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი ჰასან არსანჯანი თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ასე განსაზღვრავდა მთავრობის ახალ პოლიტიკას კოოპერატიული შერქეთების განვითარების საქმეში: „ჩვენ ორი სახის შერქეთი გვაქვს — ამბობდა იგი — ერთი ძველი და ერთი ახალი. ძველი კოოპერატიული შერქეთები

---

46 „ეთელაათი“, 1962 წ. 15 იანვარი.

47 იქვე.

48 იქვე.

ახალ შერქეთებად უნდა გარდაიქმნას. ძველი კოოპერატიული შერქეთები სესხს ემყარებოდა, რაც ყოველწლიურად გარკვეული თანხით უწევდა დახმარებას გლეხებს, რომლებიც მოსავლის აღების დროს ტანჯვით მოპოვებულ თანხას უკან აბრუნებდნენ. ახალ კოოპერატიულ შერქეთებში, გარდა იმისა, რომ გლეხი მატერიალურ და მორალურ საზღაურს პოულობს, მისგან აგრეთვე იღებს დახმარებას წარმოების საშუალებებითა და სამიწათმოქმედო ტექნიკით (თესლით, მინერალური სასუქით, შხამქიმიკატებითა და წარმოების სხვა საშუალებებით). ახალი კოოპერატიული შერქეთების წევრ გლეხებს შეუძლიათ თავისი პროდუქტი კოოპერატიულ შერქეთებს მიყიდონ ან თვითონ გაიტანონ ბაზარზე გასაყიდად და ამ გზით ადგილი მოუსპონ სპეკულანტ-მევახშეებსა და წვრილ ვაჭრებს"[49].

ერთი სიტყვით, რეფორმის წინა პერიოდის შერქეთები ძირითადად საკრედიტო ფუნქციებს ასრულებდნენ, ხოლო ახალ შერქეთებს უნდა შეესრულებინათ შემსყიდველ-გამსაღებელი, სამომხმარებლო და ნაწილობრივ საწარმოო ფუნქციები. ამ ე. წ. მრავალმიზნობრივი კოოპერატივების ამოცანას შეადგენდა ფართობის ერთეულზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების დონის ამაღლება და ამ საფუძველზე მოსახლეობის სასურსათო მოთხოვნილების დაკმაყოფილება და მრეწველობის უზრუნველყოფა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით. ეს კი მოითხოვდა მნიშვნელოვან დაბანდებებს სოფლის მეურნეობის სფეროში, ხოლო საერთო ფინანსიური კრიზისის პირობებში საამისო თანხები სახელმწიფოს არ გააჩნდა. გათვალისწინებული იყო, რომ ასეთი თანხები ნაწილობრივ მიეღოთ შინაგანი დაგროვების რესურსებიდან, ე. წ. „ნავთის შემოსავლის" ნაწილიდან, საგეგმო ორგანიზაციის ბიუჯეტიდან და ტრუმენის 4 პუნქტის დახმარების ფონდიდან. მთავრობის პროგრამაში შედიოდა აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნებში კოოპერატიული საქმიანობის გამოცდილების გაცნობა და მისი დანერგვა ირანში. ამ მიზნით მოწვეული იქნენ ამერიკელი და დანიელი ექსპერტები; აშშ-ში, დასავლეთ გერმანიაში, ინგლისსა და იაპონიაში გაგზავნილ იქნენ სოფლის ახლგაზრდობის ჯგუფები ფეჰლევის მამულიდან; 1962 წლის ივნისში იუგოსლავიაში იმოგზაურა ჰასან არსანჯანმა,[50] 1963 წლის აგვისტოში დასავლეთ გერმანიას, დანიასა და ჰოლანდიას ეწვია ახლანდელი სოფლის მეურნეობის მინისტრი თიმსარ სეფეჰბად რიაჰი,[51] ხოლო 1964 წლის მაისში ირანში ჩა-

---

49 „ეთელაათი", 1962 წ. 17 იანვარი.

50 იქვე, 15 ივნისი.

51 „ეთელაათი", 1963 წ. 16 აგვისტო.

მოვიდა დასავლეთ გერმანიის კოოპერატივების ცენტრალური ორგანიზაციის თავმჯდომარე დოქტორი ზონემანი[52].

მიწის რეფორმის გატარებისა და ახალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესაქმნელად არჩეულ იქნა მარაღის, ჰაშთრუდისა და მიანდოაბის რაიონები[53]. მარაღის 338 სოფლიდან მიწის რეფორმას დაექვემდებარა 107 სოფელი. განაწილებულ სოფლებში 1962 წლის იანვარში შეიქმნა 31 კოოპერატიული შერქეთი, რომლებშიც გაერთიანდა 5.102 გლეხი. მათ კოოპერატივებში ნახევარი მილიონი რიალი შეიტანეს[54].

მარაღის შემდეგ, რეფომის განხორციელების კვალობაზე კოოპერატივების შექმნა დაიწყო ქვეყნის სხვა რაიონებშიც.

1963 წლის იანვარში შედგა ირანის სოფლის კოოპერატიული შერქეთების პირველი ეროვნული კონგრესი, რომელსაც ესწრებოდა 4800 წარმომადგენელი 1080 კოოპერატიული შერქეთიდან[55]. ყრილობამ განიხილა ქვეყნის მომავალი სამიწათმოქმედო პოლიტიკის, სასოფლო-სამეურნეო კრედიტების, კოოპერატივების ცენტრალური ორგანიზაციის შექმნის, სოფლისა და ქალაქის ურთიერთობისა და სხვა საკითხები.

ირანის სოფლის კოოპერატიული შერქეთების პირველმა ეროვნულმა ყრილობამ ყურადღება გაამახვილა კოოპერატიული შერქეთების შექმნის დაჩქარების საკითხზე. ამ მიზნით შეიქმნა კოოპერატიული შერქეთების ცენტრალური ორგანიზაცია, რომლის პირველ თავმჯდომარედ არჩეული იქნა მუჰამედ ხალხალი[56].

ყრილობაზე განხილულ საკითხებზე მიღებულ იქნა რეზოლუციები. დასკვნით სხდომაზე ყრილობის მონაწილეებს თავს მოახვიეს საერთო რეზოლუციაც, რომელშიც, კერძოდ, ჩაწერილი იყო: „ირანის გლეხობა პირობას იძლევა და საზეიმოდ ფიცსა სდებს. რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოლებს ირანის კონსტიტუციური მონარქიის ძირითადი კანონის საფუძვლების დასაცავად“[57].

შაჰის კონსტიტუციური მონარქია ცდილობდა ვითარებას შეგუებოდა და შეეცვალა თავისი სოციალური ბაზისი სოფლად. მის ამოცანას შეადგენდა გლეხურ მეურნეობათა კოოპერირების ბაზა-

---

52 „თეჰრან ეკონომისთი“, № 528, 1964 წ. გვ. 26.

53 „ეთელაათი“, 1962 წ. 21 იანვარი.

54 იქვე.

55 „ეთელაათი“, 1963 წ. 9 იანვარი.

56 ეს ორგანიზაცია ფაქტიურად გაფორმდა და მუშაობას შეუდგა 1963 წლის ივლისში. მაშინ მის თავმჯდომარედ არჩეული იქნა მოჰანდეს ამირ ფარვიზი, ხოლო გამგეობის წევრებად მოჰანდეს მაარუფათი და მოჰანდეს მოოსაადი, „ეთელაათი“, 1967 წ. 17 ივლისი.

57 „ეთელაათი“, 1963 წ. 16 იანვარი.

ზე გაეძლიერებინა კულაკური ელემენტი, რომელიც მეურნეობას მანქანებისა და დაქირავებული შრომის საფუძველზე მოაწყობდა. კაპიტალისტური მსხვილი კოოპერატიული მეურნეობის ყველა უპირატესობის გამოყენება შეეძლებოდათ იმ ვლეხებს, რომლებსაც მიწის მეტი ფართობი ჰქონდათ და შესაბამისად მეტი საპაიო შენატანებით გაერთიანდებოდნენ ამ მეურნეობებში.

სოფლის კოოპერატიული შერქეთების ცენტრალური ორგანიზაცია, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობით და სასოფლო სამეურნეო ბანკთან თანამშრომლობით მოქმედებდა, უშუალოდ ჩაუდგა სათავეში განაწილებულ სოფლებში კოოპერატიული შერქეთების შექმნის და მათი საქმიანობის განვითარების საქმეს.

1963 წლის ოქტომბერში, როდესაც გათვალისწინებული იყო მიწის რეფორმის პირველი ეტაპის დამთავრება რეგისტრირებული და არარეგისტრირებული კოოპერატივების რიცხვი შეადგენდა 3089 ერთეულს, აქედან რეფორმის შემდეგ გასული 20 თვის მანძილზე შეიქმნა 2139 კოოპერატივი, რომელთაგან რეგისტრირებული იყო 1995, ხოლო კრედიტი მიეცა და საქმიანობისათვის იყო მზად მხოლოდ 927,[58] ე. ი. ყველა რეგისტრირებული და არარეგისტრირებული კოოპერატივების 30%, ანუ მესამედზე ნაკლები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქმიანობისათვის მზად არ იყო არა მარტო რეფორმის შემდეგ შექმნილი, არამედ რეფორმამდე არსებული ბევრი კოოპერატიული შერქეთიც. მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა სასოფლო სამეურნეო ბანკის შემოსავლები და გაცემული კრედიტების რაოდენობა, მაინც ამას არ შეეძლო უზრუნველეყო კოოპერატივების საკრედიტო მოთხოვნილება. 1962 წლის პირველ ხუთ თვეში ბანკის შემოსავლები 1961 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 20%-ით გაიზარდა,[59] ხოლო სესხის ამღებთა 5,5%[60] მიიღო გაცემული სესხების საერთო თანხების მესამედი ნაწილი. მაშასადამე, სესხები კვლავ მევახშე-სპეკულანტებსა და კულაკებს უვარდებოდა ხელში, ხოლო კოოპერატივების კრედიტისათვის თანხები არ კმაროდა.

ამიტომ იყო, რომ მიწის რეფორმის კანონის განხორციელების კვალობაზე კოოპერატივების შექმნის ტემპი მკვეთრად ჩამორჩებოდა მემამულეთა მიწების გაძლოლ-ყიდვის ტემპს[61]. ქვემომოტანილი მონაცემები იძლევა ამის სურათს პროვინციების მიხედვით.

---

58 „თეპრან ექონომისთი", 1964 წ. № 528, გვ. 26.

59 „თეპრან ექონომისთი", 1962 წ. 29 სექტემბერი, № 478, გვ. 8.

60 იქვე.

61 „თეპრან ექონომისთი", № 520, გვ. 28.

ცხრილი 6

ოსთანების და შაჰრესთანების დასახელება	განაწილებული სოფლების რაოდენობა	კოოპერატიულების რაოდენობა	ყოველ. შეფარდება განაწ-ილებულ სოფლებთან % -ში	კოოპერატიულების წევრთა რაოდენობა	კოოპერატიულების კაპიტალი (ათას ნიალაებში)	წევრთა საშ. რაოდ. თვით-ეულ შერქეთში	კაპიტალი (ათას ნიალაებში) თვეულ ერთ საშ.	ყოველ. წევრთა საშ. ერთეულ (ათას ნიალაებში)
გილანისა და შაპსეევარ. ოსთანი	305	55	18	7542	25273	137	459	3,3
მაზანდარანის „	261	133	50	10340	8142	77	61	0,8
აღმ. აზერბაიჯანის „	1184	232	19	54526	84738	230	365	1,6
დას. „	280	145	51	16912	10544	116	72	0,6
ქერმანშაჰის „	631	72	11	8435	9096	118	126	1,0
ხუზისთანის „	459	224	50	12692	7198	56	32	0,6
ფარსის „	989	113	12	15840	984	140	87	0,6
ქერმანის „	359	41	11	3788	4542	92	60	0,6
ხორასანის „	1133	145	13	9908	7711	69	53	0,8
ისფაჰანის „	284	59	20	14475	6299	245	108	0,4
ქურთისტანის „	325	118	36	12285	11335	104	96	0,9
თეირანის „	240	90	37	5463	13623	60	151	2,5
ბელუჯ. და სისთანის	2	—	—	—	—	—	—	—
ცენტრალური ზონა	337	83	24	14006	9166	168	110	0,7
ყაზვინის შაჰრესთანი	159	60	37	6403	6085	106	101	1,0
ჰამადანის „	196	124	63	16710	14545	134	117	0,9
სალასის „	129	97	75	6930	6360	71	134	0,9
ზენჯანის „	499	191	48	10262	900	53	48	0,9
არაქის „	291	58	20	11150	7817	192	134	0,7
იეზდის „	—	—	—	—	—	—	—	—
სპარს. ყურის სანაპ. „	58	43	74	5418	1137	126	26	0,2
ომანის ზღვის სანაპ. „	16	6	37	218	269	36	29	0,8
სულ	8042	2088[62]	25	243302	250721	116	120	0,9

მაშასადამე, რეფორმის პირველ ეტაპზე ყოველ მე-4 განაწილებულ სოფელზე მოდიოდა ერთი კოოპერატიული შერქეთი, ხოლო თუ ყველა შერქეთს (შაჰისა და ხალესის მიწებზე შექმნილი შერქეთების ჩათვლით) შევადარებთ ირანის სოფლების საერთო რაოდენობასთან, ასეთ პროპორციას მივიღებთ: 48.598:3038=16, ე. ი. ქვეყნის ყოველ მე-16 სოფელზე ერთი კოოპერატიული შერქეთი იყო შექმნილი. თუ კრიტერიუმად ისევ განაწილებულ სოფლებს მივიღებთ, ოსთანების მიხედვით ასეთი სურათი გვაქვს: ერთი შერქეთი მოდიოდა მესამე ოსთანის ყოველ 5 დანაწილებულ სოფელ-

62 ამ რიცხვში არ შედის 950 კოოპერატივი, რომლებიც რეფორმამდე არსებობდნენ შაჰისა და ხალესის მიწებზე.

ჩე, პირველ ოსთანში—6 სოფელზე, მეშვიდე და მეცხრე ოსთანებში—8 სოფელზე, ხოლო მერვე ოსთანში—9 სოფელზე. განაწილებული სოფლების 50—75% კოოპერირებული იყო მხოლოდ მაზანდარანის, დასავ. აზერბაიჯანის, ხუზისთანის ოსთანებში და ჰამადანისა და სალასის შაჰრესთანებში.

კოოპერატივების წევრთა საშუალო რაოდენობა ქვეყანაში 116 კაცს შეადგენდა. ეს რიცხვი ყველაზე დაბალი იყო ომანის ზღვის სანაპიროს შაჰრესთანში (36 კაცი) და ყველაზე მაღალი იყო ისფაჰანის ოსთანში (245 კაცი). კაპიტალების რაოდენობის მიხედვით მკვეთრი განსხვავება არსებობს ცალკეული პროვინციების კოოპერატივებს შორის. ამ მხრივ დაბალი მაჩვენებლები აქვს სპარსეთის ყურისა და ომანის ზღვის სანაპიროების შაჰრესთანების კოოპერატივებს (26 და 29 ათასი რიალი), ხოლო ყველაზე მეტი რაოდენობა შეიმჩნევა გილანის და შაჰსევარის, აღმოსავლეთ აზერბაიჯანის, თეირანის, სალასისა და არაქის კოოპერატივებში. კოოპერატივების კაპიტალების საშუალო რაოდენობისა და თვითეული წევრის მიერ შეტანილი ჰაის თანხის საშუალო რიცხვის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათ შორის პირდაპირი პროპორცია არსებობს. ეს გარემოება თავის მხრივ არის ქვეყნის ცალკეულ რაიონებსა და სოფლებში კაპიტალისტური სასაქონლო-ფულადი მეურნეობის განვითარების დონის მაჩვენებელი. ამასთან, ეს პრაქტიკულად ადასტურებს ვ. ი. ლენინის მითითებას იმის შესახებ, რომ რაც უფრო მაღალია კაპიტალისტური მეურნეობის განვითარების დონე, მით უფრო ვითარდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია[63].

შაჰის მთავრობა გეგმავს, რომ უახლოეს წლებში შეიქმნას 15 ათასი სოფლის კოოპერატიული შერქეთი, რომლებიც „ფინანსიურ და ტექნიკურ დახმარებას გაუწევენ გლეხებს და ხელს შეუწყობენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებას“[64].

უკანასკნელი ცნობების თანახმად, 1966 წლის იანვრის ბოლოსათვის ირანში შექმნილი იყო 5862 კოოპერატიული შერქეთი და 53 კოოპერატიული შერქეთების გაერთიანება, რომლებიც 786 ათასზე მეტ კაცს აერთიანებდნენ[65].

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული შერქეთები ირანში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ სპობენ ქონებრივ უთანასწორობას და კაპიტალისტური ექსპლოატაციის ფორმებს ემყარებიან, მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენენ სოფლის მეურნეობაში; მათ შეუძლიათ გარკვეულ ეტაპზე ხელი შეუწყონ როგორც სასოფლო-

---

63 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებათა 4 გამოც., ტ. 30, გვ. 393.

64 გაზ. „ალიჭი“ (სომხურ ენაზე), 1964 წ. 26 სექტემბერი.

65 „ეთელაათი“, 1966 წ. 1 თებერვალი.

სამეურნეო წარმოების ზრდას, ასევე გლეხი მოსახლეობის ბრძოლის გაძლიერებას სოციალური და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

Г. ЧИПАШВИЛИ

СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННЫЕ КООПЕРАТИВЫ В ИРАНЕ

Резюме

Попытки создания сельскохозяйственных кооперативов в Иране относятся еще к 30-им годам. Но эти начинания тогда не имели успеха ввиду слабого развития капитализма в сельском хозяйстве. В последующие годы правительство издало ряд постановлений, которые ставили своей целью кредитирования зажиточных крестьянских хозяйств. Первые кредитные и закупочно-потребительские кооперативы были созданы на выкупленных у шаха землях и халесэ. Новый этап развития кооперативного движения начинается в связи с осуществлением земельной реформы. Если до реформы были созданы только 950 кооперативов, то к февралю 1966 года их число было доведено до 5862 единиц, объединяющих более, чем 786 тыс. членов. Анализ официальной статистики показывает, что в связи с финансовых затруднений, не все существующие кооперативы являются жизнеспособными. Их операции в основном ограничиваются кредитными функциями и служат укреплению лишь зажиточных крестьянских хозяйств, составляющих основную социальную опору нынешнего строя.

Несмотря на это, кооперативное движение в Иране имеет и положительные стороны. Оно частично может дать стимул увеличению сельскохозяйственного производства, будет способствовать развитию классовой сознательности и более организованному выступлению крестьян за улучшение их экономического и правового положения.

შ. კურდღელაშვილი

ეგვიპტის 1952 წლის რევოლუციაში პროგრესული სამხედრო ინტელიგენციის როლის საკითხისათვის

კოლონიური სისტემის რღვევის ისტორიული პროცესის ერთ-ერთ მკაფიო გამოვლინებას წარმოადგენდა ეგვიპტელი ხალხის 1952 წლის ივლისის ანტიიმპერიალისტური და ანტიფეოდალური რევოლუცია, რომელმაც არა მარტო ბოლო მოუღო ინგლისის ხანგრძლივ ბატონობას და ძირი გამოუთხარა ადგილობრივ მსხვილ მემამულეთა და მეწარმე-ფინანსისტთა ყოვლისშემძლე პოზიციებს ეგვიპტის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში, არამედ უღრმესი კვალი დაამჩნია მთელი არაბული სამყაროს ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლას, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ამ სახალხო ბრძოლის შემდგომ გაფართოება-გაღრმავებას და წარმატებით დაგვირგვინება.

როგორც ცნობილია, 1952 წლის რევოლუციის გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი ეგვიპტის ეროვნული ჯარის საყოველთაო აჯანყებამ შეასრულა. ისიც ცნობილია, რომ ეროვნული ჯარის აჯანყებას ხელმძღვანელობდა ე. წ. თავისუფალ ოფიცერთა ორგანიზაციაში გაერთიანებული ეგვიპტის პროგრესული სამხედრო ინტელიგენცია. „თავისუფალ ოფიცერთა“ ორგანიზაცია კონსპირაციის მეტად რთულ პირობებში და ხანგრძლივი დროის განმავლობაში საგულდაგულოდ ემზადებოდა, რათა ხელსაყრელ დროს აეჯანყებინა ეგვიპტის ეროვნული ჯარი დრომოჭმული მონარქიისა და ინგლისელთა ხანგრძლივი ბატონობის მოსასპობად.

„თავისუფალ ოფიცერთა“ ორგანიზაცია ეგვიპტის პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე საკმაოდ მხოლოდ 1952 წლის ივლისის რევოლუციის დღეებიდან გამოჩნდა, რადგანაც მანამდე ამ ორგანიზაციას თავისი რევოლუციური საქმიანობის წარმართვა, ეროვნული ჯარის ოფიცერთა კორპუსში, რიგით შემადგენლობაში და ეგვიპტის მოსწავლე ახალგაზრდობას შორის, ღრმა კონსპირაციის

პირობებში უხდებოდა. ცხადია, რომ „თავისუფალ ოფიცერთა“ რევოლუციური საქმიანობის ნაადრევი გამოაშკარავება მხოლოდ და მხოლოდ ამ კონსპირაციული ორგანიზაციის ჩავარდნისა და განადგურების მომასწავებელი იქნებოდა.

ეგვიპტის ეროვნული ჯარის საყოველთაო აჯანყება სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა როგორც თვით ეგვიპტის მმართველი წრეებისათვის, ისევე ინგლისელ იმპერიალისტებისათვის, რომელთა საოკუპაციო ჯარის შენაერთები აჯანყების მთავარი კერიდან, კაიროდან, სულ რამდენიმე ათეული კილომეტრის დაშორებით — სუეცის არხის ზონაში იყვნენ დაბანაკებულნი. ეროვნული ჯარის აჯანყების მოულოდნელობის ფაქტორმა მნიშვნელოვნად განაპირობა 1952 წლის რევოლუციის სწრაფი და თითქმის უსისხლო გამარჯვება.

ამავე დროს, აჯანყების მოულოდნელობამ და ეგვიპტის იმდროინდელი მჩქეფარე პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე მანამდე ყველასათვის სრულიად უცნობი „თავისუფალი ოფიცრების“ ორგანიზაციის სააშკარაოდ გამოჩენამ, რომელიც სათავეში ჩაუდგა სახალხო რევოლუციას, პირველ ხანებში მრავალი გაუგებრობა წარმოშვა ეგვიპტეში მომხდარ მოვლენათა გაშუქებისას მსოფლიოს პრესაში. იმ ხანად მსოფლიოს პრესა აჭრელებული იყო სენსაციური ხასიათის ცნობებით ეგვიპტის რევოლუციის შესახებ, სადაც ცალკეული ჭეშმარიტი ფაქტი იმდენად უხვად იყო შეზავებული შემთხვევით ყურმოკრული მონაჭორით და ინფორმაციის ავტორთა მდიდარი ფანტაზიით, რომ იმდროინდელი ცნობები ეგვიპტეში მომხდარი ამბების შესახებ „ათას ერთი ღამის“ ზღაპრებს უფრო მოგვაგონებენ, ვიდრე ჭეშმარიტ მოვლენათა შესახებ მართებულ ინფორმაციას.

აღნიშნული მიზეზების გამო, იმ ხანად ვერც პროგრესულმა ავტორებმა შესძლეს კარგად გარკვეულიყვნენ ეგვიპტის 1952 წლის ივლისის რევოლუციის ჭეშმარიტ ხასიათში და მართებულად შეეფასებინათ ამ რევოლუციის ხელმძღვანელი და მამოძრავებელი ძალების კლასობრივი არსი. საილუსტრაციოდ საკმარისია მივმართოთ ცნობილი ფრანგი კომუნისტი მწერლის როჟე ვაიანის წერილების სერიას, რომელიც ავტორმა თავდაპირველად გამოაქვეყნა მშვიდობის დაცვის მსოფლიო საბჭოს ყოველთვიურ ჟურნალში „ე ზაშჩიტუ მირა“, ხოლო შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოსცა სათაურით „რა ვნახე ეგვიპტეში“[1]. როჟე ვაიანის ეს წიგნი მალე რუსულად ითარგმნა და გამოიცა მოსკოვში 1953 წელს[2].

---

[1] Roger Vailland, Chases Vues en Egypte Aout 1952, Paris, 1952.

[2] Роже Вайан, Что я видел в Египте, М., 1953.

აი, როგორ აღწერს როჟე ვაიანი, რომელიც იმ ხანად ჟურნალ „ვ ზაშჩიტუ მირას“ რედაქციამ საგანგებოდ მიავლინა ეგვიპტეში, 1952 წლის ივლისის რევოლუციის დასაწყისს და მიმდინარეობას:[3].

„...23 ივლისს, საღამოჟამს, კაიროს გარნიზონის სამმა ოფიცერმა შეიტყო, რომ მათ გათენებისას დაპატიმრება მიელოდათ.

ერთ-ერთი მათგანი ქვეით ჯარში მსახურობდა, მეორე — სატანკო ნაწილში, ხოლო მესამე — პალესტინის ფრონტზე მოქმედ ნაწილში, რომელიც დროებით იყო კაიროში დაბანაკებული. სამივე მათგანი „თავისუფალ ოფიცერთა“ ორგანიზაციის წევრი იყო, რომელიც კარგა ხანია ამზადებდა შეთქმულებას მონარქიის წინააღმდეგ. აჯანყების გეგმები უკვე არა ერთხელ მომზადდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ყველაფერი იფუშებოდა. ამჟამად ახალი შეთქმულება მზადდებოდა და მისი განხორციელება აგვისტოს შუა რიცხვებისათვის იყო დანიშნული. სამივე ახალგაზრდა ოფიცერი შეთქმულების თავკაცნი იყვნენ და, როგორც ჩანს, შეთქმულების შესახებ მითქმა-მოთქმამ მეფის პოლიციის ყურამდე მიაღწია.

ამიტომ ოფიცრებმა გადაწყვიტეს დაესწროთ მეფის პოლიციისათვის და აეჯანყებინათ კაიროს გარნიზონი. გვიანღა იყო „თავისუფალ ოფიცერთა“ ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან დაკავშირება აჯანყების დაწყებაზე თანხმობის მისაღებად. თანაც ამგვარი დასტურის მიღება სათუო ჩანდა, — გენერლებს როდი უყვართ იმპროვიზაცია. ამრიგად, სამი ოფიცერი მარტოოდენ საკუთარ მამაცობაზე ამყარებდა იმედს.

ამ ოფიცრებისადმი დაქვემდებარებულმა სამხედრო ნაწილებმა თავიანთ მეთაურებს დაუჭირეს მხარი და ვიდრე ისინი საკვანძო ობიექტებს იკავებდნენ, დანარჩენი ოფიცრებიც მათ შეუერთდნენ. საკმარისი იყო რამდენიმე პირადი და სატელეფონო საუბარი. რომ აჯანყებას ჯერ ავიაცია, მერე კი არტილერიაც მიმხრობოდა. გახურებული აჯანყების მსვლელობაში, სულ რაღაც ნახევარი საათის განმავლობაში, ჩამოყალიბდა ცხრა წევრისაგან შემდგარი სამხედრო კომიტეტი, რომელიც უმალვე გახდა დედაქალაქის ბატონ-პატრონი, რამაც, უნდა ითქვას, ღრმა საგონებელში ჩააგდო ინგლ: როგორ გამოეხმაურებოდნენ კაიროში მომხდარ ამბავს ქვეყნის დანარჩენ ოლქებში დაბანაკებული სამხედრო ნაწილები, მეფე, მთავრობა. ინგლისელები. რომელთა გარნიზონები სუეცის არხის ზონაში იმყოფებიან? ან ამერიკელები, რომელთა სამხედრო-საზღვაო ფლოტი ხმელთაშუაზღვას სერავს? წოდებით ყველაზე უფროსი აჯანყებულთა შორის იყო პოდპოლკოვნიკი.

ღამის ორ საათზე სამხედრო კომიტეტმა გააღვიძა გენერალი ნაგიბი — პალესტინის ომის მონაწილე და, როგორც ამბობდნენ, ერთადერთი გენერალი, რომელიც წინააღმდეგობის გაწევას თვით მეფეს უბედავდა. ამავე დროს, გენერალი ნაგიბი იყო „თავისუფალ ოფიცერთა" ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი (თუმცა, როგორც ჩანს, ყველაზედ გავლენიანი ხელმძღვანელი არ იყო). თავდაპირველად გენერალ ნაგიბს რჩევისათვის მიმართეს — როგორ ემოქმედნათ შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში. შემდეგ მას აჯანყების მეთაურობა შესთავაზეს. ნაგიბი დათანხმდა.

სამი შეთქმული ოფიცრიდან ერთ-ერთს იმთავითვე უნდა გადაეჭრა სატელეფონო ქსელი, რომელიც კაიროს აკავშირებდა დანარჩენ სამხედრო გარნიზონებსა და ალექსანდრიასთან, სადაც იმ ხანად მეფე, მთავრობისა და გენერალური შტაბის წევრები ისვენებდნენ. მაგრამ, მან ეს დავალება რატომღაც არ შეასრულა, შესაძლოა მას ვინმემ ხელი შეუშალა, ანდა მას უბრალოდ გადაავიწყდა დავალების შესრულება. ეს გარემოება ხელსაყრელი აღმოჩნდა გენერალ · ნაგიბისა და სამხედრო კომიტეტისათვის და როგორც კი ისინი დანარჩენ სამხედრო გარნიზონებს დაუკავშირდნენ ტელეფონით. უმალვე ეგვიპტის მთელი ეროვნული ჯარი აჯანყებას მიემხრო. გათენებისას აჯანყებულები მთელი ქვეყნის ბატონ-პატრონნი და დედამიწაზე ყველაზე ბედნიერი ადამიანები იყვნენ".

1952 წლის ივლისის რევოლუციის მსგავსი აღწერილობა ძნელად დასაჯერებელი უნდა იყოს ეგვიპტის ახალ და უახლეს ისტორიაში სრულიად ჩაუხედავი მკითხველისათვისაც კი, რომ არაფერი ითქვას სპეციალისტ-ისტორიკოსზე. ამას კარგად გრძნობს ზემომოყვანილი სტრიქონების ავტორიც და იმისათვის, რომ როგორმე მაინც დაარწმუნოს მკითხველი თავისი აღწერილობის ჭეშმარიტებაში, იძულებულია დასძინოს: „ამ გადატრიალების დასაწყისი სტენდალის „იტალიურ ქრონიკებს" წააგავს. მე აქ არაფერ შუაში არა ვარ. მე ვესაუბრე ამ ამბების მრავალ თვითმხილველს და ზოგ იმ ახალგაზრდასაც კი, ვინც აჯანყებას მეთაურობდა. ყოველივე მართლაც ისე მოხდა, როგორც მე აღვწერე"[4].

ეგვიპტის 1952 წლის ივლისის რევოლუციის შესახებ მსგავსი სენსაციური და დამახინჯებული ინფორმაციის უხვმა პუბლიკაციამ. იმ ხანად საგრძნობლად გაუადვილა ბურჟუაზიულ ავტორებს ისე წარმოედგინათ მკითხველთათვის ეგვიპტის 1952 წლის რევოლუციური ამბები, როგორც რეაქციული სამხედრო გადატრიალება, გაეყალბებინათ ეგვიპტის ეროვნული ჯარის საყოველთაო აჯანყების რევოლუციური არსი, მიეჩქმალათ პროგრესული სამხედრო ინტე-

[4] როჟე ვაიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

ლიგენციის ხელმძღვანელი როლი სახალხო რევოლუციაში და აჯანყების წარმატებით დაგვირგვინება სრულიად დაუმსახურებლად ერთპიროვნულად მიეწერნათ გენერალ მუჰამედ ნაგიბისათვის, რომელიც, არსებითად, 1952 წლის რევოლუციის დროებითი და არასაიმედო თანამგზავრი აღმოჩნდა.

მართალია, 1952 წლის შემდეგ განვლილმა დრომ თანდათანობით მიმოფანტა რევოლუციის ქარტეხილით ვამოწეული პირვანდელი კორიანტელი და შესაძლებელი გახადა სათანადო მეცნიერული კვლევა-ძიების წარმოება, 1952 წლის ივლისის რევოლუცია დღემდე თითქმის სრულიად შეუსწავლელია საბჭოურ სპეციალურ ლიტერატურაში. ჩვენში ჯერჯერობით აღნიშნულ საკითხს მარტოოდენ განსვენებული არაბისტის ვ. ბ. ლუცკის ერთადერთი მეცნიერული სტატია მიეძღვნა[5].

ამავე დროს, უკანასკნელ ხანებში ეგვიპტეში გამოიცა არა ერთი ეგვიპტელი ავტორის ნაშრომი, რომლებშიაც საგანგებოდ არის განხილული 1952 წლის ივლისის რევოლუციის საკითხები. ეგვიპტელ მეცნიერთა ამ რიგის ნაშრომებიდან უნდა აღინიშნოს რაშიდ ალ-ბარავის წიგნი „უკანასკნელი სამხედრო აჯანყების არსი"[6]; აბდურაჰმან არ-რაფის თხზულება „1952 წლის 23 ივლისის რევოლუციის წინამძღვრები"[7]; შუჰდი ატია აშ-შაფიის ნარკვევი „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარება ეგვიპტეში"[8]; ამინ ას-საიდის ნაშრომი „არაბთა აჯანყებანი მე-20 საუკუნეში"[9] და სხვ.

რაშიდ ალ-ბარავი და აბდურაჰმან არ-რაფი თავიანთ თხზულებებში ძირითად ყურადღებას უთმობენ არა იმდენად საკუთრივ 1952 წლის ივლისის რევოლუციას, მის მსვლელობას და ხელმძღვანელ ძალებს, რამდენადაც ამ რევოლუციის სოციალურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ წინამძღვრებს. რევოლუციის უშუალო მსვლელობის შესახებ გაცილებით მეტი ცნობები მოიპოვება შუჰდი

---

[5] В. Б. Л у ц к и й. Июльская революция 1952 г. в Египте. „Советское Востоковедение", 1957 г. № 2, стр. 31—47.

[6] راشيد البراوى، حقيقة الانقلاب الاخير. القاهرة، ١٩٠٢ El-Barawy Rashid, The Military Coud in Egypt. An analitic Study. Cairo, 1952.

[7] عبد الرحمن الرافعى، مقدمات ثورة ٢٣ يوليه ١٩٥٢. القاهرة ١٩٥٨.

[8] شهدى عطية الشافعى، تطور الحركة الوطنية المصرية ١٨٨٢—١٩٥٢. القاهرة، ١٩٥٧.

Ш. А., А ш-Ш а ф и м, Развитие национально-освободительного движения в Египте 1882—1956, М., 1961.

[9] أمين سعيد، ثورات العرب في القرن العشرين. القاهرة، ١٩٦٤.

А м и н С а и д, Восстания арабов в XX веке, М., 1964.

ატია აშ-შაფის და ამინ ას-საიდის ხსენებულ ნაწარმოებებში. მაგრამ, ეს ავტორებიც ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ეგვიპტის ეროვნული ჯარის პროგრესულ ოფიცერთა წრეებში პატრიოტული მოძრაობის ჩასახვა-განვითარების საკითხებს.

ეგვიპტის 1952 წლის ივლისის რევოლუციაში პროგრესული სამხედრო ინტელიგენციის როლის შესასწავლად უმნიშვნელოვანეს პირველწყაროთა რიგს მიეკუთვნება მემუარული ხასიათის ლიტერატურა. მემუარული ლიტერატურიდან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს რევოლუციისა და „თავისუფალ ოფიცერთა" ჭეშმარიტი ხელმძღვანელის გამალ აბდ ან-ნასერის წიგნი „რევოლუციის ფილოსოფია"[10] და „თავისუფალ ოფიცერთა" ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ანვარ ას-სადათის ნაწარმოები „რევოლუცია ნილოსზე"[11]. საყურადღებო ფაქტიური მასალა მოიპოვება ავრეთვე გენერალ მუჰამედ ნაგიბის მემუარებში, რომელნიც ავტორმა საკმაოდ პრეტენციოზული სათაურით გამოაქვეყნა — „ეგვიპტის ხვედრი; ავტობიოგრაფიული ანგარიში ეგვიპტის რევოლუციის შესახებ"[12].

დღეისათვის არსებული პირველწყაროები და სპეციალური ლიტერატურა საშუალებას იძლევიან თვალყური გავადევნოთ ეგვიპტის ეროვნულ ჯარში პატრიოტული მოძრაობის განვითარების ძირითად ეტაპებს, „თავისუფალ ოფიცერთა" კონსპირაციული ორგანიზაციის ჩამოყალიბების უშუალო წინამძღვრებს და ამ პატრიოტულ ორგანიზაციაში გაერთიანებული პროგრესული სამხედრო ინტელიგენციის ხელმძღვანელ როლს ეგვიპტის 1952 წლის ივლისის რევოლუციაში, რამდენადაც ჩვენ ამის საშუალებას გვაძლევს წინამდებარე წერილის შედარებით შეზღუდული მოცულობა.

ეგვიპტის ისტორიული განვითარების თავისებურებამ იმთავითვე განაპირობა ის გარემოება, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მებაირახტრედ ეგვიპტელ ხალხს ამ ბრძოლის დასაბამიდანვე ეროვნული ჯარის პროგრესული ოფიცრობა მოევლინა. ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ისტორია ეგვიპტეში 70 წელიწადს მოიცავს. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში ამ ბრძოლას დასაბამი მისცა ინგლისის ეკონომიური ექსპანსიის წინააღმდეგ მიმართულმა სახალხო აჯანყებამ, რომელიც ცნობილია ისტორიაში

---

[10] Gamal Abd El-Nasser, The Philosophy of the Revolution; Book 1. Cairo, 1954.

[11] As-Sadat Anwar, Revolt on the Nile, London, 1957.

[12] Negujb Mohammed, Egypt's Destiny; An Autobiographical Account of the Egyptian Revolution, London, 1955.

არაბი-ფაშას აჯანყების (1881—1882 წწ.) სახელწოდებით[13] და რომელსაც სათავეში ედგა პროგრესულ ეგვიპტელ ოფიცერთა ჯგუფი პოლკოვნიკ აჰმედ არაბი-ფაშას თაოსნობით. როგორც ცნობილია, არაბი-ფაშას აჯანყებამ მარცხი განიცადა; ინგლისის მთავრობამ საბაბად გამოიყენა არაბი-ფაშას აჯანყება, რათა მოეხდინა ეგვიპტის სამხედრო ოკუპაცია და 1952 წლამდე განუყოფლად ებატონა ამ არაბულ ქვეყანაში[14].

არაბი-ფაშას აჯანყების მარცხი განპირობებული იყო, ჩვენი აზრით, არა იმდენად საკუთრივ არაბი-ფაშას სამხედრო-სტრატეგიული შეცდომებით,[15] აჯანყების ხელმძღვანელი და მამოძრავებელი ძალების კლასობრივი ხასიათით, რამდენადაც იმდროინდელი ეპოქის ისტორიული კანონზომიერებით; არაბი-ფაშას აჯანყებას ადგილი ჰქონდა სამრეწველო კაპიტალიზმის იმპერიალიზმში გადაზრდის ეპოქაში, რომლის დამახასიათებელ კანონზომიერებას წარმოადგენდა ევროპის სახელმწიფოთა აღვირახსნილი სწრაფვა კოლონიურ სამფლობელოთა ხელში ჩასაგდებად. ამრიგად, ეპოქის ისტორიულმა კანონზომიერებამ იმთავითვე განწირული გახადა არაბი-ფაშას აჯანყება, ისევე როგორც იმ ეპოქის არა ერთი ანალოგიური აჯანყება აზიისა და აფრიკის სხვა ქვეყნებში.

აჰმედ არაბი-ფაშას აჯანყების შემდეგ ზუსტად 70 წელმა განვლო და 1952 წელს წარმატებით დაგვირგვინდა ეგვიპტელი ხალხის ანტიიმპერიალისტური რევოლუცია. 1952 წლის რევოლუციის გამარჯვება, თავის მხრივ, ძირითადად განპირობებული იყო იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის რღვევის თანამედროვე ეპოქის ისტორიული კანონზომიერებით. მაგრამ, არაბი-ფაშას აჯანყებას და ეგვიპტის 1952 წლის რევოლუციას, მიუხედავად მათ შორის არსებითი სხვაობისა, ბევრი შეხების წერტილიც აქვთ. არაბი-ფაშას აჯანყებას. ისევე როგორც 1952 წლის რევოლუციას, ხელმძღვანელობდა პროგრესული სამხედრო ინტელიგენცია, რომელიც „თავისუფალ ოფიცერთა“ ორგანიზაციაში იყო გაერთიანებული და რომელსაც ამჯერად პოდპოლკოვნიკი გამალ აბდ ან-ნასერი მეთაურობდა; ორივე ამ რევოლუციური მოვლენის ხელმძღვანელი ძალები წვრილბურჟუაზიული ფენების წარმომადგენელნი იყვნენ (მაგალითად, — აჰმედ არაბი შეძლებული გლეხის ოჯახში დაიბადა. გამალ აბდ ან-ნასერი—პროვინციელი ფოსტის მოხელის ოჯახში); არაბი-ფაშას აჯანყების მთავარ მამოძრავებელ ძალას გლეხობა შეადგენდა, ხოლო 1952 წლის ივლისის რევოლუციის ძირითად მამოძრავე-

[13] Х. И. Кильберг, Восстание Араби-паши в Египте, М.-Л.. 1937г.
[14] Ф. А. Ротштейн. Захват и закабаленне Египта, М.. 1959г.
[15] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XXIV, стр. 575.

ბელ ძალას — ეროვნული ჯარის რიგითი მემადგენლობა, ანუ იგივე ვლეხობა, და ქალაქის წვრილბურჟუაზიული მასები.

არაბი-ფაშას აჯანყებამ ცხადჰყო, რომ ეგვიპტეში ინგლისის ბატონობისათვის მთავარ საშიშროებას ეგვიპტის ეროვნული ჯარი შეადგენდა, რომლის საერთო რიცხვი გასული საუკუნის 80-ანი წლების დამდეგისათვის 60 ათასს აღწევდა. არაბი-ფაშას აჯანყების წლებში ეგვიპტის ჯარი აერთიანებდა 18 ქვეით ათასეულს, 40 ცხენოსან ესკადრონს, 24 საველე და 3 მძიმე საარტილერიო ნაწილს, ერთ სასანგრო ბატალიონს და 10 ირეგულარულ ნაწილს, რომელნიც მომთაბარე-ბედუინებისგან შედგებოდნენ. ეგვიპტის ჯარი იმხანად თანამედროვე გერმანული სამხედრო საჭურველით იყო აღჭურვილი და ხუთასამდე კრუპის სისტემის საველე ზარბაზანი გააჩნდა. ამასთანავე ეროვნული ჯარის ოფიცერთა კორპუსის უმრავლესობა ქალაქისა და სოფლის დაბალი და საშუალო ფენების წარმომადგენლები იყვნენ.

ეგვიპტის დაპყრობისთანავე ინგლისელმა კოლონიზატორებმა განაიარაღეს ეგვიპტის ეროვნული ჯარი და მისი რაოდენობა მინიმუმამდე დაიყვანეს. ამავე დროს, დარჩენილი მცირერიცხოვანი ეროვნული ჯარის ნაწილებს სათავეში ინგლისელი ოფიცრები ჩაუყენეს და ისინი მესანგრე და დამხმარე სამუშაოთა მწარმოებელი ბატალიონების სახით დაუქვემდებარეს ეგვიპტეში დაბანაკებულ ინგლისის საოკუპაციო ჯარის სარდლობას. ინგლისის მთავრობამ ამრიგად უვნებელჰყო ეგვიპტის ეროვნული ჯარი, ხოლო ეგვიპტის თავდაცვისა და ქვეყნის შიგნით უშიშროების უზრუნველყოფის ფუნქციები მთლიანად თვითონ იგდო ხელში. ეგვიპტის ეროვნული ჯარისა და პოლიციის რიცხობრივი შეკვეცისა და მათ სათავეში ინგლისელ ოფიცერთა განწესებით. ინგლისის მთავრობამ ხანგრძლივი დროით დაიზღვია თავი ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ მიმართული შესაძლებელი შეიარაღებული აჯანყებისაგან ეგვიპტეში.

პირველი მსოფლიო ომის წლებში, როდესაც ინგლისის სამხედრო სარდლობას საომარ მოქმედებათა წარმოება უხდებოდა საკუთრივ ეგვიპტისა და ეგრეთვე პალესტინის და ერაყის ტერიტორიებზე, ინგლისის სარდლობა კვლავ უნდობლობას იჩენდა ეგვიპტის ეროვნული ჯარის მიმართ. საომარ მოქმედებაში მონაწილეობდნენ ინგლისის არმიისა და ინდოეთის კოლონიური ჯარის ნაწილები, ხოლო ეგვიპტელთა გაწვევას ინგლისის სარდლობა აწარმოებდა ე. წ. „შრომით კორპუსებში", რომელთაც ევალებოდათ ფრონტის პირობებში სასანგრო და სხვა დამხმარე მძიმე სამუშაოთა შესრულება. „შრომით კორპუსებში" გაწვეულ ეგვიპტელებს ინგლისის სარდლობა თავდაცვის მიზნითაც კი არ აძლევდა თოფ-იარაღს, რის

გამოც ომის წლებში მობილიზებულ ეგვიპტელთა შორის მეტად დიდი იყო მსხვერპლიანობა. სულ 1914—1918 წწ. ინგლისის მთავრობამ „შრომით კორპუსებში“ გაიწვია 1,5 მილიონი ეგვიპტელი, რომელთაგან 170 ათასი მობილიზებული იყო ე. წ. „აქლემოსან მხედართა კორპუსში“[16].

ამას გარდა, ინგლისის სარდლობამ ჯარში გაიწვია 12 ათასი ეგვიპტელი რეზერვისტი. 1916 წლის იანვარში ეგვიპტელმა რეზერვისტებმა კაიროში მოაწყვეს დიდი დემონსტრაცია ინგლისელ ოფიცერთა მხრივ მათდამი ცუდი მოპყრობის პროტესტის ნიშნად. ეგვიპტელ რეზერვისტთა დემონსტრაცია ორ დღეს გაგრძელდა და სისხლისმღვრელი შეტაკებებით დამთავრდა ინგლისის ჯარისა და პოლიციის ნაწილებთან[17].

ინგლისის მთავრობამ ისარგებლა პირველი მსოფლიო ომის დაწყებით და იურიდიულად გააფორმა თავისი კოლონიური ბატონობა ეგვიპტეში; 1914 წელს ინგლისმა თავის საპროტექტორატო სამფლობელოდ გამოაცხადა ეგვიპტე, რითაც ბოლო მოუღო ეგვიპტეზე მანამდე ჯერ კიდევ არსებულ ოსმალეთის ხელისუფალთა ნომინალურ სიუზერენიტეტს.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ინგლისის სარდლობამ ჯარში გაწვეულ ეგვიპტელთა უმრავლესობა თადარიგში დაითხოვა და, თანახმად ინგლის-ეგვიპტის 1889 წლის კონვენციისა სუდანში მათი „თანამმართველობის“ შესახებ, ეგვიპტის ეროვნული ჯარის დიდი ნაწილი კვლავ სუდანში განაწესა სამხედრო სამსახურის მოსახდელად.

1919 და 1921 წლებში ეგვიპტეში იფეთქა საყოველთაო-სახალხო ანტიიმპერიალისტურმა აჯანყებებმა[18]. ინგლისელებმა დიდი გაჭირვებით მოახერხეს ამ აჯანყებების ჩახშობა და იძულებულნი გახდნენ ჯერ გაეუქმებინათ პროტექტორატის რეჟიმი, ხოლო შემდეგ ცალმხრივი დეკლარაციით ეგვიპტისათვის ფორმალური დამოუკიდებლობა მიენიჭებინათ[19].

მიმდინარე საუკუნის 30-იან წლებში ეგვიპტე კვლავ მოიცვა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრმა ტალღამ. ამავე დროს, იტალიის ფაშისტურმა მთავრობამ ხელი მიჰყო სამხედრო აგრესიის განხორციელებას ეთიოპიასა და ლიბიაში, რითაც უშუალო ხიფათი შეუქმნა ინგლისის კოლონიურ ბატონობას ეგ-

---

[16] P. G. Elgood, Egypt and the Army, London, 1924, p. 317—318.
[17] А. Ар-Рафии, Восстание 1919 года в Египте, М., 1954, стр. 48—49.
[18] А. М. Голдобин, Египетская революция 1919 года. Л., 1958.
[19] Х. И. Кильберг, Египет в борьбе за независимость, Л., 1950.

ვიპტესა და სუდანში[20]. აღნიშნულმა გარემოებებმა აიძულეს ინგლისის მთავრობა სასწრაფო ღონისძიებანი განეხორციელებინა ეგვიპტისა და სუდანის დაცვის უზრუნველსაყოფად, ნაწილობრივად დაეთმო ეგვიპტის ეროვნული ბურჟუაზიისათვის, გაეთვალისწინებინა მისი ზოგიერთი მოთხოვნა და დაეჩქარებინა ეგვიპტის მთავრობასთან ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულების დადება, რასაც ინგლისის მთავრობა 20-იანი წლებიდან განზრახ აჭიანურებდა.

1936 წლის აგვისტოში ინგლისის და ეგვიპტის მთავრობებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას „მეგობრობისა" და ურთიერთდახმარების შესახებ[21]. როგორც შემდეგში მოვლენათა მსვლელობამ გვიჩვენა, ინგლის-ეგვიპტის 1936 წლის ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლი საბედისწერო გახდა ინგლისელთათვის, მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად ეს ხელშეკრულება არათანასწორუფლებრივი იყო და სავსებით უზრუნველყოფდა ინგლისის კოლონიურ ბატონობას ეგვიპტეში[22].

1936 წლის ხელშეკრულების თანახმად ინგლისის მთავრობა ვალდებულებას იღებდა გაეყვანა თავისი საოკუპაციო ჯარები კაიროდან, ალექსანდრიიდან და სხვა დასახლებული პუნქტებიდან სუეცის არხის ზონაში, ხოლო ეგვიპტის მთავრობა ვალდებული იყო უზრუნველეყო სახსრებით და მუშახელით სუეცის არხის ზონაში ინგლისელთა ჯარისათვის მრავალი ყაზარმის, სამხედრო ბაზისა და აეროდრომის მშენებლობა და არხის ზონის დამაკავშირებელი ხშირი სტრატეგიული საგზაო ქსელის მშენებლობა ეგვიპტის ცენტრალურ რაიონებთან. ინგლისის ჯარის სუეცის არხის ზონაში კონცენტრირება სინამდვილეში როდი მოასწავებდა სამხედრო ოკუპაციის ლიკვიდაციას, ფაქტიურად ეს იყო მოჩვენებითი მანევრი ეგვიპტელთა საზოგადოებრივი აზრის დასაშოშმინებლად და სავსებით უზრუნველყოფდა ინგლისის სამხედრო-პოლიტიკურ ბატონობას ეგვიპტეში.

მაგრამ, ვიდრე ინგლისის საოკუპაციო ჯარები ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში იყვნენ დაბანაკებულნი, გაცილებით უფრო ად-

---

[20] И. Левин, Подготовка войны на Арабском Востоке, М., 1937.

[21] Treaty of Alliance between His Majesty in Respeet of united kingdem and His Majesty The King of Egypt, London, August 1936. Documents on International Affairs, Treaty series N 6, CMD, London, 1937, p. 478—489. ob. აგრეთვე: „Суэцкий канал. Сборник документов", М., 1957, стр. 60—73.

[22] Ш. Н. Курдгелашвили, Борьба египетского народа за расторжение кабального Англо-Египетского договора 1936 года (Автореферат). Тбилиси, 1955.

ვილი იყო ინგლისელ ხელისუფალთათვის ეგვიპტელი ხალხის ანტიიმპერიალისტური ბრძოლის სწრაფი ლიკვიდაცია და ქვეყნის შიგნით „საზოგადოებრივი წესრიგის“ უზრუნველყოფა, ხოლო საოკუპაციო ჯარების სუეცის არხის ზონაში კონცენტრაცია ამ მხრივ ბევრ ახალ საზრუნავს უჩენდა ინგლისელ ხელისუფალთ. ამიტომ, ინგლისის მთავრობა იძულებული გახდა დათანხმებულიყო ეგვიპტის ეროვნული ჯარის მნიშვნელოვან გაზრდაზე, რომლის რაოდენობა 1936 წლის ხელშეკრულების დადებამდე 11,5 ათასს არ აღემატებოდა და რომლის საგრძნობი ნაწილიც შორეულ სუდანში იყო განწესებული.

1936 წლის ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულების სამხედრო მუხლების თანახმად, ეგვიპტის მთავრობას ნება დაერთო უახლოესი სამი წლის განმავლობაში ეროვნული ჯარის რაოდენობა 60 ათასამდე გაეზარდა მშვიდობიან დროს. ინგლისის მთავრობა ვალდებულებას იღებდა შეეიარაღებინა ეგვიპტის ეროვნული ჯარი თანამედროვე ინგლისური სამხედრო საჭურველით, გაეუქმებინა ეროვნულ ჯარში არსებული ინგლისის გენერალური ინსპექტორის თანამდებობა და ეროვნული ჯარის ნაწილებიდან გაეწვია ინგლისელი ოფიცრები, რომელთა ადგილი ეგვიპტელ ოფიცრებს უნდა დაეკავებინათ[23].

ამიერიდან ეროვნული ჯარი უშუალოდ დაექვემდებარა ეგვიპტის მთავრობას, კერძოდ — ეგვიპტის მეფეს, როგორც ეროვნული ჯარის უმაღლეს მთავარსარდალს. ამრიგად, ინგლისელ ხელისუფალთა ჩანაფიქრით, ეგვიპტელი ხალხის ანტიიმპერიალისტური ბრძოლის დამთრგუნავი ძალის ფუნქციები ამიერიდან ძირითადად ეგვიპტის ეროვნულ ჯარს უნდა შეესრულებინა და ამ ფუნქციის განხორციელება უშუალოდ ევალებოდა ინგლისელთა ყურმოჭრილ მსახურს—ეგვიპტის მეფეს. ამის შესახებ პირდაპირ წერს თავის მემუარებში გამალ აბდ ან-ნასერი: „ჩვენ ვიყავით ის აჩრდილი, რომლითაც აშინებდა ტირანი ჩვენს ხალხს“[24].

ინგლის-ეგვიპტის 1936 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ეროვნული ჯარის რიცხობრივი ზრდა და ეროვნული ჯარის ნაწილებიდან ინგლისელ ოფიცერთა გაწვევა მოითხოვდა ეგვიპტელ ოფიცერთა ეროვნული კადრების სწრაფ მომზადებას. ამ მიზნით 1936 წლის დამლევს კაიროში გაიხსნა სამხედრო აკადემია. უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციულად ეგვიპტის არისტოკრატიულ, ფეოდალურ და ბურჟუაზიულ წრეებში ეროვნული ჯარის ოფიცერთა კორპუსში სამსახური არასახარბიელო საქმედ იყო მიჩნეული, რის

---

[23] „Суецкий канал. Сборник документов“, М., 1957, стр. 71—73.
[24] Gamal Abd El-Nasser, op. cit. p. 18.

გამოც ამ წრეებიდან გამოსული ახალგაზრდობა თითქმის სრულიად არ ეტანებოდა ჯარში სამსახურს. ამიტომ, ახლად დაარსებული კაიროს სამხედრო აკადემიის კარი ფართოდ გაიხსნა ქვეყნის საშუალო და დაბალი წრეებიდან გამოსული ახალგაზრდობისათვის[25]. ამ გარემოებამ განაპირობა ის თავისებურება, რომ ეგვიპტის ეროვნული ჯარის ოფიცერთა კორპუსი ძირითადად დაკომპლექტდა ქალაქისა და სოფლის წვრილბურჟუაზიული ფენებიდან გამოსული ახალგაზრდებისაგან, რომელნიც კარგად იცნობდნენ ქვეყნის მშრომელი მასების დუხჭირ ცხოვრებას და ეროვნულ გულისთქმას. თავის მემუარებში გენერალი მუჰამედ ნაგიბი შემდეგნაირად ახასიათებს ეროვნული ჯარის ოფიცერთა კორპუსის სოციალურ შემადგენლობას: „მეფის ოჯახის ყველა გარდა ოფიცერთა კორპუსში არ იყვნენ არისტოკრატების ან მემამულეთა და ვაჭართა შვილები“[26].

აღნიშნულმა ვითარებამ ხელი შეუწყო იმ გარემოებას, რომ, ინგლისელ კოლონიზატორთა სურვილის საწინააღმდეგოდ, კაიროს სამხედრო აკადემია გადაიქცა არა მარტო ეროვნული ჯარის ოფიცერთა მომზადების კერად, არამედ რევოლუციონურად განწყობილი ეროვნული სამხედრო ინტელიგენციის სამკედლოდ. აღსანიშნავია, რომ 1938—1939 წლებში კაიროს სამხედრო აკადემია, უმცროსი ლეიტენანტების წოდებით, დაამთავრეს 1952 წლის ივლისის რევოლუციის გამოჩენილმა ხელმძღვანელებმა: გამალ აბდ ან-ნასერმა, აბდ ალ-ჰაქიმ ამირმა, ანვარ ას-სადათმა, ალი საბრიმ, ზაქარია მოჰი ად-დინმა და შემდეგში „თავისუფალ ოფიცერთა“ კონსპირაციულ ორგანიზაციაში გაერთიანებულმა არა ერთმა სხვა ეგვიპტელმა ოფიცერმა.

ამრიგად, ინგლისელ ხელისუფალთა ჩანაფიქრით, რიცხობრივად ვაზრდილი, თანამედროვე იარაღით აღჭურვილი, სატანკო, საარტილერიო და საავიაციო ნაწილებით შევსებული, ეგვიპტის ჯარი საკმაოდ ძლიერ დამთრგუნავ ძალად უნდა ქცეულიყო ეგვიპტის მეფის ხელში. მაგრამ, ეროვნული ჯარის რიგითი (გლეხობა, მუშათა კლასი) და მეთაურთა (ქალაქისა და სოფლის წვრილი ბურჟუაზია) შემადგენლობის კლასობრივმა ხასიათმა ობიექტურად იმთავითვე განსაზღვრა ეგვიპტის ეროვნული ჯარის პოტენციური რევოლუციური შესაძლებლობანი.

ზემოთ აღნიშნულმა გარემოებებმა იმთავითვე ხელი შეუწყეს რევოლუციური მოძრაობის ჩასახვას და განვითარებას ახლად რე-

---

[26] R. Tohn, R. St.Fhe Boss. the Story of Gamal Abdel Nasser. New-Iork-London. 1960, p. 35.

[27] Neguib Mohammed, op. cit. p. 13.

ორგანიზებულ ეგვიპტის ეროვნულ ჯარში, რომლის ოფიცერთა შემადგენლობაში ჩაისახა რამდენიმე არალეგალური ჯგუფი. მათ ძირითად მიზანს სამშობლოს განთავისუფლება წარმოადგენდა. მაგრამ იყვნენ ისეთი არალეგალური ჯგუფებიც, რომელნიც იმთავითვე მცდარ გზას დაადგნენ. მაგალითად, ანვარ ას-სადათი თავის მემუარებში წერს, რომ ერთხანად შეიქმნა ჯარისა და ხალხის მასებისაგან იზოლირებულ ოფიცერთა მცირე არალეგალური ჯგუფი, რომელიც მარტოოდენ ტერორისტული მეთოდებით ლამობდა მიზნის მიღწევას. ჯგუფი აერთიანებდა 23 ოფიცერს, კაპიტან მუსტაფა ქამილ სიდკის მეთაურობით[27]. ამ ჯგუფის ფულუბრყვილო ცდები თავის მხარეზე გადაებირებინა თვით ეგვიპტის მეფე ფარუკი, იმით დასრულდა, რომ თვითონ ფარუკმა მოახერხა ამ ჯგუფის საკუთარ გავლენაში მოქცევა, რის შედეგადაც ეგვიპტელ ოფიცერთა ეს ჯგუფი გადაიქცა ფარუკის მთავარ დასაყრდენ ძალად ეგვიპტის ეროვნულ ჯარში რევოლუციური მოძრაობის ჩახშობის საქმეში[28].

რაც შეეხება „თავისუფალ ოფიცერთა" ორგანიზაციას, იგი საუკეთესოდ ორგანიზებული, კარგად კონსპირირებული და სამხედრო დაქვემდებარების პრინციპებზე აგებული ორგანიზაცია იყო[29]. „თავისუფალ ოფიცერთა" („ად-დუბატ ალ-აჰრარ") ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბირთვი ჩაისახა ჯერ კიდევ 1939 წელს, ზემო ეგვიპტის ქალაქ ასიუტის მახლობლად მდებარე მანკაბადის სამხედრო ბანაკში, სადაც სამხედრო სამსახურში განაწესეს კაიროს სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებული უმცროსი ლეიტენანტები გამალ აბდ ან-ნასერი, აბდ ალ-ჰაქიმ ამირი, ანვარ ას-სადათი, ზაქარია მოჰი ად-დინი და სხვ. ახალგაზრდა ეგვიპტელმა ოფიცრებმა პირველად აქ გაუზიარეს ერთმანეთს თავიანთი გულის ნადები და ერთმანეთს შეფიცეს თავდადებით ებრძოლათ სამშობლოს განთავისუფლებისათვის[30]. ამ პატრიოტული ორგანიზაციის სულისჩამდგმელი იყო 21 წლის ლეიტენანტი გამალ აბდ ან-ნასერი. მაგრამ, მალე ბეორე მსოფლიო ომი აგიზგიზდა და ახალგაზრდა პატრიოტ ოფიცრები მანკაბადის სამხედრო ბანაკიდან ეგვიპტის სხვა და სხვა კუთხეში განლაგებულ სამხედრო ნაწილებში გადაიყვანეს, სადაც მათ ფართოდ გაშალეს თავისი რევოლუციური საქმიანობა.

1940 წელს ინგლისის მთავრობას სათავეში კვლავ ჩაუდგნენ კონსერვატორები უინსტონ ჩერჩილის მეთაურობით. ომის დაწყე-

---

[27] as-Sadat Anwar, op. cit. p. 73.
[28] იქვე, გვ. 96.
[29] იქვე, გვ. 15.
[30] იქვე, გვ. 14.

ბისთანავე ეგვიპტეში საგანგებო წესები გამოცხადდა და ეგვიპტის ეროვნული ჯარი უშუალოდ დაუქვემდებარდა ჩრდილოეთ აფრიკაში მოქმედ ინგლისელთა არმიის სარდალს. ჩერჩილის პირადი განკარგულებით 1940 წლის დამლევს თანამდებობიდან გადააყენეს ეგვიპტის ეროვნული ჯარის შტაბის უფროსი გენერალი ფერიკ აზიზ ალ-მისრი, რომელიც თავის პატრიოტული განწყობილებებით იყო ცნობილი და შემდეგში მტკიცედ დაუკავშირდა „თავისუფალ ოფიცერთა" ხელმძღვანელებს. ანვარ ას-სადათი აღნიშნავს. რომ გენერალი აზიზ ალ-მისრი „თავისუფალ ოფიცერთა" თავისებური სულიერი მამა გახდა, რომელსაც ისინი მუდამ მიმართავდნენ რჩევა-დარიგებისათვის, როგორც გამოცდილ, ასაკითა და წოდებით უფროს ოფიცერს[31].

ამავე დროს, ჩერჩილმა განკარგულება გასცა განეიარაღებინათ და ლიბიის უდაბნოს რაიონში გაეყვანათ მერსა მატრუჰის ფრონტზე მყოფი ორი ეგვიპტური დივიზია, რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია ხსენებული დივიზიების რიგით და მეთაურთა შემადგენლობაში[32]. ეგვიპტელებმა უარი განაცხადეს განიარაღებაზე და ლიბიის უდაბნოში მიჩენილ რაიონში დაიხიეს[33].

მეორე მსოფლიო ომის დროს ეგვიპტის ეროვნული ჯარის რიცხვი 100 ათასამდე, ხოლო პოლიციისა 50 ათასამდე გაიზარდა. მაგრამ ინგლისელები არ ენდობოდნენ ეროვნული ჯარის ნაწილებს და ომის წლებში მათ ზურგში იყენებდნენ სხვა და სხვა სამხედრო ობიექტებისა და საწყობების დასაცავად. თემთა პალატაში ერთ-ერთ თავის გამოსვლაში ჩერჩილმა განაცხადა, რომ „ომის დროს ეგვიპტის ჯარმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა; იგი უზრუნველყოფდა წესრიგს დელტის რაიონში და იცავდა მრავალ გამაგრებულ პუნქტსა და საწყობს"[34].

1942 წელს გერმანიის ჯარებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს ჩრდილოეთ აფრიკაში, საგრძნობლად შეავიწროვეს ინგლისის ჯარი და ეგვიპტის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. გერმანელთა ამ დროებითმა წარმატებამ ეგვიპტის მოსახლეობაში ცრუ იმედები წარმოშვა. რომ თითქოს უკვე დადგა ეგვიპტეში ინგლისელთა ხანგრძლივი ბატონობის აღსასრულის ჟამი. 1942 წლის თებერვალში კაიროში, მიუხედავად არსებული საგანგებო წესებისა, მოეწყო ხალხმრავალი ანტიინგლისური დემონსტრაცია[35]. ამ კრიტიკულ მო-

---

[31] a s-S a d a t Anwar, op. cit. p. 30.

[32] იქვე, გვ. 23.

[33] იქვე, გვ. 24.

[34] „The Times", 26.2.1945.

[35] a s-S a d a t Anwar, op. cit. p. 43.

მენტში ინგლისის მთავრობამ უკიდურეს ზომებს მიმართა, რამაც ბიძგი მისცა „თავისუფალ ოფიცერთა“ საქმიანობის მკვეთრ გააქტიურებას და ორგანიზაციულად მის საბოლოოდ ჩამოყალიბებას.

ხსენებული ანტიინგლისური დემონსტრაციის შემდეგ, ინგლისელთა სატანკო ნაწილმა ალყა შემოარტყა ეგვიპტის მეფის სასახლეს კაიროში, მეფე ფარუკის კაბინეტში თავხედურად შეიჭრნენ ინგლისის ელჩი ლორდი კილერნი და ინგლისელთა არმიის სარდალი გენერალი სტოუნი, რომელთაც თან ახლდნენ იარაღმომარჯვებული ინგლისელი ოფიცრები. ლორდმა კილერნმა დაბეჯითებით მოითხოვა, რომ ფარუკს დაუყოვნებლივ გადაეყენებინა ჰუსეინ სირის მთავრობა, რომელმაც ვერ აღკვეთა ანტიინგლისური სახალხო დემონსტრაცია, და მთავრობის სათავეში დაეყენებინა „ვაფდის“ პარტიის ლიდერი მუსტაფა ნაჰას-ფაშა. ინგლისის ელჩმა მუქარით დასძინა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ფარუკს ტახტიდან გადააყენებდნენ[36]. ფარუკმა დაუყოვნებლივ შეასრულა ინგლისელთა მოთხოვნილება, რითაც აშკარად ცხადყო, რომ იგი ინგლისელთა ყურმოჭრილ მსახურს წარმოადგენდა.

აღნიშნულმა ინცინდენტმა დიდი აღშფოთება გამოიწვია ეგვიპტელ ხალხში. იგი „თავისუფალ ოფიცერთა“ საგანგებო თათბირის მსჯელობის საგნად იქცა. ამ თათბირს ხელმძღვანელობდა ახლა უკვე კაიროს სამხედრო აკადემიის პროფესორის თანამდებობაზე დანიშნული გამალ აბდ ან-ნასერი[37]. თათბირზე მიღებულ იქნა საბოლოო გადაწყვეტილება, რომ სამშობლოს განთავისუფლების პირველ პირობას წარმოადგენს ინგლისელთა მთავარი დასაყრდენის —მონარქიის ლიკვიდაცია[38]. ამავე დროს „თავისუფალ ოფიცერთა“ ხელმძღვანელობა შეუდგა თავისი კონსპირაციული ორგანიზაციის სტრუქტურის კარდინალურ გარდაქმნას, რათა უფრო ფართოდ გაეშალნა რევოლუციური საქმიანობა[39].

1942 წელს პირველად იქნა არჩეული „თავისუფალ ოფიცერთა“ ხელმძღვანელი ორგანო — ცენტრალური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შევიდა 10 წევრი, გამალ აბდ-ან-ნასერის თავმჯდომარეობით[40]. ამ ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა რიცხვი სხვა და სხვა დროს 5-დან 14-მდე მერყეობდა, ამასთანავე ამის თავმჯდომარედ მუდამ უცვლელად ირჩევდნენ გამალ აბდ ან-ნასერს. თვით ცენტრალურ კომიტეტს ორჯერ შეუცვალეს სახელწოდება, ჯერ მას აღმასრულებელი კომიტეტი უწოდეს, ხოლო 1952 წლის რე-

[36] as-Sadat Anwar, op. cit. p. 40.
[37] იქვე, გვ. 41.
[38] იქვე, გვ. 54.
[39] იქვე, გვ. 41.
[40] იქვე, გვ. 15.

ვოლუციის შემდეგ — „რევოლუციის ხელმძღვანელი საბჭო“ („მაჯლის კიადათ ას-საურა“)[41].

„თავისუფალ ოფიცერთა“ ხელმძღვანელ ორგანოში შემავალ ახალგაზრდა ეგვიპტელ ოფიცრებს ჯერ კიდევ არ გააჩნდათ რევოლუციური ბრძოლის გამოცდილება, ერთიანი პოლიტიკური მრწამსი და რევოლუციური ბრძოლის სხვა და სხვა მეთოდებისადმი იჩენდნენ მიდრეკილებას. მაგალითად, აბდ ალ-მონეიმ აბდ არ-რაუფი „მუსლიმანთა ძმობის“ რელიგიური ორგანიზაციის მრწამსს იზიარებდა[42]; ხალიდ მოჰი ად-დინი და იუსუფ საღიკ ალ-მანსური კომუნისტური იდეოლოგიის მომხრეებად იყვნენ მიჩნეულნი[43]; გამალ სალიმი და ანვარ ას-სადათი ბრძოლის ექსტრემისტულ მეთოდებს ამჯობინებდნენ და ა. შ. მაგრამ, მათ ყველას აერთიანებდა ერთი, მთავარი პატრიოტული მიზანი — დრომოჭმული მონარქიის დამხობა და ინგლისელ კოლონიზატორთაგან სამშობლოს განთავისუფლება[44].

„თავისუფალ ოფიცერთა“ ხელმძღვანელობის ახალგაზრდულმა შემადგენლობამ და მათმა გამოუცდელობამ იმთავითვე განაპირობეს ის თავისებური გარემოება, რომ 1952 წლის ივლისის რევოლუციამდე ორგანიზაციას არ გააჩნდა გარკვეულად ჩამოყალიბებული პოლიტიკური პროგრამა. ამასთან დაკავშირებით თავის წიგნში „რევოლუციის ფილოსოფია“ გამალ აბდ ან-ნასერი წერს: „ძე დასაშვებად მიმაჩნია, რომ გარკვეული სურათი მე მანამდინაც კი არა მქონდა წარმოდგენილი, ვიდრე 23 ივლისის რევოლუციის შემდეგ გამოცდილების დაგროვების ხანგრძლივი ეტაპი არ გავიარე“[45].

თავისი პოლიტიკური პროგრამის ძირითადი მუხლები მათ მხოლოდ რევოლუციის შემდეგ გამოიმუშავეს და 1955 წელს გამოაქვეყნეს. ეს პროგრამა ექვსი მუხლისაგან შედგებოდა: 1. უცხოეთის კოლონიალიზმისა და მისი შინაგანი დასაყრდენის მოსპობა; 2. კაპიტალის ბატონობის ლიკვიდაცია; 3. ფეოდალიზმის ლიკვიდაცია; 4. ძლიერი ეროვნული ჯარის შექმნა; 5. სოციალური სამართლიანობის დამყარება და 6. ჭეშმარიტი საპარლამენტო წყობილების დამყარება[46].

მაგრამ, მიუხედავად გარკვეულად ჩამოყალიბებული პროგრამის უქონლობისა, „თავისუფალ ოფიცერთა“ ხელმძღვანელობა ფიქ-

---

[41] as-Sadat Anwar, op. cit. p. 15.
[42] იქვე, გვ. 55.
[43] Neguib Mahammed, op. cit. p.227.
[44] as-Sadat Anwar, op. cit. p. 14.
[45] Gamal Abd El-Nasser, op. cit. p. 18—19.
[46] as-Sadat Anwar, op. cit.p. 96.

რობდა, რომ დასახული მიზნის განხორციელება უნდა მომხდარიყო არა ხალხის მასებისაგან იზოლირებული სამხედრო ამბოხების საშუალებით, არამედ საყოველთაო-სახალხო რევოლუციის მეშვეობით, რომელშიაც ეროვნულ ჯარს ავანგარდის როლი უნდა შეესრულებინა. „მე მიმაჩნდა — წერს თავის წიგნში გამალ აბდ ან-ნასერი, — რომ ჩვენ (ე. ი. ეროვნული ჯარი) მარტოოდენ პიონერები, მოწინავე რაზმი ვართ, რომ წინა ხაზზე ჩვენ მხოლოდ რამდენიმე საათს მოგვიხდებოდა ყოფნა და ჩვენს შემდეგ დასახული მიზნისაკენ ფართო მასები დაიძრებოდნენ“[47].

თავის რევოლუციურ საქმიანობას ეროვნული ჯარისა და სამოქალაქო ორგანიზაციების ფართო მასებში „თავისუფალ ოფიცერთა“ ხელმძღვანელობა რამდენიმე სპეციალური სექციის საშუალებით ანხორციელებდა:

1. მებრძოლი შემადგენლობის სექცია ხელმძღვანელობდა ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საქმეს საკუთრივ ეროვნული ჯარის მეთაურთა შემადგენლობიდან. ორგანიზაციის ყოველი ხუთი წევრისაგან ყალიბდებოდა პირველადი რგოლი, რომლის წევრები მხოლოდ ერთმანეთს იცნობდნენ. ასეთი პირველადი რგოლის მეთაური დაკავშირებული იყო მსგავსი რგოლის მხოლოდ ერთ წევრთან და ა. შ. უშიშროების მიზნით ორგანიზაციის წევრთა საერთო სია არასოდეს არ შემდგარა. რგოლების რაოდენობა, მათი წევრების საერთო რიცხვი და გვარები იცოდა „თავისუფალ ოფიცერთა“ აღმასკომის მარტოოდენ ორმა წევრმა—გამალ აბდ ან-ნასერმა და აბდ ალ-ჰაქიმ ამირმა[48].

2. უშიშროების სექციას ევალებოდა კონსპირაციისა და ორგანიზაციის წევრთა ერთგულების უზრუნველყოფა, რათა უვნებელყოფილიყო რაიმე პროვოკაციის მოწყობა[49].

3. ეკონომიური სექცია აგროვებდა წევრებს შორის ორგანიზაციისათვის აუცილებელ მატერიალურ სახსრებს. ამ სახსრებიდან დახმარება ეძლეოდა ორგანიზაციის დაპატიმრებულ წევრთა ოჯახებს. ამ სახსრებითვე კაიროში მოეწყო იარაღის არალეგალური სახელოსნო, სადაც მსუბუქ სასროლ იარაღსა და ანთებადი ნივთიერებით სავსე ტანკსაწინააღმდეგო ბოთლებს ამზადებდნენ[50]. მალე ეს პატარა არალეგალური სახელოსნო ნამდვილ არსენალად გადაიქცა. სწორედ ამ არსენალიდან ამარაგებდნენ „თავისუფალი ოფიცრები“ 1951 წლის შემოდგომაზე მათ მიერვე საიდუმლოდ სათა-

---

[47] Gamal Abd El-Nasser, op. cit, p. 19.
[48] as-Sadat Anwar, op. cit. p. 52—53.
[49] იქვე.
[50] იქვე, გვ. 71.

ნადოდ გაწვრთნილ-განსწავლულ და სუეცის არხის ზონაში მომქმედ ეგვიპტელ პარტიზანებს, რომელთა უმრავლესობას სტუდენტობა და მუშები შეადგენდნენ.

4. პროპაგანდის სექციას მეტად მნიშვნელოვანი მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული. ერთის მხრივ, ეს სექცია ეროვნული ჯარის რიგებში ზეპირი პროპაგანდისა და არალეგალური პროკლამაციების საშუალებით სისტემატურად ამხელდა სამეფო კარისა და უმაღლესი სარდლობის ანტიხალხურ საქმიანობას. ხოლო, მეორე მხრივ, პროპაგანდას ეწეოდა ხალხში, რათა დაერწმუნებინა იგი, რომ ეროვნული ჯარი მზად არის მხარი დაუჭიროს ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას.

5. სამოქალაქო სექცია შეიქმნა 1944 წელს. ამ სექციას ხელმძღვანელობდა აღმასრულებელი კომიტეტის ერთ-ერთი აქტიური წევრი ანვარ ეს-სადათი[51]. სექცია უშუალოდ ექვემდებარებოდა აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარეს გამალ აბდ ან-ნასერს. სექცია უმთავრესად შედგებოდა საშუალო და უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლე ახალგაზრდობისაგან. სექციას მჭიდრო კავშირი ქონდა „ეროვნული პარტიის“ ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, რომელთაც ხელმძღვანელობდა 1919 წლის აჯანყების ერთ-ერთი გამოჩენილი ბელადი აბდ ალ-აზიზ ალი[52] და „ეროვნული პარტიის“ ზოგიერთ სხვა ლიდერებთანაც, რომელთა შორის იყო ამ პარტიის უხუცესი მოღვაწე ჰაფიზ სულეიმანი[53]. ერთხანად სამოქალაქო სექციას, იგივე ანვარ ეს-სადათის მეშვეობით, კავშირი ჰქონდა დამყარებული წვრილბურჟუაზიულ-რელიგიურ ორგანიზაციასთან „მუსლიმანთა ძმობას“, რომელმაც დემაგოგიური პატრიოტული ლოზუნგებით შესძლო საკმაო გავლენის მოპოვება ხალხში. მაგრამ, როცა 1946 წელს „მუსლიმანთა ძმობამ“ პირი შეჰკრა ისმაილ სიდკის აშკარად რეაქციულ მთავრობასთან, „თავისუფალმა ოფიცრებმა“ გასწყვიტეს ამ რელიგიურ ორგანიზაციასთან კავშირი[54].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, საგულდაგულო კონსპირაციამ და რევოლუციური საქმიანობის კარგმა ორგანიზაციამ შესაძლებლობა მისცა „თავისუფალ ოფიცერთა“ ხელმძღვანელობას ფართოდ გაეშალა თავისი საქმიანობა, მოემზადებინა სათანადო ძალები და გადამწყვეტ მომენტში გამოეყენა ისინი, როგორც საყოველთო-სახალხო ანტიიმპერიალისტური რევოლუციის ავანგარდული რაზმი.

---

51 as-Sadat Anwar, op. cit. p. 56.

52 იქვე, გვ. 72.

53 იქვე, გვ. 127.

54 იქვე, გვ. 26—30; 80.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ეგვიპტში ფართოდ გაიშალა საყოველთაო-სახალხო ბრძოლა ინგლის-ეგვიპტის 1936 წლის არათანასწორუფლებრივი ხელშეკრულების გაუქმებისა და ეგვიპტის ტერიტორიიდან ინგლისის საოკუპაციო ჯარების გაყვანისათვის. სახალხო მოძრაობის ძლიერმა ტალღამ აიძულა ეგვიპტის ბურჟუაზიულ-ფეოდალური მთავრობა დაეყენებინა საკითხი ინგლისის მთავრობის წინაშე 1936 წლის ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ. მაგრამ, ინგლისის მთავრობას ლაპარაკიც კი არ სურდა ამ საკითხებზე. 1947 წელს ეგვიპტის მთავრობამ საჩივარი შეიტანა ინგლისის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოში, მაგრამ იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა შესძლეს მიეფუჩეჩებინათ ეგვიპტის საჩივრის განხილვა უშიშროების საბჭოში. 1945—1948 წლების მანძილზე ეგვიპტის ქალაქებში და სოფლებში სისტემატურად ეწყობოდა ხალხმრავალი ანტიინგლისური დემონსტრაციები, რომელნიც ხშირად მთავრდებოდა სისხლისმღვრელი შეტაკებით ინგლისის საოკუპაციო ჯარის ნაწილებთან. ანტიინგლისური გამოსვლების და დემონსტრაციების ავანგარდულ ძალას ეგვიპტის მშრომელი და მოსწავლე ახალგაზრდობა შეადგენდა. ეგვიპტის ახალგაზრდობის ლეგალურ პარტიებსა და ორგანიზაციებთან ერთად ამ ანტიიმპერიალისტურ გამოსვლებში აქტიურად მონაწილეობდა „თავისუფალ ოფიცერთა" სამოქალაქო სექციაში გაერთიანებული ახალგაზრდობა[55]. ამავე დროს, ორგანიზაციის აღმასკომი აქტიურად განაგრძობდა არალეგალურ საქმიანობას ეროვნული ჯარის შემადგენლობაში. „როდესაც ხდებოდა აღნიშნული ამბები, ჩვენ ძალებს ვიკრეფდით—წერს ანვარ ას-სადათი—ეხლა უკვე ჩვენ ორგანიზაციაში ათასამდე ოფიცერი იყო გაერთიანებული. ჩვენ ხშირად ვიკრიბებოდით ერთ-ერთი ჩვენი ამხანაგის ბინაზე, რათა საჭირბოროტო პრობლემებზე გვემსჯელა. ამ არალეგალურ შეკრებებს მუდამ ესწრებოდნენ: გამალ აბდ ან-ნასერი, აბდ ალ-ჰაქიმ ამირი, აბდ ალ-მეჯიდ ფუადი, აბდ ალ-მონეიმ აბდ არრაუფი, ტალაათ ხაირი და სხვ."[56].

ხსენებულ შეკრებებზე „თავისუფალ ოფიცერთა" აღმასრულებელმა კომიტეტმა გადაწყვიტა ფართოდ გაეშალა ღია პროპაგანდა მონარქიის ლიკვიდაციისა და დემოკრატიული წყობილების დამყარების შესახებ[57].

1948 წელს ინგლისის იმპერიალიზმმა პროვოკაციული მიზნით გააჩაღა ომი ახლად შექმნილ ისრაელის სახელმწიფოსა და არაბულ

---

55 as-Sadat Anwar, op. cit. p. 56.

56 იქვე, გვ. 85.

57 იქვე.

ქვეყნებს შორის, რათა არაბ და ებრაელ ხალხთა შორის ეროვნული შუღლის გამწვავების საშუალებით ერთგვარად მაინც შეენელებინა ეგვიპტელ და სხვა არაბ ხალხთა ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ტალღა. პროვოკაციულად გაჩაღებულ პალესტინის ომში მონაწილეობას იღებდნენ ეგვიპტის ჯარის ნაწილებიც; მათ შორის იყვნენ „თავისუფალ ოფიცერთა" აღმასრულებელი კომიტეტის წევრები: გამალ აბდან-ნასერი, აბდ ალ-ჰაქიმ ამირი, ანვარ ას-სადათი, ქამალ ად-დინ ჰუსეინი და სხვანი[58]. პალესტინის ფრონტზე მოქმედ ჯარის ნაწილებს ეგვიპტელი ხელისუფალნი უვარგისი და მოძველებული იარაღით ამარაგებდნენ[59]. მათთვის თანამედროვე იარაღის შესაძენად მთავრობის მიერ განკუთვნილ თანხებს კი უმაღლესი სარდლობისა და მეფის საკვარეულოს წევრები ითვისებდნენ[60]. აღნიშნული გარემოების გამო ეგვიპტის ნაწილები პალესტინის ფრონტზე მარცხს მარცხზე განიცდიდნენ.

პალესტინაში დამარცხებამ უფრო მეტად გააღრმავა რევოლუციური განწყობილება ეგვიპტის ეროვნულ ჯარში. „პალესტინის ომმა, — წერს გამალ აბდ ან-ნასერი, — ხელი შეუწყო ეგვიპტელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა უკმაყოფილების ზრდას"[61].

პალესტინიდან დაბრუნების შემდეგ 1949 წელს „თავისუფალმა ოფიცრებმა" კვლავ ჩაატარეს ორგანიზაციის ხელმძღვანელობის გადარჩევები. ახლად არჩეულ აღმასკომში შევიდა 10 წევრი: ესენი იყვნენ პოდპოლკოვნიკები: გამალ აბდ-ან ნასერი, აბდ ალ-ჰაქიმ ამირი, ანვარ ას-სადათი, აბდ ალ-მონეიმ აბდ არ-რაუფი, ქემალ ად-დინ ჰუსეინი და მაიორები — ძმები სალაჰ და გამალ სელიმები, აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაგდადი, ჰასან იბრაჰიმი და ხალიდ მოჰი ად-დინი[62].

ახლად არჩეულმა აღმასკომმა დაავალა ანვარ ას-სადათს და სალაჰ სელიმს, რომელნიც კარგად იცნობდნენ მეფე ფარუკის პირად მკურნალს იუსუფ რაშიდს და ეგვიპტის ჯარის სარდალ ფერიკ ჰაიდარ-ფაშას, რომ აღნიშნული ორი პიროვნების საშუალებით ფხიზლად ედევნებინათ თვალი სამეფო კარის და უმაღლესი სარდლობის ფარული ანტიხალხური საქმიანობისათვის[63]. გადაწყდა, რომ ამიერიდან ფართოდ გაეშალათ რევოლუციური პროკლამაციე-

---

[58] as-Sadat Anwar, op. cit. p. 90.
[59] Neguib Mohammed, op. cit. 16—17.
[60] იქვე, გვ. 104; as-Sadat Anwar, op. cit. 92.
[61] Gamal Abd el-Nasser, op. cit. 12.
[62] as-Sadat Anwar, op. cit. 96.
[63] იქვე, გვ. 97.

ბის ბეჭდვისა და გავრცელების საქმე[64]. პროკლამაციის ტექსტების შედგენაში აქტიურად მონაწილეობდნენ გამალ აბდ ან-ნასირი, აბდ ალ-ჰაქიმ ამირი, ხალიდ მოჰი ად-დინი და აღმასკომის სხვა წევრები. ძრაღლეგალური პროკლამაციები მოუწოდებდნენ ეგვიპტელ ხალხს თავდადებით ებრძოლათ ინგლისის საოკუპაციო ჯარების განდევნისათვის ეგვიპტიდან და 1936 წლის ხელშეკრულების გაუქმებისთვის. ამავე დროს, პროკლამაციები ამხელდნენ სამეფო კარის და უმაღლესი სარდლობის ანტიხალხური საქმიანობის კონკრეტულ აღმაშფოთებელ ფაქტებს[65]. პროკლამაციას ხელს აწერდნენ „თავისუფალი ოფიცრები", საიდანაც შემდეგში თვით ამ ორგანიზაციის სახელწოდება წარმოიშვა.

„თავისუფალ ოფიცერთა" მიერ დაბეჭდილი პროკლამაციების გავრცელებამ იმედი აღუძრა ეგვიპტელ ხალხს, რომ ეროვნული ჯარი როდიღა არის „...ის აჩრდილი, რომლითაც ტირანი ხალხს აშინებდა"[66]. მეორეს მხრივ, პროკლამაციების გავრცელებით დამფრთხალი მეფის ჯაშუშები და საიდუმლო პოლიცია ამაოდ ეძებდნენ კარგად კონსპირირებულ „თავისუფალ ოფიცერთა" ორგანიზაციის რაიმე კვალს. იმხანად, შეშინებულმა მთავრობამ ეჭვშეტანილ ოფიცერთა ბინებზე ჩხრეკა ჩაატარა და რამდენიმე ეგვიპტელი ოფიცერი დააპატიმრა კიდეც. მაგრამ დამამტკიცებელი საბუთების უქონლობის გამო ისინი მალე გაათავისუფლეს. გაჩხრიკეს გამალ აბდ ან-ნასერის ბინაც, მაგრამ მას ვერაფერი უპოვნეს და იგი დაპატიმრებას გადარჩა[67].

პალესტინის ომში განცდილმა მარცხმა და ეგვიპტეში ეკონომიური მდგომარეობის მკვეთრმა გაუარესებამ 1950—1951 წლებში ეგვიპტელი ხალხის ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ახალი აღმავლობა გამოიწვია. ეგვიპტის ქალაქებსა და სოფლებში სისტემატურად იმართებოდა ხალხმრავალი დემონსტრაციები ინგლის-ეგვიპტის 1936 წლის ხელშეკრულების გაუქმებისა და ეგვიპტიდან ინგლისის საოკუპაციო ჯარების გაყვანის მოთხოვნილებით.

საყოველთაო-სახალხო მოთხოვნილების გავლენით „ვაფდის" მთავრობამ 1951 წლის ოქტომბერში გაუქმებულად გამოაცხადა ინგლის-ეგვიპტის 1936 წლის ხელშეკრულება[68]. ეგვიპტის მთავრო-

---

[64] იქვე, გვ. 96—97.

[65] as-Sadat, Anwar. op. cit. p. 96—97.

[66] Gamal Abd El-Nasser, op. cit. p. 18.

[67] as-Sadat Anwar, op. cit. p. 94.

[68] Egyptian Green Book, Cairo, 1951, p. 171—176.

ბის ამ კანონიერი გადაწყვეტილების პასუხად ინგლისის მთავრობამ დამატებითი ჯარები გადაისროლა ეგვიპტეში და ნამდვილი საომარი მოქმედებანი გააჩაღა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ სუეცის არხის ზონაში.

ინგლისის შეიარაღებულ აგრესიას ეგვიპტელმა პატრიოტებმა პარტიზანული ბრძოლით უპასუხეს. სუეცის არხის ზონაში მოქმედ ეგვიპტელ პარტიზანებს მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ „თავისუფალი ოფიცრები", რომელნიც ფარულად ასწავლიდნენ იარაღის ხმარებას და თავიანთ საიდუმლო არსენალიდან იარაღით ამარაგებდნენ მომავალ პარტიზანებს — კაიროსა და ალექსანდრიის მოსწავლე და მუშა ახალგაზრდობას[69]. იმდროინდელი პრესა აღნიშნავდა, რომ სუეცის არხში მოქმედ პარტიზანებს დახმარებას უწევდნენ ეგვიპტელი ოფიცრები; კერძოდ, პრესა ასახელებდა ეროვნული ჯარის ყოფილ შტაბის უფროსს გენერალ აზიზ ალ-მისრის[70], რომელიც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მჭიდროდ იყო დაკავშირებული „თავისუფალ ოფიცერთა" ორგანიზაციასთან[71].

ამრიგად, ეგვიპტის სამხედრო ინტელიგენციის პროგრესული ნაწილი, „თავისუფალ ოფიცერთა" ორგანიზაციის სახით, ფაქტიურად, მონაწილეობდა 1951 წლის შემოდგომაზე სუეცის არხის ზონაში ეგვიპტელ პატრიოტთა მიერ ფართოდ გაშლილ პარტიზანულ ბრძოლებში.

ამ კრიტიკულ მომენტში „ვაფდის" მთავრობა მეტად მერყეველ პოლიტიკას ატარებდა; ერთის მხრივ, მან გააუქმა 1936 წლის ხელშეკრულება და გამოიწვია ლონდონიდან თავისი ელჩი, ხოლო მეორეს მხრივ უბრძანა ეგვიპტის პოლიციას აღეკვეთა ეგვიპტელ პატრიოტთა პარტიზანული ბრძოლები სუეცის არხის ზონაში. „ვაფდის" მთავრობის ცალკეული ანტიიმპერიალისტური აქტებით გამხნევებულმა „თავისუფალმა ოფიცრებმა" ამ ვითარებაში გადაწყვიტეს შეეთავაზებინათ მთავრობისათვის ერთობლივი მოქმედება მეფე ფარუკის დამხობის მიზნით. მაგრამ, როდესაც მათი რწმუნებული პოლკოვნიკი აჰმედ ანვარი ამ მიზნით დაუკავშირდა შინაგან საქმეთა მინისტრს ფუად სირაგ ად-დინს, ამ უკანასკნელმა უპასუხა, რომ ტახტიდან მეფის გადაყენება „ანტიკონსტიტუციური" მოქმედება იქნებოდა და რომ თვით ფარუკს შეეძლო გადაეყენებინა „ვაფდის" მთავრობა[72]. სულ მალე ფარუკის ყურამდე მიაღწია ეგვიპტელ ოფიცერთა ანტიმონარქისტული განწყობილების ამბავმა და-

---

[69] Negulb Mohammed, op. cit. p. 94. John, R. St. op. cit. p. 99.

[70] „В Защиту Мира", 1951, № 7, стр. 49—50.

[71] as-Sadat Anwar, op. cit. p.

[72] იქვე, გვ. 101.

მან კატეგორიულად მოსთხოვა ეროვნული ჯარის სარდალს გენერალ ფერიკ ჰაიდარ-ფაშას ამ ოფიცერთა გამოვლენა და დაპატიმრება[73]. ამრიგად, „ვაფდის" მთავრობასთან საერთო ენის გამოძებნის ამაო ცდამ დაარწმუნა „თავისუფალ ოფიცერთა" ხელმძღვანელობა, რომ მათ ნაკლები იმედი უნდა ჰქონოდათ აღნიშნული პარტიის ხელმძღვანელობის მხარდაჭერაზე და რომ შექმნილ ვითარებაში გადამწყვეტ ძალად შეიძლება მარტოოდენ ეროვნული ჯარი გამხდარიყო. ამიტომ „თავისუფალ ოფიცერთა" ხელმძღვანელობამ გადასწყვიტა შეეძოწმებინა ძალთა თანაფარდობა ეროვნული არმიის ოფიცერთა კორპუსში.

1951 წლის დეკემბრის მიწურულში უნდა ჩატარებულიყო ეროვნული ჯარის ოფიცერთა კორპუსის მორიგი ყრილობა, რომელზედაც ჩვეულებისამებრ უნდა აერჩიათ ოფიცერთა ყრილობის ახალი პრეზიდიუმი და პრეზიდენტი. დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად ოფიცერთა ყრილობის პრეზიდენტად ირჩევდნენ ხოლმე ეგვიპტის მეფის მიერ დასახელებულ კანდიდატურას. ამჯერად მეფე ფარუკმა ოფიცერთა ყრილობის პრეზიდენტის კანდიდატურად წამოაყენა თავისი სიძე გენერალი ჰუსეინ სირი ამერი[74]. „თავისუფალმა ოფიცრებმა" გადაწყვიტეს წამოეყენებინათ საკუთარი კანდიდატურა; მათი არჩევანი შეჩერდა გენერალ მუჰამედ ნაგიბზე, რომელიც არჩევნებამდე ორი კვირით ადრე ფარუკმა გაღააყენა სინას ნახევარკუნძულზე დაბანაკებული მესაზღვრეთა კორპუსის მეთაურის თანამდებობიდან. გენერალი მუჰამედ ნაგიბი მამაც და პატრიოტ მეომრად იყო მიჩნეული ოფიცერთა შორის, მაგრამ ამ დროს იგი ჯერ არ იყო „თავისუფალ ოფიცერთა" ორგანიზაციის წევრი. მუჰამედ ნაგიბი „თავისუფალ ოფიცერთა" ორგანიზაციას უფრო გვიან დაუახლოვდა ორგანიზაციის აღმასკომის წევრის აბდ ალ-ჰაქიმ ამირის მეშვეობით[75]

მეფის მიერ წამოყენებული კანდიდატურისათვის საკუთარი კანდიდატურის დაპირისპირება მეტად უჩვეულო მოვლენას წარმოადგენდა. ამიტომ, ოფიცერთა ყრილობის პრეზიდიუმის არჩევნები ძალთა თანაფარდობის მოსინჯვის ასპარეზად იქცა. ხმის აბსოლუტური უმრავლესობით ოფიცერთა ყრილობის პრეზიდენტად არჩეულ იქნა გენერალი მუჰამედ ნაგიბი,[76] ხოლო არჩეული პრეზიდიუმის სამი წევრიდან ორი— ზაქარია მოჰი ად-დინი და ჰასან იბრაჰიმ ას-საიდი, „თავისუფალ ოფიცერთა" ორგანიზაციის წევრე-

---

[73] იქვე, გვ. 109.

[74] იქვე.

[75] იქვე.

[76] იქვე, გვ. 110; Negulb Mohammed, op. cit. p. 98.

ბი იყვნენ. ამრიგად, ოფიცერთა ყრილობის პრეზიდიუმის არჩევნებზე „თავისუფალმა ოფიცრებმა“ სრული გამარჯვება მოიპოვეს. არჩევნებმა ცხადყო, რომ ეროვნული ჯარის ოფიცერთა კორპუსის აბსოლუტური უმრავლესობა ანტიმონარქისტულად არის განწყობილი და მხარს უჭერს „თავისუფალ ოფიცერთა“ ორგანიზაციის პლატფორმას.

1952 წლის იანვარში ინგლისის მთავრობამ უკიდურეს მეთოდებს მიმართა, რათა სისხლში ჩაეხშო ფართოდ გაშლილი პარტიზანული მოძრაობა სუეცის არხის ზონაში. 1952 წლის 25 იანვარს ქ. ისმაილიაში ინგლისის ჯარის ნაწილებმა ალყა შემოარტყეს 250 ეგვიპტელ პოლიციელს. უთანასწორო ბრძოლის შედეგად მათ დაიხოცეს 70 ეგვიპტელი პოლიციელი, ხოლო 118 მძიმედ დაჭრეს[77]. ინგლისელთა მიერ ისმაილიაში მოწყობილმა საზარელმა ხოცვა-ჟლეტამ მთელი ქვეყანა ფეხზე დააყენა. მეორე დღეს, 26 იანვარს კაიროში დაინიშნა საყოველთაოდ საპროტესტო დემონსტრაცია. იმავე დღეს კაიროში უნდა შემდგარიყო ეგვიპტის პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანების დამფუძნებელი კრება.

აღნიშნულ დაძაბულ ვითარებაში ინგლისელმა ოკუპანტებმა და მეფე ფარუკმა განახორციელეს პროვოკაციული ანტიხალხური შეთქმულება, რათა გაენადგურებინათ დემოკრატიული და პატრიოტული ძალები და ამით თავიდან აეცილებინათ მომწიფებული ანტიიმპერიალისტური და ანტიმონარქისტული რევოლუცია. 26 იანვარს, როდესაც კაიროს ქუჩებში მიმდინარეობდა გრანდიოზული ანტიინგლისური საპროტესტო დემონსტრაცია, რეაქციის მიერ დაქირავებულმა პროვოკატორებმა ცეცხლი წაუკიდეს 300-ზე მეტ შენობას ეგვიპტის დედაქალაქში და პროვოკაციის მიზნით გამოიწვიეს მოსახლეობაში პანიკა და არეულობა[78]. ამავე დროს, პროვოკატორთათვის ხელისშეწყობისა და პანიკის გაღრმავების მიზნით მეფე ფარუკმა განზრახ მოაწყო 26 იანვარს შუადღისას, თავის სასახლეში, ტახტის მემკვიდრის დაბადებისადმი მიძღვნილი დიდი წვეულება, რომელზედაც მიიწვია ეროვნული ჯარისა და პოლიციის 600-მდე ოფიცერი. ამრიგად, მეფე ფარუკმა ერთის მხრივ ხელფეხი გაუხსნა პროვოკატორთა მოქმედებას, ხოლო მეორეს მხრივ თავიდან აიცილა ეროვნული ჯარისა და პოლიციის ხალხის მხარეზე გამოსვლის შესაძლებლობა, რადგანაც უმეთაუროდ დარჩენილი ჯარისა და პოლიციის ნაწილები, ფაქტიურად, პარალიზებულნი აღმოჩნდნენ[79].

---

[77] Negulb Mohammed, op. cit. p. 100.

[78] იქვე, გვ. 101.

[79] იქვე; John, R. st. op. cit. p. 108.

1952 წლის 26 იანვარი ეგვიპტის თანამედროვე ისტორიაში „ბნელი შაბათის“ სახელწოდებით შევიდა. კაიროში მოწყობილი პროვოკაციული ხანძარით და შექმნილი პანიკით ისარგებლა მეფე ფარუკმა; მან გადაყენა „ვაფდის“ მთავრობა და ხელი მიჰყო პატრიოტული ძალების წინააღმდეგ მიმართულ მასობრივ რეპრესიებს. პარტიზანული მოძრაობა სუეცის არხის ზონაში ჩახშობილ იქნა და კონტრრევოლუციამ დროებით წარმატებას მიაღწია, რადგან ლეგალური სამოქალაქო პატრიოტული ორგანიზაციები განადგურებული აღმოჩნდნენ.

მაგრამ, აღნიშნულ ვითარებაში, ერთადერთ რეალურ ძალას, რომელსაც შესწევდა უნარი წარმატებით დაეგვირგვინებინა ანტიიმპერიალისტური რევოლუცია, ეგვიპტის ეროვნული ჯარი წარმოადგენდა. 1952 წლის 10 თებერვალს „თავისუფალმა ოფიცრებმა“ სასწრაფოდ მოიწვიეს ორგანიზაციის აღმასკომის სხდომა, რომელმაც ეროვნული ჯარის აჯანყების თარიღად 1952 წლის მარტი დასახა[80]. მაგრამ, მარტში დასახული აჯანყების დაწყებას ორმა ვითარებამ შეუშალა ხელი: 1. მოულოდნელად კაიროღან სხვა ნაწილში გადაიყვანეს კაიროს გარნიზონის უფროსის მოადგილე პოლკოვნიკი რაშად მოჰანა, რომელმაც ადრევე აღუთქვა „თავისუფალ ოფიცრებს“ თავისი და მისდამი დაქვემდებარებული ნაწილების მბარდაჭერა[81] და 2. ეგვიპტელმა პატრიოტებმა მარტში მოაწყვეს თავდასხმა ფარუკის სიძეზე, რეაქციონერ გენერალ ჰუსეინ სირი ამერზე, რამაც ფეხზე დააყენა ფარუკის ჯაშუშები და მთელი საიდუმლო პოლიცია[82]. აღნიშნულ გარემოებათა გამო გადაწყდა აჯანყების გადატანა უფრო მოხერხებული დროისათვის.

იმ ხანად „თავისუფალ ოფიცერთა“ აღმასკომი 9 წევრისაგან შედგებოდა; ესენი იყვნენ: პოდპოლკოვნიკები გამალ აბდ ან ნასერი, აბდ ალ-ჰაქიმ ამირი, ანვარ ას-სადათი, ქემალ ად-დინ ჰუსეინი. და მაიორები: ხალიდ მოჰი ად-დინი, გამალ სელიმი, სალაჰ სელიმი, აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაგდადი და ჰასან იბრაჰიმ ას-საიდი[83]. მათ შორის ყველაზე უმცროსი, ხალიდ მოჰი ად-დინი, 29 წლისა იყო, ხოლო აღმასკომის თავმჯდომარე გამალ აბდ ან-ნასერი 34 წლისა. ამრიგად, „თავისუფალ ოფიცერთა“ ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოში არ იყო არც ერთი გენერალი 1952 წლის ივლისის რევოლუციამდე.

---

[80] as-Sadat Anwar, op. cit. p. 107.

[81] იქვე, გვ. 108.

[82] Neguib Mohammed, op. cit. p. 104.

[83] იქვე, გვ. 110—111.

აღმასკომის შედარებით ახალგაზრდულმა შემადგენლობამ და იმ გარემოებამ, რომ მათი წევრები ნაკლებად იყვნენ ცნობილნი, საკუთრივ ორგანიზაციის კონსპირაციული ხასიათის გამო, ეროვნული ჯარისა და ხალხის ფართო მასებში, იმ დასკვნამდე მიიყვანა „თავისუფალ ოფიცერთა“ აღმასკომი, რომ აუცილებელია გადამწყვეტ მომენტში მათი ორგანიზაცია „... წარსდგეს ხალხის წინაშე ასაკით და სამხედრო წოდებით მათზე უფროსი პიროვნების მეთაურობით“[84]. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ აღმასკომმა წინასწარ შეარჩია რევოლუციის ასეთი ნომინალური ბელადის სამი შესაძლებელი კანდიდატურა. ესენი იყვნენ: გენერლები ფერიკ აზიზ ალ-მისრი, ფუად სადაკი და მუჰამედ ნაგიბი[85].

უპირველეს ყოვლისა, „თავისუფალ ოფიცერთა“ აღმასკომი დაუკავშირდა თავის ძველ და ერთგულ თანამოაზრეს გენერალ აზიზ ალ-მისრის. მაგრამ, აზიზ ალ-მისრიმ უარი სთქვა ამ საპატიო მისიაზე თავისი ხანდაზმულობისა და ავადმყოფობის გამო და ურჩია აღმასკომს, ამ როლისათვის უფრო ენერგიული და შედარებით ახალგაზრდა გენერალი შეერჩიათ[86]. როცა აღმასკომის წევრი სალაჰ სელიმი იგივე წინადადებით ეწვია გენერალ ფუად სადაკს, რომელიც ის-ის იყო ფარუკმა გენერალური შტაბის უფროსად დანიშნა, გენერალმა აღმასკომის წარგზავნილი გაწბილებული გაისტუმრა[87]. ამრიგად, წინასწარ დასახული სამი კანდიდატურიდან რევოლუციის ნომინალური ბელადის როლის შესასრულებლად რჩებოდა მარტოოდენ გენერალ მუჰამედ ნაგიბის კანდიდატურა. მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ აღმასკომმა ვერა და ვერ მოახერხა გენერალ მუჰამედ ნაგიბთან დაკავშირება, რათა ეცნობებინა მისთვის აღმასკომის გადაწყვეტილება და საკუთრივ მუჰამედ ნაგიბის თანხმობაც მიეღო. მუჰამედ ნაგიბს „თავისუფალი ოფიცრები“ დაუკავშირდნენ მხოლოდ რევოლუციის დღეს, 23 ივლისს, როდესაც აჯანყებული ჯარის ნაწილებმა უკვე ხელთ იგდეს ეგვიპტის დედაქალაქი[88].

1952 წლის 16 ივლისს გამალ აბდ ან-ნასერმა სასწრაფოდ მოიწვია „თავისუფალ ოფიცერთა“ აღმასკომის საგანგებო სხდომა,

---

[84] Neguib Mohammed, op. cit. p. 221—222.

[85] as-Sadat Anwar, op. cit. p. 108.

[86] იქვე.

[87] იქვე.

[88] იქვე, გვ. 111.

რომელზედაც გადაწყდა, რომ ეროვნული ჯარის აჯანყება დაეწყოთ 21 ივლისს[89]. აჯანყების დაწყებისათვის ივლისის თვე მეტად ხელსაყრელი იყო, რადგან დამკვიდრებული ჩვეულებისამებრ ამ დროს ეგვიპტის მეფე, სამეფო კარი, მთავრობისა და გენერალური შტაბის წევრები მცხუნვარე კაიროდან საგაზაკოდ იყვნენ წასულნი ზღვისპირა ალექსანდრიაში. გარდა ამისა, ინგლისის ელჩი სწორედ ამ დროს აღმოჩნდა წასული ეგვიპტიდან, რაც აგრეთვე ხელს უწყობდა „თავისუფალ ოფიცერთა“ ჩანაფიქრის წარმატებით განხორციელებას[90].

20 ივლისს „თავისუფალ ოფიცერთა“ აღმასკომმა განკარგულება გასცა ორგანიზაციის ყველა წევრის მზადყოფნის შესახებ. სათანადო მომზადებამ დამატებითი დრო მოითხოვა და აჯანყების დასაწყისი გადაიდო 22 ივლისის შუაღამისათვის[91]. იმავე დღეს გამალ აბდ ან-ნასერი პირადად ეწვია ბინაზე გენერალ მუჰამედ ნაგიბს, რათა შეეტყობინებინა მისთვის აღმასკომის გადაწყვეტილება მუჰამედ ნაგიბის გამოცხადების შესახებ აჯანყების ნომინალურ ხელმძღვანელად. მაგრამ, იმის გამო, რომ იმ დროს გენერალ ნაგიბს უცხო სტუმრები ჰყავდა სახლში. გამალ აბდ ან-ნასერმა ვერ მოახერხა თავისი მისიის შესრულება[92].

22 ივლისს ხალიდ მოჰი ად-დინის ბინაზე შედგა „თავისუფალ ოფიცერთა“ აღმასკომის უკანასკნელი არალეგალური სხდომა, რომელზეც დამტკიცდა აჯანყების საბოლოო გეგმა და ორგანიზაციის ყოველი წევრის წინაშე დასმული კონკრეტული ამოცანები[93]. ეროვნული ჯარის აჯანყების საერთო ხელმძღვანელობა დაევალა გამალ აბდ ან-ნასერს. მის მოადგილეებად დაინიშნა აბდ ალ-ჰაქიმ ამირი და ქემალ ად-დინი ჰუსეინი. ორგანიზაციის აღმასკომს ამიერიდან ეწოდა „რევოლუციის ხელმძღვანელი საბჭო“, რომლის დევიზი გახდა „სითამამე და თავდადება“, ხოლო პაროლი — „გამარჯვება“[94].

ეგვიპტის ეროვნული ჯარის აჯანყება დაიწყო წინასწარ დამუშავებული გეგმის თანახმად. 22 ივლისს შუაღამისას და უკვე 23 ივლისს გათენებისას იგი წარმატებით დაგვირგვინდა: აჯანყებულებმა ხელთ იგდეს დედაქალაქი. ხოლო სამი დღის შემდეგ, 1952 წლის 26 ივლისს, ეგვიპტელმა ხალხმა, ეროვნული ჯარის მეთაურობით, წარმატებით დააგვირგვინა ანტიმონარქისტული რევოლუცია.

---

[89] as-Sadat Anwar, op. cit. p. 112.
[90] Neguib Mohammed, op. cit. p. 110.
[91] as-Sadat Anwar, op. cit. p. 113.
[92] იქვე, გვ. 112.
[93] იქვე, გვ. 115.
[94] იქვე, გვ. 112.

Ш. КУРДГЕЛАШВИЛИ

К ВОПРОСУ О РОЛИ ПРОГРЕССИВНОЙ ВОЕННОЙ ИНТЕЛЛИГЕНЦИИ ЕГИПТА В РЕВОЛЮЦИИ 1952 ГОДА

Резюме

Изучение важнейших первоисточников и мемуарной литературы ряда руководителей революции 1952 года позволяют проследить за зарождением и развитием патриотического революционного движения в египетской национальной армии.

Революционное выступление египетской армии в июле 1952 года, вопреки утверждениям ряда буржуазных авторов, не было простым военным переворотом, изолированного от народных масс узкого круга египетских офицеров, а явилось следствием длительной и кропотливой революционной деятельности прогрессивной военной интеллигенции Египта, объединенной с 40-х годов в конспиративной организации «Свободных офицеров».

М. ФАТЕМИ

РАЗРАБОТКА ВОПРОСОВ ЭКОНОМИКИ ИРАНА В ИРАНСКОЙ ЭКОНОМИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЕ ЗА 1945—1961 ГОДЫ[1]

До последнего времени в иранской литературе мало уделялось внимания разработке вопросов об отдельных отраслях экономики страны. В условиях многовекового господства феодальных отношений и раздробленности страны, наличия децентрализованной экономической и финансовой системы, а также вследствие слабого развития науки и техники это было вполне естественно.

До конца второй мировой войны экономическая литература иранских авторов насчитывала незначительное количество трудов, освещающих отдельные стороны иранской экономики или же экономическое положение отдельных районов страны. Единственной работой, в которой сравнительно подробно освещается экономическое положение Ирана в целом на рубеже 19 и 20 веков являлось исследование Мохамеда Али Джемалзаде: «Достойное сокровище или экономическое положение Ирана»[2], изданное в 1917 г. в Берлине.

Состоящая из 16 глав и приложения, эта книга содержит статистические данные о внешней торговле и таможне Ирана, о промышленности и добыче руд, о фабриках и концессиях, о финансах и государственном бюджете; характеризуется состояние путей сообщения, транспорта и средств связи. Положения в сельском хозяйстве автор книги кратко касается в главах о внешней торговле. Эту книгу можно считать единственным первоисточником для всестороннего изучения экономического положения Ирана в начале 20 века.

---

[1] Из-за ограниченного объёма статьи мы остановились только на наиболее важных работах по данному вопросу, не затронув других.

[2] „Гандже шайган йа овзае эгтесади-йе Иран گنج شایگان یااوضاع اقتصادی ایران", Берлин, 1917.

Начиная с 30-х годов 20 в. в связи с централизацией государственной власти в стране (свержение династии каджаров и установление власти Реза Шаха) были приняты некоторые меры по развитию экономики и финансов страны. В связи с этим были опубликованы некоторые книги и журналы, касающиеся отдельных сторон экономики Ирана. Из трудов, изданных за этот период можно, в частности, назвать работу доктора Матина Дафтари: «Ключ к экономической самостоятельности Ирана»[3]. В этой книге освещается экономическое положение северных провинций Ирана—Мазандерана и Гиляна. Эта книга была издана в 1926 году в качестве теоретического руководства, на основе которого Реза Шах проводил свою экономическую политику в северной части Ирана. Не лишена известного интереса и работа Сафиния Резы: «Книга о таможенной самостоятельности Ирана»[4]. В книге затрагиваются вопросы о внешней торговле и таможне Ирана и о зависимости иранского таможенного тарифа от торговой политики империалистических держав в отношении Ирана. В работе, в частности, много внимание уделено капитуляционному режиму в Иране и помощи Советского Союза Ирану в отмене этого режима в 1928 г.

В последние годы в Иране наблюдается определенный сдвиг в написании работ по экономике страны. Развитие капиталистических отношений в иранской промышленности, ряд мероприятий, направленных на вложение капитала в производство и повышение экономической активности в стране, проведение ряд реформ по поощерению капиталистической формы хозяйства в земледелии и расширение внешнеэкономических связей обусловили подготовку специалистов и появление ряда новых трудов в этой области. Эти работы можно разделить по отдельным отраслям экономики, в том числе:

1) ИССЛЕДОВАНИЯ ПО ПРОМЫШЛЕННОСТИ И РУДНИКАМ

Поскольку нефтяные ресурсы являются одним из главных источников национального богатства Ирана, а доходы от нефти играют весьма большую роль в развитии экономики страны, и ввиду того, что в последние годы иранская нефть стала объектом борьбы между империалистическими монополиями, вопрос о нефти составляет главный предмет обсуждений и изучения для иранских экономистов. За годы после второй ми-

---

[3] «Келиде эстеглале эгтесади-йе Иран كليد استقلال اقتصادی ایران», Тегеран, 1926.

[4] «Кетабе эстеглале гомроки-йе Иран كتاب استقلال گمرکی ایران», Тегеран, 1928.

ровой войны об иранской нефти написано довольно много трудов, из которых заслуживают внимания в частности работы Хумаюнфара: «Нефть в мире и в Иране»[5], Хусейна Пирния «Десять лет усилий на пути сохранения и расширения прав Ирана на нефть»[6], М. Фатеха «50 лет иранской нефти»[7], Тавана «Борьба за нефть»[8] и др. В этих работах прослеживается история создания нефтяной промышленности Ирана и её развития. В них разоблачаются махинации бывшей Англо-иранской нефтяной компании (АИНК), а также заменяющего её Международного нефтяного Консорциума (МНК) при исчислении доли Ирана в доходах от нефти, показывается борьба иранского народа за национализацию своей нефтяной промышленности и право Ирана на свое богатство.

В эту группу работ входят также книги, характеризующие состояние других отраслей промышленности Ирана, показывающие общее положение экономики страны и пути её развития. Сюда относятся работы Али Захеди «Промышленность Ирана в послевоенные годы»[9], Хумаюнфара «Трудности иранской промышленности и проект её управления»[10], Ибрагима Рияхи «Исследования по сахарной промышленности Ирана»[11] и Мехра Табара «Рыбная промышленность Персидского залива»[12].

Эта группа охватывает, также, издания Плановой Организации по развитию и реконструкции экономики Ирана, Высшего экономического совета и министерства промышленности и рудников Ирана. Здесь в первую очередь надо упомянуть о таких изданиях справочного характера, как «Статистика о мерах, принятых в области промышленности и рудников за

---

5 «Нафт дар доня ва Иран نفت در دنیاو ایران», Тегеран, 1946.

6 «Дах сал кушеш дар рахе хефз ва товсеэ-йе хогуге Иран дар нафт ده سال کوشش درراه حفظ وتوسعه حقوق ایران درنفت», Тегеран, 1952

7 «Панджах сал нафте Иран پنجاه سال نفت ایران». Тегеран, 1956.

8 «Мобарезе дар рахе нафт مبارزه درراه نفت». Тегеран, 1959.

9 «Санайее Иран дар салхайе баад аз джанг صنایع ایران در سال‌های بعداز جنگ», Тегеран, 1945.

10 «Дардхайе санайее Иран ва тархе эдарейе ан دردهای صنایع ایران و طرح اداره آن». Тегеран, 1958

11 «Тахгиг дар тарихе гандсазие Иран تحقیق درتاریخ قند سازی ایران», Тегеран, 1957.

12 «Санайее махи дар халидже Фарс صنایع ماهی در خلیج فارس». Тегеран, 1959.

1955/56 и 1956—58 финансовые годы»[13], «Развитие промышленности и рудников Ирана за 1958/59 г.»[14], «Справочник по промышленности и рудникам Ирана (перечень иранских фабрик и заводов в 1958 г.)»[15] и, наконец, «Статистика кредитов, предоставленных для расширения промышленного и горнорудного производства за 1957—59 гг.»[16].

2) РАБОТЫ ПО СЕЛЬСКОМУ ХОЗЯЙСТВУ

В исследованиях, посвященных сельскому хозяйству изучается общее положение земледелия и деревень Ирана, освещаются реформы и изменения, происшедшие в сельском хозяйстве в последние годы. Особый интерес вызывают работы, касающиеся сельскохозяйственных кооперативов и путей развития кооперативного хозяйства. Эти вопросы освещены, в частности, в работах Али Акбера Нурзада «Сельхозкооперативы и банк для крестьян»[17], Таги Бахрами «Сельскохозяйственная география Ирана»[18], Ахмеда Хумена «Экономика сельского хозяйства»[19], Казима Зарнигара «Завтрашняя судьба наших деревень и городов»[20], Мохаммеда Али Эбади «Земельные реформы в Иране»[21].

Сюда же входят издания Плановой Организации, министерства сельского хозяйства и сельскохозяйственного банка

---

13 «Амаре фаалийатхайе санати ва мааданийе Иран дар сал 1334 и 1335-37 آمار فعالیت های صنعتی ومعدنی ایران درسال ۱۳۳۴ ,۱۳۳۵-۳۷ Тегеран, 1959.

14 «Пишрафтхайе санати ва мааданийе Иран дар сале 1337 پیشرفت‌های صنعتی و معدنی ایران Тегеран, 1959.

15 «Рахнамайе Санайе ва маадене Иран дар сале 1337 راهنمای صنایع و معادن ایران درسال ۱۳۳۷“ Тегеран, 1959.

16 «Амаре вамхайе товлиди-йе санати ва маадани дар хедмате кешвар дар сале 1335—37 آمار وام‌های تولیدی صنعتی و معدنی درخدمت کشور درسال ۱۳۳۵-۳۷. Тегеран, 1960.

17 «Шеркатха-йе таавони ва банк барайе кешаварзан شرکت‌های تعاونی و بانک برای کشاورزان, Тегеран, 1954.

18 «Джография-йе кешаварзи-йе Иран جغرافیای کشاورزی ایران Тегеран, 1954.

19 «Эгтесаде кешаварзи اقتصاد کشاورزی, Тегеран, 1955.

20 «Сарнавеште фардайе дехат ва шахрха-йе ма سرنوشت فردای دهات و شهرهای‌ما. Тегеран, 1958.

21 «Эслахате арзи дар Иран اصلاحات ارضی‌در ایران, Тегеран, 1960.

Ирана, такие, как например: «Отчет мер, принятых для благоустройства страны за 1955—60 гг.»[22], «Результаты выполнения второго семилетнего плана в области благоустройства страны»[23], «Плановая Организация и планы по экономике и благоустройству Ирана»[24].

3) РАБОТЫ ПО ФИНАНСАМ [налоговое обложение, государственный бюджет, денежное обращение и кредитная система]

Попытки по созданию современной финансовой системы и, в частности, централизованных государственных финансов были предприняты ещё до проведения реформ в области промышленности и сельского хозяйства[25]. Этим и объясняется, что в этой области опубликовано сравнительно больше трудов.

Эти труды можно разделить на следующие категории:

а) работы обзорного характера о положении финансов Ирана на определенных этапах их развития, об истории создания и развития современной финансовой системы. К числу таких работ относятся: «История тридцатилетней деятельности Национального банка Ирана»[26]. Книга охватывает период с начала создания Национального банка в 1928 г. до 1958 г. и дает общую картину развития этого банка. В ней содержатся данные о денежном обращении, государственных доходах и расходах и дана характеристика финансовой политики государства в отдельных периодах. В книге затрагивают-

---

22 «Гозареше фаалийатха-йе омрани-йе сале 1334—1339 گزارش فعالیت‌های عمرانی سال‌های ۱۳۳۴—۱۳۳۹. Тегеран, 1961.

23 «Санджеше пишрафт ва амалкарде барнаме-йе омрани-йе хафтсале-йе доввом سنجش پیشرفت وعملکرد برنامه عمرانی هفتساله‌دوم Тегеран, 1960.

24 «Сазмане барнаме ва барнамеха-йе эгтесади ва омрани-йе Иран سازمان برنامه‌وبرنامه‌های اقتصادی و عمرانی ایران Тегеран.

25 Еще в середине 19 века в Иране был создан «Банк Туманянц», центр которого находился в гор. Тавризе, а отделения его в больших городах страны. В конце 19 века был создан ряд иностранных банков, в том числе английский Шашиншахский банк, Учетно-ссудный банк России и др. Кроме того, после установления конституционной монархии в стране в иранском меджлесе первого созыва (1906—1908 гг.) был принят ряд мер, направленных к централизации финансовой системы, составлению государственного бюджета и созданию национального банка Ирана.

26 «Тарихе фаалийате си салейе банке мелли-йе Иран تاریخ فعالیت سی ساله بانک‌ملی ایران ۱۳۰۷—۱۳۳۷ Тегеран, 1959.

ся также вопросы отдельных отраслей народного хозяйства страны. К этой категории относятся, также, сочинение Данешпура «Шахиншахский банк и концессия—наличие Шахиншахского банка препятствует развитию Национального банка Ирана»[27] и ряд других книг.

б) Работы, изданные в форме теоретических пособий для изучения финансовой системы Ирана, сборники законов о финансах. Сюда относятся: труды доктора Пирния «Налоги и финансовое право»[28], др-а Техрани «Основы науки о финансах и финансовое законодательство Ирана»[29]. Последняя книга имеет наиболее важное значение для изучения финансов, и она более или менее объективно характеризует финансовое положение страны.

4) ТРУДЫ ПО ТОРГОВЛЕ И ЖЕЛЕЗНОДОРОЖНОМУ ТРАНСПОРТУ

Работы по данным вопросам носят, в основном, справочный характер и содержат немало весьма интересных статистических данных о внешней торговле, таможенной деятельности Ирана. Из такой категории работ весьма ценны: «Годовая статистика внешней торговли Ирана»[30], изданная министерством торговли, «Годовой справочник Управления таможни»[31], «Бюллетень тегеранской торговой палаты»[32]. Немаловажны также работы о железнодорожном транспорте Ирана, в частности; «Статистика и информации о работе государственной железной дороги Ирана за 1958/59 ф. г.» и[33] и «Иллюстриро-

---

27 «Банке Шаханшахи ва эмтийаз-воджуде банке Шахиншахи мансе рошде банке Мелли-йе Иран аст بانک شاهنشاهی و امتیاز — وجود بانک شاهنشاهی مانع رشد بانک ملی ایران است, Тегеран, 1948

28 «Малийатха ва хогуге мали дар Иран, «Тегер. 1955 مالیات‌ها وحقوق مالی در ایران

29 «Осуле элмемалийе ва гапанине малие Иран اصول علم مالیه و قوانین‌مالی در ایران, Тегеран, 1956.

30 «Амаре салийане-йе базаргани-йе хареджи-йе Иран آمار سالیانه بازرگانی خارجی ایران, Тегеран, ежегодно.

31 «Амаре салийане-йе Гомроке Иран آمار سالیانه گمرکی ایران Тегеран, ежегодно.

32 «Бюллетене стаге Базаргани-йе Техран بولتن‌اطاق بازرگانی تهران, Тегеран, еженедельно.

33 «Амар эттелаат ва фаалийатха-йе омуми-йе рахе ахане Иран дар сале 1337 آماراطلاعات و فعالیت‌های‌عمومی راه‌آهن دولتی ایران درسال ۱۳۳۷, Тегеран, 1960.

ванная статистика о работе железнодорожного транспорта за 1953—60 гг.»[34].

Кроме вышеуказанной литературы в последние годы в Иране издаются бюллетени и журналы, освещающие и анализирующие общее положение отдельных отраслей экономики или же общеэкономическое положение страны. Среди этих изданий наиболее важное значение имеют еженедельный журнал «Техран экономист»[35] выходящий с 1952 г. В публикуемых в этом журнале статьях довольно объективно освещается состояние экономики страны и нередко обстоятельно анализируются поставленные вопросы; «Еженедельный бюллетень Национального банка Ирана»[36] регулярно публикует данные об отдельных отраслях иранской экономики, о состоянии внутреннего рынка и денежного обращения. Нельзя не упомянуть здесь также журнал «Экономика и торговля», издаваемый министерством экономики. В последние годы в Тегеране издается справочник «Иранский Альманах и книга фактов»[38] на английском языке.

С политической точки зрения, публикуемые в Иране работы по экономике можно разделить на две основные группы:

1) сочинения, отражающие интересы национальной буржуазии Ирана и базирующиеся на идее самостоятельного развития экономики страны. Авторы этих работ выступают против проникновения иностранного капитала в экономику Ирана. Они настаивают на развитие национальной промышленности, на ограничение собственности на землю, расширение экспорта национальных товаров и финансирование народного хозяйства внутренними источниками. Они выступают против реакционных тенденций в экономической политике иранского правительства и поэтому популярны среди населения Ирана. В то же время по ряду вопросов они занимают непоследовательную позицию, характерную вообще для буржуазии.

---

34 «Амаре моссаваре эттелаат в фаалийатхэ-йе омуми-йе рахе ахане аз сале 1332 та 1338. آمارمصور اطلاعات و فعالیت‌های عمومی راه‌آهن از سال ۱۳۳۲ تا ۱۳۳۸. Тегеран, 1960.

35 «Техран экономист» تهران اکونومیست

36 «Бюллетене хафтеги-йе банке мелли-йе Иран بولتن هفتگی بانک ملی ایران

37 «Маджелле-йе эгтесад ва базаргани مجله اقتصادو بازرگانی

38 „Iran Almanac and book of facts".

2) Сочинения, отражающие интересы крупных торговцев и предпринимателей, связанных с иностранным капиталом. Авторы таких работ выступают за развитие экономики в тесной связи с иностранным капиталом, за неограниченную свободу торговли и др. Они настаивают на получение иностранных займов, на создание всех видов иностранных экономических предприятий. К этой группе примыкают ряд официальных бюллетеней и справочников, которые также защищают идею вложения иностранного капитала в экономику Ирана, получения иностранных займов и др.

ა. მენთეშაშვილი

ანტიიმპერიალისტური მოძრაობა ერაყში ინგლისის სამანდატო რეჟიმის მიწურულს

ინგლისის სამანდატო რეჟიმის ბოლო წლები ერაყის მოსახლეობის მძლავრი ანტიინგლისური გამოსვლებით აღინიშნა[1].

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავლობა ერაყში გაპირობებული იყო მთელი რიგი მიზეზებით. აქედან მთავარი იყო: არაბთა სულ უფრო მზარდი მისწრაფება განთავისუფლებულიყვნენ ინგლისელთა ბატონობისაგან, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა მეზობელ ქვეყნებში (ეგვიპტე, პალესტინა, სირია, ინდოეთი) და ბოლოს მსოფლიოში დაწყებული ეკონომიური კრიზისი, რომელმაც, ერთის მხრივ, გაამწვავა ყველა წინააღმდეგობა ერაყის საზოგადოების შიგნით და, მეორეს მხრივ, გამოიწვია ინგლისის იმპერიალიზმის მიერ ერაყის მშრომელი მასების კოლონიალური ექსპლოატაციის გაძლიერება.

აგრარული კრიზისის შედეგად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასებმა ერაყში 1930 წ. დაიკლეს 40—60%-ით 1929 წელთან შედარებით. შემდგომი თვეები აღინიშნა ფასების ახალი შემცირებით—დაახლოებით 15—25%-ით. ამავე დროს ფასები იმპორტულ საქონელზე სტაბილური რჩებოდა. მშრომელი მასების მსყიდველობითი უნარი და ცხოვრების პირობები კი სულ უფრო უარესდებოდა. გაღატაკების კარზე მისულნი, ისინი იძულებული იყვნენ გაეყიდათ თავიანთი პროდუქტები ძალზე დაკლებულ ფასებში, ხოლო მემამულეებისათვის გადაეხადათ სულ უფრო მზარდი გადასახადები და საიჯარო გამოსაღები.

---

[1] ჩვენი წერილი ეძღვნება არაბთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ხოლო რაც შეეხება ამავე წლების ქურთების ანტიინგლისურ ბრძოლას, იგი ჩვენ ადრე გავაშუქეთ (იხ. ა. მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი, ქურთთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ერაყში, 1930—1932 წწ. — „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები", თბ., 1963, გვ. 27—49).

საქონელზე ფასების დაკლებამ, როშელიც დაკავშირებული იყო მოთხოვნილების შემცირებასთან და პროდუქციის წარმოების ზრდასთან, გამოიწვია ფინანსური სიძნელეები, რის შედეგად ბევრი ვაჭარი კაკოტრდა და იძულებული იყო შეეწყვიტა თავისი საქმიანობა[2], გადაუხდელი ვალების რიცხვი 10 ლაკს (ერთი ლაკი= 100 000 რუფიას) აღწევდა. რაც შეეხება იმპორტს —ინგლისის სამანდატო ხელისუფლების ოფიციალური ორგანოს „ბაღდად ტაიმს"-ის მოწმობით აქაც მეტად არასახარბიელო მდგომარეობა იყო[3].

ერაყის სახელმწიფო ბიუჯეტში წარმოიშვა 4 მილიონიანი დეფიციტი, მისი საშემოსავლო ნაწილი კი სულ უფრო მცირდებოდა[4].

ფასები დაეცა ექსპორტის ისეთ მთავარ საგანზე, როგორიც იყო მატყლი (50%-ით). ფასები დაეცა აგრეთვე ტყავზე და ბეწვეულზე, ფინიკსა და ხორბლეულ კულტურებზე, მელნის კაკალზე და სხვ. საწყობები გავსებული იყო გაუსაღებელი საქონლით. ფასების დაცემამ გამოიწვია ერაყელი ფელაჰების გაპარტახება[5].

აგრარული კრიზისი მთელი თავისი სიმძიმით დააწვა აგრეთვე მწყემსებსა და მესაქონლეებს. გაიზარდა ნახევრად მომთაბარე და მომთაბარე ბედუინების დიფერენციაცია შამარის, ანეზის, მუნთაფიკის, ბენილიამის და სხვა ტომებში. მძიმე ეპიზოტიისა და საძოვრებისათვის წარმოებული ბრძოლების გამწვავების შედეგად ბედუინების ერთ-ერთი მთავარი პროდუქტის—მატყლის გატანა შემცირდა 12750 ტ-დან 5200 ტ-მდე. ყველა ამ მოვლენამ, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის შემდგომ ზრდასთან ერთად, დააჩქარა მომთაბარეების ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა. ამრიგად, კ რ ი ზ ი ს მ ა კ ი დ ე ვ უ ფ რ ო გ ა ა ძ ლ ი ე რ ა მ ო მ თ ა ბ ა რ ე ე ბ ი ს გ ა ღ ა ტ ა კ ე ბ ა, ფ ე ნ ე ბ ა დ დ ა ყ ო ფ ა დ ა . მ ა თ ი მ ი მ ა გ რ ე ბ ა მ ი წ ა ზ ე.

კრიზისი ხელს უწყობდა აგრეთვე ხელოსნების გაღატაკებასაც. განსაკუთრებით დიდი ზარალი განიცადეს იმ ხელოსნებმა, რომელთა წარმოება დაკავშირებული იყო იმპორტთან (აბრეშუმის ნაწარმის დამზადება, ხალიჩების ქსოვა, ტყავის წმენდა და სხვ.), სწრაფი ტემპით მცირდებოდა საგარეო ვაჭრობაც. კ რ ი ზ ი ს მ ა კ ი დ ე ვ უ ფ რ ო დ ა ა ჩ ქ ა რ ა გ ლ ე ხ თ ა მ ი წ ე ბ ი ს დ ა ტ ა ც ე ბ ი-

---

2 როგორც ინგლისის კოლონიური წრეების ორგანო „ნიარ ისტ"-ი იტყობინებოდა, ერაყელ ვაჭრებს არასოდეს არ უზარალიათ ისე როგორც იმ პერიოდში (იხ. „The Near East and India", 8 იანვარი, 1931).

3 „Baghdad Times", 9 იანვარი, 1931.

4 1930 წ. ოქტომბრისათვის შემოსავალი შეადგენდა 4656 ლაკს, მაშინ როდესაც 1929 წლის ამავე თვეში იგი აღწევდა 5251 ლაკს.

5 „Baghdad Times", 9 იანვარი, 1931.

სა და ნაძალადევად ხელში ჩაგდების პროცესი. ერაყში კერძო საკუთრება[6] ძველთაგანვე არსებობდა, მაგრამ კერძო სამფლობელოები არ იყო რეგისტრირებული მთავრობის წიგნებში[7]. მიწის მფლობელებს არა ჰქონდათ თავიანთი ფორმალური უფლებების დამადასტურებელი რაიმე საბუთი, ამიტომაც მიწებზე გაუთავებელი დავა და კამათი ჯერ კიდევ თურქთა ბატონობიდან მომდინარეობდა. კრიზისთან დაკავშირებით ბევრმა ვაჭარმა მიანება თავი ვაჭრობას და დაიწყო მიწის შეძენა.

ინგლისის მთავრობა ოფიციალურ ანგარიშში იტყობინებოდა, რომ ტომების მეთაურები — შეიხები „დაავადდნენ მიწების შეძენის ციებ-ცხელებით და ამის შედეგად იზრდებოდა მისწრაფება ბინადრობისადმი"[8].

ნავთობსარეწებისა და ნავთობის მოპოების შემდგომი განვითარება, რომელთანაც დაკავშირებული იყო შარაგზების, რკინიგზებისა და სხვა მშენებლობისათვის საჭირო მუშა-ხელის დაქირავება, ხელს უწყობდა ბინადრობისადმი ლტოლვას, ბინადარი ტომის წევრები ოდესღაც თავისუფალი მომთაბარეები მოკლე დროში ყმებად გადაიქცნენ და იძულებული გახდნენ თავიანთი იაფი შრომა მათი შეიხისათვის მოეხმარათ. ქალები კი შეიხის მონები ხდებოდნენ[9].

როგორც წესი, ნათქვამია ინგლისის მთავრობის ოფიციალურ მოხსენებაში, როდესაც ტომი ბინადარ ცხოვრებაზე გადადიოდა, ის მიწა, რომელზედაც იგი სახლდებოდა, იყოფოდა პატარა ნაკვეთებად და ტომის შეიხი უფლებას იტოვებდა აეღო თანატომელებისაგან მათი მიწებიდან მიღებული მოსავლის გარკვეული ნაწილი[10]. ზოგჯერ შეიხი თავისთვის იტოვებდა მიწის დიდ ნაკვეთს, ხდებოდა მიწის უშუალო მფლობელი და ამრიგად არ იყო დამოკიდებული თავის ქვეშევრდომებისაგან აღებულ გადასახადებზე. საერთოდ კი შეიხები თავიანთ მიწებს, როგორც წესი, არ ამუშავებდნენ, არამედ გადაცემდნენ მას იჯარით. ე. წ. მოწილეობის წესით[11].

ბინადარი მიწათმოქმედი ტომები ძალიან ღარიბები იყვნენ, ისინი ძირითადად თავმოყრილი იყვნენ მდინარე ტიგროსისა და ევფრა-

---

[6] კერძო მფლობელებს ეკუთვნოდა მთელი დამუშავებული მიწების 1/4-დან 1/3-მდე.

[7] „Near East", 15 იანვარი, 1931.

[8] იხ. „Special report by H. M. government in the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland to the Council of the League of Nations on the progress of Iraq during the period 1920—1931", L, 1931, გვ. 237.

[9] იქვე.

[10] იქვე, გვ. 238.

[11] იქვე.

ტის ან მათი შენაკადების გასწვრივ, კერძოდ, მუსაიბსა და დივანიას შორის. მდ. ჰილის, კუთისა და ჰინდიას შენაკადებზე და შატელ ჰაიზე მათ ეკავათ აგრეთვე ამარისა და დიალის ტოტები და აგრეთვე ბაკუბას რაიონი.

მთელ ერაყში ფელაჰი თავის შემოსავალს ღებულობდა არა საშუშაო დღეების რაოდენობის მიხედვით, არამედ აღებული მოსავლის გარკვეული წილის სახით.

ფელაჰის წლიური შემოსავლის საშუალო ფულადი ღირებულება შეადგენდა 80 რუფიას იქ, სადაც მას ხორბლეული კულტურა მოყავდა და 200 რუფიას იმ რაიონებში, სადაც ბრინჯი ითესებოდა[12]. საშუალოდ, ფელაჰის შემოსავალი 1930 წელს 1927 წელთან შედარებით შემცირდა 240 რუფიიდან 110 რუფიამდე. რაც შეეხება მწყემსებს და მესაქონლეებს, მათი საშუალო ხელფასი წელიწადში 60 რუფიას არ აღემატებოდა[13].

ხორბალზე ფასების დაცემის შედეგად ერაყში შეიქმნა მძიმე ეკონომიური მდგომარეობა. ბევრი ფელაჰი ტოვებდა თავის საცოდავ ქოხმახს და უდაბნოში გარბოდა. იქ კი შიმშილისაგან იხოცებოდნენ. განუწყვეტლივ იზრდებოდა გლეხთა დავალიანება მიწათმფლობელებისა და მევახშეების მიმართ. თვითონ ინგლისელები აღიარებდნენ, რომ ერაყში ძნელად მოიძებნებოდა ისეთი ფელაჰი, რომელსაც დავალიანება არა ჰქონდა[14]. სამუშაოზე მოსვლისას, ფელაჰი, იმისათვის რომ თავი ერჩინა და შეენახა თავისი ცოლ-შვილი, მოსავლის აღებამდე იღებდა სესხს, მას იმედი ჰქონდა, რომ ამ ვალს იგი გაისტუმრებდა მოსავლის აღების შემდეგ. მაგრამ ამას ვერ ახერხებდა ცუდი მოსავლის გამო და ამიტომაც მისი დავალიანება წლიდან წლამდე სულ უფრო იზრდებოდა. განსაკუთრებით გაიზარდა დავალიანება იმ რაიონებში, სადაც იყენებდნენ წყლის ტუმბოებს. წყლის ტუმბოები, როგორც წესი, ეკუთვნოდათ ქალაქის მაცხოვრებლებს. ერთმანეთის კონკურენციის მიზნით, ისინი ფელაჰს აძლევდნენ დიდ ავანსებს, რის შედეგად ფელაჰების დიდი ნაწილის დავალიანება 600 რუფიამდე აღწევდა[15]. ყოველივე ეს ხელს უწყობდა ფელაჰის გადაქცევას თავისი პატრონის ან კრედიტორის ყმად, მათ კაბალაში მოხვედრას.

შრომის აუტანელ პირობებსა და ეკონომიურ ჩაგვრას ემატებოდა სტიქიური უბედურება, რომელიც გამოწვეული იყო ნაადრევი ყინვებით ან კალიების შემოსევით. მაგალითად, 1928 წ. ერაყის სამ-

---

[12] „Special report...", გვ. 239.
[13] იქვე.
[14] იქვე, გვ. 240.
[15] იქვე.

ერეთში ნაადრევმა ყინვებმა, ხოლო შემდეგ კალიების შემოსევამ თითქმის სრულიად გაანადგურა ნათესები. გლეხები აღმოჩნდნენ მეტად მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში. მთავრობამ უარყო გლეხთა თხოვნა — გაეთავისუფლებინათ ისინი იმ წელს გადასახადებისაგან.

ერაყის მთავრობა ცდილობდა გამოესწორებინა ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა გადასახადების გადიდების გზით[16]. მაგრამ გაღატაკებულ და გაპარტახებულ გლეხობას აღარ ძალუძდა რაიმე ფინანსების გაღება ქვეყნის სასარგებლოდ. ამიტომ მთავრობა იძულებული იყო დახმარებისათვის მიემართა უცხო ქვეყნებისათვის და პირველ რიგში ინგლისისათვის. სესხულობდა რა ყოველთვიურად 1 მილ. რუფიას ინგლისის ბანკიდან, ერაყის მთავრობა სულ უფრო ღრმად ექცეოდა ინგლისის ეკონომიურ მარწუხებში. ამრიგად, მსოფლიო ეკონომიური კრიზისი კიდევ უფრო აძლიერებდა ინგლისის მიერ ერაყის ეკონომიურ დაკაბალებას.

კოლონიური ჩაგვრის გაძლიერება იწვევდა არა მარტო ერაყის მშრომელი მასების, არამედ ეროვნული ბურჟუაზიისა და მემამულეების დიდ უკმაყოფილებასაც.

ეკონომიურმა კრიზისმა კიდევ უფრო გაამწვავა პოლიტიკური ვითარება ქვეყნის შიგნით.

ერაყში სულ უფრო იზრდებოდა ის აზრი, რომ 1922 წ. ინგლის-ერაყის ორმხრივი ხელშეკრულება წარმოადგენდა მთავარ მუხრუჭს არა მარტო ქვეყნის პოლიტიკური განვითარებისათვის, არამედ მისი ეკონომიური და სოციალური პროგრესისათვისაც.

ერაყში არსებული ოპოზიციური პარტიები ამტკიცებდნენ, რომ ქვეყანაში შექმნილია არანორმალური მდგომარეობა იმით, რომ მასში არსებობს ორი მთავრობა: ინგლისის სამანდატო ხელისუფლება და ადგილობრივი შთავრობა.

განსაკუთრებით გახშირდა ეს კრიტიკა ერაყის პარლამენტში და პრესის ფურცლებზე 1927—1928 წლებში. შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას ერაყელი პატრიოტები ახასიათებდნენ როგორც „დახლართულ, სავალალო მდგომარეობას"[17]. ისინი ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ ერაყს ჰქონდა მინიჭებული ეროვნული დამოუკიდებლობა. მაგრამ ქვეყანაში კვლავ არსებობდა სამანდატო რეჟიმი, რომ

---

16 მაგალითად, მთავრობამ გამოსცა კანონი, რომლის თანახმად საექსპორტოდ განკუთვნილი პროდუქტები იბეგრებოდა 10%-ით (იხ. „Times of Mesopotamia", 19 მაისი, 1931).

17 S. H. Longrigg, Iraq, 1900 to 1953, L., 1953, გვ. 161.

ერაყს არ შეეძლო შეექმნა თავდაცვის მიზნით საკმაოდ ძლიერი არმია, თუ არ შემოიღებდნენ საყოველთაო სამხედრო ბეგარას, ხოლო ამ კანონის განსახორციელებლად კი საჭირო იყო ძლიერი არმიის ყოლა და ა. შ.

ერაყელი მოხელეები და მინისტრებიც კი არ მალავდნენ იმ ფაქტს, რომ ყოველ საქმეში ისინი ხვდებოდნენ ამ „დახლართულ მდგომარეობას". ერაყის მთავრობა მართავდა რკინიგზებს და ბასრის ნავსადგურს, მაგრამ არა ფლობდა მათ. უცხო სახელმწიფოებს უფლება ენიჭებოდათ გაეტარებინათ ერაყის მიმართ დამოუკიდებელი სატარიფო პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო ერაყის ქვეშევრდომების წინააღმდეგ, მაგრამ ერაყის მთავრობას უფლება არა ჰქონდა პასუხად იგივე მოემოქმედა. უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომებს მინიჭებული ჰქონდათ განსაკუთრებული სასამართლო უფლებები[18] ერაყში, მაგრამ ერაყის მოქალაქეები არ სარგებლობდნენ ასეთივე პრივილეგიებით უცხოეთში.

ერაყის მთავრობა ვალდებული იყო აენაზღაურებინა დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისრისა და მისი პერსონალის ხარჯები. მაგრამ მას უფლება არა ჰქონდა გაეწია კონტროლი ამ ხარჯებისათვის. ყოველივე ამას უწოდებდნენ „ალ-ვადჰა ალ-შადჰ-ს[19].

ინგლისის მმართველი წრეები თავიანთი პრესის ფურცლებზე ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ინგლისის საზოგადოებრიობა კერძოდ იმაში, რომ თითქოს ერაყისათვის დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ მინიჭება გამოიწვევდა თვით ერაყის მოსახლეობის უარყოფით დამოკიდებულებას, და რომ ქვეყანა მთლიანად უკმაყოფილო იქნებოდა არაფრით შეზღუდული ადგილობრივი მმართველი ხროვის თავსმოხვეული ბატონობითო[20].

ამრიგად, თვით ინგლისელებიც კი ერაყის მთავრობას ხროვას უწოდებდნენ. როგორც ჩანს ერაყის ფეოდალური ზედა ფენა, სავაჭრო ბურჟუაზია და მოხელეობა, რომელიც ინგლისელებმა ძალაუფლების სათავეში დააყენეს, თავს მეტად არამყარად გრძნობდა იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყანაში იწყებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავლობა, ამიტომ ერაყის მთავრობა წინააღმდეგი არ იყო ინგლისური ხიშტების დახმარებით მიეღწია უფრო მეტი დამოუკიდებლობისათვის ქვეყნის შიგნით.

იმ მიზნით, რომ თავიდან აეცდინა ახალი სახალხო გამოსვლები, ინგლისმა ჯერ კიდევ ადრე, 1927 წ. შესთავაზა ერაყის

---

18 აღნიშნულ ხანაში ერაყში ჯერ კიდევ არსებობდა კაპიტულაციების რეჟიმი.

19 E. Main, Iraq from Mandate to Independence. L., 1935, გვ. 93.

20 იხ. „The Near East and India", 23 თებერვალი, 1928 წ.

მთავრობას ახალი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა უახლეს 4 წელიწადში ინგლისის სამანდატო რეჟიმის დამთავრებას და ერაყის მომზადებას ერთა ლიგაში შესასვლელად. ამ კაბალურმა ხელშეკრულებამ ხალხთა მასების ახალი საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია. განსაკუთრებით მძაფრ კრიტიკას იწვევდა ფინანსური და სამხედრო შეთანხმებანი, რომლებიც შეიცავდნენ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან პრაქტიკულ საკითხებს.

1927 წლის ხელშეკრულებამ ვერ პოვა მხარდაჭერა, ერაყის მმართველ წრეებშიც კი. ერაყის პარლამენტმა უარი თქვა მის რატიფიცირებაზე[21].

1929 წლის დასაწყისისათვის ერაყის მთავრობა, რომელმაც ვერ მიაღწია ხელსაყრელ შეთანხმებას ინგლისთან, გადადგა[22]. 3 თვის შემდეგ ჩამოყალიბებულ იქნა ახალი მთავრობა. მან შეწყვიტა მოლაპარაკების წარმოება 1927 წ. ხელშეკრულების თაობაზე, და განაგრძო თავისი ურთიერთობა ინგლისის სამანდატო ხელისუფლებასთან 1922—1924 წწ. და 1926 წ. დადებული ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე[23]

ლეიბორისტულმა მთავრობამ, რომელიც 1929 წ. ჩაუდგა ინგლისის ხელისუფლებას სათავეში, განუცხადა ერაყის მეფეს, რომ ინგლისი მზად არის მხარი დაუჭიროს ერაყის შესვლას ერთა ლიგაში 1932 წ. „ყოველგვარი შეზღუდვისა და პირობების გარეშე". ამავე დროს ერაყის მეფე ფაისალ I-ს ეცნობა, რომ ინგლისი იმედოვნებს დადოს ერაყთან ახალი ხელშეკრულება. რომელიც განსაზღვრავს ინგლის-ერაყის ურთიერთობას სამანდატო რეჟიმის გაუქმების შემდეგ[24]. ინგლისის მთავრობამ იგივე აზრი აცნობა ერთა ლიგას[25]. ამრიგად, ინგლისმა შეწყვიტა ყოველგვარი მოლაპარაკება 1927 წ. ხელშეკრულების შესახებ და განაცხადა რომ მხარს დაუჭერდა ერაყის მიღებას ერთა ლიგაში 1932 წ.[26]

ინგლისის მმართველი წრეებისათვის ნათელი გახდა, რომ სახალხო მოძრაობის ჩახშობა უშუალოდ ინგლისელების მიერ კიდევ უფრო აძლიერებს ერაყელთა სიძულვილს ინგლისელებისადმი და უბიძგებს მათ რევოლუციურ გამოსვლებისაკენ. ცდილობდა რა შეეჩერებინა რევოლუციური საშიშროება, ინგლისის მთავრობა წავიდა ამ ნაბიჯზე. მეორეს მხრივ, თავის ბატონობის მანძილზე ინგლი-

---

[21] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრ., გვ. 162.

[22] عبد الرزاق الحسني، تأريخ الوزارات العراقية. ج. ٢، صيدا، ١٩٣٥، ص. ٩٠.

[23] იხ. „Special report...", გვ. 19.

[24] იხ. M. Khadduri, Independent Iraq. 1932—1958, L., 1960, გვ. 34.

[25] იქვე, გვ. 34.

[26] იქვე.

სის იმპერიალიზმა ჰპოვა ერაყში სოციალური დასაყრდენი მმართველ ფეოდალური ხროვისა და კომპორადორული ბურჟუაზიის სახით, რაც საშუალებას აძლევდა ინგლისს დაედო მათთან ხელშეკრულება. მესამე, ინგლისის მთავრობას სურდა ყველა ის ხარჯები, რომელიც დაკავშირებული იყო ინგლისის ბატონობასთან ერაყში, დაეკისრებინა ერაყის ხალხთა მასებისათვის. ამიტომაც იგი ხელს უწყობდა ერაყის სახელმწიფო აპარატის შექმნას, პირველ რიგში კი — არმიისა და პოლიციის შექმნას და აგრეთვე უზარმაზარი სამოხელეო აპარატის ორგანიზებას. დამახასიათებელია, რომ ეს აპარატი ახშობდა რა ერაყელთა პოლიტიკურ გამოსვლებს, ემსახურებოდა ინგლისის იმპერიალიზმის ინტერესებს, იცავდა მათი პოზიციების ხელშეუხებლობას, ეაგრამ შთაბეჭდილება ისეთი იქმნებოდა, თითქოს ინგლისელებს ხალხთა მასების რევოლუციურ გამოსვლების ჩახშობაში არავითარი ბრალი არ მიუძღოდათ. და ბოლოს, ინგლისელ კოლონიზატორებს სურდათ შეექმნათ ილუზიები არაბებისათვის, თითქოს ინგლისელები ასრულებდნენ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მათვის მიცემულ დავალებას.

აწარმოებდა რა მოლაპარაკებას ერაყის ახალ მთავრობასთან, ინგლისის მთავრობა ამავე დროს ღებულობდა სათანადო ზომებს სახალხო მოძრაობის გაშლის წინააღმდეგ. ერაყში მყოფმა ინგლისის სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიიღეს დაწვრილებითი ინსტრუქცია, რომელიც მოუწოდებდა მღელვარების შემთხვევაში დაეწვათ სოფლები, დაენგრიათ საირიგაციო ნაგებობანი, აეკრძალათ მიწების დამუშავება და მოეხდინათ სურსათ-სანოვაგის სისტემატური რეკვიზირება[27]. მიუხედავად წინასწარ შემუშავებული გეგმებისა ინგლისელებმა ვერ შეძლეს შეეჩერებინათ ანტიინგლისური მოძრაობის ახალი აღმავლობა. სახალხო მრისხანებამ ახალი ძალით იფეთქა, როდესაც ხმა გავრცელდა იმის შესახებ, რომ ინგლისს განზრახული აქვს კვლავ თავს მოახვიოს ერაყს ახალი კაბალური ხელშეკრულება.

ერაყის მთავრობის მეთაურმა ნაჯი ას-სუვეიდმა სამუშაოდან გადააყენა 5 ინგლისელი მოხელე[28]. ამ ფაქტმა ინგლისის სამანდატო ხელისუფლების უკმაყოფილება გამოიწვია და 1930 წ. 9 მარტს თვით ერაყის მთავრობა გადააყენეს[29]. ინგლისელთა თვითნებობის ამ ახალმა ფაქტმა ერაყის მოსახლეობის მოთმინების ფიალა აავსო.

---

[27] „Workers Life", 21 მაისი, 1929 წ.

[28] عبد الرزاق الحسنى، تأريخ العراق السياسى الحديث، صيدا، ١٩٤٧، ج. ٣ ص. ٩٣—٩٤.

[29] იქვე.

21 მარტს ბაღდადის მოსახლეობამ მოაწყო დიდი საპროტესტო დემონსტრაცია. ქალაქში გამოცხადებულ იქნა საყოველთაო გაფიცვა. მუშაობა შეწყვიტეს ფაბრიკებმა და სახელოსნოებმა, დაიხურა მაღაზიები და ბაზრები. ბაღდადის ქუჩებში გამოვიდა დაახლოებით ასი ათასი დემონსტრატი[30].

ხაიდარ ხანის მეჩეთის ეზოში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. მიტინგზე გამოსულმა ბაღდადელებმა მკაცრად გააკრიტიკეს ინგლისის იმპერიალისტური პოლიტიკა. მიტინგის დამთავრების შემდეგ დემონსტრანტები გაემართნენ უცხო სახელმწიფოების საელჩოებისაკენ. დემონსტრანტებს მიჰქონდათ ლოზუნგები: „ხალხის ნებასურვილი ყველაზე მაღლა დგას! „გაუმარჯოს დამოუკიდებელ ერაყს“!. „გაუმარჯოს ხალხს“!. „ვიცხოვროთ დამოუკიდებლად“!, „ვცოცხლობთ სამშობლოსათვის და მოვკვდებით სამშობლოსათვის“[31]! ბაღდადის მოსახლეობა დემონსტრანტებს ყველგან ტაშით ხვდებოდა. ხშირად გაისმოდა შეძახილები: „ლონდონო, დადგა შენი აღსასრულის ჟამი“[32]!.

მოსახლეობის ასეთმა მძლავრმა გამოსვლამ დიდი არეულობა შეიტანა სამანდატო ხელისუფლებაში. ინგლისის უმაღლესი კომისრის ბრძანებით ინგლისელ ქვეშევრდომებს აეკრძალათ გარეთ გამოსვლა, ხოლო ინგლისურ და ინდურ ფირმებს წინადადება მისცეს დაეხურათ თავიანთი კანტორები[33]. უცხოელ ელჩებს დემონსტრატორებმა გადასცეს თავიანთი პროტესტი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მთელი ერაყი აღშფოთებულია და გამსჭვალულია სიძულვილით ინგლისელთა ფარული პოლიტიკისადმი, რომ ინგლისელთა ათი წლის ბატონობის განმავლობაში ერაყელებმა განიცადეს ყველა ის ბატონობა, რომელიც დამონებული ხალხის ხვედრს წარმოადგენს და გადაიტანეს ისეთი დამცირება, რომელიც არ განუცდია იმპერიალიზმის უღლის ქვეშ მყოფ არცერთ ხალხს.

უფლებააყრილი ერაყელი ხალხი, რომლის ეროვნული მისწრაფებანი ვერ განხორციელდნენ ინგლისელებთან „მეგობრობის“ შედეგად, გადაჭრით გამოთქვამს პროტესტს ამ მკაცრი პოლიტიკის წინააღმდეგ და უცხადებს მთელ მსოფლიოს, რომ ინგლისი აძლიერებს ერაყის აღშფოთებულ მოსახლეობის რისხვას. ერაყელი ხალხი, ნათქვამი იყო ამ განცხადებაში, მოითხოვს საძულველი ინგლისური მმართველობის ძირფესვიანად შეცვლას და ა. შ.[34]

---

[30] عبد الرزاق الحسني، تأريخ الوزارات...، ج. ٢، ص. ٥. ٢

[31] იქვე.

[32] იქვე.

[33] E. Main, დასახ. ნაშრ., გვ. 99.

[34] عبد الرزاق الحسني، تأريخ الوزارات...، ج. ٢، ص. ٢٥٦.

პოლიტიკური კრიზისი სულ უფრო მწიფდებოდა და მდგომარეობა თანდათან ღებულობდა საშიშ ხასიათს. იგი ემუქრებოდა ინგლისელთა ბატონობას ერაყში. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად საჭირო იყო ხელისუფლებას სათავეში ჩადგომოდა დიქტატორი.

დიქტატორის მოვალეობის შესრულება ინგლისელებმა დაავალეს თავიანთ ძველ აგენტს გენერალ ნური ას-საიდს, რომელსაც 23 მარტს დაევალა ახალი მთავრობის შედგენა[35]. ნური ას-საიდს, ყველაზე სანდო ადამიანს, ინგლისელებმა შესთავაზეს ახალი ხელშეკრულების პროექტი. ახალი მთავრობის მთავარ საზრუნვას ამ ხელშეკრულების ხელმოწერა შეადგენდა[36].

ამის შესახებ კატეგორიულად იყო ნათქვამი აგრეთვე მთავრობის პროგრამაშიც. მთავრობის სათავეში ჩადგომისთანავე ნური საიდმა მოსთხოვა ერაყის მეფე ფაისალ I ჩაეტარებინა პარლამენტის ახალი არჩევნები.

ახალ პარლამენტს უნდა მოეწონებინა ახალი ხელშეკრულება და განეხილა კანონი ეროვნული თავდაცვის შესახებ[37].

ნური საიდმა განაცხადა, რომ გამოასწორებდა ქვეყნის შერყეულ ეკონომიურ მდგომარეობას უცხოელ-მოხელეთა რიცხვის შემცირებით და სახელმწიფო ადმინისტრაციული აპარატის არსებული შტატების გადასინჯვის გზით. ახალი მთავრობის მიზნები და ამოცანები ნური საიდმა თავის პროგრამაში ჩამოაყალიბა შემდეგი სახით: ახალი პარლამენტის არჩევნების ჩატარება, ახალი ხელშეკრულების მიღება, გაეწმინდათ სახელმწიფო აპარატი პატრიოტულად განწყობილ ელემენტებისაგან. შეექმნათ არმია, რომელსაც უნარი შესწევდა გამკლავებოდა ქვეყნის შიგნით სულ უფრო მზარდ უკმაყოფილებას, და ბოლოს, ინგლისელთა საამებლად გადაეწყვიტა ყველა მანამდე გადაუჭრელი საკითხი.

თავისი მოთხოვნების განხორციელების მიზნით ნური ას-საიდი არაფერს არ მოერიდა. მან მიიღო მთავრობის თანხმობა ეწარმოებინა მოლაპარაკება ინგლისელებთან ახალი ხელშეკრულების თაობაზე. იგი ჩავიდა ლონდონში. მოლაპარაკების საწარმოებლად, მაგრამ იქ მან გადააჭარბა თავის რწმუნებებს და მთავრობისა და მეფის დაუკითხავად 1930 წ. 30 ივნისს მოაწერა კიდეც ხელი ამ ხელშეკრულებაზე[38]. ამ ფაქტმა მთელ ერაყში სახალხო რისხვისა და

---

[35] იქვე, გვ. 174.

[36] M. Khadduri, დასახ. ნაშრ., გვ. 35.

[37] عبد الرزاق الحسني، تاريخ العراق...، ج، ٢، ص. ٩٧.

[38] ოფიციალური მოლაპარაკება დაიწყო 1930 წ. 1 აპრილს.

საყოველთაო აღშფოთების ახალი აზვირთება გამოიწვია. პროტესტის ნიშნად მთავრობის შემადგენლობიდან გამოვიდა ფინანსთა მინისტრი[39].

1930 წ. ხელშეკრულებით[40] ინგლისი ცნობდა ერაყის დამოუკიდებლობას და ვალდებულებას იღებდა ხელი შეეწყო ერაყის მიღებისათვის ერთა ლიგაში 1932 წ. ეს ხელშეკრულება წარმოადგენდა ინგლისის მიერ ერაყის დამონების ახალ ფორმას. თანახმად პირველი მუხლისა, ორივე სახელმწიფოს უნდა ეწარმოებინა კონსულტაციები იმ საკითხებზე, რომელიც ეხებოდა ორივე მხარის საგარეო პოლიტიკას. ამრიგად, პირველივე მუხლით ერაყი უფლებას კარგავდა გაეტარებინა თავისი დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა.

ხელშეკრულება ამყარებდა სამხედრო კავშირს ინგლისსა და ერაყს შორის. ეს კავშირი იყო არა მარტო თავდაცვითი, არამედ შეტევითიც. იმ შემთხვევაში, თუ ინგლისი დაიწყებდა ომს, ერაყი ვალდებული იყო გადაეცა ინგლისის სამხედრო ხელისუფალთა განკარგულებაში რკინიგზები, შარაგზები, წყლის ტრანსპორტი, ნავსადგურები. აეროდრომები, კავშირგაბმულობის საშუალებები (მუხლი 4).

ინგლის-ერაყის ახალი ხელშეკრულების მოქმედების ვადა 25 წლით განისაზღვრებოდა. ამ ხნის მანძილზე ერაყი კისრულობდა გადაეცა ინგლისისათვის გარკვეული ტერიტორია ბასრის მახლობლად და ევფრატის დასავლეთით ინგლისის საჰაერო ბაზების მოსაწყობად. ინგლისს ნება ეძლეოდა ყოლოდა თავისი ჯარის ნაწილები ამ ბაზებში. გარდა ამისა ხელშეკრულების დამატებითი მეთანხმების თანახმად. ინგლისი უფლებას იტოვებდა შეენარჩუნებინა ჯარის ნაწილები ხუთი წლის განმავლობაში ჰანაიდსა და მოსულის მახლობლად. ერაყის მთავრობა ვალდებულებას იღებდა, რომ უცხო მრჩეველთა დაქირავებისას უპირატესობა მინიჭებოდა ინგლისის ქვეშევრდომებს. ერაყის არმიის ორგანიზაციისათვის მოწვეული უნდა ყოფილიყო ინგლისის სამხედრო მისია. ინგლისის სამხედრო ინსტრუქტორები, რომლებსაც ქირაობდნენ ერაყის არმიისათვის, სარგებლობდნენ დიდი პრივილეგიებით და ფაქტიურად არმიის ბატონ-პატრონი ხდებოდნენ. და ბოლოს, ერაყის მთავრობა კისრულობდა, რომ არმიისათვის საჭირო იარაღს ინგლისელებისაგან შეიძენდა. ინგლისის უმაღლესი კომისრის პერსონალი ინგლისის

---

[39] E. Main, დასახ. ნაშრ., გვ. 99.

[40] ამ ხელშეკრულების ტექსტი გამოქვეყნებულია რუსულადაც (იხ. И. Левин, Ирак. М., 1937).

საელჩოდ უნდა გარდაქმნილიყო, ხოლო თვით უმაღლეს კომისარს კი ინგლისის ელჩის სახელწოდება უნდა მიეღო[41].

ერაყის მეფე ფაისალი და მმართველი დინასტია, მხარს უჭერდნენ ახალ ხელშეკრულებას და ყოველი საშუალებით ცდილობდნენ მისი რატიფიცირების დაჩქარებას[42]. ერაყის მეფე ფაისალ I თვლიდა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა წარმოადგენდა დაბრკოლებას ქვეყნის დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე[43].

როდესაც ახალი ხელშეკრულების შინაარსი ცნობილი გახდა ერაყის ფართო საზოგადოებისათვის, იგი გახდა ოპოზიციური პარტიების სასტიკი კრიტიკის ობიექტი. პატრიოტულად განწყობილი ერაყის ადგილობრივი პრესა გმობდა ახალ ხელშეკრულებას, როგორც ქვეყნის სუვერენიტეტისათვის შეუფერებელს და აღნიშნავდა, რომ დაპირებული დამოუკიდებლობა მოჩვენებით ხასიათს ატარებსო[44]. განსაკუთრებით დიდ უკმაყოფილებას იწვევდნენ ხელშეკრულების ის მუხლები, რომლებიც ეხებოდნენ ერაყის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების შექმნას

როგორც კი ხელი მოაწერეს ინგლის-ერაყის ხელშეკრულებას ქვეყნის შიგნით, ერაყის პოლიტიკურ წრეებში მოხდა ახალი გადაჯგუფება, წარმოიშვა და შეიქმნა ახალი ბურჟუაზიულ-ნაციონალური პარტიები, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ ქვეყანაში დაწყებულ ანტინგლისურ მოძრაობას.

ერაყის მოსახლეობის დიდ ნაწილს გლეხობა შეადგენდა. მუშათა კლასი მცირერიცხოვანი იყო და ქალაქის მოსახლეობის ძირითად მასას ხელოსნები და წვრილი ვაჭრები შეადგენდნენ. მათ გარდა ქალაქის მოსახლეობას მიეკუთვნებოდა აგრეთვე ბურჟუაზიულ-ფეოდალური ინტელიგენცია (ექიმები, იურისტები, მასწავლებლები, სტუდენტები და სხვა) მოსახლეობის ეს ფენა ასრულებდა დიდ როლს ერაყის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მრავალი მათგანი გაერთიანებული იყო ერაყის მაშინდელ ბურჟუაზიულ პარტიებში.

ერაყის საზოგადოების პრივილეგირებულ ზედა ფენას მსხვილმიწათმფლობელთა კლასი და მასთან დაკავშირებული სავაჭრო ბურჟუაზია წარმოადგენდა. სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგენლები ეროვნებით არაბები იყვნენ, რელიგიით კი სუნიტები. ქვეყნის ეკო-

---

[41] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრ., გვ. 183; P. W. Ireland, Iraq, L., 1937. გვ. 396.

[42] عبد الرزاق الحسني، تأريخ العراق...، ج. ٣، ص. ٩٨.

[43] ١٩٣١، ١٠، ٣، بغداد، «العلام العرب»

[44] M. Khadduri, დასახ. ნაშრ., გვ. 36.

ნომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებას კონტროლს ინგლისელები უწევდნენ. ისინი ერთის მხრივ, ეყრდნობოდნენ ადგილობრივ ფეოდალებს, შიიტი შეიხებისა და ქურთი აღების სახით. ხოლო მეორეს მხრივ, კომპრადორულ ბურჟუაზიას, რომლის წარმომადგენლები მეტწილად ქრისტიანები და იუდეველები იყვნენ.

სამანდატო რეჟიმის უკანასკნელი წლები აღინიშნა შიიტიზმის როგორც გარკვეული პოლიტიკური ოპოზიციის აღორძინება. ისლამის შიიტური მიმდევრები ერაყის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ, ხოლო ქვეყნის მართვის სადავეები ინგლისელებმა სუნიტურ ფეოდალურ ხროვას ჩაუგდეს ხელში. შიიტები მოითხოვდნენ თანაბარი უფლებების მინიჭებას ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების წარმართვაში. მათ უკვე აღარ აკმაყოფილებდათ მთავრობის შემადგენლობაში მათი ერთი ან ორი წარმომადგენლის შეყვანა. შიიტი რელიგიური ხელმძღვანელობა ეყრდნობოდა თავის მრავალრიცხოვან თანამორწმუნეებს — ევფრატის შუა წელზე მოსახლე არაბულ ტომებს, მუნთაფიკის ანტინგლისურად განწყობილ შეიხებსა და სეიდებს. ამ ერთი მუჭა პრივილეგირებული სუნიტურ ზედა ფენისა და პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდების სურვილით შეპყრობილ შიიტ მუჯთაჰიდების შორის არსებულმა წინააღმდეგობამ გარკვეული როლი შეასრულა ერაყის პოლიტიკურ განვითარებაში.

მართველი კლასის ცალკეული ჯგუფები ერთიანდებოდნენ ამა თუ იმ პოლიტიკური ლიდერის გარშემო და ქმნიდნენ ე. წ. პარტიებს, რომლებიც თავიანთ რიგებში სულ რამდენიმე ათეულ კაცს ფლობდნენ. არცერთ „პარტიას“ არა ჰქონდა გარკვეული პროგრამა ანდა წესდება, არა ჰქონდათ ორგანიზაციული აპარატი და თავის მოღვაწეობას ძირითადში ბაღდადით შემოფარგლავდა. პროვინციებში მათ შესახებ თითქმის არაფერი იცოდნენ. ამიტომაც ეს „პარტიები“ მალე ყალიბდებოდნენ და ასევე იშლებოდნენ. ისინი იბრძოდნენ არა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის და ხალხის კეთილდღეობისათვის, არამედ მხოლოდ მთავრობაში და სხვა სახელმძღვანელო თანამდებობებზე მოხვედრისათვის.

ყოველივე ეს ხელს უწყობდა მათ სრულ იზოლირებას ერაყის მშრომელი მასებისაგან და ამიტომაც ინგლისის სამანდატო ხელისუფლებისათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა მათი კანონგარეშე გამოცხადება.

კანონი პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნის შესახებ გამოიცა კონსტიტუციის გამოქვეყნებამდე კარგა ხნით ადრე (1922 წლის ზაფხულში). მაშინ ერაყში ჩამოყალიბდა სამი პარტია: „ჰიზბ ალ-ვატანი ალ-ერაყი“ („ერაყის ეროვნული პრტია“), „ჰიზბ ან-ნაჰდა ალ-ერაყია“ („ერაყის აღორძინების პარტია“) და „ჰიზბ ალ-ჰურრ

ალ-ერაყი“ („ერაყის თავისუფლების პარტია“). პირველი ორი წარმოადგენდა მემარცხენე არაბ ნაციონალისტთა ინტერესებს და ხელმძღვანელობდა ერაყის მოსახლეობის ანტიინგლისურ გამოსვლებს, ხოლო მესამე მხარს უჭერდა მთავრობის პოლიტიკას და აერთიანებდა პროინგლისურად განწყობილ შეიხებსა და ფეოდალებს[45]. მემარცხენე ნაციონალისტთა პარტიებმა ერთი თვეც არ იარსებეს, ისინი ინგლისის უმაღლესმა კომისარმა პერსი კოქსმა კანონგარეშე გამოაცხადა[46]. როდესაც ერაყის დამფუძნებელი კრება აიძულეს მოეწონებინა ინგლის-ერაყის 1922 წლის კაბალური ხელშეკრულება, ინგლისის უმაღლესმა კომისარმა კვლავ ნება დართო პარტიების შექმნას.

აქედან მოყოლებული პარტიების ჩამოყალიბება დაკავშირებული იყო მთავრობის შეცვლასთან. ყოველი პრემიერ მინისტრი თავისი ხელისუფლების დასაყრდენად ქმნიდა პარლამენტარულ პარტიას, ხოლო მისი მოწინააღმდეგეები კი ოპოზიციურ პარტიებში ერაიანდებოდნენ. ასე მაგალითად, 1925 წლის 16 ივლისს ერაყის მთავრობის თავმჯდომარემ ას-საადუნმა დააარსა ახალი პოლიტიკური პარტია „თაკადდუმ“ („პროგრესი“), ხოლო მემარცხენე არაბ ნაციონალისტთა ერთ-ერთმა ლიდერმა იასინ ალ-ჰაშიმიმ პარლამენტში შექმნა მთავრობის ოპოზიციური პარტია „აშ-შაბი“ („სახალხო პარტია“)[47]. ამის ანალოგიურად 1930 წელს, ინგლის-ერაყის ახალი კაბალური ხელშეკრულებისათვის მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით, ნური საიდმა შექმნა უკიდურესი მემარჯვენე პარტია „ალ-აჰდ ალ-ერაყია“ („ერაყის აღქმის პარტია“), ხოლო ინგლის-ერაყის 1930 წლის ხელშეკრულების მოწინააღმდეგე მემარცხენე ნაციონალისტებმა შექმნეს ორი ოპოზიციური პარტია: „ჰიზბ ალ-იხაუ ალ-ვატანი“ (ერაყის ძმობის პარტია“ და „ჰიზბ ალ-ვატანი ალ-ერაყია“ („ერაყის ეროვნული პარტია“). შემდგომში ორივე პარტიამ შექმნა გაერთიანებული ფრონტი ერაყის პარლამენტში[48].

---

[45] დაწვრილებით ამ პარტიების მოღვაწეობის შესახებ იხ. მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი. ერაყელი ხალხის ბრძოლა ინგლის-ერაყის 1922 წლის კაბალური ხელშეკრულების წინააღმდეგ „საქართველოს სსრ მეცნ. აკად. საზოგად. მეცნ. განყოფილების მოამბე“, 1963, № 4, გვ. 155—158.

[46] عبد الرزاق الحسنى، تأريخ الوزارات...، ج ١، ص. ٨٣.

[47] عبد الرزاق الحسنى، تأريخ الصحافة العراقية، ج. ١، صيدا، ١٩٥٧، ص. ٧٠-٧١.

[48] عبد الرزاق الحسنى، العراق فى دورى الاحتلال و الانتداب، صيدا، ١٩٣٧، ج. ٢، ص. ٢٥٥.

მსხვილი ბურჟუაზიისა და მემამულეების მრავალმა წარმომადგენელმა სულ მალე გაწყვიტა კავშირი მემარცხენე პარტიებთან და გადაიქცნენ კომპრადორებად. ისინი აქტიურად უწყობდნენ ხელს ინგლისის იმპერიალისტური გეგმების განხორციელებას.

მიუხედავად ამისა ერაყის მეფე ფაისალისა და ნური ას-საიდისათვის ნათელი იყო, რომ შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში პარლამენტი უარყოფდა ხელშეკრულებას, ამიტომ 1930 წ. 1 ივლისს მათ დაითხოვეს იგი და დანიშნეს პარლამენტის ახალი არჩევნები[49]. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ახალი არჩევნების დროს შეძლებდნენ პარლამენტში ახალი ხელშეკრულების მომხრეების გაყვანას. ჯერ კიდევ არჩევნებამდე ხალხისათვის ნათელი იყო მისი შედეგები, რადგანაც ნური ას-საიდმა მიიღო ყველა ზომა არჩევნების გაყალბებისათვის.

ოპოზიციური პარტიების ლიდერებმა აბუ-ათ-თიმანმა და იასინ ალ-ჰაშიმიმ მოუწოდეს ხალხს გამოეცხადებინათ არჩევნებისათვის ბოიკოტი[50]. მაგრამ პოლიციელები ძალით იჭერდნენ ამომრჩევლებს ქუჩაში, მიჰყავდათ ისინი საარჩევნო ყუთებთან და აიძულებდნენ ხმა მიეცათ მთავრობისათვის სასურველ კანდიდატებისათვის. იმისათვის, რომ გაეწია კონტროლი არჩევნებისათვის და თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტა მისი შედეგები, ნური ას-საიდმა დაიკავა აგრეთვე შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაც. მაშინ ოპოზიციის მეთაურებმა მიმართეს ერაყელებს მოწოდებით დაეწყოთ საყოველთაო გაფიცვა 1930 წლის 22 სექტემბერს[51]. ნური საიდმა დააპატიმრა გაფიცვის ხელმძღვანელები. სასამართლომ მათ მიუსაჯა პატიმრობა სხვადასხვა ვადით. არჩევნების ბიოკოტმა სასურველ შედეგებს მხოლოდ სამარაში მიაღწია. არჩევნები დამთავრდა 1930 წლის ოქტომბერში.

ამასთან დაკავშირებით ინგლისის უმაღლესი კომისარი წერდა: ყველა პოლიტიკური მოღვაწე ერაყში ჩვენი და ხელშეკრულების მოწინააღმდეგეა... ჩვენ რომ არ მიგვეღო საგანგებო ზომები არჩევნების დროს, ვერ მივიღებდით ისეთ პარლამენტს, რომელიც მოიწონებდა ხელშეკრულებას[52]. ახალი პარლამენტი შეიკრიბა 1930 წლის 1 ნოემბერს[53]. რატიფიცირების დროს გამართულ სხდომაზე გამოვიდნენ ოპოზიციის დეპუტატები, რომლებიც აკრიტიკებდნენ ახალ ხელშეკრულებას, როგორც ინგლისის იმპერიალიზმის იარაღს. ხელშეკრულების მოწონება, აღნიშნავდნენ ისინი, იქნება სამუდამო

---

[49] იქვე, გვ. 211.

[50] M. Khadduri, დასახ. ნაშრ., გვ. 36.

[51] Фарман Ганб, Ирак в годы черного режима, М., 1958, გვ. 25.

[52] „Daily Telegraph", 13 ნოემბერი, 1930 წ.

[53] عبد الرزاق الحسني، العراق في دوري...، ص. ٢١١

სასირცხვილო ლაქა[54]. მიუხედავად ამისა ინგლის-ერაყის ახალი ხელშეკრულება რატიფიცირებულ იქნა. პარლამენტის სხდომაზე მყოფი 82 დეპუტატიდან, 69 კაცმა ხმა მისცა ხელშეკრულებას, ხოლო 13-მა წინააღმდეგ. სენატში კი 16 სენატორიდან 11 მხარი დაუჭირა ხელშეკრულებას, 5 კი იყო წინააღმდეგი[55]

ამრიგად, პროინგლისურად განწყობილი ერაყის ბურჟუაზიულ-მემამულურ წრეების დახმარებით, ინგლისელებმა თავს მოახვიეს ერაყს ახალი კაბალური ხელშეკრულება.

ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ ერაყში გაძლიერდა ინგლისელთა ბატონობის მოწინააღმდეგეთა პოლიტიკური რეპრესიები და დევნა. ნური საიდს სურდა საბოლოოდ გაეტეხა ერაყელ პატრიოტთა წინააღმდეგობა. მთელ ქვეყანას გადაუარა გაფიცვების ახალმა ტალღამ, როდესაც მთავრობამ გამოსცა კანონი ადგილობრივი გადასახადების შესახებ[56]. მუშაობა შეწყვიტეს ბაღდადის, ბაკუბის, კუთის, ქერბელის, ნეჯეფისა, კუფის, რამადიისა და ერაყის სხვა ქალაქების მშრომელებმა. გაფიცვა 14 დღეს გაგრძელდა. საგაფიცვო მოძრაობა თანდათან გადაიზარდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელიც მიმართული იყო ინგლისის სამანდატო ხელისუფლებისა და მისი ხელქვეითი ნური საიდის მთავრობის წინააღმდეგ.

გაფიცულმა ხალხმა ერაყის მთავრობას წაუყენა შემდეგი მოთხოვნები: 1. გაეუქმებინა ახლად შემოღებული გადასახადები ან შეემცირებინა ისინი. 2. განეხილა უმუშევრობის პრობლემა, 3. გაეუქმებინა კანონი საშემოსავლო გადასახადის შესახებ, 4. გაენთავისუფლებინა პატიმრობიდან წინა გაფიცვის მონაწილეები, 5. დაეგმო პოლიციის მოქმედება და ეცნო სიტყვის თავისუფლება.

პასუხად ნური საიდმა ბრძანა ძალით ჩაეხშოთ სახალხო მოძრაობა. პოლიციამ მიიღო განკარგულება ესროლა ხალხისათვის. ღამით 11-დან 12 ივლისს ბაღდადისა და მუნთაფიკის ლივებში მოხდა სისხლის ღვრა. გაფიცვები მოედო ქ. ბასრასაც. აქ გაგზავნილ იქნა ჯარის სპეციალური ნაწილები[57]. ამ რეპრესიების პროტესტის ნიშნად მთავრობის ზოგიერთი წევრი გამოვიდა მისი შემადგენლობიდან. სახალხო მოძრაობის ახალი აზვირთების შედეგად ნური ას-საიდი იძულებული იყო გადამდგარიყო.

---

[54] M. Khadduri, დასახ. ნაშრ., გვ. 36.

[55] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრ., გვ. 184; M. Khadduri, დასახ. ნაშრ., გვ. 36.

[56] გადასახადები გაადიდეს 50%-ით (იხ. „Baghdad Times", 10 იანვარი 1931 წ.).

[57] Report by H. B. M. government in the United kingdom of Great Britain and Northern Ireland to the Council of the League of Nation on the administration of Iraq for the year 1931, L., 1932, გვ. 7).

ინგლის-ერაყის ხელშეკრულების რატიფიცირების[58] შემდეგ 1931 წლის. 30 ოქტომბერს იგი განიხილა ერთა ლიგის სამანდატო კომისიამ.

როგორც მოსალოდნელი იყო, სამანდატო კომისიამ აღნიშნა, რომ ინგლის-ერაყის ახალი ხელშეკრულება სრულიად არ ეწინააღმდეგებოდა ერაყის დამოუკიდებლობის სტატუსს[59]. 1932 წლის 3 ოქტომბერს ერაყი ოფიციალურად მიიღეს ერთა ლიგის წევრად. სამანდატო რეჟიმი ერაყში დამთავრდა. ერაყი ფორმალურად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცა. ერთა ლიგაში შესვლისას ერაყის მთავრობას ხელი მოაწერინეს დეკლარაციაზე „დამოუკიდებლობის შესახებ". ეს დეკლარაცია აკისრებდა ერაყს მთელ რიგ ვალდებულებებსა და გარანტიებს.

ეს გარანტიები ეხებოდა ერაყის ეროვნულ უმცირესობას, იურიდიულ ადმინისტრაციას და სხვა სახელმწიფოებთან სავაჭრო ურთიერთობას.

ეს ე. წ. გარანტიები საშუალებას აძლევდა ერთა ლიგას ჩარეულიყო ერაყის საშინაო საქმეებში. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ერაყში მართმსაჯულება როგორც უცხოელებისათვის, ისე ადგილობრივ მოსახლეობისათვის თანაბარ პირობებში უნდა წარმოებულიყო[60]. ამავე დროს ინგლისსა და ერაყს შორის ხელმოწერილი იურიდიული შეთანხმების თანახმად ერაყის სასამართლოში მოსამართლეებად უნდა ყოფილიყვნენ ინგლისელებიც. ერაყის სასამართლო ორგანოებში ინგლისელი მოსამართლეები (ასეთი სულ 9 კაცი იყო) მსახურობდნენ სპეციალური კონტრაქტების საფუძველზე[61].

ერაყი ვალდებული იყო ეცნო ყველა ხელშეკრულება, რომელიც დადო ინგლისმა ერაყის სახელით, ყველა ძველი ფინანსური ვალდებულებები და უფლებები, რომლებიც მიღებული ჰქონდათ უცხო კომპანიებს ერაყში და ა. შ. აღნიშნული გარანტიების შეცვლა არ შეიძლებოდა ერთა ლიგის საბჭოს უმრავლესობის თანხმობის გარეშე[62].

---

58 სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა ბაღდადში 1931 წ. 26 იანვარს (იხ. „Special report...", გვ. 20).

59 „Memorandum on the termination of the mandatory regime in Iraq. Issued by the Information Department, Royal Inst. of Int. Aff.", L., 1932. გვ. 8.

60 იქვე, გვ. 9.

61 სამანდატო კომისიამ მოითხოვა რომ ეს მოსამართლეები აერჩიათ ეროვნების განურჩევლად. ინგლისის მთავრობამ სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება, რადგანაც, არცერთ ევროპულ ქვეყანას, ინგლისის გარდა არა ჰყავდა მოსამართლე, რომელმაც იცოდა არაბული ენა.

62 E. Main, დასახ. ნაშრ., გვ. 109.

ამრიგად, ინგლის-ერაყის 1930 წ. ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა ორივე სახელმწიფოს ურთიერთ ვალდებულებას, იგი ერაყის მიერ ინგლისის წინაშე ცალმხრივად ნაკისრ ვალდებულების შესახებ არსებულ ხელშეკრულებას უფრო წარმოადგენდა.

ფრანგი იურისტი ნოლდი, რომელიც ერაყს თვლიდა „ბრიტანეთის იმპერიალიზმის ხელოვნურ შემონაქმედად", წერდა, რომ ინგლისმა „ისარგებლა სამანდატო რეჟიმის დამთავრებით რათა გადაექცია ერაყი თავისი პოლიტიკის ნამდვილ სატელიტად, თეორიულად, უბოძა მას სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა"[63].

იგივე ნოლდი აღნიშნავდა, რომ ქვეყნის მოჩვენებითი დამოუკიდებლობა სრულებითაც არა ზღუდავდა ინგლისელებს[64]. 1930 წ. ხელშეკრულებით დიდი ბრიტანეთის ინტერესები ერაყში ისევე მტკიცედ იყო გარანტირებული, როგორც 1922 წ. ხელშეკრულებით[65].

თუ რამდენად ფორმალური იყო ერაყის მიერ 1932 წ. მიღებული დამოუკიდებლობა კარგად ჩანს შემდეგი ფაქტიდან. ერაყში 1932 წ. ე. ი. დამოუკიდებლობის პირველ წელს, ინგლისელები განაგებდნენ პოლიციის უფროსის, პოლიციის ინსპექტორის, საბაჟოების სამმართველოების დირექტორის, გენერალურ რევიზორის, სოფლის მეურნეობის, შემოსავლისა და სახელმწიფო მიწების, გეოდეზიის, ირიგაციის, რკინიგზების, ვეტერინარიის დეპარტამენტების დირექტორების, ბასრის ნავსადგურის სამმართველოს უფროსის, ჯანმრთელობის ინსპექტორის, გზათა და საზოგადოებრივი სამუშაოთა მინისტრის მრჩეველის, მთავარი გეოლოგისა და სხვა სახელმძღვანელო თანამდებობებს[66].

ამრიგად, 1930 წ. ხელშეკრულებამ დააკანონა ერაყის შემდგომი ოკუპაცია, სამანდატო რეჟიმის დასასრულს ინგლისის უმაღლესი კომისარი ითვლებოდა უცხოეთის განსაკუთრებულ პრივილეგირებულ წარმომადგენლად, ხოლო ერაყის ერთა ლიგაში მიღების შემდეგ ინგლისის უმაღლესმა კომისარმა დაიკავა ერაყში ინგლისის ელჩის თანამდებობა[67]. მიუხედავად ამისა იგი კიდევ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ერაყის საშინაო და საგარეო საკითხების გადაჭრაში.

ფაქტიურად შეუძლებელი იყო ერაყში ამ თუ იმ მთავრობის შედგენა მისი თანხმობის გარეშე. იგი ესწრებოდა მთავრობის სხდომებს და აძლევდა მას თავის „რჩევებს"[68]. ერაყის სახელმწიფო აპა-

---

[63] E. Nolde, L'Irak, Paris, 1934, გვ. 235.

[64] იქვე, გვ. 236.

[65] J. Jones, La fin du mandat français en Syrie et an Lyban, Paris, 1931, გვ. 63.

[66] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრ., გვ. 226.

[67] E. Main, დასახ. ნაშრ., გვ. 100.

[68] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრ., გვ. 226.

რატში მრავლად იყვნენ ინგლისელი მრჩეველები, მოხელეები და ე. წ. სპეციალისტები. ინგლისის სამხედრო მისია კონტროლს უწევდა ერაყის არმიას.

ინგლის-ერაყის ხელშეკრულება და დეკლარაცია დამოუკიდებლობის შესახებ თავს აბვევდა ერაყს ისეთ ვალდებულებებს, რომლებიც საშუალებას უსპობდნენ ერაყს გაეტარებინა დამოუკიდებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ხელშეკრულება ითვალისწინებდა გადაექცია ერაყი დიდი ბრიტანეთის საიმპერიო ინტერესების დამცველად ახლო აღმოსავლეთში. ასე, რომ ინგლისის იმპერიალიზმმა შეინარჩუნა ყველა აუცილებელი საშუალებები და პირობები დამოუკიდებელ ერაყზე ზემოქმედებისა და მისი საქმეების კონტროლისათვის.

ამიტომ, ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილება მიეცა ერაყისათვის დამოუკიდებლობა იმას როდი ნიშნავდა, რომ ინგლისი, როგორც მანდატის მფლობელი უარს აცხადებდა თავის ინტერესებზე და უფლებებზე.

სამანდატო რეჟიმის წლებში ინგლისი ბევრჯერ ცდილა მოეძებნა შესაბამისი ბაზისი ინგლის-ერაყის შემდგომი ურთიერთობისათვის. ასეთი ბაზისი მან ჰპოვა ინგლის-ერაყის 1930 წ. ხელშეკრულების სახით. ერაყს მეტად ხელსაყრელი ადგილი ეკავა ერთის მხრივ ინდოეთის, და მეორე მხრივ ინგლისის მიერ ოკუპირებულ არაბულ ქვეყნების (ეგვიპტე, პალესტინა და სხვა) მიმართ. ინგლისის იმპერიალიზმისათვის გაცილებით უფრო ხელსაყრელი იყო დაეცვა თავისი საიმპერიო გზები „მოკავშირე" ერაყის არმიის დახმარებით, ვიდრე ერაყის მუდმივი ოკუპაციისა და მის მოსახლეობასთან გაუთავებელი ბრძოლების გზით.

მაგრამ ერაყში ინგლისის სამანდატო რეჟიმის გაუქმება მაინც ცვლიდა ბევრ რამეს ერაყის საშინაო მდგომარეობაში.

შინაგანი საქმეების მართვის საქმეში ერაყმა მიიღო უფრო მეტი თავისუფლება, გაფართოვდა ქვეყნის დამოუკიდებელი განვითარების შესაძლებლობა, შეიქმნა უფრო ხელშემწყობი პირობები ანტიიმპერიალისტური ბრძოლის შემდგომი განვითარებისათვის, ერაყის მუშათა კლასის შემჭიდროებისა და მისი თვითშეგნების ზრდისათვის. თავისთავად, რა თქმა უნდა ფორმალურად ბოძებული დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ ნამდვილ დამოუკიდებლობას როდი ნიშნავდა. ამიტომაც ერაყელი ხალხი შემდგომშიც არა ერთხელ გამოსულა ინგლისის იმპერიალიზმისა და მისი მოკავშირე ერაყის მმართველი დინასტიის — ჰაშიმელთა ბატონობის წინააღმდეგ.

А. МЕНТЕШАШВИЛИ

АНТИИМПЕРИАЛИСТИЧЕСКОЕ ДВИЖЕНИЕ В ИРАКЕ В КОНЦЕ АНГЛИЙСКОГО МАНДАТНОГО РЕЖИМА

Резюме

Подъем национально-освободительного движения в Ираке в последние годы английского мандата был вызван с одной стороны влиянием начавшегося мирового экономического кризиса, а с другой все более растущим стремлением иракского народа освободиться от оков английского империализма.

Несмотря на многочисленные антианглийские демонстрации и выступления иракского народа, английскому империализму, с помощью иракской правящей династии и компрадоров, удалось в 1930 г. навязать Ираку новый кабальный договор, который должен был заменить английский мандат.

Хотя Ирак и формально был объявлен независимым государством, тем не менее, отмена английского мандата расширяло возможность независимого развития Ирака, создавало условия для сплочения иракского рабочего класса и развития его самосознания, а также дальнейшего подъема антианглийского движения в стране.

ნ. კომახიძე

1945 წლის აგრარული რეფორმა თურქეთში და მისი სოციალური არსი

აგრარული საკითხი თანამედროვე აღმოსავლეთის არასოციალისტურ ქვეყნებში ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და გადაუჭრელი პრობლემაა. დღეს, ისევე როგორც მრავალი ათეული წლის წინათ, ფეოდალური ურთიერთობის გადმონაშთები სოფლად და მემამულეობა მონოპოლია მიწაზე უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხობის ბატონყმური ექსპლოატაციის ამოსავალს წარმოადგენს. იგი მშრომელი გლეხობის ფართო მასების უკიდურესი სიღატაკის, სოფლის მეურნეობის ტექნიკური ჩამორჩენილობისა და არაპროდუქციულობის, სოფლის კულტურული დაქვეითების ძირითადი მიზეზია.

გლეხობა საზღვარგარეთის აღმოსავლეთის ქვეყნების მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენს და, ეჭვს გარეშეა, რომ გლეხურ მეურნეობათა რუტინული, ზოგ შემთხვევაში პირველყოფილი ხასიათი ამ ქვეყნების ეკონომიურ პროგრესს გადაულახავ ღაბრკოლებებს უქმნის. ამდენად „ამ ქვეყნებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს გლეხობის საკითხის გადაჭრას, რომელიც უშუალოდ ეხება მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ინტერესებს. ღრმა აგრარული გარდაქმნების განუხორციელებლად არ შეიძლება გადაიჭრას სასურსათო პრობლემა. აღიგავოს შუა საუკუნეების ყველა ნაშთი, რომლებიც ბოჭავენ საწარმოო ძალების განვითარებას სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში"[1].

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აღმოსავლეთის არასოციალისტური ქვეყნების მმართველი წრეები, ისტორიული სინამდვილის მათთვის არახელსაყრელი განვითარების გამო, იძულებული შეიქნენ გაეტარებინათ ზოგიერთი აგრარული გარდაქმნა და გლეხობის მი-

---

1 განცხადება კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირისა, რომელიც გაიმართა მოსკოვში 1960 წლის ნოემბერში. სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1961, გვ. 66.

მართ გარკვეულ დათმობაზეც წასულიყვნენ მემამულური მიწათმფლობელობის უმნიშვნელო შეზღუდვის ხარჯზე. მაგრამ ამასთან ისინი ყველა ძალას ახმარდნენ იმას, რომ მინიმუმამდე დაეყვანათ ეს დათმობები და აგრარული რეფორმები განეხორციელებინათ ძველი ქონებრივი ურთიერთობების ცვლილებების გარეშე.

ომის შემდგომ წლებში აღმოსავლეთის არასოციალისტურ ქვეყნებში „ზემოდან" გატარებული აგრარული რეფორმები გვიჩვენებენ, რომ მმართველ წრეებს ძალა არ შესწევთ და არც არიან მოწადინებული აგრარული საკითხი გლეხობის ფართო მასების სასარგებლოდ გადაწყვიტონ.

ზემოაღნიშნულის ერთ-ერთი მკაფიო დადასტურებაა ბურჟუაზიული თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ 1945 წლის 11 ივნისს მიღებული კანონი „მიწათმოქმედთათვის მიწის გამოყოფის თაობაზე"[2]. კანონის სოციალური არსის ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ მის მნიშვნელობასა და რეალურ შედეგებზე.

დღევანდელი თურქეთი აგრარული ქვეყანაა სუსტად განვითარებული მრეწველობით. მისი მოსახლეობის 80% სოფლის მეურნეობასთან არის დაკავშირებული[3]. თურქეთის სოფელი იძლევა სახელმწიფო შემოსავლის 90%-ს და საექსპორტო საქონელწარმოების 75%-ს[4], სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ქვეყნის სავაჭრო ბალანსის 67% მოდის.

თურქეთის გლეხობას დიდი დამსახურება მიუძღვის თავისი სამშობლოს წინაშე.

ანტიიმპერიალისტური ბრძოლის წლებში მან თავის მხრებზე იტვირთა სამშობლოს განთავისუფლების მძიმე და საპატიო ამოცანა, მაგრამ გლეხთა მოძრაობა არ გადაიზარდა მძლავრ აგრარულ რევოლუციაში, იმის გამო, რომ სახალხო მოძრაობას არ ხელმძღვანელობდა თურქეთის იმ დროისათვის სუსტი პროლეტარიატი. თურქეთის მუშათა კლასის მცირერიცხოვნობითა და სისუსტით ისარგებლა სავაჭრო ბურჟუაზიამ, რომელმაც თავის გავლენას დაუქვემდება-

---

[2] „Çiftçiyi topraklandırma kanunu". Kanun N 4753. Kabul tarihi 11 Haziran 1945. ტექსტი იხილე Tevfik Tiğli. Toprak ve Çiftçi. İstanbul, 1945, s. s. 25—47.

[3] Hasan Reşit Tankut. Köy ve kalkınma, Ankara, 1960, s. 7.

[4] Halük Cillov. 1960 yılında zirai istihsalımız. „İktisat ve Maliye", 1961, N 11, s. 548.

რა თურქი გლეხობა და მისი ბრძოლა მხოლოდ უცხოელი ინტერვენტების განდევნის ამოცანებით შემოფარგლა[5].

ომის წლებში განუზომლად გაიზარდა უმიწო და მცირემიწიან გლეხთა რაოდენობა, მეორეს მხრივ, ომმა ხელი შეუწყო მიწების დიდი მასივების კონცენტრაციას ერთი მუჭა მემამულეებისა და სოფლის კულაკების (აღების) ხელში.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შემდეგ დაისვა გაპარტახებული ეკონომიკის — უპირველეს ყოვლისა სოფლის მეურნეობის აღორძინების ამოცანა. რესპუბლიკურ მთავრობას კარგად ესმოდა, რომ სოფლის მეურნეობის აღდგენა და განვითარება უშუალო კავშირში იყო მთავრობის აგრარულ პოლიტიკასთან, რადგან გლეხობა წამყვან ფიგურას წარმოადგენდა ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში. მთავრობა არ შეიძლებოდა არ დაინტერესებულიყო გლეხობის საკითხით აგრეთვე იმიტომაც, რომ სოფლის სახით მისთვის აუცილებელი იყო არსებული რეჟიმისათვის პოლიტიკური მოკავშირის შეძენა. „გლეხი თურქეთის ნამდვილი და სრულუფლებიანი ბატონპატრონია — განაცხადა ახალი თურქეთის ბელადმა მუსტაფა ქემალმა მეჯლისის სხდომაზე 1922 წლის 1 მარტს — ამის გამო გლეხობას სხვებზე მეტი უფლება აქვს ბედნიერებასა და კეთილდღეობაზე. ამ საფუძველზე თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა ამ ძირითადი ამოცანის მიღწევისაკენ უნდა იყოს მიმართულიო"[6].

მთავრობის ოფიციოზი, გაზეთი „ჰაკიმიეთი მილიე", 4 დღის შემდეგ წერდა, „ეს სიტყვები ჩვენი ისტორიის ახალ პერიოდს ხსნიან. ამ დღიდან თურქეთის გლეხობა, რომელიც თურქეთის მოსახლეობის ძირითად ელემენტს შეადგენს... მთავრობის სახელმწიფო პოლიტიკის ღერძი იქნება"[7]. მიუხედავად გლეხობის როლის ესოდენ მაღალი შეფასებისა, მთავრობის აგრარული პოლიტიკა არ გასცილებია ბუნდოვან დაპირებათა ფარგლებს და რესპუბლიკური თურქეთის აგრარული კანონმდებლობა ძირითადად მემამულეებისა და კულაკობის ინტერესების დაცვისაკენ იქნა მიმართული.

უმიწო და მცირემიწიანი თურქი გლეხები იძულებული იყვნენ მემამულეთაგან იჯარით აეღოთ მცირე ნაკვეთები ე. წ. ორთაკჩილიკის სისტემის პირობით. ორთაკჩილიკი (მოზიარობა) ბურჟუაზიული ავტორების მტკიცებით გულისხმობს მემამულისა და გლეხის „ამხა-

---

[5] А. Д. Желтяков. Турецкое крестьянство — решающая сила в борьбе за национальное освобождение страны в 1918—1920 г. Л., 1955.

[6] АВП СССР. Фонд 132, опись 7, дело 86, папка 68, л. 30.

[7] „Hakimiyeti milliye," 5 mart, 1922.

ნაგურ თანამშრომლობას" მიწის დამუშავების საქმეში, როდესაც ერთი მხარე — მიწათმფლობელი—მემამულე, იძლევა მიწის ნაკვეთს, ხოლო მეორე — გლეხი საქმეში აბანდებს თავის სამუშაო ძალას, ზოგ შემთხვევაში კი მუშა-საქონელს და თესლეულს. სინამდვილეში ორთაკჩილიკის სისტემა ბატონყმური ექსპლოატაციის ნაირსახეობაა, რომელიც ფეოდალური წარსულიდან შემორჩა რესპუბლიკურ თურქეთს. თურქი ეკონომისტი ისმაილ ჰიუსრევი თავის წიგნში „თურქეთის სოფლის მეურნეობა" შემდეგნაირად განსაზღვრავს ორთაკჩილიკის არსს: „მიწათმფლობელი აძლევს გლეხს, რომელსაც ნაკვეთი არა ჰყოფნის ან კიდევ სრულიად უმიწაწყლოა, ნაკვეთს, თესლეულს, სამიწათმოქმედო იარაღებს ან კიდევ მხოლოდ მიწას. ზოგიერთ შემთხვევაში იგი აძლევს გლეხს სესხად ნაღდ ფულს ე. წ. „დახმარებას". მოსავლის აღების შემდეგ გაწეული ხარჯები ღაიფარება და მიწათმფლობელი იღებს წინასწარ განსაზღვრულ წილს. ამას მოზიარობა ჰქვია. მოზიარობის ფორმა სხვადასხვაგვარია რაიონისა და პროდუქტების სახეობის მიხედვით"[8]. მოზიარობის ყველაზე მძიმე ფორმებს თურქეთის აღმოსავლეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთში ეხვდებით. ორთაკჩილიკი რამდენიმე სახესხვაობად იყოფა იმისდა მიხედვით, თუ პროდუქციის რა ნაწილი მიაქვს მიწათმფლობელს. იარიჯილიკის სისტემით — მონახევრეს საქმეში შეაქვს არამარტო თავისი სამუშაო ძალა, არამედ აგრეთვე მუშა-საქონელი ან თესლეული, რის გამო მას პროდუქციის ნახევარი ეკუთვნის; მურაბაჯილიკის სისტემით მურაბაჯის მოსავლის მხოლოდ ერთი მეოთხედი ეკუთვნის, რადგან საქმეში მისი ფიზიკური შრომაა წარმოდგენილი, კე სიმჯილიკი — მიწის იჯარის სახეობაა, რომლის დროს მოიჯარე გლეხი მოსავლის ნაწილს იღებს წინასწარ სპეციალური შეთანხმების საფუძველზე.

ბურჟუაზიული თურქეთის ხელმძღვანელობა დიდხანს უარყოფდა თურქეთში აგრარული საკითხის არსებობას, მაგრამ 30-იან წლებში სოფლის მეურნეობის ხანგრძლივი კრიზისი აიძულებს სახელმწიფოს ლიდერებს ეძიონ მისი განმსაზღვრელი ფაქტორები და აღიარონ, რომ გლეხთა საკითხის გადაუჭრელად შეუძლებელია სოფლის მეურნეობის პროდუქციულობის გადიდება, ეკონომიური და სოციალური წინსვლის უზრუნველყოფა.

1937 წლიდან 1945 წლამდე (აგრარული რეფორმის მიღების წელი) სპეციალურმა კომისიებმა შეისწავლეს მიწათმფლობელობის მდგომარეობა თურქეთის 37 ვილაიეთში (201 კაზა და 16.839 სო-

---

[8] Ismail Hüsrev, Türkiye köy iktisadiyati, Ankara, 1955, s. 187.

ფელი) ე. ი. ქვეყნის მთელი ფართობის თითქმის 43%-ში[9]. შემოწმებით დადგენილ იქნა, რომ აღნიშნულ 37 ვილაიეთში სულ იყო დასამუშავებლად ვარგისი 64.840855 დენიუმი (0,1 ჰა) მიწა. აქედან არ მუშავდებოდა 4.910.831 დენიუმი, შესწავლილ ვილაიეთებში ცხოვრობდა 1.098.900 გლეხური კომლი და მიწები მიწათმფლობელთა სხვადასხვა კატეგორიებს შორის შემდეგნაირად იყო განაწილებული[10].

კომლთა რაოდენობა		მიწის რაოდ. (დენიუმებში)
ათასებში	% %-ში	
61.088	5,5	სრულებით არა აქვთ მიწა
244,828	22.6	აქვთ 1— 10
161,280	14,5	„ 10— 20
124,514	11,2	„ 20— 30
92,222	8,3	„ 30— 40
75,313	6,8	„ 40— 50
112,720	10,0	„ 50— 75
74.914	6,7	„ 75— 100
88,365	8,0	„ 100— 200
31,886	2,7	„ 200— 500
40.104	3,6	„ 500—1000
1.876	0,17	„ 1000 და ზევით
1.073.078	100	

მოყვანილი ციფრები მოწმობენ, რომ 1.073.078 კომლიდან 698.257 კომლს მეორე მსოფლიო ომის წინ არა ჰქონდა მიწის მინიმალური ე. წ. მშიერი ნორმაც კი (50 დენიუმი), რომელიც ეკონომისტთა გამოანგარიშებით აუცილებელი იყო 5 სულისაგან შემდგარი ოჯახის გამოსაკვებად. 61.088 კომლს სრულიად არ ჰქონდა მიწა, მაშინ როდესაც მსხვილი მემამულეები ათასობით ჰექტარ სავარგულებს ფლობდნენ.

ამგვარად, მეორე მსოფლიო ომის წინ თურქეთის სოფელში ჯერ კიდევ ძლიერი იყო მსხვილმემამულური საკუთრება, მაგრამ სოფლის მეურნეობაში საგრძნობლად გაიდგეს ფესვები კაპიტალისტურმა ურთიერთობებმა, თუმცა გლეხური მეურნეობების დიდი ნაწილი, რომელსაც ხორბალი, ქვაავი, სიმინდი და სხვა მარცვლეული კულტურა მოყავდა ჯერ კიდევ ნატურალურ ხასიათს ატარებდა, გაიზარდა სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგის — მარცვლეული მეურნეობის საქონლიანობა. მარცვლეული კულტურების საშინაო ბაზ-

[9] შემოწმების გარეშე დარჩა: სტამბოლის, იზმირის, არზრუმის, ყარსის, ვანის, სიირთის, მარდინის, რიზეს, აღრის, ერზინჯანისა და სხვა ვილაიეთები.

[10] Cihad Baban, Toprak davamız, „Cumhuriyet", 1 mart, 1945.

რის გაფართოებას ხელი შეუწყო საზოგადოებრივი შრომის განაწილებამ, სამრეწველო და ქალაქის მოსახლეობის ზრდამ, სოფლად კლასობრივი დიფერენციაციის გაძლიერებამ, რკინიგზების გაყვანამ, მარცვლეულის, ფქვილისა და მისი ნაწარმის იმპორტის აკრძალვამ, გლეხთა ნატურალური გადასახადების ფულადით შეცვლამ, სახელმწიფოს მიერ ხორბლის შესყიდვამ, სასოფლო-სამეურნეო ბანკის საკრედიტო პოლიტიკამ და სხვ.

გაიზარდა ასევე ტექნიკური და სამრეწველო კულტურების საქონლიანობა, სასაქონლო ურთიერთობის ელემენტებმა მესაქონლეობაშიც შეაღწიეს. თავი იჩინა სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციამ და მსხვილი კაპიტალისტური სამიწათმოქმედო მეურნეობების შექმნის ტენდენციამ (განსაკუთრებით დასავლეთ და სამხრეთ ანატოლიაში), რომლებიც პროდუქციას მხოლოდ ბაზრისათვის აწარმოებენ. ფართო გამოყენებას პოულობს მოიჯარეებისა და მოჯამაგირეების შრომა, შედარებით მეტად გამოიყენებიან სასოფლო-სამეურნეო მანქანები, თუმცა მათ ჯერ კიდევ არ აქვთ მოპოვებული სრული უპირატესობა. თურქეთის სოფლის მეურნეობის კაპიტალისტურ განვითარებას მოწმობს დაქირავებული სამუშაო ძალის გამოყენების ზრდა მემამულურ მეურნეობებში.

მაგრამ კაპიტალიზმი სოფლად ვითარდება ძალზე მძიმედ, რადგან მთავრობა ვერ ბედავდა რადიკალური აგრარული რეფორმის გატარებას, რითაც ხელს უწყობდა გლეხობის ექსპლოატაციის ნახევრადფეოდალური მეთოდების კონსერვაციას.

გლეხობის ექსპლოატაციის ნახევრად ბატონყმური ფორმები განაპირობებდნენ გლეხური მეურნეობების უკიდურეს ჩამორჩენილობასა და სიღატაკეს. გლეხი, რომელიც სხვის მიწაზე მუშაობდა, არ იყო დაინტერესებული და მატერიალურად არც შეეძლო გაეზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქციულობა, მოწინავე აგრონომიული მეთოდებით წარემართა მეურნეობა.

მეორე მსოფლიო ომის ბოლოს თურქეთში მიაღწიეს ცნობებმა იმის შესახებ, რომ ევროპის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკებში გატარებულ იქნა რადიკალური აგრარული რეფორმები. ამ ცნობებმა გლეხთა მოძრაობის ახალი აღმავლობა გამოიწვია. თურქი გლეხობა გადაჭრით მოითხოვდა მიწას და იმის უფლებას, რომ პირადად ესარგებლა თავისი შრომის ნაყოფით. აგრარულ კანონმდებლობაში გარკვეულ სიახლეთა შეტანა თურქეთის სამრეწველო ბურჟუაზიასაც აწყობდა, რომელიც საგრძნობლად გაძლიერდა მეორე მსოფლიო ომის წლებში და დაინტერესებული იყო ქვეყნის სამრეწველო განვითარებითა და საშინაო ბაზრის გაფართოებით.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება, რაც საფუძველს წარმოადგენდა ქვეყნის სამრეწველო განვითარებისათვის, შეუძლებელი იყო „მიწათმფლობელობის შუასაუკუნეობრივი ყანგმოკიდებული ფორმების ძალდატანებით დაუმსხვრევლად“[11], მიწისმფლობელობის სისტემის სათანადო გარდაქმნის გარეშე. შექმნილ ვითარებაში, პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის მოსაზრებები უკარნახებდნენ მთავრობას აგრარული კანონის მიღების აუცილებლობას. ინენიუს განცხადებით, დიდი ეროვნული კრების მიერ აგრარული კანონის მიღება მოსალოდნელი იყო უკვე 1944 წელს, მაგრამ პრეზიდენტის ვარაუდი არ აღმოჩნდა სწორი. ეს ნაბიჯი მხოლოდ მომდევნო წელს გადაიდგა.

როგორც თურქეთის სახელმწიფო მოღვაწეების განცხადებებიდან ჩანს აგრარული კანონის პროექტი მთავრობამ შეიმუშავა ჯერ კიდევ 1941 წელს მაგრამ მეჯლისში იგი შეტანილ იქნა განსახილველად მხოლოდ 1944 წლის ბოლოს. კანონპროექტის ირგვლივ მეჯლისის უამრავ კომისიასა და ქვეკომისიაში ცხარე კამათი გაიმართა. პროექტი კანონად დამტკიცდა 1945 წ. 11 ივნისს და 4 დღის შემდეგ შევიდა ძალაში. ახალი აგრარული კანონი 8 თავისა და 66 მუხლისაგან შედგებოდა.

კანონის საფუძვლიანი ანალიზის მიზნით მოგვყავს მისი ძირითადი დებულებების თარგმანი.

„კანონი მიწათმოქმედთათვის მიწის გამოყოფის შესახებ“

№ 4753 მიღების თარიღი: 11/VI 1945 წ.

თავი პირველი

საერთო მიმოხილვა

მუხლი პირველი. ძირითადი მიზნები, რომლებსაც ეს კანონი ისახავს, შემდეგია:

ა) გამოეყოთ ადგილ-მამული უმიწაწყლო ან მცირემიწიან გლეხებს და იმ პირებს, რომლებსაც სურთ ხელი მოჰკიდონ სოფლის მეურნეობას, იმ რაოდენობით, რაც საჭიროა მათი ოჯახების გამოსაკვებად და მეურნეობის ნაყოფიერების გასაზრდელად;

ბ) მიწათმოქმედებს, რომლებსაც აქვთ საკმაო ადგილმამული, მაგრამ არა აქვთ საკმაო წარმოების საშუალებანი მიეცემათ თანხები საცხოვრებლის ასაგებად ან შესაკეთებლად და აგრეთვე ინვენტარი და გამწევი ძალა;

[11] ვ. ი. ლენინი, სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის პირველ რევოლუციაში, თხზ., ტ. 19, გვ. 530.

გ) მიღწეულ უნდა იქნას ქვეყნის ყველა მიწების სისტემატური დამუშავება.

მუხლი მეორე: „ჩიფთლიკი“ ეწოდება სამიწათმოქმედო ან მეცხოველეობის მეურნეობას ან კიდევ ისეთ მეურნეობას სადაც მწარმოებლები ამუშავებდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს და ამ გზით ზრდიან მათ ღირებულებას. „ჩიფთჩი“ კი იმ პირებს ეწოდებათ, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე მისდევენ სოფლის მეურნეობას[12].

მუხლი მეოთხე: კანონში ჩამოთვლილია მიწები, რომლებიც საკარგულებს (Kültür arazi) წარმოადგენენ ტყეებს გარდა და შეიძლება მათი გამოყენება მიწათმოქმედებაში. ესენია: ველები tarla), ვენახები (bağ), ბაღები (bahç e),ტყიანი და ბუჩქნარიანი მიწები ağaçlik arazisi), მინდვრული ბალახთესვისათვის გამოსადეგი მიწები çayir arazisi), და საძოვრები (mera arazisi)[13].

მუხლი მეხუთე: ამ კანონის შესაბამისად ფართობის გამოსაანგარიშებლად გამოიყენება დენიუმი. ერთი დენიუმი უდრის ათას კვადრატულ მეტრს[14].

მუხლი მეექვსე: მიწის საკუთრება მათი ფართობის შესაბამისად იყოფა სამ კატეგორიად-პატარა, საშუალო და დიდი საკუთრება küçük, orta ve büyük arazi). პატარა მამულში 500 დენიუმამდე ფართობია (50 ჰექტარი), საშუალოში 501-დან 5000-მდე დენიუმი (51-დან 500-მდე ჰა) და დიდში 5000 დენიუმზე მეტი (500 ჰექტარზე მეტი). მიწის ნაკვეთები, თუ ისინი ერთ პიროვნებას ეკუთვნიან, სადაც არ უნდა მდებარეობდნენ ერთი საკუთრების ნაწილებს შეადგენენ.

მუხლი მეშვიდე: მიწები უნდა მუშავდებოდნენ. მიწა, რომელიც სამი წლის განმავლობაში არ დამუშავებულა, მიტოვებულად, უპატრონოდ ითვლება. გამონაკლისს შეადგენენ ანეულები და სავარგულები, რომლებიც არ მუშავდებიან საპატიო მიზეზების გამო.

თავი მეორე

დასანაწილებელი მიწები

მუხლი მერვე: ამ კანონის შესაბამისად გლეხებს, ღირებულების გადახდის პირობით, გამოეყოფათ შემდეგი მიწები:

---

12 Tevfik Tığli. დასახ. ნაშრ., გვ. 25. ე. ი. ამ კატეგორიაში მემამულე და კულაკიც შედის.

13 Ibid., s. 17.

14 ამ კანონის მიღებამდე დენიუმი უდრიდა 919.3 კმ. მეტრს, ეხლა ივი ერთ დეკარს (0,1 ჰა) გაუტოლდა.

ა) მიწები, რომლებიც სახელმწიფოს ან ადგილობრივ ორგანოებს ეკუთვნის და არ გამოიყენება საერთო ინტერესებისათვის (kamu işlerinde kullanılmıyan arazi).

ბ) ნაწილი სათემო მიწებისა, რომლებიც ერთ ან რამდენიმე სოფელს, დასახლებულ ადგილს ან ქალაქს ეკუთვნის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დასკვნით ზედმეტ ფართობს წარმოადგენს. რადგან მათს საჭიროებებს აღემატება;

გ) უპატრონო მიწები (sahibi bulunamiyan arazi);

დ) უპატრონო ჭაობების (sahipsiz bataklıklar) ამოშრობის შედეგად მოპოებული მიწები;

ე) ტბების დაშრობისა და მდინარეების ამოვსების შედეგად მოპოებული მიწა;

ვ) მიწა, რომელიც ამ კანონის საფუძველზე იქნება გასხვისებული[15].

ბუნებრივია, რომ ყველაზე დიდ ინტერესს მიწების უკანასკნელი კატეგორია იწვევდა, რადგან სახელმწიფოს ხელში არსებული თავისუფალი მიწები ნაკლებ გამოსადეგი იყო დასამუშავებლად, გლეხობა კი დაინტერესებული იყო პირველ რიგში იმ სავარგულების დანაწილებით, რომლებიც მემამულეებისა და სოფლის აღების პირად მფლობელობაში იმყოფებოდა.

მუხლი მეცხრე: მიწა, რომელიც გლეხებს უნდა გამოეყოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს განკარგულებაში გადადის[16].

მესამე თავში ლაპარაკია გასასხვისებელ მიწებზე.

მე-14 მუხლის მიხედვით სოფლის მეურნეობის სამინისტროს უნდა გაესხვისებინა მიწები უადგილმამულო, მცირემიწიანი გლეხებისა და სასოფლო-სამეურნეო მუშების დასაკმაყოფილებლად. ეს მიწები იყო შემდეგი:

ა) ყველა სავაკუფო მიწა, რომელიც „mülhak"-ისა და „mazbut"-ის ტიპის ვაკფებს ეკუთვნოდა და ვაკფების მთავარი სამმართველოს (Vakıflar Genel Müdürlüğü) ან მუთეველიების განკარგულებაში იყო

ბ) ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოებისა და მუნიციპალიტეტების გამგებლობაში მყოფი მიწები, რომლებიც საერთო სარგებლობაში არ იმყოფებიან (kamu hizmetlerinde kullanlmıyan arazi).

გ) ხუთი ათას დენიუმზე მეტი მიწის ფართობი, რომელიც ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა საკუთრებაში იმყოფება (როგორც კანონში წერია — Gerçek kişilerle özel hukuk tüzel kişilerine ait araziden beş bin dönümü geçen parçaları)[17].

---

[15] Ibid., s. 27.

[16] ე. ი. გლეხი სახელმწიფოს მოიჯარე ხდება.

[17] Ibid., s. 30.

მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით გასხვისებას არ ექვემდებარებოდა ხუთი ათას დენიუმზე მეტი მიწის საკუთრება იმ შემთხვევაში თუ იგი ეკუთვნოდა „საზოგადოების ინტერესებისათვის შექმნილ გაერთიანებებს“ (kamu faydasına yarayan dernekler), სახელმწიფო ეკონომიურ ორგანიზაციებსა (İktisadî Devlet kuruluşlar) და ისეთ ამხანაგობებს, რომელთა ბიუჯეტში ჭარბობდა სახელმწიფო კაპიტალი (Sermayesinin yarısından fazlası devlete ait ortaklıklar);

დ) ამ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ დაუმუშავებელი მიწები.

ე) მიწის ყველა ნაკვეთი, შეძენილი 1944 წლის ოქტომბრის შემდეგ იმ მიწების დაქუცმაცების შედეგად, რომლებიც ამ კანონის საფუძველზე უნდა გასხვისებულიყო და ჯერაც არ დამუშავებულა მისი ახალი მფლობელის მიერ.

მე-14 მუხლის მოთხოვნები არ ვრცელდებოდა ვენახებსა და ბაღებზე, ფაბრიკებსა და ყავახანებზე, სასტუმროებსა და დუქნებზე, რომლებიც დაკავშირებული არ იყვნენ სოფლის მეურნეობასთან (Zirai işletme ile ilgili olmıyanlar), მაგრამ გასასხვისებელ მიწაზე იმყოფებოდნენ.

მე-15 მუხლის მიხედვით მინისტრთა საბჭო ადგენდა იყო თუ არა ამა თუ იმ რაიონში საკმაო რაოდენობით გლეხობისათვის გამოსაყოფი მიწები.

მე-16 მუხლი ითვალისწინებდა, რომ იმ რაიონებში, რომლებიც კომისიების დასკვნით არ იყვნენ მიწით უზრუნველყოფილი[18], გასხვისებას ექვემდებარებოდა საშუალო მფლობელობას (200 დენიუმამდე) გადაცილებული ფართი. მაგრამ აქაც ერთი გამონაკლისი იყო დაშვებული; კერძოდ — კანონის ძალით გასხვისებას არ ექვემდებარებოდა ის საშუალო მფლობელობანი, რომლებსაც ადგილობრივი პირობებისა და თავისებურებებისათვის შესაფერი ყველა აუცილებელი ნაგებობა და აღჭურვილობა ჰქონდა და სათანადოდ მუშავდებოდა. ცხადია, ასეთი სანიმუშო „საჩვენებელი მეურნეობა“ მხოლოდ მემამულესა და კულაკს შეეძლო შეექმნა და მას აღარავითარი საშიშროება არ ემუქრებოდა.

დეპუტატთა ცხარე კამათი გამოიწვია კანონის მე-17 მუხლმა, რომელიც, ერთი შეხედვით, ყველაზე რადიკალური იყო. ამ მუხლის ძალით მიწები, რომლებსაც უმიწაწყლო ან მცირემიწიანი მოზიარე-

---

18 ამა თუ იმ რაიონის მიწით უზრუნველყოფის საკითხის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული მიწის ხარისხი, მიწათმოქმედების პროფილი და მიწათმოქმედთა და სასოფლო-სამეურნეო მუშათა კომლების რაოდენობა.

ები (ortakçılar) მოიჯარეები (kiracılar) ან სოფლის მეურნეობის მუშები[19] tarım (işçleri) ამუშავებდნენ შეიძლებოდა გასხვისებულიყო ამ პიროვნებათა სასარგებლოდ. მიწის მფლობელებს რჩებოდა მათ მიერვე შერჩეული მიწის ნაკვეთი, რომელიც ამ რაიონისათვის დადგენილი ნორმის გასამკეცებულ ზომას უდრიდა (არა უმცირეს 50 დენიუმისა).

მე-17 მუხლი მიმართული იყო მოზიარობისა და იჯარის წესით მიწის დამუშავების სისტემის წინააღმდეგ, რომელსაც თურქეთის იმდროინდელმა სოფლის მეურნეობის მინისტრმა შუჰლის ერკმენმა ავთვისებიანი სიმსივნეც კი უწოდა[20]. პრეზიდენტ ინენიუს განცხადებით მე-17 მუხლი შესაძლებლობას იძლეოდა „უადგილმამულო გლეხს პირად მფლობელობაში გადასცემოდა ის მიწა, რომელსაც იგი ამუშავებდა"[21], მაგრამ ამავე მე-17 მუხლით გასხვისების ყოველგვარი საშიშროების გარეშე რჩებოდნენ იმ კატეგორიის მეურნეობები (ბათი ფართობისდა მიუხედავად), სადაც მხოლოდ მოჯამაგირეთა შრომა გამოიყენებოდა, რადგან ამ მეურნეობებში შრომის ორგანიზაცია სხვა რაიონებიდან მოსულ სეზონურ მუშებზე იყო დამყარებული. აგრარული კანონის გამოყენების ინსტრუქცია (Giftçiyi topraklandırma tüzüğü) კი ადგენდა, რომ მიწას მიიღებდა სოფლის მეურნეობის მხოლოდ ის მუშა, რომელსაც არა აქვს მიწა და ამ რაიონში ცხოვრობს, სულ მცირე, სამი წელიწადი მიწების განაწილების მომენტისათვის და მოჯამაგირეობს არანაკლებ სამი წლისა. ამრიგად, ათეულ ათასობით თურქი მოჯამაგირე, რომელიც სეზონური სამუშაოს ძიებაში სოფლიდან სოფელში დაეხეტებოდა, კანონის მიერ უფლებააყრილი იყო მიწის მიღებაზე. ეჭვს გარეშეა, რომ თურქეთის სამრეწველო ბურჟუაზია, აგრარულ კანონმდებლობაში მე-17 მუხლი რომ შეჰქონდა, მიზნად ისახავდა იმას კი არა, რომ მიწით უზრუნველეყო უადგილმამულო გლეხობა, არამედ მოზიარობის სისტემის შევიწროებით ხელი შეეწყო სოფლის მეურნეობაში წარმოების კაპიტალისტური წესის დანერგვისათვის და გლეხობის ნახევრადფეოდალური ექსპლოატაცია უფრო სრულყოფილი კაპიტალისტური უღლით შეეცვალა.

მე-17 მუხლს დეპუტატ—მიწისმფლობელთა (ა. მენდერესი, ჰ. ბაიური, ჯ. ორალი და სხვ.) უმეტესობა დიდი უკმაყოფილებით შეხვდა. მემამულეთა კლასის წარმომადგენლები მეჯლისში ამტკიცებდნენ, რომ ეს მუხლი მხოლოდ ზიანს მიაყენებს თურქეთის ეკონო-

---

19 გარდა სეზონური მუშებისა.

20 „Ulus", 7 Haziran, 1945.

21 „La République", 20.V.1945.

ბიკას, რადგან ძირს უთხრის კერძო საკუთრებას და მიწასთან ასწორებს „საშუალო მეურნეობათა“ (200-დან 500 ჰექტარამდე ფართობით) მნიშვნელობას თურქეთის სოფლის მეურნეობაშიო. მაგრამ თურქეთის სამრეწველო ბურჟუაზიამ, რომელიც თავისი ეიწროკლასობრივი ინტერესებიდან გამომდინარე სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული მიწათმოქმედებაში ფეოდალური გადმონაშთის — მოზიარობის მოსპობით, შეძლო მე-17 მუხლის დაცვა და კანონში მისი შენარჩუნება.

33-ე მუხლით კანონი ითვალისწინებდა ხუთი წლის ვადას მარტოოდენ იმისათვის, რომ განსაზღვრულიყო გასასხვისებელი მიწების კატეგორია იმ რაიონებში, სადაც ეს სამუშაოები დაიწყო და დაინტერესებულ პირთა ინფორმირებისათვის[22].

გარდა ამისა 36-ე მუხლით დაწესებულ იქნა გასასხვისებელი მიწების განაწილების მაქსიმალური ვადა—2 წელიწადი იმ დღიდან, როდესაც გაფორმებული იქნებოდა მისი გადაცემა ხაზინის ფონდში[23]. ამრიგად, მემამულეს, რომლის მეურნეობა ნახევრადბატონყმური წესებით მუშავდებოდა, კანონი სათანადო ვადას აძლევდა იმისათვის, რომ თავისი მეურნეობა კაპიტალისტური ე. წ. „საჩვენებელი“ გაეხადა და ამ გზით თავი დაეღწია მამულის გასხვისებისათვის.

იმ მიზნით, რომ არ შელახულიყო მემამულეთა ინტერესები კანონი ადგენდა ფულად კომპენსაციას გასხვისებული მიწისა და მასზე არსებულ ნაგებობისათვის (ბეღელი, საფრინველე, ფარეხი, საქონლის ბაკი და სხვ.) გადასახდელი თანხა უნდა დაედგინა მიწის სპეციალურ კომისიას საადგილმამულო გადასახადის და რეგისტრაციის კანონების შესაბამისად (საფუძველს წარმოადგენდა 1944 წელს გადახდილი საადგილმამულო გადასახადი).

ხუთი ათას დენიუმზე მეტი ფართობის მფლობელს უნაზღაურდებოდა ერთმაგი კომპენსაცია გასხვისებული მიწისათვის, ხუთი ათასიდან 2 ათასამდე — ორმაგი და 2 ათასზე ნაკლების მფლობელს —სამმაგი. 45-ე მუხლის შესაბამისად გასხვისებული საკუთრების ღირებულება უნდა ანაზღაურებულიყო 4%-იანი სახაზინო ობლიგაციებით, ე. წ. „მიწის ობლიგაციებით“ (Toprak tahvilleri), რომლებიც 20 წლის განმავლობაში უნდა დაფარულიყო.

კანონი არ ითვალისწინებდა უადგილმამულო გლეხებისათვის გადასაცემი მიწის მინიმუმს, მაგრამ რაიონისა და სასოფლო-სამეურნეო პროფილის შესაბამისად გასხვისებული მიწის ნაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 500 დენიუმს (50 ჰა, ე. წ. küçük arazi).

---

[22] Tevfik Tiğli, დასახ. ნაშრ., გვ. 36—37.

[23] იქვე, გვ. 37.

კანონის მიხედვით მიწის ნაკვეთი ეძლევა ოჯახის უფროსს (alle reisi), შემდეგი ჯერეულობის დაცვით:

ა) იმ პირებს, რომელთაც სრულიად არ გააჩნიათ მიწა და მუშაობენ სხვის მიწაზე მოზიარობის წესით ან კიდევ იჯარით იღებენ მიწას,

ბ) მიწათმოქმედებს, რომელთაც მიწის არასაკმაო რაოდენობა აქვთ,

გ) იმ პირებს, რომელთაც სრულიად არ გააჩნიათ მიწა, მაგრამ დიდი ხნიდან მოკიდებული მისდევენ სოფლის მეურნეობას ამ კონკრეტულ რაიონში,

დ) მომთაბარეებსა და გადმოსახლებულ მიწათმოქმედებს,

ე) 59-ე მუხლის საფუძველზე ოჯახიდან გამოყოფილ პირებს[24].

ვ) მიწათმოქმედთა შვილებს სამხედრო სამსახური რომ გაიარეს,

ზ) სასოფლო-სამეურნეო და საველტერინარო სკოლების კურსდამთავრებულებს ან იმ პირებს, ვინც დაამთავრა სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის ცნობილი სასოფლო-სამეურნეო კურსები და მიწა არა აქვს, ან კიდევ არასაკმაო ნაკვეთს ფლობენ,

თ) იმ პირებს, ვისაც ადრე მიწის ნაკვეთი არ ჰქონია, მაგრამ განსაზღვრული აქვთ ხელი მოჰკიდონ სოფლის მეურნეობას თუ სოფლის მეურნეობის სამინისტრო მათ ნაკვეთს გამოუყოფს.

35-ე მუხლში დადგენილი იყო მიწის მიმღებთა თანამიმდევრობა 34-ე მუხლში ჩამოთვლილი თვითეული ქვეჯგუფის მიხედვით:

ა) ვისაც ბავშვები ჰყავს,

ბ) ვისაც აქვს სახლი და წარმოების საშუალებანი (istihsal araçları) საკმარისი რაოდენობით.

ვ) ვისაც აქვს სახლი, მაგრამ წარმოების საშუალებანი არ გააჩნია,

გ) ვისაც წარმოების საშუალებები აქვს, მაგრამ სახლ-კარი არ გააჩნია.

ე. ი. კანონი პირველ რიგში მიწის გამოყოფას ითვალისწინებდა იმათთვის ვინც შედარებით შეძლებული იყო და გარკვეულ უძრავ-მოძრავ ქონებას ფლობდა. კანონის მიხედვით მიწის მიმღები აუცილებლად უნდა იყოს თურქეთის ქვეშევრდომი ყველა სამოქალაქო

---

24 59-ე მუხლი კრძალავდა იმ მიწის დაქუცმაცებას, რომელიც ამ კანონის შესაბამისად იყო მიღებული და მემკვიდრეობით გადავიდა სხვა პიროვნებაზე. ეს მუხლი უფლებას აძლევდა ოჯახიდან გამოყოფის მსურველებს, მეურნეობის დაქუცმაცების თავიდან ასაშორებლად, მიეყიდათ მეურნეობის თავისი კუთვნილი წილი ოჯახის სხვა წევრებისათვის.

უფლებით, ამასთან მაჰაკაცებისათვის აუცილებელია სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლა ან სამხედრო სამსახურის განვადეების სათანადო ცნობების წარდგენა.

მიწის მიმღები უნდა იყოს მიწათმოქმედი და ვალდებულება უნდა იკისროს, რომ პირადად დაამუშავებს მისთვის გამოყოფილ მიწას. კანონი კრძალავს გამოყოფილი მიწის მოზიარობის წესით ექსპლოატაციას და იჯარით გაცემას საპატიო მიზეზების გარეშე. როგორც გამონაკლისი, დაშვებული იყო გამოყოფილი მიწების იჯარით გაცემა მფლობელის ჯარში გაწვევის შემთხვევაში, ხანგრძლივი ავადმყოფობის, მეურვეობის ქვეშ ყოფნისა და მცირეწლოვანების გამო. თუ მიწათმოქმედი დაარღვევს კანონის ამ მოთხოვნას მას ჩაშორთმევა ნაკვეთი და იგი სახელმწიფოს ფონდში გადავა.

სანამ მიწის ღირებულება არ დაიფარება მიწათმოქმედი არ ითვლება მის მეპატრონედ, იგი მისი პირობითი მფლობელია და არ შეუძლია მისი გაყიდვა, გაჩუქება ან დაგირავება. თუ ვალი დროულად არ იქნა შეტანილი მიწა მას ჩამოერთმევა ფინანსთა სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი გადაწყვეტილებით.

რაც შეეხება კანონის ცხოვრებაში გატარების ვადებს, არსებითად, იგი არ ყოფილა განსაზღვრული. კანონის თანახმად უწინარეს ყოვლისა უნდა შესწავლილიყო რაიონები (ვილაიეთი ან კაზა) მიწით მათი უზრუნველყოფის დასადგენად და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყებოდა მისი დანაწილება და გასხვისება. გასასხვისებელი მიწები უნდა შეერჩია სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მაგრამ კანონი არაფერს არ ამბობდა ამ სამუშაოს არც დაწყებაზე და არც დაბოლოებაზე.

კანონის ცხოვრებაში გატარება მეჯლისის სპეციალური დადგენილებით დაევალა მიწების საქმეთა სამმართველოს (Toprak işleri Genel Müdürlüğü), რომელიც ამ მიზნით შეიქმნა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. დირექციას ვილაიეთებში უნდა შეექმნა თავისი ორგანიზაციები, მათ შორის ე. წ. მიწის კომისიები (Toprak komisyonlar), რომლებიც ადგილებზე წარმართავდნენ მუშაობას. გლეხები მთლიანად იზოლირებული იყვნენ აგრარული კანონის განხორციელების საქმისაგან.

ასეთი იყო 1945 წლის აგრარული კანონის ძირითადი შინაარსი. თურქეთის ბურჟუაზიულ ლიდერებსა და პრესას ცამდე აჰყავდათ კანონის მნიშვნელობა, იგი მთავრობის მიერ შეფასებულ იქნა როგორც რევოლუციური გადატრიალება. არა ერთი აღფრთოვანებული სიტყვა და წერილი მიეძღვნა მას. თურქული გაზეთის „ჯუმჰურიეთის“ ფრანგულ გამოცემა გაზეთ „La République“-ში 1945

წლის 20 მაისს მოტანილი იყო პრეზიდენტის მიერ 19/V ახალგაზრდობის ზეიმზე წარმოთქმული სიტყვა, სადაც იგი რეფორმის შესახებ შემდეგს ამბობდა: „რეფორმა, რომელსაც უახლოეს მომავალში მიიღებს თურქეთის მეჯლისი არის უბრწყინვალესი ყველა იმ რეფორმათა შორის, რომლებიც თურქმა ხალხმა განახორციელა უკანასკნელი 20 წლის მანძილზე. ახალი კანონი უმიწაწყლო გლეხობას უსახავს პერსპექტივას გახდეს იმ მიწის ბატონ-პატრონი, რომელსაც იგი ამუშავებს, რის შედეგად გლეხის შრომის ნაყოფი მისი ოჯახის საჭიროებას მოხმარდება, ეს კი, თავის მხრივ, მიწას უფრო პროდუქტიულსა და ნაყოფიერს გახდის. მიწათმფლობელობის რეჟიმი—საუკუნეთა მანკიერი ტრადიციების შედეგი — თავისუფალი ადამიანისათვის შესაფერისი, თანამედროვე და მოწინავე სისტემად გარდაქმნის გზაზეა“[25].

მეჯლისის დადგენილებით (№ 4760) დაწესებულ იქნა ე. წ. „მიწის დღესასწაული“ (Toprak bayramı). კანონი ადგენდა:

მუხლი პირველი. 11 ივნისი, მიწათმოქმედთათვის მიწის გამოყოფის თაობაზე კანონის მიღების თარიღი, ყოველ წელს იდღესასწაულება როგორც მიწის დღესასწაული.

მუხლი მეორე. ეს კანონი ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღეს.

მუხლი მესამე. კანონს მინისტრთა საბჭო განახორციელებს[26].

აგრარული კანონის დეტალური ანალიზი ააშკარავებს მის ბურჟუაზიულ-დემაგოგიურ ბუნებას, კანონის სოციალურ არსს. პირველ რიგში გადაჭრით უკუგდებული უნდა იქნას თურქეთის ბურჟუაზიული ავტორების მტკიცება კანონის რევოლუციური ხასიათის შესახებ, რადგან „რეფორმა რევოლუციისაგან განსხვავდება ხელისუფლების შენარჩუნებით მჩაგვრელთა კლასის ხელში, რომელნიც ჩაგრულთა აჯანყებას ახშობენ მჩაგვრელთათვის მისაღებ დათმობათა გზით ისე, რომ მჩაგვრელთა ძალაუფლება არ მოსპოს“[27]. აგრარულ რეფორმას თურქეთში არ შეუცვლია კლასობრივ ძალთა განლაგება საზოგადოებრივ წყობაში, არ მოუსპია ბურჟუაზიის დიქტატურა. „კაპიტალისტურ საზოგადოებაში...—ამბობს ვ. ი. ლენინი—რეფორმა არის დათმობა, რომელსაც მმართველი კლასები მიმართავენ, რომ რევოლუციური ბრძოლა შეაჩერონ, შეასუსტონ ან ჩააქრონ, რომ რევოლუციური კლასების ძალა და ენერგია დაქსაქსონ, მათი შეგნება დააბნელონ და ა. შ.[28].

---

[25] „La Républiqne,“ Ankara, 20.V.1945.

[26] Tevfik Tiğli, Toprak ve Çiftçi, s. 48.

[27] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პლატფორმა, თხზ., ტ. 12, გვ. 245—246.

[28] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, როგორ უნდა იწერებოდეს რეზოლუციები. თხზ., ტ. 12, გვ. 278—279.

როგორ გადაწყვიტა 1945 წლის კანონმა მემამულეთა მიწათმფლობელობის საკითხი? მხოლოდ მემამულეთა სასარგებლოდ. იგი უტოვებდა მემამულეებს მსხვილ საკუთრებებს, რომელთა ფართობი 200—500 ჰექტარს უდრიდა და ამასთან ერთად ხელს უწყობდა მათ გამოენახათ გზები უფრო დიდი კაპიტალისტური მეურნეობების შესაქმნელად. მართალია კანონი ითვალისწინებდა მოზიარეთა და მოიჯარეთა დაკმაყოფილებას იმ მიწების ხარჯზე, რომლებსაც ისინი ამუშავებდნენ, მაგრამ ჯერ ერთი, ამას არ ჰქონდა განხორციელების მტკიცედ დადგენილი თარიღები და მეორე — იგივე მუხლი მემამულეებისათვის, უკიდურეს შემთხვევაში, უშვებდა მემამულური მიწათმფლობელობის შენარჩუნებას სულ მცირე 150 ჰექტარის (სამმაგი ნორმა) ფარგლებში. ე. ი. ძალაში რჩებოდა ეკონომიური წინამძღვრები გლეხობის ბატონყმური ექსპლოატაციისათვის.

თურქ გლეხს რეფორმის შემდეგ, ტვირთად დააწვა გასხვისებული მიწების გამოსასყიდი თანხების სიმძიმე. ბულგარელი ეკონომისტის ჰალის ოკანის ცნობით 4 წლის მანძილზე 1947—51 წლებში თურქ გლეხობას ვალად დაედო 17.149.000 ლირა, ხოლო 1957 წლისათვის მათი დავალიანება 126 114 000 ლირამდე გაიზარდა[29].

აგრარული რეფორმის გატარება მინდობილი ჰქონდათ მთავრობის მოხელეებისაგან შემდგარ მიწის კომისიებს, რომლებიც გუბერნატორებსა და მათ ადმინისტრაციულ აპარატს ემორჩილებოდნენ. გლეხობა სრულიად მოწყვეტილი იყო ამ საჭირბოროტო საკითხს.

როგორც თურქი ავტორი სადიკ ართუქმაჩი აღნიშნავდა 1955 წლისათვის მიწის კომისიების რიცხვი თურქეთში ძალზე მცირე იყო და ვერ უზრუნველყოფდა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. 1959 წლისათვის მათი საერთო რაოდენობა 80-მდე ავიდა და ისინი უმეტესად შეიქმნენ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ვილაიეთებში ე. ი. იქ სადაც მეტი რაოდენობით იყო თავისუფალი სახელმწიფო მიწები. თურქეთის იმდროინდელი პრეზიდენტის ჯელალ ბაიარის განცხადებით 1955 წელს გლეხობისათვის მიწის გამომყოფი კომისიები 66 ვილაიეთიდან მხოლოდ 42-ში იყო შექმნილი. შავიზღვისპირეთის ვილაიეთებში, რომლებიც განსაკუთრებით გამოირჩევიან მცირემიწიანი და უმიწაწყლო გლეხების დიდი რაოდენობით, პირველი ასეთი კომისია შეიქმნა მხოლოდ 1955 წელს და ისიც იმ მიზნით, რომ შეესწავლა საძოვრების განაწილების საკითხი[30].

ერთ კომისიას წელიწადში შეეძლო შეესწავლა მხოლოდ 2—3 სოფელი 40 ათასიდან. ე. ი. მთელი სამუშაოების დასრულებას თურ-

[29] Халис Окан, Развитие на капитализма в Турция. ДИ „Наука и изкуство." София, 1961, стр. 73.

[30] „T. C. Resmi gazete", 18 Kasım, 1955.

ქეთის მასშტაბით რამდენიმე ათეული წელი დასჭირდებოდა. ამიტომ იყო, რომ 15 წლის მანძილზე 1945—60 წლებში რეფორმა მხოლოდ 4302 სოფელში გატარდა[31]. „ჩვენ ვილაიეთში — განაცხადა მეჯლისის ყარსელმა დეპუტატმა ოსმან ელთენინმა — მიწის ორი კომისია მუშაობს, რომლებიც წელიწადში ასწრებენ 2—3 სოფლის შესწავლას. გამომდინარე აქედან, მარტოოდენ ამ რაიონში მიწების გამოსაყოფად 200—250 წელი იქნება საჭიროო"[32].

აგრარული კანონის მიღების დღიდან 1947 წლამდე არავითარი ნაბიჯი არ გადადგმულა მისი პრაქტიკული განხორციელებისათვის. „კანონი ძალაში შევიდა — წერდა „ზაფერი" — მაგრამ ძალაში შესვლა ერთია, განხორციელება კი მეორე. კანონი მეჯლისიდან გამოვიდა, იგი თაროზე დადეს და მთელი 2 წლით მიივიწყეს. ე. ი. არც 1945 წელს და არც 1946 წელს ამ კანონის საფუძველზე გლეხებს არც ერთი დენიუმი მიწა არ მიუღიათ"[33]. მმართველი სახალხო რესპუბლიკური პარტია იმდენად შეაკრთო საკუთარმა „რადიკალიზმმა" აგრარულ საკითხში, რომ მისი მიღების დღიდან წლინახევრის გასვლის შემდეგ (1947 წლის ნოემბერ-დეკემბერში) გამართულ პარტიულ ყრილობაზე მიიღო გადაწყვეტილება კერძო მესაკუთრეთა მფლობელობაში მყოფი მიწების გასხვისების აღკვეთის შესახებ[34].

1947 წლიდან 1950 წლის მარტამდე სულ განაწილებულ იქნა 90.9 ათასი ჰექტარი მიწა 20.208 გლეხურ კომლზე. საშუალოდ კომლზე 4,5 ჰექტარი, ამასთან გასხვისებულ იქნა ძირითადად უამირი და გამოუსადეგარი მიწები[35]. წლების მიხედვით მიწების განაწილება ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

მიწების განაწილება 1947—1950 წლებში[36]

წლები	განაწილებული მიწები (ჰექტარი)	კომლების რაოდენობა	სოფლების რაოდენობა
1947	4909	1427	29
1948	23866	4314	111
1949	38922	8359	160
1950	82019	18189	333
ჯამი	149716	32289	633

ამით დასრულდა აგრარული რეფორმის პირველი ეტაპი.

[31] „Zafer", 4 Şubat, 1960.

[32] „Ulus", 27 Aralık, 1957.

[33] Mümtaz Faik Fenik. Topraksız çiftçiyi, toprak dağıtımı. „Zefer", 4 Ocak, 1951.

[34] „CHP Yedinci Kurultay Tutanağı", Ankara, 1948, ss. 562—563.

[35] „Zafer", 25 Aralık, 1956.

[36] Халис Окан. Развитие на..., стр. 73.

1945 წლის აგრარული კანონის განხორციელება მისი შეზღუდული ხასიათის მიუხედავად, თურქეთის მემამულეთა კლასის შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდა. მსხვილ მიწათმფლობელთა უკმაყოფილებას უწინარეს ყოვლისა იწვევდა მე-17 მუხლი, რომელიც საფრთხეს უქმნიდა თურქეთის სოფელში ორთაკჩილიკის ინსტიტუტს. ამიტომ იყო, რომ იმ შესწორებათა შორის, რომელიც მეჯლისის 1950 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით[37] იქნა შეტანილი 1945 წლის აგრარულ კანონში ერთ-ერთი პირველთაგანი მე-17 მუხლს შეეხო. იგი გაუქმებულ იქნა. საგრძნობლად შეიცვალა მე-16 მუხლიც. ახალი რედაქციის მიხედვით მიწების გასხვისებისას ჯერ გათვალისწინებული უნდა ყოფილიყვნენ სახელმწიფო მიწები, შემდეგ სავაკუფო, მომდევნო ეტაპზე მუნიციპალურ მფლობელობაში მყოფი გამოუყენებელი მიწები, შემდეგ 5 ათას დენიუმზე მეტი ფართობი[38] და მხოლოდ ამ კატეგორიების მიწების ფონდის ამოწურვის შემდეგ უკანასკნელ ეტაპზე უნდა გასხვისებულიყო „საშუალო მეურნეობათა“ (2—5 ათასი დენიუმი) ნამეტი მიწები. იმ შემთხვევაში კი თუ „საშუალო მეურნეობა“ მოწინავე აგრონომიული მეთოდებით მუშავდებოდა (სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და მანქანების გამოყენებით) იგი გასხვისებას არ ექვემდებარებოდა. 2000 დენიუმამდე ფართობის მამული არ ექვემდებარებოდა გასხვისებას მიუხედავად იმისა, პირადად ამუშავებდა მისი მფლობელი მამულს თუ დაქირავებული მუშა-ხელის საშუალებით.

შესწორება უშვებდა ნამეტი ფართობის გასხვისებას „საშუალო მეურნეობაში“, რომელიც არ მუშავდებოდა, მაგრამ იგი ნებას რთავდა მამულის პატრონს ნამეტის გასხვისების შემდეგ დარჩენილ მეურნეობაში საქმიანობა წარემართა ისე, როგორც პირადად მიაჩნდა სასარგებლოდ, თუნდაც მოზიარობის სისტემის ფართო გამოყენებით.

ახლადრედაქტირებული მე-18 მუხლი მსხვილ და საშუალო მიწათმფლობელებს ანიჭებდა სრულ უფლებას პირადად შეერჩიათ გასასხვისებელი მიწები (1945 წლის კანონით ამას სოფლის მეურნეობის სამინისტრო ადგენდა). ეს იმას ნიშნავდა, რომ კანონის ძალით მიწათმფლობელი ამიერიდან უფლებამოსილი იყო თავისთვის დაეტოვებინა საუკეთესო მიწები და მხოლოდ მისთვის უვარგისი და გამოუყენებელი გაესხვისებინა დიდი კომპენსაციის პირობით. აქვე უნ-

---

37 1950 წლის კანონის ტექსტი იხილე B. Selçuk, Belediye ve Köylerimizin kitabı, Ankara, 1951, s. 906—914.

38 ბულგარელი ავტორის ვერბან ანგელოვის ცნობით თურქეთში იმდროისათვის სულ იყო 518 მემამულე, რომელთა მფლობელობა აღემატებოდა 5000 დენიუმს. იხ. Върбан Ангелов, Турция, София, 1954, стр. 146.

და შევნიშნოთ, რომ 1945 წლის კანონში შეტანილ შესწორებათა შესაბამისად მნიშვნელოვნად იქნა გაზრდილი გამოყიდვის თანხა (მამულის მოცულობის შესაბამისად 25, 200 და 400%) ე. ი. რაც უფრო მცირე იყო მამული მით უფრო დიდი იყო კომპენსაციის პროცენტი. გარდა ამისა, გამოსაყოფი მიწის მფლობელს მყიდველისაგან კომპენსაციის ანგარიშში უნდა მიეღო ნაღდი ფული სამი ათას ლირამდე (ძველი კანონით ეს თანხა 1000 ლირას არ აღემატებოდა).

ახალმა კანონმა თითქმის საბოლოოდ გაუქარწყლა გლეხებს შემამულეთა მიწების მიღების იმედი. საგრძნობლად გაუარესდა სოფლის მეურნეობის მუშების საქმეც, რადგან მიწების მიღების ადრე დადგენილ თანმიმდევრობაში მათ მესამე ადგილიდან მეოთხეზე გადაინაცვლეს.

ყურადღებას იმსახურებდა ის გარემოებაც, რომ კანონში შეტანილ შესწორებათა საფუძველზე გამოსაყოფი მიწების განსაზღვრის 5 წლიანი ვადა შვიდ წლამდე იქნა გაზრდილი.

1950 წელს აგრარულ კანონში შეტანილ შესწორებათა შესწავლა სრულ უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ 1945 წლის კანონი „მიწათმფლობელებისათვის მიწის გამოყოფის შესახებ" ფაქტიურად გაუქმებული იქნა მისი მიღებიდან 5-ოდე წლის გასვლის შემდეგ. დაიწყო აგრარული რეფორმის მეორე ეტაპი.

თურქმა ავტორმა იუსუფ საიმ ათასაგუნმა, ახალი კანონით დადგენილ პრინციპებს რომ განიხილავდა, აღნიშნა „თვალში გეცემათ მისწრაფება შენარჩუნებულ და გამტკიცებულ იქნას საშუალო მეურნეობანი 500—5000 დენიუმამდე ფართობით და აგრეთვე იმის სურვილი, რომ გაზრდილი იქნას გასხვისებული მიწის ღირებულებაო"[38].

ბურჟუაზიული თურქეთის ხელმძღვანელებმა, რომლებმაც საბოლოოდ უარი თქვეს ხელეყოთ მემამულური მიწათმფლობელობა, ქვეყნის მცირემიწიან რაიონებში აგრარულ წინააღმდეგობათა გადაჭრა სცადეს უმიწაწყლო გლეხობის გადასახლებისა და ახალი რაიონების კოლონიზაციის გზით. სოფლის მეურნეობის მინისტრმა ჯავით ორალმა 1950 წელს აგრარულ კანონში შესატან შესწორებათა განხილვისას განაცხადა: „თურქეთში აგრარული პრობლემა შეიძლებოდა გადაჭრილიყო სახელმწიფო მიწების განაწილების შედეგად. მაგრამ ვინაიდან ასეთი მიწები ყველგან არ არის, მაგალითად ქვეყნის დასავლეთში, საჭიროა ვაიძულოთ დასავლეთის მოსახლეობის ნაწილი აღმოსავლეთში გადასახლდესო"[39].

---

[38] „Ulus", 13 Mart, 1950.

[39] „Istanbul", 15 Mart, 1950.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება თვლის, რომ კოლონიზაციის მეოხებით შეუძლებელია აგრარულ წინააღმდეგობათა გადაჭრა. „საქმე ის კი არ არის—ამბობს ვ. ი. ლენინი, რომ გადასახლებით იხსნა გლეხები ბატონებისაგან. საქმე ის არის, რომ ცენტრის აგრარულ საკითხთან ერთად დგას კოლონიზაციის აგრარული საკითხი. საქმე ის კი არ არის, რომ... არსებული კრიზისი მიჩქმალო კოლონიზაციის საკითხით, არამედ ის, რომ ცხადყო ბატონყმური ლატიფუნდიების დამღუპველი შედეგი როგორც ცენტრისათვის, ისე ვანაპირა მხარეებისათვის"[40].

1950 წლის მაისში ჩატარებული მეჯლისის არჩევნებში სახალხო რესპუბლიკურმა პარტიამ, რომელიც 27 წელი უცვლელად იდგა თურქეთის სახელმწიფო საჭესთან, სასტიკი მარცხი განიცადა. მეჯლისში აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა ე. წ. „დემოკრატიულმა" პარტიამ, რომელიც მსხვილ მემამულეთა პოლიტიკური ორგანიზაცია იყო. დაიწყო დემოკრატიული პარტიის მმართველობის წლები. როგორც ადრე აღვნიშნეთ, აგრარული კანონის პროექტის განხილვისას მეჯლისში 1945 წელს ამ პარტიის ლიდერები ა. მენდერესი[41], ჯ. ბაიარი და სხვები, რომლებიც მაშინ სახალხო რესპუბლიკურ პარტიაში შედიოდნენ, გადაჭრით ილაშქრებდნენ აგრარული კანონის მიღების წინააღმდეგ და მისი მიღების შემდეგ კი მოითხოვდნენ მემამულური საკუთრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფას. ხელისუფლების სათავეში ჩადგომის შემდეგ ახალ მმართველ პარტიას მოქმედების ფართო ასპარეზი გადაეშალა თავისი კლასობრივი მოთხოვნილების პრაქტიკული ხორცშესხმისათვის.

თუ კანონის მიღებიდან გასულ პირველ წლებში მთავრობამ შეძლო სხვადასხვა მიზეზების მოშველიებით შეგნებულად გაეჭიანურებია კანონის განხორციელება, 40-იანი წლების ბოლოს გლეხთა მოძრაობის აღმავლობამ აიძულა ცენტრალური ორგანოები დაეჩქარებინა კანონის მოქმედება სახელმწიფო მიწების ხარჯზე.

1952 წლიდან მოკიდებული გლეხობისათვის მიწის გამოყოფის ტემპები საგრძნობლად გაიზარდა. ყოველწლიურად საშუალოდ 30—40 ათასი კომლი იღებდა მიწას, მაგრამ ეს ტემპებიც დაბალი იყო და 50—60 წელს საჭიროებდა სამუშაოთა დასამთავრებლად. მეჯლისის საბიუჯეტო კომისიაში აგრარული რეფორმის შედეგების განხილვისას ორატორები აღნიშნავდნენ, რომ „აგრარული რეფორმა ჯერ კიდევ შორს არის დაბოლოებისაგან. წელიწადში 30—40 ათასი კომ-

---

40 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, აგრარული საკითხი რუსეთში XIX საუკუნის დამლევს. თხზ., ტ. 15, გვ. 83.

41 ა. მენდერესი თურქეთის ერთ-ერთი უმსხვილესი მიწათმფლობელი იყო. მის კერძო საკუთრებას შეადგენდა 40 ათასი ჰექტარი მიწა.

ლისათვის მიწის გამოყოფა არ წყვეტს საკითხს"[43]. საგულისხმოა ამ მხრივ მეჯლისის ყარსელი დეპუტატის სიტყვა წარმოთქმული 1954 წლის დასაწყისში, სადაც იგი აღნიშნავდა, რომ „მარტოოდენ ყარსის ვილაიეთის ყველა სოფლის უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხების დასაკმაყოფილებლად მიწის ნაკვეთებით თანამედროვე ტემპებით 277 წელია საჭიროო".

1947 წლიდან (როდესაც დაიწყო მიწების გასხვისება) 1959 წლამდე გლეხებისათვის გამოყოფილი მიწების ფართობი წლების მიხედვით და იმ კომლთა რაოდენობა, რომლებმაც კანონის მოქმედების შედეგად მიიღეს მიწები, ნაჩვენებია ქვემოთ მოტანილ ცხრილში:

აგრარული რეფორმის შედეგები 1947-1959 წწ.[44]

წლები	კომლების რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს მიწა	გლეხობისათვის გადაცემული სახნავი მიწების ფართობი (ათ.ჰა)	საძოვრების ფართობი, რომლებიც გადაეცათ სასოფლო-თემებსა და ქალაქის მუნიციპალიტეტებს (ათ. ჰა)
1947	1427	49	—
1948	4313	230	—
1949	8359	389	—
1950	18589	746	442
1951	22697	1232	1674
1952	41519	1773	1266
1953	41528	2241	1158
1954	44850	2540	1089
1955	45301	2044	835
1956	35520	1925	1380
1957	30268	1707	1517
1958	27181	1154	1160
1959	25959	1459	1389
საერთო ჯამი	347611	17489	11910

ე. ი. კანონის მოქმედების 12 წლის მანძილზე მიწა მიიღო სულ 347 611 კომლმა, მაშინ როდესაც სრულიად უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხთა რაოდენობა თურქეთში არსებული ცნობებით 2,5 მილიონს აღწევს. საფიქრებელია, აგრეთვე, რომ განაწილებულ მიწათა ფართობი ნაწილობრივ გაზრდილია, რადგან, ცალკეულ რაიონებში მიწა გლეხს კი არ მიუღია ფაქტიურად, არამედ მხოლოდ იურიდიულად დაუმტკიცდა მფლობელობაში მისივე, ადრე გაუფორმებელი მამული მიწების საკადასტრო აღრიცხვის გზით.

[43] Аграрные отношения в странах Востока, М., 1959, стр, 127.

[44] Аграрные реформы в странах Востока, ИВЛ. М., 1961. стр. 207—208.

1957 წლის 28 თებერვალს მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა ახალი ინსტრუქცია გლეხებისათვის მიწის გამოყოფის შესახებ, რომელიც ძირითადად 1950 წლის კანონს იმეორებდა. ეს ინსტრუქცია, კიდევ ერთი მოწმობა იყო იმისა, რომ ბურჟუაზიული მთავრობა მემამულეთა კლასის ინტერესების სადარაჯოზე იდგა და არ აპირებდა მოესპო ბატონყმური ურთიერთობის გადმონაშთები თურქეთის სოფელში. მთავრობის ცალკეული ღონისძიებები, რომლებიც უმთავრესად თავისუფალი და ყამირი სახელმწიფო მიწების გასხვისებას ეხებოდა, არ ნიშნავდა აგრარული საკითხის საფუძვლიან გადაწყვეტას, რადგან ხელუხლებელი რჩებოდა მემამულური მიწის საკუთრება, რომელიც „ბატონყმური საკუთრებაა, ბატონყმური ექსპლოატაციის წყარო და დასაყრდენია"[45].

გლეხობის ინტერესების შესაბამისად აგრარული საკითხის ჭეშმარიტი გადაწყვეტა გულისხმობს მემამულეთა კლასის მოსპობას და მათი მიწების უსასყიდლოდ გადაცემას გლეხობისათვის, რომლებიც ამ მიწაზე მუშაობენ, რაც ასე შორს არის თურქეთის დღევანდელობისაგან.

ბურჟუაზიული აგრარული რეფორმა თურქეთში, რა თქმა უნდა, უკეთესობისაკენ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯი, „ეტაპი" იყო იმ გაგებით, რომ მან ბიძგი მისცა საწარმოო ძალთა განვითარებას, საშინაო ბაზრის ზრდას და გარდა ამისა ხელი შეუწყო ადრე გამოუყენებელი 1.7 მილიონ ჰექტარი მიწის ათვისებას. რეფორმის შედეგად გლეხობის გარკვეულმა ნაწილმა მიიღო მიწა, მაგრამ ამ პროცესს თან სდევდა გლეხთა გაბოგანება და სასოფლო-სამეურნეო პროლეტარებად გადაქცევა მემამულეთა მიწებიდან მოზიარე გლეხობის აყრის გამო. ზოგიერთი მონაცემების მიხედვით 1948—57 წწ. მემამულეებმა მეურნეობის გაძღოლის კაპიტალისტურ მეთოდებზე გადასვლასთან დაკავშირებით მიწიდან აყარეს და ულუკმაპუროდ დატოვეს 200 ათასი მოზიარე ე. ი. მათი ოჯახის წევრების ჩათვლით 1 მილიონი ადამიანი[46].

თურქეთში დემოკრატიული პარტიის მმართველობის წლებში აგრარული რეფორმის გატარების შედეგად არ შეიმჩნევა გლეხური მიწათსარგებლობის მასობრივი ზრდა. როგორც რეფორმამდე ისე მის შემდეგ თურქეთის სოფლის № 1 პრობლემად—მიწის პრობლემა დარჩა. ფინანსთა სამინისტროს მიერ 1958 წელს ჩატარებული გაშოკვლევით დადგენილ იქნა, რომ მიწათმოქმედებაში სულ დასაქმებული იყო 2.527.300 ოჯახი, რომელთაგან მხოლოდ 1.700 ათასი

---

[45] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. აგრარულ საკითხზე წარმოთქმული სიტყვის პროექტი. თხზ., ტ. 12, გვ. 325—26.

[46] Аграрные реформы в странах Востока, стр. 209.

(67%) ეწეოდა საქმიანობას საკუთარ მამულში; დანარჩენი 827.300 კომლი კი (37,7%) მოიჯარე ან ნახევრად მოიჯარე იყო[47]. როგორც ჩანს რეფორმას არ მოუხდენია „რევოლუციური გადატრიალება" სოფლად, როგორც მას მისი ავტორები უწინასწარმეტყველებდნენ.

რეფორმა დროებითი პოლიტიკური ეფექტისათვის იყო გამიზნული და მოწოდებული იყო განემუხტა დაძაბული საშინაო ვითარება. ამასთან მას უნდა დაეცვა მემამულური მიწათმფლობელობის საფუძველი და შეექმნა ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რომ მემამულეები თანდათან კაპიტალისტ მრეწველებად გადაქცეულიყვნენ; კანონს უნდა გაეფართოებინა სოფლად არსებული ბურჟუაზიული წყობის სოციალური ბაზა — სოფლის ბურჟუაზიის — კულაკობის პოლიტიკური და ეკონომიური როლის გაძლიერების გზით. 1945 წლის აგრარულ რეფორმას არ მოუსპია კლასობრივი ანტაგონიზმი სოფლად, რადგან იგი არც ისახავდა ასეთ მიზანს. რეფორმის თავისებურება მდგომარეობდა იმაში, რომ მას ეროვნული ბურჟუაზია ატარებდა, რომელიც მჭიდრო კავშირში იყო მემამულეთა ძლიერ კლასთან.

ცნობილი თურქი ეკონომისტი და ბურჟუაზიული ჟურნალისტი ფაკირ ბაიკურთი ჟურნალ „ფორუმში" მოთავსებულ ერთ-ერთ თავის წერილში სათაურით „თურქი გლეხის უფლებები" ასე ახასიათებდა 1960 წლის 27 მაისის სამხედრო გადატრიალების მომენტისათვის თურქეთში დამკვიდრებულ აგრარულ ურთიერთობებს: „გლეხობის 80% კვლავ უმიწაწყლო ან მცირემიწიანია. მიწის სავარგულები, საძოვრები, ნაყოფიერი ველები, ციტრუსების აყვავებული პლანტაციები, თევზით მდიდარი ტბები — ყველაფერი ეს უმცირესობის ხელშია, რომელიც მთელი მოსახლეობის 10%-ზე მეტს არ შეადგენს... გლეხობის გადამწყვეტი უმრავლესობა 80—90%-მდე იჩაგრება ამ უმცირესობის მიერ და მონახევრის, მოზიარის ან კიდევ მუშის მდგომარეობაშია"[48].

აგრარული რეფორმის 15 წლის მოქმედების შედეგებს შუქს ჰფენს სახელმწიფო მინისტრის იზზეთ აკჩალის გულახდილი აღიარებაც. მინისტრის აღნიშვნით 1960 წლის აპრილისათვის 426.655 გლეხური კომლი[49] საკუთარი ნაკვეთების უქონლობის გამო იძულებული იყო ორთაკჩილიკისა და კირაჯილიკის პირობით აეღო მიწები

---

[47] „Hürriyet", 16 Aralık, 1958.

[48] Fakir Baykurt. Türk köylüsünün hakları. „Forum", 1 Temmuz 1960, s. 6.

[49] თურქეთის უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო საინჟინრო პალატის მიერ გამოცემული სტატისტიკური კრებულის მონაცემებით ამ დროისათვის თურქეთში იყო 2.527 ათასი გლეხური კომლი.

მსხვილ მიწათმფლობელთაგან[50]. არ შემცირებულა ჯუჯა პარცელების (1—3 ჰა) რაოდენობაც. თურქული წელიწდეულის ცნობით 1960 წელს თურქეთში 1.100 ათასი ასეთი „მეურნეობა“ იყო, რომელთა საერთო მფლობელობაში შედიოდა კერძომესაკუთრული მიწების მხოლოდ 8%[51].

მაშასადამე, გლეხობის, როგორც უშუალო მწარმოებელი კლასის, მიწით უზრუნველყოფის პრობლემა ვერ იქნა გადაჭრილი 1960 წლისათვისაც კი, მიუხედავად იმისა, რომ 1945 წლის კანონის მიღების შემდეგ 15 წელი გავიდა.

ეს საკითხი იყო და დარჩა თურქეთის ერთ-ერთ ყველაზე საჭირბოროტო სოციალურ-ეკონომიურ პრობლემად.

Н. КОМАХИДЗЕ

АГРАРНАЯ РЕФОРМА 1945 ГОДА В ТУРЦИИ И ЕЕ СОЦИАЛЬНАЯ СУЩНОСТЬ

Резюме

Анализ социальной сущности «Закона о наделении крестьян землей» принятого турецким меджлисом в июне 1945 года свидетельствует о том, что правящие классы Турции сохраняя феодально-помещичье землевладение, аграрной реформой «сверху» стремятся преобразовать сельско-хозяйственную экономику страны с целью медленного приспособления аграрного строя к потребностям развивающегося капитализма. Они всемерно способствуют переходу помещичьих хозяйств на рельсы капиталистического развития за счет разорения основных масс крестьянства. Это достигается путем предоставления крупным землевладельцам льготных кредитов, импорта сельско-хозяйственной техники, скупки продукции земледелия по гарантированным государственным ценам и т. д.

В законе об аграрной реформе имеются положения, которые ставят капиталистические хозяйства в преимущественное положение перед полуфеодальными. Наряду с постепенным превращением помещиков в капиталистических предпринимателей всемерно укрепляется кулацкая верхушка деревни.

В настоящее время капиталистический уклад занял в земледелии Турции ведущее место.

---

[50] „Cumhuriyet“, 12 Nisan 1960.

[51] „1962—Türkiye Yıllığı“, Istanbul, 1963, s. 241.

Аграрная реформа прошла два этапа: первый 1945 — 1950 гг. и второй 1950—1960 гг. (год военного переворота. За 15 лет истекшие с момента принятия закона крестьянам было продано в рассрочку на 20 лет 1.748.900 га пахотных земель, принадлежащих государству и 1.191.000 га лугов и пастбищ. Землю получили 347.611 крестьянских семей. Однако это очень немного по сравнению с общим количеством безземельных и малоземельных семей, не имеющих даже т. н. «голодного» минимума земли. На крестьян получивших землю легла непомерная тяжесть выкупных платежей.

Реформа имела определенное значение в социально-экономической жизни Турции, так как содействовала вовлечению в сельско-хозяйственную обработку около 1,8 млн. га ранее пустовавших земель, развитию производительных сил страны, расширению внутреннего рынка и росту сельско-хозяйственного производства. В результате реформы часть крестьян стала собственниками земли, но не следует забывать, что в сегодняшней Турции параллельно этому идет процесс массового обезземеливания крестьянства. По официальным данным на апрель 1960 года 426.655 крестьянских дворов не имели ни одного клочка земли и прибегали к кабальной издольной аренде участка, а 1.1 млн. дворов вели свое хозяйство на карликовых парцеллах размером в 1—3 га.

Таким образом, реформа не внесла серьезного улучшения в положение основной массы трудящегося крестьянства. Земля в турецкой деревне все еще не принадлежит тем, кто ее обрабатывает. Крестьянство, по-прежнему, решительно отстаивает свое право на землю.

К настоящему времени аграрный вопрос в Турции остался нерешенным и главное содержание его, как и раньше, проблема земли.

ო. გვილავა

ირანელ თურქმენთა საზოგადოებრივი წყობა მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დამდეგს

თურქმენთა ყოფა-ცხოვრებას მრავალი რუსი და უცხოელი მოგზაური და მოხელე შეხებია, მაგრამ თურქმენთა ველზე გავრცელებული ალამანობა[1] ისეთ სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდა ყოველი უცხოელისათვის, რომ თითო-ოროლა თუ ახერხებდა შეეღწია თურქმენთა მომთაბარეობის ზონაში. ამითაა გამოწვეული, რომ ზოგიერთი მათგანის ცნობები კომპილაციური ხასიათისაა. ამიტომ ირანელ თურქმენთა საზოგადოებრივი წყობის გაშუქებისას ძირითადად იმ ავტორებს ვეყრდნობით, რომლებიც უშუალოდ გაეცნენ მათ ყოფას და რომელთა მონაცემებსაც პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს.

თითქმის ყველა ავტორი ადასტურებს იმას, რომ შუა აზიაში რუსების გამოჩენამდე თურქმენებს არ გააჩნდათ არავითარი ხელისუფლება, მმართველობის არავითარი ფორმა. „ძნელია დავადგინოთ თურქმენთა მმართველობის ფორმა, — წერს ერთი ევროპელი მკვლევარი, — რადგან ისინი თითქმის ერთადერთი ხალხია მსოფლიოში, რომელსაც ნამდვილად მიაჩნია, რომ თვით შეუძლია თავისი თავის მართვა...“[2] „არც მმართველობა... არც საზოგადოებრივი წყობა თურქმენებს არ ჰქონიათ და თავიანთი დამოუკიდებლობის პერიოდში (იგულისხმება მეფის რუსეთის მიერ შუა აზიის კოლონიზაციამდელი პერიოდი — ო. გ.) არ ცნობდნენ არავითარ უფროსობას. ყველანი, როგორც ზემოთ ვთქვით, თანასწორნი იყვნენ“[3].

---

[1] ალამანის სახელით იყო ცნობილი თურქმენთა მძარცველური თავდასხმები მეზობელ ხალხებზე და ურთიერთზე.

[2] V. Baker, Clouds in the East: Travels and Adventures on the Perso-Turkoman Frontier. London, 1876, p. 212.

[3] К. М. Федоров, Закаспийская область. Асхабад, 1901, стр. 24.

ბევრ ავტორს თურქმენთა ყოფის დასახასიათებლად მოჰყავს მათივე სიტყვები: „Мы народ без головы“[4].

მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება თვალსაჩინო უნგრელი მოგზაურის ა. ვამბერის ცნობები თურქმენთა ყოფაზე: „თურქმენეთში ჩემი ყოფნის დროს ყველაზე მეტად გამაკვირვა იმან, რომ იქ არავინ იყო მეთაურობისა და გამგებლობის მსურველი და არც არავინ მორჩილებისადმი განწყობილი. თვით თურქმენები ამბობენ „ჩვენ უმეთაურო ხალხი ვართ და ჩვენ არც გვინდა იგი. ჩვენ ყველანი თანასწორნი ვართ, ჩვენში ყველა მეფეა“[5].

იმისათვის, რომ გავარკვიოთ ჰქონდა თუ არა თურქმენებს რაიმე მმართველობა, და თუ ჰქონდა, ემყარებოდა ის რაიმე რეალურ საფუძველს თუ შემთხვევით ხასიათს ატარებდა, ჩვენ მივმართავთ კვლევის იმ მეთოდს, რომელიც მოვლენებს სწავლობს კერძოდან ზოგადისაკენ. ამ შემთხვევაში ჩვენ მსჯელობას ვიწყებთ ტომობრივი ორგანიზაციის უმცირესი ერთეულით — გვარით.

თურქმენული გვარიც სისხლით ნათესაობაზე დამყარებული ისეთივე მყარი, მტკიცედ შემჭიდროებული ძირითადი ტომობრივი უჯრედია, როგორსაც ვხვდებით სხვა ტომებში.

რომ ცალკეული გვარის სათავეში გარკვეული არჩევითი პიროვნება იდგა ეს მტკიცებას არ მოითხოვს. ამაზე მიუთითებს თითქმის ყველა წყარო. უფრო რთულია იმის გარკვევა, თუ კონკრეტულად ვინ იდგა გვარის სათავეში, უფრო სწორად რომელი ტერმინით გამოვხატოთ იგი.

გვარის სათავეში ვხედავთ აყსაყალებსაც[6] და ქედხოდებსაც[7].

---

[4] П. Огородников, На пути в Персию и прикаспийские провинции ее. СПб, 1878, стр.158.

[5] А. Вамбери, Путешествие по Средней Азии в 1863 году. СПб. 1865. стр. 154.

[6] H. L. Rabino. Mazandaran and Astrabad. London. 1928. p. 94; П. Огородников. На пути в персию и прикаспийские провиции ее. СПб., 1878; Н. Муравьев, Путешествие в Туркмению и Хиву в 1819 и 1820 годах, ч. 1 и 2, М., 1822. стр. 33, 41; აყსაყალი (Ak—თეთრი, Sakal—წვერი) ანუ თეთრწვერა სოფლის მამასახლისის მნიშვნელობით იხმარება როგორც ოსმალურ, ასევე სხვა თურქულ ენებში, კერძოდ თურქმენულში.

[7] E. O'Donovan, The Merv Oasis. vol. 2, London, 1882, p. 161; А. Н. Кононов, „Родословная туркмен...“, стр. 98; В. В. Бартольд, История культурной жизни Туркестана. Л.. 1927, стр. 37, примеч. 171.

ქედხოდა (کدخدا და کتخدا) სპარსული სიტყვაა და ნიშნავს ოჯახის უფროსს, მამასახლისს. ზოგიერთი მკვლევარის მიხედვით შინაარსობრივად ქედხოდა იგივეა, რაც აყსაყალი ან ქალანთარი (ირანის სამხრეთი რაიონების ტერმინოლოგიით). იხ. Н. Ильинский, Аграрные отношения в Иране в конце XIX—на-

როგორი იყო აღებული ხანისათვის გვარის მეთაურად არჩევის წესი, უფრო სწორად ვის ირჩევდნენ ამ თანამდებობაზე, რა შეადგენდა გვარის მეთაურის მოვალეობას და როგორი იყო მისი უფლებრივი მდგომარეობა — აი ის საკითხები, რომლებიც პირველ რიგში უნდა გაირკვეს გვართან დაკავშირებით.

გვარის მეთაურად ასარჩევ კანდიდატს უნდა დაეკმაყოფილებია შემდეგი მოთხოვნები: ჯერ-ერთი, ის უნდა ყოფილიყო ხანდაზმული, რაზედაც მიუთითებს თვით ტერმინი აყსაყალი[8]. მეორეც-ის უნდა ყოფილიყო საბრძოლო დიდებით მოსილი[9], მესამეც — უნდა ჰქონოდა, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, გარკვეული ქონებრივი ცენზი[10].

გვარის მეთაურს გარკვეული ფუნქციები ეკისრებოდა. გვარის მეთაურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას (რასაც სხვა ხალხებში სახელმწიფო ასრულებდა) შეადგენდა სამუშაოთა ორგანიზაცია საირიგაციო ქსელის შესაქმნელად და ამ უკანასკნელის მუდმივ წესრიგში შენახვა. გვაროვნულ-ტომობრივი ორგანიზაცია და მაშასადამე მისი ცალკეული რგოლების სათავეში მდგომი პირები ასრულებდნენ ისეთ სახელმწიფო ფუნქციებს, როგორიცაა კარეშე მტრებისაგან თავდაცვა და შინაგანი წესრიგის დაცვის ორგანიზაცია[11]. „აყსაყალები, — შენიშნავს შტეინბერგი, — იყვნენ იმ დაუწერავი ჩვეულებრივი სამართლის მცველები და აღმსრულებლები, რომელიც თაობიდან თაობაში გადადიოდა და შემორჩა მათ გამუსლიმა-

---

чале XX века.—Ученые записки Ин-та востоковедения, т. VIII. Иранский сборник, М.,1953, стр. 118—119. აქედან გამოდის, რომ ქედხოდაც და რიშსეფიდიც (ریشسفید) ერთი და იგივეა, ვინაიდან ირანული რიშსეფიდი და თურქმენული აყსაყალი ექვივალენტური მნიშვნელობისანი არიან.

8 ჩვენ ამ შემთხვევაში აყსაყალს ვიხილავთ მხოლოდ როგორც გვარის სათავეში მდგომს და არა როგორც თურქმენთა გვაროვნულ-ტომობრივი ორგანიზაციის სხვა უფრო მსხვილი უჯრედის მეთაურს.

9 „ბრძოლა" აქ იგულისხმება როგორც დამრბევ ექსპედიციებში ე. წ. ალამანებში მონაწილეობა.

10 Н. Муравьев, Путешествие в Туркмению и Хиву в 1819 и 1820 годах, ч. I и 2, М., 1822, стр. 56. თუმცა აქ ლაპარაკია მამასახლისზე, მაგრამ, აყსაყალი, ქედხუდა, ქალანთარი, რიშსეფიდი, მამასახლისი ერთი და იგივე შინაარსის შემცველი ტერმინებია. ამიტომ ზოგ შემთხვევებში მსჯელობაში გვარის მეთაურის შესახებ ჩვენ გამოვიყენებთ რომელიმე ამ ტერმინთაგანს იმისდა მიხედვით, თუ როგორ ეყოლება მოხსენებული გვარის მეთაური ამა თუ იმ ავტორს.

11 Г. П. Васильева. Туркмены-нохурли. — „Среднеазиатский этнографический сборник" (Труды Ин-та этнографии им. Н. Н. Миклухо-Маклая, новая серия, т. XXI) М., 1954, стр. 176—177.

ნების შემდეგაც"[12]. ვამბერი, რომელსაც დაწვრილებით აქვს აღწერილი მე-19 საუკუნის ირანელ თურქმენთა ყოფა, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ აყსაყალებს რამდენადმე პატივს სცემენ და ემორჩილებიან. მაგრამ აყსაყალები უყვართ და მათ ითმენენ მანამდე, ვიდრე ისინი თავს იკავებენ უადგილო ბრძანებებისა და უზომო პრეტენზიებისაგან[13].

როგორც ვხედავთ, აყსაყალს, როგორც თურქმენთა გვაროვნულ-ტომობრივი ორგანიზაციის ზედაფენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წარმომადგენელს, არავითარი ძალაუფლება არ გააჩნია და მისი ცხოვრება ძირითადად მის ასაკზე და ავტორიტეტზეა დამყარებული. მაგრამ ასეთი მდგომარეობა გრძელდება მანამდე, ვიდრე თავს არ იჩენს ისეთი ქონებრივი უთანასწორობა გვარის რიგით წევრებსა და მათ მეთაურს შორის, რაც გავლენას მოახდენს მათი ურთიერთდამოკიდებულების სხვა სფეროზეც. ქონებრივ მდგომარეობაში ასეთი განხვავება ადრე თუ გვიან უნდა დამდგარიყო. აყსაყალები ხომ გვარის ინტერესების დაცვისათვის ღებულობდნენ წყლისა და მიწის ორსა და მეტ წილს[14].

გვარის რიგით წევრებსა და აყსაყალებს შორის უფლებრივი დამოკიდებულების გაშუქებისას უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამ დამოკიდებულებას ბევრად განსაზღვრავდა ამა თუ იმ ტომის ცხოვრების წესი. არ უნდა მოითხოვდეს მტკიცებას ის დებულება, რომ გვარის (ასევე ტომის) მეთაურის გავლენა ბინადარ თანამეტომეებზე უფრო საგრძნობია, ვიდრე იმათზე, ვინც ნომადურ ცხოვრებას ეწევა. გვარის მეთაურის გავლენის ეს ზრდა ირანის თურქმენთა სინამდვილეში უფრო შესამჩნევი ხდება მას შემდეგ, რაც მეფის რუსეთის მიერ შუა აზიის კოლონიზაციამ ბოლო მოუღო თურქმენთა ალამანობას და ირანის ხელისუფლებას საშუალება მიეცა თანდათან დაემორჩილებია ეს დაუოკებელი ხალხი. ცხადია გვაროვნულ-ტომობრივი ზედაფენის მიერ საერთო ენის გამონაბვა ადგილობრივ ხელისუფლებასთან ორივე მხარისათვის ხელსაყრელი იყო. ამდენად, ჩვენ არ შეგვიძლია გავიზიაროთ ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრება, თითქოს ირანელ თურქმენთა ყოფაში მე-19 საუკუნის 50-იანი წლების შემდეგ არავითარი ცვლილებები არ მომხდარიყოს და აყსაყალს მე-20 საუკუნის 30-იან წლებშიც არ გააჩნდა რაიმე ძალაუფლება და მისი ავტორიტეტი (და არა ძალაუფლება) ამ პერიოდში დამოკი-

---

[12] Е. Л. Штейнберг, Очерки истории Туркмении, М-Л., 1934, с. 12.

[13] А. Вамбери, Путешествие по Средней Азии в 1863 году, СПб, 1865, стр. 154.

[14] Очерки из истории туркменского народа и Туркменистана в VIII — XIX вв., Ашхабад, 1954, стр. 308.

ღებული იყო მხოლოდ მის ასაკზე, გამოცდილებაზე და პირად გავლენაზე[15].

ანალოგიური თვალსაზრისია გამოთქმული ჩრდილოეთ ირანში საბჭოთა საკონსულოს თანამშრომელთა მოხსენებებში. ერთ-ერთ მათგანში, კერძოდ, ნათქვამია, რომ გვარის მეთაური ითვლება უბრალოდ საპატივცემულო პირად, რომელიც გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობს, მაგრამ მას ა რ შ ე უ ძ ლ ი ა (ხაზი ჩვენია— ო. გ.) თავის ნებაზე გადაწყვიტოს გვარის ბედ-იღბალი. სავსებით უზრუნველყოფილია მოცემული გვარის ყოველი ცალკეული წევრის პირადი და ქონებრივი ხელშეუხებლობა. ამ მხრივ თურქმენები ყოველთვის გამოირჩეოდნენ სპარსეთის სხვა განაპირა [ოლქებში მცხოვრები] ტომებისაგან, რომლებშიც ტომის მეთაური წარმოადგენს შეუზღუდველ მბრძანებელს, რომელიც ისე ასამართლებს და უსწორდება თავის თანამეტომეებს, როგორც მას მოეპრიანება[16]. ერთი შეხედვით თითქოს მართლაც ასეა, მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ საჭიროების შემთხვევაში გვარის მეთაურმა ყოველგვარი საშუალებით მიაღწიოს სასურველ მიზანს. უადგილო არ იქნება მოვიყვანოთ აქ საილუსტრაციოდ ლამბტონის საინტერესო ცნობა. ლამბტონი გადმოგვცემს, რომ როცა ერთ ქალანთარს ჰკითხეს რას იზამდა ის, რომ თანამეტომეთ არ მოეტანაო მისთვის საახალწლო საჩუქრები, მან უპასუხა, რომ ასეთი რამ არ შეიძლება მოხდეს, ხოლო თუ კი მოხდება, მაშინ ძალას გამოიყენებს და მიიღებს თავისას[17].

ზემოთ შემთხვევით არ იყო ხაზგასმული გვარის სათავეში მდგომი პირის—აუსაყალის არჩევითობის პრინციპი. ჩვენ ამ თვალსაზრისზე ვდგავართ და, ამდენად, არ ვიზიარებთ გ. კარპოვის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „აუსაყალები არავის მიერ და არასდროს არ ა ი რ ჩ ე ო დ ნ ე ნ, [რომ] ისინი გ ა ძ ო ი ყ ო ფ ო დ ნ ე ნ (ხაზი ჩვენია — ო. გ.) გვარებიდან ერთის მხრივ როგორც უფროსები (ასაკით) და მეორეს მხრივ როგორც ცხოვრების გამოცდილების მქონენი...[18]“ არჩევითობის პრინციპს თუ გამოვრიცხავთ (რა თქმა უნდა „ზემოდან“ დანიშვნაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია) მხო-

---

[15] H. L. Rabino, Mazandaran and Astrabad. London, 1928, p. 94.

[16] Северная Персия, (Сборник консульских докладов), М., НКИД, 1933. стр. 35.

[17] Ann K. S. Lambton, Landlord and Peasantin Persia, London, 1953, p. 290.

[18] Г. И. Карпов, Пережитки безкультурия — «Туркменоведение», 1927, № 1, с. 34.

ლოდ თვითდანიშვნა-ღა რჩება (სხვაგვარად გაუგებარია „გამოყოფა"). ასეთ რამეს კი თურქმენთა სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია.

მართალია, თურქმენებში, ისევე როგორც ბევრ სხვა მომთაბარე ტომებში, ვერ ვპოულობთ სახელმწიფო ხელისუფლებას ისეთი ფორმითა და გაგებით, როგორც ჩვენ გვესმის, მაგრამ რამდენადმე უსაფუძვლოდ მიგვაჩნია იმის მტკიცება, რომ აღებული ხანის თურქმენები ესაა თავზეხელაღებულთა ბრბო, რომელიც არავითარ კანონს არ ემორჩილებოდა[19].

რა თქმა უნდა, ისინი არ იყვნენ ფანატიკოსი-მორწმუნენი და ნაკლებად უწევდნენ ანგარიშს შარიათის ნორმებს, მაგრამ სამაგიეროდ მათი ყოფა-ცხოვრება ემყარებოდა არანაკლებ მტკიცე საფუძველს —ჩვეულებრივ სამართალს, ადათს. ამ დაუწერავ კანონს კი რიგი ხალხის ცხოვრებაში არანაკლები ძალა გააჩნდა, ვიდრე სხვადასხვა სამართლებრივ კოდექსებს. ოგოროდნიკოვი აღნიშნავს, რომ თურქმენთა ველურ დაუოკებლობას და თავნებობას ზღუდავდა არა იმდენად აყსაყალის უმნიშვნელო ძალაუფლება, რამდენადაც ჩვეულება, ადათი[20]. თურქმენთა შორის ჩვეულებრივი სამართლის განუზომლად დიდ ძალას ხაზს უსვამს კუროპატკინიც[21].

რასაკვირველია, ჩვეულებრივი სამართლის როლი და ადგილი თურქმენთა ყოფაში არ იყო ყველგან და ყოველთვის ერთნაირი. მომთაბარეობის პერიოდში ადათი, ჩვეულება ერთადერთი საკანონმდებლო საფუძველია, რომელსაც ემორჩილება და მეტ-ნაკლებად ანგარიშს უწევს ყველა — რიგითი თანამეტომედან მოყოლებული ტომის ბელადამდე, ხანამდე. შტეინბერგს ჩვეულებრივ სამართალთან ერთად თურქმენთა სამართლებრივ საფუძვლად მიაჩნია ავრეთვე გვაროვნული მორალის კოდექსი[22]. მაგრამ სურათი რამდენადმე იცვლება როგორც კი მომთაბარე თურქმენები ნებით თუ იძულებით გადადიან ბინადარ ცხოვრებაზე. ირანის სინამდვილეში ეს იმას ნიშნავს, რომ ბინადარი თურქმენები (განსაკუთრებით ეს ეხება ეოკლანებს) იძულებული ხდებიან ანგარიში გაუწიონ ირანის ხელი-

---

19 ამ შემთხვევაში ვეხებით მხოლოდ ირანის ტერიტორიაზე მოსახლე თურქმენებს; რაც შეეხება შუა აზიაში მოსახლე თურქმენებს, ოქტომბრის რევოლუციამდე იქ არსებული მერვისა და ხივის სახანოები მით უმეტეს არ იძლევიან ასეთი დასკვნის საფუძველს; ისინი საკმაოდ ძლიერ სახელმწიფოებს წარმოადგენენ.

20 П. Огородников, На пути в Персию и прикаспийские провинции ее. СПб., 1878, с. 160.

21 А. Куропаткин, Туркмения и туркмены. — «Военный сборник». 1879, т. 129, кн. 10, с. 314.

22 Е. Л. Штейнберг, დასახ. ნაშრ., გვ. 13.

სუფალთა საკანონმდებლო აქტებს, რამდენადაც ისინი მნიშვნელოვანწილად ექცევიან ადგილობრივი ირანელი გუბერნატორებისა და მათი მოხელეების (მაგ. დარუღების) მოქმედების სფეროში.

თურქმენული გვარის შესახებ მსჯელობისას ჩვენ შევეხეთ გვარის ხელმძღვანელ ბირთვს, რომელიც წარმოდგენილი იყო აყსაყალების, ქედხოდების და მამასახლისების სახით. მაგრამ თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ თურქმენთა გვაროვნულ-ტომობრივი ორგანიზაციის უფრო მსხვილ უჯრედებს (ქვეტომს, ტომს), დავინახავთ, რომ მათი ზედაფენაც იგივე აყსაყალებით, ქედხოდებითა და მამასახლისებითაა წარმოდგენილი. ასეთი მოსაზრების გამოთქმის უფლებას გვაძლევს არაერთი პირველწყარო და გამოკვლევა. მაგ. ო'დონოვენი თავის მსჯელობაში ქედხოდას, როგორც კლანის (გვარის). მეთაურის შესახებ პირდაპირ მიუთითებს, რომ არიან უფრო მაღალი რანგის ქედხოდები ქვეტომების სათავეში[23]. ქედხოდები, მისი თქმით, თავიანთ ტომებში განასახიერებენ ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს (ხაზი ჩვენია—ო. გ.) როგორც ასეთს და დროდადრო მოქმედებენ როგორც მოსამართლენი, თუმცა მოსამართლის ფუნქციები, როგორც თვითონ აღნიშნავს, უფრო სწორი იქნებოდა დაკისრებოდა ყადიებს ანუ განსწავლულ მოსამართლეებს[24]. მურავიოვი შენიშნავს, რომ მამასახლისის არჩევა სავსებით დამოუკიდებელია ტომისაგან[25], რომელსაც ყოველთვის გააჩნია უფლება შეცვალოს იგი და საერთოდ ი რ ჩ ე ვ ს(ხაზი ჩვენია.—ო. გ.) მას ნდობით აღჭურვილი უპატივცემულესი მოხუცების საერთო შეთანხმებით[26]...

საკმაოდ უმნიშვნელოდაა წარმოდგენილი მამასახლისის როლი და ადგილი კერძო ხასიათის საქმეების, განსაკუთრებით სისხლის სამართლის საქმეების გადაწყვეტაში. მაგრამ მისი გავლენა შესამჩნევად იზრდება, როცა საქმე ეხება ტომთა შორის ურთიერთობას, როცა ერთი ტომი ურიგდება მეორეს და უკავშირდებიან ერთმანეთს საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად[27].

თურქმენთა გვაროვნულ-ტომობრივი იერარქიის სათავეში დგანან ხანები. არაერთგვაროვანი და, რიგ შემთხვევებში, ერთმანეთის გამომრიცხველი ცნობების სიმრავლე საკმაო სიძნელეებს ქმნის ირა-

---

[23] E. O'D o n o v a n, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 161.

[24] იქვე.

[25] ამ შემთხვევაში ლაპარაკი უნდა იყოს სწორედ ტომის მამასახლისზე და არა გვარის მამასახლისზე, რამდენადაც ამ უკანასკნელის არჩევა გვარის კომპეტენციაში შედიოდა და ტომს მასთან ხელი არ ჰქონდა.

[26] Н. М у р а в ь е в, დასახ. ნაშრ., გვ. 79—80.

[27] Туркмены номудского племени. «Военный сборник», 1879, т. 129, кн. 10, с. 74.

ნელ თურქმენთა ყოფა-ცხოვრებაში ხანების როლისა და ადგილის გარკვევაში. ერთის მხრივ ხანის თანამდებობა მემკვიდრეობითია და ბევრ რამეში ფაქტიურად დამოუკიდებელი სიუზერენია[28]. ბაზრობის დღეებში ხანი, ჩვეულებრივ, პირადად აწყობს საჯაროდ სასამართლო პროცესებს (ადგენს სამართლიანობას) და ხშირად თვითვე ადებს დამნაშავეს დისციპლინარულ სასჯელს[29]. მეორეს მხრივ ხანების ძალაუფლება თურქმენებში არაა მემკვიდრეობითი. ის ნაწყალობეია სპარსელებისაგან და ხალხიც ზოგჯერ ემორჩილება მათ მათი გონებისა და ქცევისადმი პატივისცემის ნიშნად[30].

ხანის თანამდებობის არამემკვიდრეობით ხასიათს ხაზს უსვამს მიხაილოვიც. მისი ცნობებით ხანის წოდება დროდადრო ეძლეოდა ამა თუ იმ დამსახურებულ თანამეტომეს. ხანი, როგორც აღნიშნავს მიხაილოვი, აირჩეოდა არა მთელი ტომის, არამედ იმ ცალკეული ქვეტომის (поколение) ან აულების ჯგუფის მიერ, რომლებიც მას არ უხდიდნენ არავითარ გამოსაღებს; მხოლოდ ყოველი აული აძლევდა ორ-ორ მხედარს ყაჩაღების სადევნებლად[31].

ზოგიერთის მიერ ხანი გაიგივებულია სარდართან და იგი მიჩნეულია როგორც არჩევითი სამხედრო ბელადი, რომელიც აირჩეოდა უხუცესთა საბჭოს ან მთელი ტომის მიერ ალამანობის დროს წინამძღოლობისათვის და უფრო მეტად კი მხოლოდ საომარი მოქმედებების დროს[32]. ამ მოსაზრების (ე. ი. ხანისა და სარდარის გაიგივების) უსაფუძვლობა თვალნათლივ აქვს ნაჩვენები ო'დონოვენს. საილუსტრაციოდ მას მოჰყავს საინტერესო მაგალითი: რუსეთსა და ახალ თექელთა შორის ომის დროს მემკვიდრე ხანი მაყდუმ ყული ნომინალურად მეთაურობდა ჯარებს, აქტიურ ოპერაციებს კი გუქიეფეს ფარგლებს გარეთ აწარმოებდა თოქმე სარდარი, რომელსაც არ გააჩნდა არავითარი მემკვიდრეობითი ჩინი (წოდება). სამხედრო ხელოვნების ცოდნის წყალობით ის იქნა არჩეული მხედართმთავრად. ო'დონოვენი იქვე შენიშნავს, რომ მას (სარდარს) ზუსტად ისეთივე მდგომარეობა ეკავა მაყდუმ ყული ხანთან შედარებით, როგორც გენერალ მოლტკეს იმპერატორ ვილჰელმთან შედარებით საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს[33].

---

28 E. O'Donovan. დასახ. ნაშრ., ტ. 2. გვ. 30, 163.

29 იქვე, გვ. 161.

30 Н. Муравьев. დასახ. ნაშრ., გვ. 33.

31 Ф. А. Михайлов, Туземцы Закаспийской области и их жизнь. Этнографический очерк. Асхабад, 1900, с. 34.

32 Е. Л. Штейнберг, დასახ. ნაშრ., გვ. 12.

33 E. O'Donovan. დასახ. ნაშრ., ტ. 2. გვ. 163.

გვაქვს ისეთი შემთხვევაც, როცა ცალკეული თურქმენი ხანები წარმოდგენილი არიან როგორც დარუღების მიერ დანიშნულნი და მათი მოვალეობანი გაიგივებულია სარქარდების[34] ფუნქციებთან, როგორიც იყო. კერძოდ, გამოსაღებების აკრება თანამეტომეთაგან[35]. ზოგიერთი იქამდეც კი მიდის, რომ კატეგორიული ფორმით აცხადებს: „ილხანთა ინსტიტუტი [თურქმენთა] ველზე არასოდეს არ ყოფილა და ყველა სადაო საკითხი წყდებოდა, როგორც წესი, ახუნდების (ე. ი. სამღვდელოების) მიერ, რომელთა გავლენა თურქმენთა შორის მნიშვნელოვანია"[36]. გასარკვევია, აგრეთვე, რამდენად შეესაბამება სინამდვილეს ბენდერევის განცხადება, რომ ასტრაბადის პროვინციის ყ ვ ე ლ ა ხ ა ნ ე ბ ი (ხაზი ჩვენია—ო. გ.) და ნაიბები (ბულუქების[37] მმართველები), რომელთაც დაკისრებული აქვთ მდ. გორგანის ველის თურქმენებზე თვალყურის დევნება, ატარებენ თურქმენთა „დარუღას" ან „დარღას" წოდებას[38].

მიუხედავად იმისა, რომ ირანელ თურქმენთა ცხოვრებაში ხანის, როგორც გვაროვნულ-ტომობრივი ორგანიზაციის ზედაფენის უმაღლესი წარმომადგენლის, ადგილისა და როლის შესახებ რიგი ავტორებისა არაერთგვაროვან ცნობებს გვაწვდის, ირანელ თურქმენთა ყოფის სხვადასხვა მხარის შესწავლა საშუალებას გვაძლევს გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება[39].

აღებულ ხანაში ირანელი თურქმენები ეწეოდნენ ნომადურ ან ნახევრად ნომადურ ცხოვრებას, რაც გულისხმობს სეზონურ გადასვლებს ყიშლაღებიდან იალაღებისაკენ და უკანვე, საძოვრებისა და ჭების განაწილებას. ყველაფერი ეს დაკავშირებული იყო დიდ სიძნელეებთან და ამდენად მოითხოვდა მტკიცე ორგანიზაციას საკმაოდ უფლებამოსილი პირით სათავეში. სწორედ ასეთ პირს წარმოადგენდა თურქმენული ტომის სათავეში მდგარი ხანი. მართალია ხანის

---

34 დარუღებისა და სარქარდების შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

35 А. М. Матвеев, Социально-политическая борьба в Астрабаде. Ташкент, 1957, с. 23.

36 Северная Персия. (Сборник консульских докладов). М., НКИД. 1933, с. 35.

37 ბულუქი—بلوک (მრ. بلوکات)—რაიონი, მაზრა. ბულუქის სათავეში იდგა [ასტრაბადის] გუბერნატორის მიერ დანიშნული მოხელე — ნაიბი. იხილე А. М. Матвеев, Социально-политическая борьба в Астрабаде. Ташкент, 1957, с. 25; Бендерев, Астрабад—Бастамский район Персии. Поездки по району в 1902 году ген. штаба полковника Бендерева. Асхабад, 1904, с. 154.

38 Бендерев, დასახ. ნაშრ., გვ. 155—156.

39 ფაქტობრივი მასალის სიმცირე არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ ჩვენს მოსაზრებებს კატეგორიული ხასიათი მივცეთ.

თანამდებობის მემკვიდრეობის საკითხი, როგორც ზემოთ ვნახეთ, დამოკიდებული იყო მთელ რიგ პირობებზე, მაგრამ ფაქტიურად ხანის თანამდებობა, როგორც წესი, რჩებოდა მემკვიდრეობით და თაობიდან თაობაზე გადადიოდა.

ხანები, ჩვეულებრივ. ახორციელებდნენ სამოქალაქო ხელისუფლებას, სახელდობრ: ტომების სეზონური გადასვლების ორგანიზაციას, საძოვრებისა და ჭების ან წყალსაცავების განაწილებას, თვალყურს ადევნებდნენ ჩვეულებრივი სამართლის ნორმებითა და ადათით გათვალისწინებული წესების დაცვას და სასამართლო იურისდიქციას ამ წესების დამრღვევთა მიმართ და სხვ. რაც შეეხება სამხედრო ხელისუფლებას, მისი განხორციელება მხოლოდ ამა თუ იმ ხანის პირად მონაცემებზე და უნარზე იყო დამოკიდებული.

სამხედრო ხელისუფლებას[40] ძირითადად ახორციელებდა სარდარი, პირი, რომელსაც ალამანობის წინ ირჩევდნენ საომარი ოპერაციების ხელმძღვანელობისათვის[41]. სარდარის წოდებას პერსონალურად აძლევდნენ იმ პირებს (ქედხოდებსა და რიგით თანამეტომეებს — ო. გ.), რომლებმაც თავი გამოიჩინეს ბრძოლის ველზე სამხედრო ხელოვნების კარგი ცოდნით[42]. ო'დონოვენის სიტყვით სარდარები რამდენადმე მოგვაგონებენ ევროპელ თადარიგის ოფიცრებს[43].

ალამანების მონაწილე ყველა თურქმენი უსიტყვოდ ემორჩილებოდა თავის წინამძღოლს — სარდარს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სარდარის ძალაუფლება ალამანის მონაწილე რიგით თურქმენზე ხორციელდებოდა მ ხ ო ლ ო დ (ხაზი ჩვენია—ო. გ.) თავდასასხმელად წასვლის მომენტიდან. თავდასხმებიდან დაბრუნებისთანავე სარდარები რიგით თურქმენებად იქცეოდნენ[44].

მიხაილოვი შემდეგნაირად ახასიათებს სარდარის თანამდებობას; „სარდარი—ეს მხედართმთავარია. რომელიც მეთაურობს თურქმენთა მხედრიონს (вольницу) ალამანობის დროს ან ახორციელებს სამხედრო ხასიათის ღონისძიებებს“[45]. საბჭოთა მკვლევარი როსლიაკოვი, რომელსაც სპეციალურად აქვს განხილული თურქმენთა ალამანობის საკითხი, სარდარის უმთავრეს მოვალეობებად ჩამოთვლის ალამანობის ორგანიზაციას, თავდასხმის გეგმის შედგენას, დასარბე-

---

40 ამის საჭიროება მხოლოდ ალამანობის დროს იჩენდა თავს.

41 К. М. Федоров, Закаспийская область, Асхабад, 1901, с. 25.

42 E. O'Donovan, დასახ. ნაშრ., ტ. 2, გვ. 163.

43 იქვე.

44 К. М. Федоров, დასახ. ნაშრ., გვ. 25.

45 Ф. А. Михайлов, Туземцы Закаспийской области и их жизнь. Этнографический очерк. Асхабад, 1900, с. 34.

ვი ობიექტის არჩევას და თავდასხმის პრაქტიკულ ხელმძღვანელობას[46]. ბრძოლის დროს სარდარს განუსაზღვრელი უფლებები ენიჭებოდა. მას შეეძლო იარაღი ჩამოერთმია ურჩი თანამეტომეებისათვის.

შეიძლება თუ არა სარდარი მივიჩნიოთ თურქმენთა გვაროვნულ-ტომობრივი ზედაფენის წარმომადგენლად? ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა საკმაოდ ძნელია, თუმცა ჩვენს წინაშეა, თუნდაც ცოტა დროით, მაგრამ მაინც საკმაო უფლებების მქონე პირი, რომლის სიტყვა ცალკეულ შემთხვევებში ვადამწყვეტია და რომლის ეკონომიური მდგომარეობაც განსხვავებულია რიგითი თანამეტომის მდგომარეობისაგან (სარდარი ხომ ალამანობის დროს მიღებული ნადავლიდან მეტ წილს იღებდა).

საქმე იმაშია, რომ, როგორც ფედოროვი შენიშნავს, „ერთი ალამანის დროს სარდარად არჩევა არასოდეს არ იძლეოდა იმის გარანტიას, რომ ის არჩეული იქნებოდა [სარდარად] მომდევნო ალამანობის დროსაც. ყველაფერი დამოკიდებული იყო არჩეული სარდარის ფხიანობასა, ენერგიასა და გამჭრიახობაზე...“[47] მაგრამ ალამანობა ყოველთვის წარმატებით არ მთავრდებოდა და ეგეც რომ არ იყოს ერთხელ არჩეული სარდარი ყოველთვის ხომ ერთნაირად ვერ გამოიჩენდა თავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადრე თუ გვიან ისიც რიგით თანამეტომეთა შორის აღმოჩნდებოდა. მას ვერ უშველიდა ის დიდი პატივიც კი, რომლითაც სარგებლობდნენ სარდარები თურქმენებში[48].

როცა ვლაპარაკობთ ირანელ თურქმენთა საზოგადოებრივ წყობაზე, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ისეთ მნიშვნელოვან თანამდებობრივ პირებს, როგორიცაა დარუღა და ნაიბი. მართალია ისინი არ ეკუთვნოდნენ თურქმენთა ზედაფენას (ამ თანამდებობებზე ინიშნებოდნენ, როგორც წესი, სპარსელი და ქურთი მოხელეები), მაგრამ იმდენად დიდ როლს თამაშობდნენ ისინი ირანელ თურქმენთა ცხოვრებაში, რომ საკითხი არ იქნებოდა მეტ-ნაკლები სისრულით გაშუქებული, თუ ორიოდე სიტყვით არ შეეხებოდით მათ.

რას წარმოადგენდა დარუღა ირანელ თურქმენთათვის აღებულ ხანაში, როგორი იყო მისი უფლება-მოვალეობანი და ვის ნიშნავდნენ ამ თანამდებობაზე? ვიდრე პასუხს გავცემდეთ ამ კითხვებზე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ შემთხვევაში საუბარი გვექნება მხოლოდ იმ თურქმენებზე, რომლებიც მეტ-ნაკლებად ეწეოდნენ ნა-

---

[46] А. А. Росляков, Аламаны — «Советская этнография», 1955, № 2, с. 43.

[47] К. М. Федоров, Закаспийская область. Асхабад, 1901, с. 25.

[48] იქვე.

ხევრად ბინადარ ცხოვრებას და ექცეოდნენ ირანელ ხელისუფალთა გავლენის ქვეშ.

დარუღას თანამდებობაზე დანიშვნა ხელთ ეპყრა ადგილობრივ ხელისუფალთ ასტრაბადის გუბერნატორისა და ბუჯნურდის [ქურთი] ილხანის სახით. პირველი — ასტრაბადის გუბერნატორი უმაღლეს ხელისუფლებას ახორციელებდა ირანელი იომუდი თურქმენების მიმართ, რამდენადაც ეს უკანასკნელნი ასტრაბადის პროვინციაში ცხოვრობდნენ, ხოლო იომუდთა აღმოსავლეთით მცხოვრები გოკლანების მიმართ უმაღლესი მმართველის როლში გვევლინება ბუჯნურდის ილხანი.

ასტრაბადის პროვინცია აღებული ხანისაოვის ადმინისტრაციული თვალსაზრისით შედგებოდა ორი ცალკეული სახანოსა (ფენდერესქისა და ქიათულის)[49] და ხუთი ბულუქისაგან ანუ მაზრისაგან (დაგეთ-ე მალიქ, ასტრაბად-რუსთაქი, სედან-რუსთაქი, ანიზანი და სოვარ-შაჰ-ქუჰ)[50]. სწორედ ფენდერესქისა და ქიათულის ოლქების მმართველები წარმოადგენდნენ იომუდთა ზედა ტომებისათვის[51] დარუღებს[52].

ზედა ტომების მსგავსად. იომუდთა ქვედა ტომებსაც ჰყავდათ დანიშნული დარუღები. მაგრამ ისინი. როგორც ჩანს, არ იყვნენ ოლქების მმართველები. ყოველ შემთხვევაში არტამონოვი მათი თანამდებობის შესახებ არაფერს ამბობს. ასეთი მდგომარეობა მხოლოდ იქით შეიძლება აიხსნას, რომ იომუდთა ქვედა ტომები შედარებით მორჩილნი იყვნენ და ირანის ადგილობრივ ხელისუფლებას მაინცდამაინც არ უჭირდა მათზე თავისი გავლენის გავრცელება. შემთხვევითი არაა, რომ იომუდთა ზედა ტომების დასამორჩილებლად ფენდერესქისა და ქიათულის ოლქების მმართველებს — დარუღებს მიმაგრებული ჰყავდათ ბერდანკით შეიარაღებული ას-ასი მხედარი, ხო-

---

[49] არტამონოვი მათ ოლქებს უწოდებს. იხ.Л. К. Артамонов, Астрабад — Шахрудский район и северный Хорасан, ч. I, Тифлис, 1894, с. 113.

[50] Бендерев, დასახ. ნაშრ., გვ. 153.

[51] ირანელი იომუდი თურქმენები იყოფოდნენ ზედა და ქვედა ტომებად. რომლებზედაც ერთნაირი არ იყო ირანის ადგილობრივ ხელისუფალთა გავლენა. „ზედა“ ტომები ნაკლებად უწევდნენ ანგარიშს სპარსეთის ხელისუფალთ. „ქვედა“ ტომებს უწოდებდნენ იმ იომუდ თურქმენებს, რომლებიც ცხოვრობდნენ მდ. ათრექისა და გურგენის ქვემო წელზე, ხოლო „ზედა“ ტომებს — ამ მდინარეების ზემო და შუა წელზე მცხოვრებ იომუდებს. იხ. Х. Атаев, К вопросу изучения туркмен в Иране (Административно-географическая характеристика и население в первой трети XX в.) машинопись, с. 7.

[52] Л. К. Артамонов, დასახ. ნაშრ., ნაწ. I, გვ. 113.

ლო ქვედა ტომებისათვის დანიშნული დარუღების მცველთა რაზმი არ აღემატებოდა თხუთმეტ მხედარს[53]. რაც შეეხება გოკლან თურქმენებს, ისინი ადმინისტრაციული თვალსაზრისით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბუჯნურდის სახანოში შედიოდნენ და მათ დარუღასაც ბუჯნურდის ილხანის მიერ დანიშნული მოხელე წარმოადგენდა. თუ იომუდი თურქმენებისათვის დარუღას ირანელი წარმოადგენდა, აქ, გოკლანებთან, დარუღად ქურთი გვევლინება[54]. არტამონოვი ასახელებს ვინმე მირზა-მამედ ყულის, რომელსაც ზედიზედ ექვსი წელი ეკავა გოკლან თურქმენთა დარუღას პოსტი[55].

უნდა აღინიშნოს, რომ შემთხვევითი არ იყო ქურთული ელემენტის ასეთი გაბატონებული მდგომარეობა ირანელ თურქმენთა (განსაკუთრებით გოკლანთა) შორის. ირანის ტერიტორიაზე თურქმენთა დამკვიდრებისთანავე ირანის ხელისუფალთათვის გადაუჭრელ პრობლემად იქცა მათი დაშოშმინება და დამორჩილება. ირანის მთავრობამ გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან იმაში ჰპოვა, რომ თურქმენთა ტერიტორიაზე ჩაასახლა მეომარი ქურთი ტომები, რათა ეს უკანასკნელნი დაეპირისპირებია თურქმენთათვის.

მდგომარეობა რამდენადმე შეიცვალა მე-19 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, როცა გოკლანებით დასახლებული რაიონი, რომელიც წინათ ბუჯნურდი სახანოში შედიოდა, ასტრაბადის პროვინციის შემადგენლობაში შეიყვანეს[56].

დარუღას მოვალეობას შეადგენდა გამოსაღებების აკრება. ბენდერევის ცნობით მხოლოდ ამ ფუნქციას ასრულებდა ფენდერესქის ხანი, იგივე დარუღა მდ. გორგანისპირა თურქმენების მიმართ[57]. დარუღა ამავე დროს წყვეტდა მრავალ წვრილმან სადაო საკითხებს ტომსა და ტომის რიგით წევრებს შორის[58]. მაგრამ დარუღას უმთავრესი მოვალეობა მაინც გადასახადების განაწილება და აკრება იყო. რასაც ის ახორციელებდა ტომების ხანებთან და მამასახლისებთან ერთად[59].

დარუღას თანამდებობა იმდენად მნიშვნელოვანი იყო და მას

---

53 Л. К. Артамонов, დასახ. ნაშრ., ნაწ. 1, გვ. 114.

54 Л. К. Артамонов, დასახ. ნაშრ., ნაწ. 2, ნაკვ. 1, გვ. 96, დანართი.

55 Л. К. Артамонов, იქვე. ნაწ. 1. გვ. 75.

56 Д. И. Русинов, Туркмены и курды северо-восточной Персии (Географический и социально-экономический очерк) — в кн: Березкин, В Гюргенской долине, М.-Ташкент, 1931, с. 70.

57 Бендерев, Астрабад-Бастамский район Персии. Поездки по району в 1902 году ген. штаба полковника Бендерева. Асхабад, 1904, с. 155.

58 Л. К. Артамонов, დასახ. ნაშრ., ნაწ. 1, გვ. 75.

59 Л. К. Артамонов, იქვე. ნაწ. 2, ნაკვ. 1, გვ. 92. დანართი.

იმდენი უფლებები გააჩნდა, რომ შეეძლო, როცა კი ამის საჭიროებას დაინახავდა, ანგარიში არ გაეწია არც ტომის მეთაურისათვის და არც მამასახლისისათვის. მას შეეძლო რამდენიც უნდოდა და როგორიც უნდოდა ისეთი გადასახადები შეეწერა ბინადარი თურქმენებისათვის. მოქმედების თავისუფლებისათვის მას ხელფეხი გახსნილი ჰქონდა ასტარაბადის გუბერნატორისაგან. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. დარუღას თანამდებობაზე დანიშვნისათვის ასტრაბადის გუბერნატორი საკმაოდ დიდი რაოდენობის ქრთამს იღებდა. დარუღას თანამდებობის ფასი მერყეობდა ადგილის შემოსავლიანობის შესაბამისად[60].

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ყვლეფდნენ დარუღები რიგით გოკლან თურქმენებს, არტამონოვს მოჰყავს საინტერესო მაგალითი: „დარუღამ თითქოს ჩემთვის და ჩემი თანმხლები პირებისათვის, — წერს ის, — მოითხოვა ჩვეულებრივზე ორჯერ და სამჯერ მეტი სურსათ-სანოვაგე; წინასწარ გასცა განკარგულება ორი კარგი კიბიტის გამოყოფის შესახებ და ა. შ. და ყველაფერი ეს აული იანგაყის მცხოვრებთა ხარჯზე“[61].

მმართველობის აპარატში ერთი რანგით დაბლა იდგნენ ნაიბები — დარუღების თანაშემწეები. ესენი იგივე ბულუქების სათავეში მდგომი სპარსელი მოხელეები იყვნენ, რომელთაც ასტრაბადის პროვინციაში ნიშნავდა პროვინციის გუბერნატორი[62], ხოლო ბუჯნურდის სახანოში — ბუჯნურდის ილხანი[63]. დამახასიათებელია ერთი დეტალი: თუ ასტრაბადის პროვინციაში ნაიბებად ინიშნებოდნენ სპარსელთა რიგებიდან, ბუჯნურდის სახანოში ნაიბად ყოველთვის ქურთი იყო[64]. ბუჯნურდის სახანოში ნაიბი. როგორც დარუღას თანაშემწე, იუზბაშის სახელითაც იყო ცნობილი[65].

ნაიბი (იგივე იუზბაში) გარდა იმისა, რომ დარუღას თანაშემწედ ითვლებოდა, ამავე დროს ასრულებდა საბაჟოს მოხელის მოვალეობას რუსეთისპირა რაიონში[66].

ბუჯნურდის სახანოში ნაიბი (იუზბაში) ამავე დროს იყო ილხანის მიერ დაქირავებულ გოკლან ცხენოსანთა უფროსი[67]. ბუჯნურდის

60 Л. Ф. Богданов, Персия в географическом, религиозном, бытовом, торгово-промышленном и административном отношениях. СПб., 1909, с. 120.

61 Л. К. Артамонов, დასახ. ნაშრ., ნაწ. 1, გვ. 82.

62 А. М. Матвеев, Социально-политическая борьба в Астрабаде. Ташкент, 1957, с. 25.

63 Л. К. Артамонов, დასახ. ნაშრ., ნაწ. 2, ნაკვ. 1 გვ. 91, დანართი.

64 Л. К. Артамонов, იქვე, ნაწ. 1, გვ. 76.

65 Л. К. Артамонов, იქვე, 1, გვ. 75—76.

66 Л. К. Артамонов, იქვე, ნაწ. 2, ნაკვ. 1, გვ. 91, დანართი.

67 Л. К. Артамонов, იქვე, ნაწ. 1, გვ. 75—76.

ილხანს, გარდა ამ ორი ქურთი მოხელისა (მხედველობაშია დარუღა და იუზბაში), მე-19 საუკუნის 90-იან წლებში მუდმივ ჯამაგირზე ჰყავდა ოთხი ყველაზე გავლენიანი პირი, რომელთა მეშვეობითაც ის ახორციელებდა გოკლანთა მართვას. ესენი იყვნენ: მეჰდი ხან ყარაგუზი, ყარადიშ-ხან იანგაყ, ოვეზ ნეფეს ხან ყარაბალ-ხან და სუბ-ხან-ყული-ხან გაი. ამათგან პირველი წელიწადში ღებულობდა 100 თუმანს, ხოლო დანარჩენები — 70 თუმანს თვითეული[68].

მე-20 საუკუნის 20-იანი წლებისათვის ირანელ თურქმენებში ჩვენ ვხვდებით ირანის ადგილობრივი ხელისუფლების საზოხელეო აპარატის ახალ წარმომადგენელს — სარქარდას, რომელიც, რაბინოს სიტყვით, აქ გვევლინება როგორც ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნული აგენტი [69], რომელიც უშუალოდ კრებს გადასახადებს ბინადარი თურქმენი მოსახლეობიდან[70].

გარდა გადასახადების აკრებისა, სარქარდებს ევალებოდათ უზრუნველეყოთ, საჭიროების შემთხვევაში, ზოგიერთი მხედრების. როგორც ამა თუ იმ ტომის წარმომადგენლების, დროული გამოცხადება ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებაში[71]. ამ აგენტებს საკომანდო პოსტები ეჭირათ ასტრაბადის გუბერნატორის რაზმში და ხშირად ბოროტად იყენებდნენ თანამდებობას. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ ამ აგენტის თანამდებობა, როგორც შენიშნავს რაბინო, რიგ შემთხვევებში მემკვიდრეობითი ხდებოდა[72].

არ შეიძლება არ შევეხოთ ერთის მხრივ თითქოს-და-უმნიშვნელო თანამდებობრივ პირს, რომელიც ცნობილია მირაბის სახელით. ილინსკის ცნობით მირაბი ესაა ქედხოდას მიერ დანიშნული პირი. თუმცა არსებობს სხვა ცნობებიც, რომელთა მიხედვით მირაბებს ირჩევდნენ არა ქედხოდები, არამედ უშუალოდ მოსახლეობა. მაგ., აულ გოქ-თეფეში მირაბებად პერზალი ამან გელდიევი და ურაზა შეიხ ილიაზოვი მოსახლეობამ აირჩია[73]. ტაიროვი არა მარტო აღნიშნავს მირაბის თანამდებობაზე მცხოვრებთა მიერ ამა თუ იმ პირის არჩევის ფაქტს, არამედ ხაზს უსვამს მირაბად არჩევის წესის სხვადასხვაგვარობას. მაგ., ის გადმოგვცემს, რომ ათექის 11 აულიდან თვითეული მათგანის მცხოვრებნი თავიანთი წრიდან ირჩევდნენ თითო კიჩი-

---

68 Л. К. Артамонов, დასახ. ნაშრ., ნაწ. 1, გვ. 76.

69 H. L. Rabino, დასახ. ნაშრ., გვ. 95. იხ. აგრეთვე: Центральный Государственный архив Грузинской ССР, Фонд 545. опись 1, дело 1251, листы 24 об., 43.

70 იქვე.

71 იქვე.

72 იქვე.

73 Центральный Государственный Архив Туркменской ССР, Фонд I, Опись 2, Дело 3611, лл. 2—3.

მირაბს [პატარა მირაბს — ო. გ.); აქედან აულები მახთუმყალა. ხოსროვ და მეგინლი — ერთი წლით, ხოლო დანარჩენი 8 აული—უვადოთ. ამასთან საზოგადოებას შეეძლო როგორც ვადით, ასევე უვადოთ არჩეული მირაბების დათხოვნა როგორც კი ამას საჭიროდ ცნობდა.

არცერთ აულში არ ინიშნებოდა ერთზე მეტი კიჩი-მირაბი ან კელტე-მირაბი [იგივე პატარა მირაბია — ო. გ.][74], რომლის მოვალეობას შეადგენდა თვალყური ედევნებია მინდვრების სწორად მორწყვასა და წყლით სარგებლობის წესების დაცვაზე[75]. მაგრამ, როგორც სხვადასხვა გამოკვლევებიდან ჩანს, მირაბს გაცილებით მეტი უფლებები ეძლეოდა. კერძოდ, თურქმენებში, როგორც შტეინბერგი აღნიშნავს, გვაროვნული ზედაფენის რწმუნებით მირაბის ხელთ იყო მიწის ნაკვეთებისა და სარწყავი წყლის განაწილების საქმეც[76].

თვით ის ფაქტი, რომ მირაბის გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული მიწისა და წყლის განაწილება, საკმაოდ მკერმეტყველურად ლაპარაკობს იმაზე, რომ ის დიდ როლს თამაშობდა თურქმენთა ცხოვრებაში. კისლიაკოვი არაორაზროვნად მიუთითებს, რომ მირაბი — ეს იყო მაღალი თანამდებობის პირი საირიგაციო ადმინისტრაციაში და გამოთქვამს ვარაუდს, რომ ის განაგებდა მაგისტრალური არხის მთელ სარწყავ სისტემას[77].

მირაბის, როგორც თურქმენთა შებღალული ზედაფენის ერთ-ერთი წარმომადგენლის ნათელ სურათს იძლევა მეფის რუსეთის ერთ-ერთი ოფიციალური მოხელე გრაფი პალენი. მისი ცნობით „მირაბები ურიგებდნენ მიწას ვისაც უნდოდათ და რამდენიც უნდოდათ, აძლევდნენ მიწის ნაკვეთებს თავიანთ ნათესავებსა და მახლობლებს. [ისინი] თვალყურს ადევნებდნენ არხების გაწმენდას და ყოველგვარ შეღავათებს აძლევდნენ მათთვის სასურველ პირებს. უკონტროლოდ განაგებდნენ წყალს და თავიანთ ხელში ჰქონდათ ნათესების ბედ-იღბალი. ...იყენენ რა წყლის სრულუფლებიანი პატრონები, მირაბები არაიშვიათად სარგებლობდნენ მით ურიგოდ, რის წყალობითაც მათი ნათესები არასოდეს არ იღუპებოდა, ხოლო დაიხანე-

---

74 Я. Танров, Материалы по водопользованию у туркмен Закаспийской области. ч 2, СПб., 1904, с. 55.

75 Г. Н. Ильинский, Аграрные отношения в Иране в конце XIX — начале XX века — «Ученые записки Ин-та востоковедения», т. VIII, Иранский сборник, М., 1953, с. 119.

76 Е. Л. Штейнберг, დასახ. ნაშრ., გვ. 19.

77 Н. А. Кисляков, Патриархально-феодальные отношения среди оседлого сельского населения Бухарского ханства в конце XIX — начале XX вв. М.-Л., 1962, с. 134.

ბის (თურქმენულად გლეხს ნიშნავს—ო. გ.) ნათესები ხშირად იწ-ყოდა გვალვისაგან"[78].

არ შეიძლება ითქვას, რომ ირანელ თურქმენთა გვაროვნულ-ტომობრივი ორგანიზაციის ზედა ფენა ყოველმხრივ სრულუფლებიანი იყო თავის მოქმედებაში. მსგავსად ჩრდილოეთ არაბეთის მომთაბარე ტომებისა, რომლებშიც ტომის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა ტომის შეიხის მიერ მოწვეული საბჭო — მეჯლისი ანუ შურა[79], თურქმენთა ზედა ფენის წარმომადგენლები (ხანები, აყსაყალები, ქედხოდები) ქმნიან საკრებულოს ანუ ერის (ამ შემთხვევაში ტომის —ო. გ.) დიდ საბჭოს, რომელიც იკრიბება მთელი ტომისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად[80].

თურქმენთა ამ უმაღლესი ორგანოს — საბჭოს შესახებ საყურადღებო მოსაზრებებს გამოთქვამს გ. კარპოვი. მის მიერ სამართლიანადაა შენიშნული, რომ საბჭოში ყველა აყსაყალი თანასწორი უფლებით იყო წარმოდგენილი. საბჭოს მოწვევის ინიციატორი, კარპოვის აზრით, ჩვეულებრივ, ის იყო, ვინც პირველი გაიგებდა ჩადენილი დანაშაულის ან ისეთი შემთხვევის შესახებ, რაც აყსაყალთა საბჭოზე განხილვასა და გადაწყვეტას მოითხოვდა, ვინაიდან მას არ შეეძლო მისი ერთპიროვნულად გადაჭრა[81].

„დიდი" ანუ „უხუცესთა" საბჭო კარპოვის მიერ განხილულია როგორც სასულიერო—სამოქალაქო და სასამართლო-საგამომძიებლო დაწესებულების მაგვარი რამ, ხოლო აყსაყალები (საბჭოს წევრები) ცალ-ცალკე მონათესავე-თანასოფლელთა შორის ასრულებდნენ წესრიგის დამცველების და მართლმსაჯულთა (правонаставников როლს და წარმოადგენდნენ პირველ მრჩეველებს, როგორც გვარის საერთო, ასევე გვარის ყოველ წევრთან დაკავშირებულ საკითხებში. [აყსაყალების] განკარგულებები ატარებდნენ არა იურიდიულ, არამედ ზნეობრივ ხასიათს[82].

---

78 К. К. Пален, Отчет по ревизии Туркменского края. СПб., 1910, с. 318. ციტირებულია სტატიიდან: Я. Р. Винников, социалистическое переустройство быта дайхан Марийской области Туркменской ССР— «Среднеазиатский этнографический сборник» (Труды Ин-та этнографии... н. с., т. XXI), М., 1954, с. 11.

79 А. И. Першиц, Хозяйство и общественно-политический строй сельской Аравии в XIX — первой трети XX вв. (Труды Ин-та этнографии... н. с. ,т. 69), М., 1961, с. 158.

80 ოგოროდნიკოვის ცნობით ტომის ყველა წევრს ჰქონდა ხმა საბჭოში (იხ. მისი На пути в Персию и... с. 160), რაც ჩვენ არ მიგვაჩნია სარწმუნოდ.

81 Г. И. Карпов, Пережитки безкультурия — «Туркменоведение», 1927, № 1, с. 34.

82 იქვე.

მე-19—მე-20 საუკუნეების მიჯნაზე ირანელ თურქმენთა ცხოვრებაში ჩნდება ვაჭართა ფენა, რომელიც თანდათან სულ უფრო მტკიცედ იკიდებს ფეხს და თავისი ეკონომიური პოტენციალით თითქმის უტოლდება ტომობრივ ზედაფენას. „თურქმენებს, როგორც აღნიშნულია ირანში საბჭოთა საკონსულოს მოხსენებებში,—ჰყავთ თავისივე ვაჭართა განვითარებული ფენა, რომელიც დაკავშირებულია საშინაო და საგარეო ბაზრებთან, რომლებთანაც მათ ადრე გაცხოველებული ვაჭრობა ჰქონდათ“[83].

ვაჭართა შორის თანდათანობით თავს იჩენს ქონებრივი უთანასწორობა და მე-20 საუკუნის 40-იანი წლებისათვის ჩვენ უკვე ვხედავთ ირანელ თურქმენთა შორის ვაჭართა სამ ჯგუფს: მსხვილ, საშუალო და წვრილ ვაჭრებს. მსხვილ ვაჭართა შორის გამოირჩეოდნენ: ბალი მამედ, ატ დურდი ჰაჯი, კოვშუტ აბდულა ზადე, ტაილი. სარი ხანი, შაგელდი. შემალი, ჰაჯი გუიჯი[84].

ვაჭართა ფენის შემადგენლობა პროცენტულად ასეთი იყო: მსხვილი ვაჭრები შეადგენდნენ არანაკლებ 5%-ს, საშუალო ვაჭრები დაახლოებით 20-25%-ს, წვრილი ვაჭრები— არანაკლებ 70%-სა[85].

სამღვდელოებას ირანელ თურქმენთა სოციალურ შემადგენლობაში უმნიშვნელო ადგილი ეჭირა როგორც რაოდენობრივად, ასევე მნიშვნელობით. ერთადერთი, რაშიც გამოიხატებოდა მისი ადგილი ოურქმენთა ცხოვრებაში, ეს იყო თავისებური მომრიგებელ-შუამავლის როლი. „როცა აუსაყალებს თავიანთი საბჭოთი და ავტორიტეტით არ შეეძლოთ მხარეთა შერიგება, საკითხის გადასაწყვეტად ისინი საბჭოზე იწვევდნენ იშანს (ადგილობრივი უმაღლესი სასულიერო პირია—ო. გ.) რომლის აზრი აუსაყალთა საბჭოსა და მოკამათე მხარეთათვის სავალდებულო იყო[86].

ირანელ თურქმენთა გვაროვნულ-ტომობრივ ორგანიზაციაში თავისი სოციალური მდგომარეობით ყველაზე დაბლა იდგნენ ხელოსნები, ჩარვოდარები (ტვირთმზიდავები) და რიგით თურქმენთა ძირითადი მასა—გლეხობა.

თურქმენებზე, როგორც ეთნიკურ ჯგუფზე, არ შეიძლება სრული წარმოდგენა ვიქონიოთ თუ არ განვიხილავთ მათ არა მარტო სოციალური, არამედ ეთნოგენეზის თვალსაზრისითაც. ამ შემთხვევა-

---

83 Северная Персия (Сборник консульских докладов). М., НКИД. 1933, с. 35.

84 Архив Сектора востоковедения Академии наук Армянской ССР. фонд — «Туркмены», л. 36.

85 იქვე, გვ. 36—37.

86 Г. И. Карпов, Пережитки безкультурия — «Туркменоведение». 1927, № 1, с. 34.

ში ლაპარაკია არა საერთოდ თურქმენებზე. არამედ სხვადასხვა კატეგორიისა და სხვადასხვა უფლებების მქონე იმ თურქმენებზე, რომელთა ერთმანეთისაგან განსხვავებას მათი წარმოშობა უდევს საფუძვლად.

მკვლევართა აზრი თურქმენთა კატეგორიებად დაყოფის საკითხში რამდენადმე განსხვავებულია ერთმანეთისაგან. რიგი მკვლევარებისა (მაგ. ლომაკინი და კონონოვი) თურქმენებს ჰყოფენ სამ კატეგორიად: 1. თურქმენი ქალისა და თურქმენი კაცის კანონიერი ქორწინების. შედეგად გაჩენილნი, რომელთაც უწოდებდნენ „იგ“ ანუ წმინდა სისხლის თურქმენებს, 2. თურქმენის მიერ არათურქმენ ქალთან (სპარსელი, ავღანელი) ან ხასასთან თანაცხოვრების შედეგად გაჩენილნი („გულ“ და „გირნაკ“), 3. უკანონოდ შობილნი[87].

დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მონაცემებით თურქმენთა საზოგადოება ფაქტიურად ოთხ კატეგორიად იყოფა, ესენია: „იგ“—თურქმენული თემის სრულუფლებიანი წევრები („წმინდასისხლიანები“), გელმიშეკები ანუ გადამთიელები, სხვა მხრიდან მოსულები (присельники), „კულ“ და „გრნაკ“ (მონები და მონა ქალები)[88] და ბოლოს „იარიმები“ (თავისუფალ თურქმენთა მონა ქალებზე ქორწინებით გაჩენილი შთამომავლები)[89].

კარპოვი თურქმენებს სამ ნაწილად ჰყოფს, მაგრამ განსხვავებით სხვა მკვლევარებისაგან, მათ, ნაცვლად კატეგორიებისა, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დაჯგუფებებს უწოდებს. მთავარი ამ შემთხვევაში მაინც ისაა, რომ ერთ-ერთ ასეთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჯგუფად კარპოვი თვლის არაბული წარმოშობის გათურქმენებულ ტომებს: მახთუმს, ათას, ხოჯას და შიხს[90], რომელთა მიზანს. კარპოვის სიტყვით, შეადგენდა მოციქულის მოძღვრების გავრცელება თურქმენთა შორის[91].

ჩვენი აზრით, სწორედ კარპოვის მიერ მოყვანილი ეს გათურქმენებული არაბული ტომები უნდა იგულისხმებოდნენ დიდი საბჭოთა

---

87 А. Ломакин. Обычное право туркмен. (Адат). Асхабад, 1897. с. 33.

88 ეს იგივე „გულ“ და „გირნაკ“-ია.

89 БСЭ, Изд. 2-е, т. 43. с. 452.

90 ეს ტომები ითვლებიან როგორც პირველი ოთხი ხალიფას შთამომავლები: ხოჯა წარმოშობილია ალისაგან, ათა—ომარისაგან, შიხ—ოსმანისაგან და მახთუმი—აბუბექრისაგან. (იხ. К. Боде. Очерки туркменской земли и юго-восточного побережья Каспийского моря. — «Отечественные записки». 1856, кн. 8, с. 105.

91 Г. И. Карпов, Племенной и родовой состав туркмен. Полторацк (Асхабад). 1925, с. 6. აღსანიშნავია, რომ კარპოვი მათ ხან ტომებს უწოდებს, ხან გვარებს.

ენციკლოპედიის მეორე გამოცემაში მოყვანილ თურქმენთა მესამე ჯგუფში, სადაც ისინი აღნიშნული არიან ტერმინით „გელმიშეკ". რაც თურქმენულად სხვა მხრიდან მოსულს, გადამთიელს ნიშნავს[92].

მეორე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჯგუფში ის აერთიანებს „გულ" და „იარიმის" თურქმენებს. ეს ჯგუფი გარკვეულ ისტორიულ ვითარებაში წარმოიშვა. „გულებისა" და „იარიმების" წარმოშობა პირდაპირაა დაკავშირებული იმ საღვთო ომთან (ჰაზავათი), რომელსაც თურქმენები ეწოდნენ სპარსელებთან, როგორც რელიგიურ მოწინააღმდეგეებთან[93]. ამ ბრძოლას, როგორც კარპოვი აღნიშნავს, საფუძვლად დაედო ჯერ კიდევ მე-15 საუკუნეში ბუხარისა და სამარყანდის ფანატიკოსი ულემებისა და მოლების მიერ გამოცემული ფეთვი, რომლითაც სპარსელი შიიტები ისლამისაგან განდევნილებად გამოაცხადეს როგორც ურწმუნონი[94].

მართალია ამ ფეთვის გამოცემის ნამდვილი მიზეზი კულტურული ოაზისების დაუფლება და იქ პოლიტიკური ბატონობისადმი სწრაფვა იყო[95], მაგრამ თურქმენთა და სპარსელთა შორის მტრობას იმ პერიოდში უმთავრესად მაინც რელიგიური შეურიგებლობის ხასიათი მიეცა; ძირითადად მაინც შიიზმის მიმდევრებისადმი (სპარსელთა სახით) თურქმენთა რელიგიურმა შეღლმა განაპირობა ირანელ (და საერთოდ) თურქმენებში სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური დაჯგუფებების, კერძოდ „გულებისა" და „იარიმების" წარმოშობა. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს თუნდაც ის ფაქტი, რომ „თურქმენებში მხოლოდ სპარსელ ცოლებს უწოდებდნენ „კირნაკს" და ზღუდავდნენ მათ უფლებებს, ხოლო [რაც შეეხება] თათარ, უზბეკ და სხვ. ცოლებს, ისინი არ ატარებდნენ ამ სახელს და თურქმენი ცოლების თანასწორუფლებიანები იყვნენ"[96], თუმცა მათთანაც ქორწინდებოდნენ ისეთივე წესით, როგორც ეს მიღებული იყო სუნიტ მუსლიმანებში. თურქმენის კავშირი სპარსელ ქალთან არ იყო უბრალოდ თანაცხოვრება, არამედ ეს იყო კანონიერი ქორწინებრივი კავშირი.

როგორც სპარსელი ცოლი, ასევე თურქმენისაგან გაჩენილი მისი შვილი კანონიერი ცოლისა და შვილის უფლებებით სარგებლობ-

---

92 Х. Байлиев и Б. Каррыев, Туркмено-русский словарь. Ашхабад, 1940, с. 91.

93 თურქმენები სუნიტები არიან, სპარსელები—შიიტები.

94 Г. И. Карпов, Племенной и родовой состав... с. 6.

95 იქვე.

96 Караш-хан оглы Иомудский, Из народного предания туркмен. О родословной туркмен-иомудов. — В. В. Бартольду туркменские друзья, ученики и почитатели. (Сборник). Ташкент, 1927, с. 319.

ლნენ, მაგრამ მათი საზოგადოებრივი მდგომარეობა რამდენადმე შეზღუდული იყო[97].

ვიდრე გავარკვევდეთ ამ სხვადასხვა კატეგორიის თურქმენთა უფლებრივ მდგომარეობას და მათ ადგილს თურქმენთა ცხოვრებაში, საჭიროა შეძლებისდაგვარად დავადგინოთ, თუ რა შინაარსის შემცველია თურქმენთა კატეგორიების თუ ჯგუფების გამომხატველი ესა თუ ის ტერმინი. თუ „იგ" ტერმინის საკითხში ადგილი არა აქვს აზრთა სხვადასხვაობას და ყველა გამოკვლევასა თუ ოფიციალურ გამოცემაში ის წმინდა სისხლის თურქმენს აღნიშნავს (ასევე „გელბიშეკსაც" ყველა მკვლევარი უცხო მხრიდან მოსულად, გადამთიელად თვლის), ეს არ ითქმის „გულ" და „იარიმ" ტერმინების შესახებ. ამ ტერმინებს სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარობენ. მაგ., ლომაკინის, ლატკინის, ბოდესა და კონონოვის მიხედვით „გულ" და „გირნაკ"[98] ესაა წმინდა სისხლის თურქმენის არათურქმენ (სპარსელი, ყირგიზი, ავღანელი) ქალთან ან ხასასთან თანაცხოვრების შედეგად გაჩენილი[99]. კარპოვი ვარაუდობს, რომ „გულ" და „გირნაკ" სხვა არავინაა თუ არა დატყვევებული შიიტი სპარსელები, ქურთები და ავღანელები, რომელთაგან მამაკაცებს ამუშავებდნენ როგორც მონებს, ხოლო ქალები მიჰყავდათ მძევლებად[100].

დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მე-2 გამოცემაშიც „გულ" და „გირნაკ" (თუმცა შეცვლილი ფორმით: „კულ" და „გრნაკ") მოცემულია როგორც მონისა და მონა ქალის აღმნიშვნელი ტერმინები[101]. რაც შეეხება ტერმინ „იარიმს", მას ჩვენ ვხვდებით მხოლოდ კარპოვის ნაშრომში და დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მე-2 გამოცემაში, სადაც ის განმარტებულია როგორც თურქმენისა და „გულის" (უფრო სწორად „გირნაკის"—ო. გ.) თანაცხოვრების ნაყოფი, ჰიბრიდი[102], თავისუფალი თურქმენებისა და მონა ქალების ქორწინების შედეგად გაჩენილი შთამომავლები[103]. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიზია-

---

97 Караж-хан оглы Иомудский, დასახ. ნაშრ., გვ. 319.

98 „გულ" და „გირნაკ" ერთი და იგივე შინაარსის—მონის აღმნიშვნელი ტერმინებია; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ პირველი აღნიშნავს მონას, ხოლო მეორე — მონა ქალს. იხ. Х. Байлиев и Б Каррыев. Туркмено-русский словарь. Под ред. Ш. Батырова и М. Сакали, Асхабад, 1940, сс. 105, 114.

99 А. Ломакин, დასახ ნაშრ., გვ 33.

100 Г. И. Карпов, Племенной и родовой состав туркмен... с. 6.

101 БСЭ, Изд. 2-е, т. 43, с. 542.

102 Г. И. Карпов, Племенной и родовой состав туркмен... с. 6.

103 БСЭ, Изд. 2-е, т. 43, с. 452.

რებთ ამ უკანასკნელ მოსაზრებას, მით უმეტეს, რომ ტერმინი „იარიმ“ თურქმენულად ნიშნავს ნახევარს[104].

როგორც ვხედავთ არა „გულ“ და „გირნაკია“ წმინდა სისხლის თურქმენისა და მონა ქალის თანაცხოვრების ნაყოფი. როგორც ამას ფიქრობდნენ ლომაკინი, ლატკინი, ბოდე და კონონოვი, არამედ „იარიმი“. სწორედ „იარიმები“ იგულისხმებიან თურქმენთა მესამე კატეგორიაში რომელშიც ლომაკინმა და კონონოვმა უკანონოდ შობილნი მოაქციეს (იხ. ზემოთ.). ხოლო თუ რატომ ითვლებიან „იარიმები“ უკანონოდ შობილებად, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი, როცა შევეხებით სხვადასხვა კატეგორიების თურქმენთა უფლებრივ მდგომარეობას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენ შემდეგ კატეგორიებად (ან. თუ კარპოვის გამოთქმას ვიხმართ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჯგუფებად) ვყოფთ[105] თურქმენთა საზოგადოებას:

1. „იგ“ (წმინდა სისხლის თურქმენები)

2. „გელმიშეკ“ (სხვა მხრიდან მოსული, გადამთიელი თურქმენები, რომელთა სახით ჩვენ ვგულისხმობთ არაბული წარმოშობის გათურქმენებულ ტომებს: მახტუმ, ათა, ხოჯა და შიხ.)

3. „გულ“ და „გირნაკ“ (თურქმენთა მიერ დატყვევებული შიიტი სპარსელები, ავღანელები, ყირგიზები და ა. შ., რომლებიც შემდეგ მონებად იქცეოდნენ)

4. „იარიმ“ (წმინდა სისხლის თურქმენისა და „გირნაკის“—მონა ქალის თანაცხოვრების ნაყოფი, ჰიბრიდი).

რაც შეეხება ამ სხვადასხვა კატეგორიისა თუ ჯგუფის თურქმენთა უფლებრივ მდგომარეობას და მათ ადგილს თურქმენთა ცხოვრებაში, ჩვენ ამ საკითხზე (რა თქმა უნდა ირანელ თურქმენთა მიმართებაში) ძალზე მცირე ცნობები მოგვეპოვება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მასალებიც კი, რაც ჩვენ გაგვაჩნია, გარკვეულ წარმოდგენას მაინც შეგვიქმნის ამ საკითხზე.

„იგ“ კატეგორიის თურქმენები, როგორც ბოდე აღნიშნავს, დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ[106]. კარპოვის სიტყვით „იგ“ ჯგუფის თურქმენები ითვლებიან აბორიგენებად. წინათ მათ დიდი უფლებები გააჩნდათ—მათ შეეძლოთ თავიანთ ნებაზე გადაეწყვიტათ

[104] Х. Байлиев и Б. Каррыев, Туркмено-русский словарь... с. 378.

[105] თურქმენთა დაყოფას კატეგორიებად ან ჯგუფებად ჩვენ ვიხილავთ ისტორიულ ასპექტში და ძირითადად ვეხებით მე-20 საუკუნემდელ პერიოდს. უნდა ვიფიქროთ, რომ ირანელ თურქმენთა შორის ასეთი დაყოფიდან ყველაც კი არ დარჩა.

[106] К. Боде, О туркменских поколениях: номудах и гокланах — «Записки Императорского Русского Географического Общества», кн. 1 и 2. СПб., 1849, с. 285.

„გულ“ თურქმენთა ბედი (შეეწყალებიათ, გაეყიდათ, დაესაჯათ)[107].

შედარებით გაურკვეველი ჩანს „გულ“ („გირნაკ“) და „იარიმ“ კატეგორიის თურქმენთა უფლებრივი მდგომარეობა. ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ რიგი ავტორებისა, როგორც ზემოთ დავინახეთ, ერთმანეთში ურევენ „გულ“ და „იარიმ“ კატეგორიის თურქმენებს და ამიტომ მათი ცნობები ამა თუ იმ კატეგორიის თურქმენთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ მოკლებულია დაძაჯერებლობას. ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, კერძოდ, ბოდე, რომელიც მცდარი საფუძვლიდან მცდარ დასკვნებს აკეთებს. ის, მაგალითად, წმინდა სისხლის თურქმენისა და მონა ქალის თანაცხოვრების ნაყოფს „იარიმის“ ნაცვლად უწოდებს „გულ“-ს და აქედან გამომდინარე ყოვლად მიუღებელ დასკვნას აკეთებს, თითქოს ზოგჯერ „გულ“-ს წინამძღოლად ირჩევდნენ ლაშქრობაში[108].

ლაშქრობის წინამძღოლად შეიძლებოდა არჩეული ყოფილიყო, ისიც როგორც გამონაკლისი შემთხვევა, მხოლოდ „იარიმი“ ანუ ნახევრად თურქმენი. წინამძღოლად „გულ“-ის არჩევაზე ლაპარაკიც კი ზედმეტად მიგვაჩნია, რამდენადაც „გულ“ ეს მონაა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. მით უმეტეს მიუღებლად მიგვაჩნია მტკიცება იმისა, რომ „გულ“ კატეგორიის თურქმენები ადათით წმინდა სისხლის თურქმენების („იგ“) თანასწორუფლებიანები არიან მემკვიდრეობის მიღების საკითხში[109].

ჩვენ მიგვაჩნია, რომ „გულ“ და „გირნაკ“ კატეგორიის თურქმენები არავითარ უფლებით არ სარგებლობდნენ და არც შეიძლებოდა ესარგებლათ. სულ სხვა საკითხია „იარიმები“. ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მათ გარკვეულ უფლებებზე, რამდენადაც ისინი ნახევრად მაინც წარმოადგენენ თურქმენებს. „იარიმების“ უფლებების შესახებ შემდეგ ცნობებს გვაწვდიან მკვლევარები: ლატკინის ცნობით ისინი[110] სრულად არ სარგებლობენ თურქმენთა უფლებებით. მაგალითისათვის ლატკინს ის მოჰყავს, რომ მათ (ე. ი. „იარიმებს“) შეუძლიათ მემკვიდრეობით მიიღონ მამისაგან მთელი მისი ქონების არა უმეტეს ნახევრისა[111]. ამ საკითხზე განსხვავებული საზრება აქვს გამოთქმული ლომაკინს. ის ფიქრობს, რომ მემკვიდრეობის მიღების საკითხში „იგ“ და „გულ“ (აქაც ფაქტიურად მხედ-

107 Г. И. Карпов, Племенной и родовой состав туркмен... с. 7.

108 К. Боде, დასახ. ნაშრ., გვ. 285.

109 А. Ломакин, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

110 მართალია ლატკინი აქ ბოდეს მსგავსად „იარიმის“ ნაცვლად ხმარობს ტერმინს „კულ“, მაგრამ ფაქტიურად „იარიმზეა“ ლაპარაკი.

111 Н. Латкин, Закаспийская область. «Живописная Россия», т. 10, СПб.-М., 1885, с. 12.

ველობაშია „იარიმი“—ნახევრად თურქმენი—ო. გ.) ადათით თანასწორუფლებიანები არიან[112]. ბოდეს მიხედვით კი „გულ“-ს (ლაპარაკია ფაქტიურად „იარიმზე“. იხ. ჩვენი შენიშვნები ზემოთ—ო. გ.) უფლება არა აქვს იქორწინოს წმინდა სისხლის თურქმენ ქალზე და უნდა დაკმაყოფილდეს თავისივე წარმოშობის ქალით[113].

„იარიმებთან“ დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული თურქმენთა ყოფის თვალსაჩინო საბჭოთა მკვლევარს კარპოვს. ის აღნიშნავს, რომ „მძევლებისაგან გაჩენილთ (ე. ი. „იარიმებს“—ო. გ.) თურქმენები, ჩვეულებრივი სამართლის ძალით, შვილებად იყვანდნენ და თურქმენი ქალებისაგან გაჩენილ შვილებს უთანასწორებდნენ მემკვიდრეობის უფლებებში, მაგრამ წმინდა სისხლიანთაგან გამორჩევის მიზნით „იარიმებად“ (ნახევრად) იწოდებოდნენ“[114].

თურქმენთა ჩვეულებრივი სამართლის ეს მუხლი საკმაოდ მშერმეტყველურად ლაპარაკობს თურქმენთა ჰუმანურობაზე. საქმე იმაშია, რომ ფანატიკოსი ულემებისა და მოლების მიერ გამოცემული ფეთვი (რაზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი) ნებას იძლეოდა ტყვეების მონებად გაყიდვაზე და კრძალავდა (ხაზი ჩვენია—ო. გ.) მათთან ქორწინებას[115] და, მაშასადამე, მონათაგან გაჩენილი ყოველი ბავშვი უკანონოდ ითვლებოდა. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ რამდენადაც მკაცრი იყო თურქმენთა ადათი თურქმენთა წმინდა სისხლის აღრევის საკითხში, იმდენად ჰუმანური, კაცთმოყვარული ჩანს იგი უკვე გაჩენილი, თუნდაც უკანონო, მემკვიდრის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ „იარიმი“ ადათის საწინააღმდეგო მოქმედების შედეგია, მას წმინდა სისხლის თურქმენის თანასწორუფლებიან მემკვიდრედ თვლიან.

О. ГВИЛАВА

ОБЩЕСТВЕННЫЙ СТРОЙ ТУРКМЕНОВ ИРАНА В КОНЦЕ XIX—НАЧАЛЕ XX ВЕКОВ

Резюме

Жизни туркменов касалось немало русских и зарубежных исследователей. Однако почти все (В. Бейкер, К. М.

112 Н. Латкин, Закаспийская область... с. 33.

113 К. Боде, დასახ. ნაშრ., გვ. 285.

114 Г. И. Карпов, Племенной и родовой состав туркмен... с. 6—7.

115 იქვე, გვ. 6.

Федоров, П. Огородников, А. Вамбери) единодушны в том, что до появления русских в Средней Азии у туркменов не существовало никакой власти, не было у них никакой формы правления и всем они (туркмены), выражаясь их же словами, представлялись как «народ без головы», вкладывая в эти слова не истинный смысл равноправия, а неорганизованность и анархию. В настоящей статье делается попытка показать несостоятельность таких утверждений.

На основе первоисточников нами устанавливается, что в рассматриваемый период, как и ранее, основу туркменского общественного строя составлял род, объединяющий несколько кровнородственных кочевий; во главе рода стояло определенное выборное лицо, по разному фигурирующее в литературе (аксакал, кедхода, калантар, староста).

Огромна роль обычного права, этого неписаного закона, в жизни туркменов. Им регулировались различные стороны их жизни, а именно: порядок избрания главы рода, колена, племени, их права и обязанности, взаимоотношений между родо-племенной верхушкой и рядовыми. Обычным правом руководствовались в своих решениях и родовой и племенной высшие выборные органы «Советы» старейшин.

Туркменскую родо-племенную верхушку составляли ханы, аксакалы, саркарда, мирабы. Что касается сардара-предводителя во время аламанов, то многочисленные факты говорят за то, что он не обязательно принадлежал к родо-племенной верхушке (его могли избирать из числа рядовых и переизбирать перед каждым походом).

Туркменское общество было представлено также купцами, духовными лицами и людьми свободных профессий. На самой низкой ступени родо-племенной иерархии стояли рядовые кочевники и земледельцы.

Туркменское обществ по своему происхождению делилось на следующие категории или общественно-политические группировки (по выражению Г. Карпова):

1. «Иг» (чистокровные туркмены),

2. «Гельмишек» (пришелец. Под этим термином мы подразумеваем отуркменившиеся племена арабского происхождения: Махтум, Ата, Ходжа и Ших).

3. «Гул» и «Гырнак» (плененные туркменами персы, афганцы, киргизы и др., которые впоследствии превращались в рабов).

4. «Ярим» (гибрид, плод сожительства чистокровного туркмена с гырнак-рабыней).

ზ. შარაშენიძე

მასალები შინაფეოდალური ბრძოლის ისტორიიდან XVIII საუკუნის დასასრულის ირანში

XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ირანის ჩრდილოეთით ყაჯარ-ფეოდალთა შორის გამართულ შინაფეოდალურ ომებში გარკვეული ადგილი უჭირავს აღა-მაჰმად-ხანისა[1] და მისი ძმის — მურთაზა ყული-ხანის[2] ბრძოლას ხელისუფლებისათვის.

ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ გამოვიყენეთ სპარსული წყაროები („ნასეხ-ოთ-თავარიხ", „როუზათ-ოს-საფაე ნასერი", „მონთაზემე ნასერი"), საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში არსებული საბუთები და ბუტკოვის მასალები.

აღსანიშნავია, რომ დასახელებულ სპარსულ წყაროებში ღაწვრილებითაა აღწერილი ყაჯარ ფეოდალთა ბრძოლები, მაგრამ ზოგჯერ ცნობები ამ ბრძოლების შესახებ ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ასევე წინააღმდეგობებს ვხვდებით ბუტკოვის მასალებშიაც. მაგრამ სპარსული წყაროების, საარქივო მასალის და ბუტკოვის ცნობე-

---

1 სპარსულ, რუსულ (რუსულ მასალებში გამონაკლისის გარდა) და ევროპულ წყაროებში აღა-მაჰმად-ხანი ცნობილია აღა-მოჰამედ-ხანის სახელწოდებით მაჰმადი ხომ იგივე მოჰამედია და ირანში სწორედ ეს უკანასკნელი სახელი იყო და არის ხმარებაში. მაგრამ ვინაიდან ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა სახელი აღა-მაჰმად-ხანი, ამიტომ ჩვენც მივყვებით ამ ტრადიციას.

2 აღა-მაჰმად-ხანის მამას — მოჰამედ ჰასან-ხანს (მოჰამედ ჰასან-ხანის შესახებ იხ. ზ. შარაშენიძე, „ყაჯარები და მათი ბრძოლა ხელისუფლებისათვის", „მაცნე", № 6, 1964 წ., გვ. 206—208) ჰყავდა 9 ვაჟიშვილი: პირველი აღა-მაჰმად-ხანი, მისი მომდევნო ჰოსეინ ყული-ხანი (იხ. ზ. შარაშენიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 208), რომლებიც ერთი დედის შვილები იყვნენ; მესამე და მეოთხე — მურთაზა ყული-ხანი და მუსტოუფი ყული-ხანი სხვა ცოლისაგან ჰყავდა მოჰამედ ჰასან-ხანს, მეხუთე — ჯაფარ ყული-ხანი — სხვა ქალისაგან; მეექვსე — მეჰდი ყული-ხანი, მეშვიდე — აბას-ყული-ხანი, მერვე — რეზა ყული-ხანი და მეცხრე — ალი ყული-ხანი, სხვადასხვა დედის შვილები იყვნენ. سعید نفیسی، تاریخ اجتماعی و سیاسی ایران دورهٔ معاصر تهران، გვ. 38, 1956

ბის ურთიერთშეჯერების საფუძველზე გვექმნება სათანადო წარმოდგენა აღნიშნულ შინაფეოდალურ ბრძოლებზე და ხერხდება ჰეშმარიტების დადგენა.

სპარსული წყაროებიდან ირკვევა, რომ ქერიმ-ხანის გარდაცვალების შემდეგ, 1779 წელს ასთარაბადში მყოფმა მურთაზა ყული-ხანმა გაილაშქრა მაზანდარანში და აიღო ქ. ბარფურუში[3]. ამის შემდეგ მან შეიტყო, რომ აღა-მაჰმად-ხანი თეირანში მოვიდა.

ბუნებრივია, მურთაზა ყული-ხანისათვის არ იყო სასიამოვნო აღა-მაჰმად-ხანის გამოჩენა თეირანში, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, ეს უკანასკნელი იყო მოჰამედ ჰასან-ხანის უფროსი ვაჟი და, მიუხედავად მისი ფიზიკური ნაკლისა, მას ბევრი მომხრეები ჰყავდა.

ისმის საკითხი: იყო თუ არა მურთაზა ყული-ხანი ქერიმ-ხანის გარდაცვალებამდე ასთარაბადის მმართველი?

ქერიმ-ხანის მმართველობის პერიოდის წყაროებში არსად არ არის ხსენებული, რომ იგი დანიშნული იყო ასთარაბადის მმართველად.

რეზა-ყული-ხან ჰედაითი, XIX საუკუნის ირანის ისტორიკოსი, წერს, რომ ჰოსეინ ყული-ხან „ჯაჰანსუზის" (ე. ი. აღა-მაჰმად ხანის ღვიძლი ძმის) მოკვლის შემდეგ, მურთაზა ყული-ხანი ჩავიდა ქალაქ ასთარაბადში, მოკლა მირზა ალი-ხან დავალუ და თვით გახდა ასთარაბადის და მაზანდარანის მმართველი, ლაჰიჯანის ხალხიც მას შეუერთდაო"[4].

ბუტკოვთან ვკითხულობთ, რომ ქერიმ-ხანის გარდაცვალებამდე მურთაზა ყული-ხანი ასთარაბადში მმართველობდა[5].

საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში შემონახულ მურთაზა ყული-ხანის წერილებში არსად არ არის აღნიშნული, რომ იგი იყო ასთარაბადის მმართველი და იქიდან აღა-მაჰმად-ხანმა გამოაძევა. როდესაც მურთაზა ყული-ხანი სთხოვს რუსეთის მთავრობას დახმა-

---

[3] میرزا محمد تقی لسان الملک سپهر، ناسخ التواریخ دورهٔ کامل تاریخ قاجاریه، تهران، 18—19, 1958 გვ.

(შემდეგში: „ნასეხ-ოთ-თავარიხ")

محمد حسن صنیع الدوله (اعتماد السلطنه)، تاریخ منتظم ناصری، تهران، 32—34, ტ. 3, 1883. გვ.

[4] رضا قلی خان هدایت، ملحقات تاریخ روضت الصفا ناصری، تهران، 130, ტ. IX, 1960. გვ.

(შემდეგში: „როუზათ-ოს-საფა").

[5] Н. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с. 1722 по 1803 г., Санкт-Петербург, 1869, ч. II, зз. 81.

რებას და თავის უფლებებში აღდგენას, იგი უწინარეს ყოვლისა იხსენიებს გილანს და მაზანდარანს. თავის წერილებში ასთარაბადის შესახებ მხოლოდ მაშინ ლაპარაკობს, როდესაც საქმე ეხება მურთაზა ყული-ხანის აღდგენას ირანის ჩრდილოეთ ნაწილში.

მართლაც, თუ რუსეთი დაეხმარებოდა მურთაზა ყული-ხანს, მაშინ, რა თქმა უნდა, გილანთან და მაზანდარანთან ერთად დაიპყრობდა ასთარაბადსაც და, როგორც თვით წერს თავის წერილებში, ამ პროვინციებით შევიდოდა რუსეთის მფარველობაში.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, თვით სპარსულ წყაროებში მოტანილი ცნობაც, რომ მურთაზა ყული-ხანმა შეიტყო თუ არა აღა-მაჰმად-ხანის ჩამოსვლა თეირანში, განაცხადა: მაზანდარანი ხმლით დავიპყარი და არავის არ დავანებებო[6]. მაგრამ არაფერია ნათქვამი ასთარაბადზე, ე. ი. მას პრეტენზია ჰქონდა მაზანდარანზე და არა ასთარაბადზე. მაგრამ, თუ ამ წყაროებს დავეყრდნობით, განა ასთარაბადიც არ ჰქონდა მას ხმლით დაპყრობილი?

ჩვენი აზრით, მურთაზა ყული-ხანი ისევე, როგორც ირანის სხვა დიდებულები და ხანები, რომლებიც აღზევებაზე ოცნებობდნენ, ქარიმ-ხანის გარდაცვალებამდე იყო ასთარაბადში თავის ძმობრე ყაჯარებთან ერთად და ელოდა მომენტს აღზევებისათვის. შესაძლებელია, ასთარაბადში მან ვერ მოიკიდა ფეხი იმის გაჟო, რომ იქ აღა-მაჰმად-ხანს უფრო მეტი მომხრეები ჰყავდა.

შირაზიდან გაქცევისა და თეირანში ჩასვლის შემდეგ აღა-მაჰმად-ხანს ყაჯარი ფეოდალების გაერთიანების გზაზე პირველად წინ გადაეღობა მურთაზა ყული-ხანი. სპარსელი ისტორიკოსების ცნობით, მურთაზა ყული-ხანს შეუერთდა თავისი ძმა მუსტოუფი ყული-ხანი, რომელიც ქერიმ-ხანის გარდაცვალებამდე ასთარაბადში იმყოფებოდა. რეზა ყული-ხანი — მოჰმედ ჰასან-ხანის მე-8 შვილი — აღა-მაჰმად-ხანთან ერთად იყო, მაგრამ შეიტყო თუ არა, რომ მურთაზა ყული-ხანი აღა-მაჰმად-ხანთან საბრძოლველად ეჭზადებოდა, თეირანიდან გაიქცა და მურთაზას მიემხრო[7]. აღა-მაჰმად-ხანთან დარჩა მისი ერთი ძმა — ჯაფარ ყული-ხანი.

მაშასადამე, ერთის მხრივ იყვნენ ძმები: მურთაზა ყული-ხანი,

---

[6] „ნასეხ-ოთ-თავარიხ“, გვ 18—19.

«مازندران‌را من بشمشیر خیش صافی کرده ام و خاص خویش می دانم
اگر دیگری طمع و طلب بدین مملکت بندد از پای نخواهم داد»

„მონთაზემე ნასერი“, ტ. III, გვ. 32.

[7] „ნასეხ-ოთ-თავარიხ“, გვ. 19.

„მონთაზემე ნასერი“, ტ. III, გვ. 32.

„როუზათ-ოს-საფა“, ტ. IX, გვ. 131.

რეზა ყული-ხანი და მუსტოუფი ყული-ხანი, ხოლო მეორეს მხრივ: აღა-მაჰმად-ხანი და ჯაფარ ყული-ხანი.

ბრძოლა აღა-მაჰმად-ხანსა და მურთაზა ყული-ხანს შორის მოხდა სავადქუჰთან; გამარჯვებული გამოვიდა აღა-მაჰმად-ხანი. რეზა ყული-ხანი იძულებული გახდა ბარფურუშისაკენ გაქცეულიყო; მუსტოუფი ყული-ხანი აღა-მაჰმად-ხანს ეახლა და შენდობა სთხოვა[8]. გამარჯვებული აღა-მაჰმად-ხანი ქ. სარიში შეეიდა.

აღა-მაჰმად-ხანს არ ჰქონდა საშუალება გაეგრძელებინა ბრძოლები ჩრდილოეთის მიმართულებით და ბოლო მოეღო ურჩი ძმებისათვის, ვინაიდან ირანის სამხრეთიდან თეირანს მოადგა ალი მურად-ხან ზენდის ლაშქარი. ამით იყო გამოწვეული, რომ აღა-მაჰმად-ხანმა ჯაფარ ყული ხანი, რომელიც ძმებს ებრძოდა, დროებით მოწყვიტა ჩრდილოეთის ფრონტს და თეირანისაკენ გაგზავნა ზენდების შესაკავებლად[9].

ამ მდგომარეობით ისარგებლეს მურთაზა ყული-ხანმა და რეზა ყული-ხანმა და განაახლეს ბრძოლა აღა-მაჰმად-ხანის ლაშქართან. სპარსულ წყაროებში აღნიშნულია, რომ ამ ბრძოლებში ტყვედ შეიპყრეს რეზა ყული-ხანი და აღა-მაჰმად-ხანს მიჰგვარეს, რომელმაც შეუნდო დანაშაული[10]. ამის შემდეგ, ვინაიდან აღა-მაჰმად-ხანს გაფართოებული ბრძოლები ჰქონდა ზენდებთან, რეზა ყული-ხანი გაგზავნა მურთაზა ყული-ხანთან შერიგების მიზნით, და როგორც ირკვევა, ეს მისია დადებითად გადაწყვეტილა: მურთაზა ყული-ხანი შერიგებია თავის ძმას, ხოლო აღა-მაჰმად-ხანს თავის მხრივ მისთვის სოიურღალის წესით (სოიურღალად) მიუცია ასთარაბადის მიწები[11].

---

8 „ნასეხ-ოთ-თავარიხ“, გვ. 18—19.
„მონთაზემე ნასერი“, ტ. III, გვ. 32.
„როუზათ-ოს-საფა“, ტ. IX გვ. 132.

9 „ნასეხ-ოთ-თავარიხ“, გვ. 19;

10 „ნასეხ-ოთ-თავარიხ“, გვ. 20 — 21.
„მონთაზემე ნასერი“, ტ. III. გვ 33—35.

11 „ნასეხ-ოთ-თავარიხ“-ის მიხედვით (გვ. 21) სოიურღალის წესით მურთაზა ყული-ხანს მიეცა ასთარაბადი და ჰაზარჯერიბის ჩაჰარდანგე და დოდანგე

«آقا محمد شاجرمش را معفو داشت و استرآباد و چهار دانگهٔ و دو دانگهٔ هزارجریب را بسیورغال او امر و مقرر فرمود».

„მონთაზემე ნასერიში“ კი წერია, რომ მურთაზა ყული-ხანი დათანხმდა აღა-მაჰმად-ხანის მიერ შეთავაზებულ ასთარაბადის, ჰაზარჯერიბის და გორგანის მმართველობაზეო.

«...مرتضی قلی خان بمصالحه و حکومت استرآباد و هزار جریب و گرگان راضی شده، بدان ساحت شتافت» ტ. III. (გვ. 35—36)

1781 წლის აგვისტოში აღა-მაჰმად-ხანმა მურთაზა ყული-ხანი გაგზავნა ჰედაიეთ ოლა-ხანის, გილანის მმართველის წინააღმდეგ საბრძოლველად[12].

„ნასეხ-ოთ-თავარიხის" ავტორის ცნობით, გილანში ბრძოლა ორმოცი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. როცა ჰედაიეთ ოლა-ხანი დარწმუნდა, რომ მარცხდებოდა, მან თავისი წარმომადგენლები ფეშქაშებით დატვირთული გაგზავნა აღა-მაჰმად-ხანთან და პატიება სთხოვა, რის გამოც აღა-მაჰმად-ხანმა უკან გამოიძახა მურთაზა ყული-ხანი[13].

ეს ცნობა არ შეეფერება სინამდვილეს, ვინაიდან, ჯერ ერთი, იგი ეწინააღმდეგებოდა „მონთაზემე ნასერი"-ში მოტანილ ცნობას, რომ როდესაც მურთაზა ყული-ხანი დამორჩილდა აღა-მაჰმად-ხანს, ამ უკანასკნელმა 1781 წელს იგი დანიშნა გილანის მმართველად[14]. მეორეც, ბუტკოვის მასალებში ვკითხულობთ: 1781 წლის გაზაფხულზე აღა-მაჰმად-ხანმა ილაშქრა გილანში, განდევნა ჰედაიეთ ოლა-ხანი და გილანის მმართველობა მურთაზა ყული-ხანს უბოძა[15]. დაბოლოს, ჩვენ ხელთ არის თვით მურთაზა ყული-ხანის მიერ თუმანოვსკისადმი მიწერილი წერილი, რომელიც შედგენილია 1781 წლის ოქტომბერში, სადაც წერია, რომ იგი (ე. ი. მურთაზა ყული-ხანი) გილანში დანიშნა მისმა ძმამ — აღა-მაჰმად-ხანმა. როდესაც, მისი დანიშვნის შემდეგ, აღა-მაჰმად-ხანი მიდიოდა გილანიდან, მურთაზა ყული-ხანს დაურწმუნებია თავისი ძმა, რომ არ არის საჭირო ჯარის დიდი რაოდენობით დატოვება, ვინაიდან ხალხი ისედაც დამემორჩილებაო[16].

საარქივო მასალიდან ირკვევა აგრეთვე, რომ გილანის მმართველი ჰედაიეთ ოლა-ხანი აღა-მაჰმად-ხანთან დამარცხების შემდეგ (1781 წ.), გაიქცა რუსეთის კონსულთან ენზელში, ხოლო აქედან,

---

ეს ცნობა არ შეეფერება სინამდვილეს. ვინაიდან თუ ასეთ ვრცელ ტერიტორიებს მიიღებდა მურთაზა ყული-ხანი, მაშინ მას საპრეტენზიოც არაფერი ექნებოდა, ვინაიდან მთელი მისი ბრძოლების განმავლობაში მას ძირითადად კასპიისპირა სანაპიროებზე ჰქონდა პრეტენზია. უფრო სარწმუნოა, რომ აღა-მაჰმად-ხანმა მას მისცა მიწის ნაკვეთები ასთარაბადში, სოიურღალის წესით, და არა მთელი ასთარაბადის და გორგანის პროვინციების მმართველობა.

12 „ნასეხ-ოთ-თავარიხ", გვ. 22.

„მონთაზემე ნასერი", ტ. III, გვ. 37.

13 „ნასეხ-ოთ-თავარიხ", გვ. 23.

14 «მონთაზემე ნასერი", ტ. III, გვ. 37.

15 Бутков, II, გვ. 82.

16 Архив внешней политики России (შემდეგში АВПР), дело № 477. 1755—1796 гг., л. 159.

ვინაიდან მას დადევნებია აღა-მაჰმად-ხანის ლაშქარი, სალიანში გადასულა[17].

ე. ი. 1781 წელს გილანის მმართველობა ხელში ჩაიგდო მურთაზა ყული-ხანმა.

როგორც ცნობილია, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ხშირად ხდებოდა ხალხის გამოსვლები ირანის სხვადასხვა მმართველების წინააღმდეგ. მაგალითად, 1779 წელს ჰედაიეთ ოლა-ხანს აუჯანყდა გილანის მოსახლეობა და მან მხოლოდ ალი მარდან-ხან ზენდის დახმარებით მოახერხა ხელისუფლების აღდგენა[18].

1781 წელს მურთაზა ყული-ხანსაც აუჯანყდა ფუმინის და შეფთინის ხალხი[19], რომელთაც მირზა სერგითი შეფთინელი ხელმძღვანელობდა და იგი იძულებული იყო ლაჰიჯანში შეეფარებინა თავი[20].

ისევე, როგორც ირანის სხვა ხანები, მურთაზა ყული-ხანიც რუსეთში ხედავდა დიდ ძალას, რომლის დახმარებითაც მას შეეძლო არა მარტო აღედგინა დაკარგული მდგომარეობა, არამედ უფრო მეტისთვისაც მიეღწია. ამიტომ, 1781 წლის ოქტომბერში იგი ატყობინებს თუმანოვსკის, რომ მან ვერ მოახერხა ლაჰიჯანში სათანადო ჯარის შეგროვება და იძულებული გახდა მაზანდარაში გადასულიყო; ამასთანავე სთხოვს დახმარება გაუწიოს, რათა იგი აღდგენილ იქნას გილანის მმართველად[21].

არც მირზა სერგითის პოზიციები იყო მყარი გილანში. ყოველ შემთხვევაში, 1781 წლის 22 ოქტომბრის წერილით ისიც აცნობებს თუმანოვსკის, რომ გილანიდან გააძევა მურთაზა-ყული-ხანი და ელოდება ჰედაიეთ ოლა-ხანს[22]. ჰედაიეთ-ხანს კი შეუგროვებია შირვანში ლაშქარი და კვლავ დაიბრუნა გილანის მმართველობა.

ეს მდგომარეობა, რა თქმა უნდა, არ იყო ხელსაყრელი აღა-მაჰმად-ხანისათვის და იგი უცდიდა მომენტს, რათა კვლავ დაეპყრო გილანი.

მურთაზა ყული-ხანი ჯერ კიდევ კარგ ურთიერთობაშია აღა-მაჰმად-ხანთან. მაგრამ ამ პერიოდში იცვლება მოვლენათა მსვლელობა. სამხრეთში აქტიურად მოქმედებენ ზენდები. ალი მურად-ხანმა 1784 წელს გაგზავნა თავისი ლაშქარი მაზანდარანის დასაპყრობად შეიხ-ვეისის მეთაურობით.

---

[17] АВПР, д. № 481, 1776—1784 гг., л. 327, 347.

[18] Бутков, II, зд. 149.

[19] გილანის პროვინციის ადგილებია.

[20] АВПР, д. № 477, 1755—1796гг., л. 156. л. 159

[21] АВПР, д. № 477, л. 156, 159.

[22] АВПР, д. № 477, л. 157—158.

მურთაზა-ყული-ხანი რუსეთის წარმომადგენლებისადმი გაგზავნილ ყველა წერილში აღნიშნავს, რომ იგი კარგ ურთიერთობაში იყო აღა-მაჰმად-ხანთან, სანამ ვოინოვიჩის ინცინდენტი მოხდებოდა ირანში[23], რომ თითქოს მათ შორის მტრობა დაიწყო მას შემდეგ, რაც მურთაზამ დაიცვა ვოინოვიჩი და აღა-მაჰმად-ხანმა შეამჩნია მას რუსეთისადმი კეთილი დამოკიდებულება.

საქმის ამგვარად წარმოდგენა საჭირო იყო მურთაზა ყული-ხანისათვის, რათა დაემტკიცებინა თავისი ერთგულება რუსეთისათვის. სინამდვილეში, როგორც ზემოთ დავინახეთ, იგი თავიდახვე მტრულად იყო განწყობილი აღა-მაჰმად-ხანისადმი.

ამ მხრივ უფრო დასაჯერებელია სპარსული წყაროების ცნობები, სადაც აღნიშნულია, რომ 1784 წელს აღა-მაჰმად-ხანსა და ალი მურად-ხან ზენდს შორის გამართულ ბრძოლებში პირველად წარმატება მოიპოვა ალი მურადმა. ვინაიდან მურთაზა ყული-ხანს სურდა ხელისუფლების ხელში ჩაგდება ირანის ჩრდილოეთ ნაწილში, საიდუმლო კავშირი დაამყარა ზენდებთან. ზენდებს მიემხრო აგრეთვე მისი ძმა რეზა ყული-ხანიც. მაგრამ, როდესაც შეიხ-ვეისი დამარცხდა და ალი მურად-ხან ზენდი გარდაიცვალა (1784 წელს). არც მურთაზა ყული-ხანს და არც რეზა ყული-ხანს აღა-მაჰმად-ხანის სამფლობელოში აღარ დაედგომებოდა. ამის გამო, ვკითხულობთ სპარსელ ისტორიკოსთა ნაშრომებში, მურთაზა ყული-ხანი წავიდა რუსეთში, ხოლო რეზა ყული-ხანმა ხორასანს შეაფარა თავი[24].

საარქივო მასალიდან ნათლად ჩანს, რომ ირანიდან გაქცეულმა მურთაზა ყული-ხანმა თავი შეაფარა თალიშელებს.

ზენდების უკუქცევის შემდეგ, 1786 წელს აღა-მაჰმად-ხანმა თავისი მახვილი მიმართა ჰედაიეთ ოლა-ხანის წინააღმდეგ. ჰედაიეთ ოლა-ხანი საგანგებოდ მომზადებულა ამ ბრძოლისათვის და როსტომ-აბადში აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრის დასახვედრად ივანე-ხან-გურჯი გაუგზავნია. როსტომ-აბადის (რეშთიდან 10 ფარსანგის მოშორებით მდებარეობს) ბრძოლაში ჰედაიეთ-ხანი დამარცხდა და ენზელისაკენ გაიქცა. აღა-მაჰმად ხანი ენზელში დაეწია მას და, როცა იგი აპირებდა გემში ჩაჯდომას ბაქოში გასამგზავრებლად, მოკლულ იქნა ერთი ჯარისკაცის მიერ[25].

23 როგორც ცნობილია, 1781 წელს ვოინოვიჩი ჩავიდა ასთარაბადში. რათა კასპიის ზღვის სანაპიროზე აეშენებინა რუსული საგაჯრო ფაქტორია. აღა-მაჰმად-ხანმა იგი მოტყუებით მიიწვია თავის რეზიდენციაში და დააპატიმრა, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია რუსეთის მთავრობის მხრივ. იხ. Бутков, II, გვ. 25—26.

24 „ნასეხ-ოთ-თავარიხ“, გვ. 25—26.

„მონთაზემე ნასერი“, ტ. III. გვ. 40—41.

25 „ნასეხ-ოთ-თავარიხ“, გვ. 28.

აღა-მაჰმად-ხანმა ჰაედაიეთ ოლა-ხანის თავიდან მოშორების შემდეგ, 1786 წელს გილანში მმართველად დანიშნა სოლეიმან-ხანი.

1787 წელს მურთაზა ყული-ხანმა თალიშელების დახმარებით შეაგროვა 7 ათასიანი ლაშქარი, გაილაშქრა გილანში, იქიდან გააძევა სოლეიმან ხანი და თვით გახდა ამ პროვინციის გამგებელი[26]. მურთაზა ყული-ხანის წერილებიდან ირკვევა, რომ მას მხარს უჭერდა კასპიის ზღვაზე მყოფი რუსეთის ფლოტი, რომელსაც პ. შიშკინი მეთაურობდა[27].

მიუხედავად იმისა, რომ აღა-მაჰმად-ხანს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამთავრებული ბრძოლა ზენდებთან, მან თავისი ძმა ჯაფარ ყული-ხანი გილანიდან გაძევებულ სოლეიმან ხანთან ერთად სასწრაფოდ გაგზავნა გილანის დასამორჩილებლად[28]. აღა-მაჰმად-ხანმა კარგად იცოდა, რომ მურთაზა ყული-ხანი ცდილობდა კავშირი დაემყარებინა რუსეთთან. თუ იგი მოახერხებდა გილანში ფეხის მოკიდებას და რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლას, მაშინ აღა-მაჰმად-ხანს. რა თქმა უნდა, გაუჭირდებოდა მურთაზა ყული-ხანის თავიდან მოცილება და მას ირანში უჩნდებოდა გაცილებით უფრო საშიში მტერი, ვიდრე ზენდები იყვნენ. სწორედ ამით იყო გამოწვეული ის, რომ აღა-მაჰმად-ხანი ჯაფარ ყული-ხანს ავალებს: რადაც არ უნდა დაუჯდეთ ბრძოლებში მოჰკლან მურთაზა ყული-ხანი და ააოხრონ გილანის პროვინცია, ხოლო ენზელში მყოფი რუსი ქვეშევრდომები დაატყვევონ და გაძარცვონ.

მურთაზა ყული-ხანმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია აღა-მაჰმად-ხანის ლაშქარს, მაგრამ საბოლოოდ იგი დამარცხდა და ენზელს შეაფარა თავი[29]. აქ ჯაფარ ყული-ხანსა და მურთაზა ყული-ხანს შორის დაიწყო მოლაპარაკება, რომელიც, როგორც ეტყობა ენზელში მყოფი რუსეთის წარმომადგენლების შუამდგომლობით მიმდინარეობდა. ძმები შეთანხმდნენ, რომ ჯაფარ ყული-ხანი იშუამდგომლებდა აღა-მაჰმად-ხანთან მურთაზა ყული-ხანისათვის გილანის გადაცემის შესახებ, ხოლო მურთაზა ყული-ხანს თავისი ლაშქარი უნდა გაეყვანა ლენქორანში ან სალიანში, სანამ პასუხს მიიღებდა აღა-მაჰმად ხანისაგან[30].

---

26 „მონთაზემე ნასერი", გვ. 45—46; შდრ. Бутков. II, გვ. 307; შდრ. АВПР д. 483. 1782—1792 гг., л. 208.

27 АВПР. д. 483, 1782—1792 гг., л. 239—240.

28 „მონთაზემე ნასერი" გვ. 45—46, АВПР, д. 483, 1782—1792 гг., л. 207. შდრ. Бутков. II. გვ. 309—310.

29 АВПР. д. 483. გვ. 208—209.

30 „მონთაზემე ნასერი", ტ. III, გვ. 45—46, Бутков. II, გვ. 310.

მაგრამ ამ მოლაპარაკებას არავითარი შედეგი არ გამოუღია. ყოველ შემთხვევაში აღა-მაჰმად-ხანს მისთვის პასუხი არ უცნობებია და იგი იძულებული გამხდარა კვლავ თალიშელებთან წასულიყო და ახალი ლაშქრობისათვის ეზრუნა.

მართლაც, თალიშელების დახმარებით, 1790 წელს მურთაზა ყული-ხანმა მესამედ დაიპყრო გილანი და მეორედ განდევნა იქიდან აღა-მაჰმად-ხანის მიერ დანიშნული სოლეიმან-ხანი.

მურთაზა ყული-ხანმა კარგად იცოდა, რომ იგი მარტო ვერ შესძლებდა აღა-მაჰმად-ხანის გამკლავებას. ამიტომ, თავისი წარმომდგენელი მოჰამედ-ბეი გაგზავნა რუსეთში რწმუნებით და წერილებით.

ამ წერილებში მურთაზა ყული-ხანი თავის თავს გილანის, ასთარაბადის და მაზანდარანის კანონიერ მმართველს უწოდებს[31] იგი სთხოვს რუსეთის მთავრობას, რომ აღნიშნული პროვინციები (ე. ი. გილანი, ასთარაბადი, მაზანდარანი) შევიდეს რუსეთის მფარველობაში. უშუალო მფლობელობაში უთმობს ენზელის ნახევარკუნძულს თავისი ნავსადგურებით, ვალდებულებას კისრულობს გადაიხადოს 10 ათასი მანეთი ყოველწლიურად ენზელის გარნიზონის შესანახად. თუ რუსეთის მთავრობას სურს ენზელში ააგოს გამაგრებული პუნქტი, მურთაზა ყული-ხანი პასუხისმგებლობას კისრულობს გამოჰყოს სათანადო რაოდენობით მუშახელი და მშენებლობისათვის საჭირო მასალა. გარდა ამისა, სამუდამოდ განთავისუფლდეს რუსეთის ვაჭრები ყოველგვარი ბაჟისა და გამოსაღებისაგან მის სამფლობელოში.

თავის მხრივ, მურთაზა ყული-ხანი რუსეთისაგან მოითხოვს ორ ფრეგატს და სამას ჯარისკაცს ენზელის გარნიზონისათვის, რათა მათ მხარი დაუჭირონ და დაეხმარონ მას ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. მურთაზა თავის თხოვნაში აღნიშნავს აგრეთვე, რომ თუ რაიმე სხვა მოთხოვნას აყენებს რუსეთი, იგი თანახმაა ყველაფერზე და ამ მხრივ უფლებამოსილია ჩემი ელჩი მოჰამედ ბეიო[32].

---

31 აღა-მაჰმად-ხანი ამ პერიოდში ჯერ კიდევ ისფაჰანის, თეირანის და სხვა ოლქების მმართველად იწოდება.

32 АВПР. д. № 7, 1743—1808 гг., л. 405—406; д. № 483, 1782—1792 гг., л. 238—239; д. № 486, 1791—1793 гг., л. 28.

მურთაზა ყული-ხანმა მოჰამედ ბეი ჯერ კიდევ 1785 წელს გაგზავნა ასტრახანში; აქედან იგი პეტერბურგში წავიდა (АВПР, д. 486, 1791—1793 гд., л. 68-69), ხოლო პეტერბურგიდან უკან დაბრუნდა ასტრახანში, რათა აქ პასუხს დალოდებოდა. მაგრამ ასტრახანში მას რუსეთის მთავრობისაგან პასუხი არ მიუღია და ირანში დაბრუნდა. 1788 წელს იგი კვლავ ჩასულა ასტრახანში მურთაზა ყული-ხანის რამდენიმე წერილით. დაბოლოს, მოჰამედ ბეი ასტრახანში ჩავიდა 1791 წელს (АВПР, д. № 486, л. 70—74).

მურთაზა ყული-ხანს დიდხანს არ დასცალდა გილანის მმართველობა. 1791 წლის გაზაფხულზე იგი მესამედ გაძევა აღა-მაჰმადხანმა გილანიდან და მან მესამედ შეაფარა თავი თალიშელებს[33].

გილანიდან გაძევების შემდეგ მურთაზა ყული-ხანი კვლავ აგზავნის წერილებს კავკასიის ხაზზე. იგი ძლიერ მძიმე მდგომარეობაშია ჩავარდნილი, თავის თავს რუსეთის მონას უწოდებს და პირდაპირ აღიარებს, რომ მას სხვა არაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ შევიდეს რუსეთის მფარველობის ქვეშ. იგი თავის წერილებში კავკასიის ხაზის ხელმძღვანელობას სწერდა, რომ გილანის მმართველობის ხელში ჩაგდება მოხერხდა კასპიის ფლოტის მხარდაჭერით. მაგრამ შემდეგში, კასპიის ფლოტის მეთაურმა შიშკინმა მას მხარი აღარ დაუჭირა, პირიქით, შიშკინმა კავშირი დაამყარა მის მტერთან და ერთი სომხის — ავეტიკას ხელით ტყვია-წამალი გაუგზავნა აღა-მაჰმად-ხანს[34].

ძნელია იმის თქმა, მართლა ჰქონდა კავშირი შიშკინს აღა-მაჰმად-ხანთან თუ არა, მაგრამ ერთი კი ცხადია: შიშკინი არ იყო კარგ დამოკიდებულებაში მურთაზა ყული-ხანთან და ეს კარგად იცოდნენ კავკასიის ხაზზეც[35].

მურთაზა ყული-ხანი აღა-მაჰმად-ხანს უწოდებს ტირანს. ირანის არაკანონიერ მმართველს. იგი ატყობინებს რუსეთის მთავრობას, რომ ამჟამად ყველაზე კარგი მომენტია დახმარებისათვის. ვინაიდან აღა-მაჰმად-ხანი დაავადებულია, ხოლო ლოტფ ალი-ხან ზენდმა კვლავ აიღო შირაზი და აგრძელებს შეტევას ისფაჰანისაკენო. ამავე დროს ლოტფ ალი-ხანთან ერთად იბრძვის ჩემი ძმა რეზა ყული-ხანიო[36].

---

33 АВПР, д. 486, л. 17; სხვათაშორის მოსტოუფი ყული-ხანს მოუნდომებია ძმების შერიგება და მან იშუამდგომლა აღა-მაჰმად ხანთან მურთაზა ყული-ხანის შერიგების შესახებ, მაგრამ როდესაც მურთაზა ყული-ხანი საბოლოოდ გადაუდგა აღა-მაჰმად ხანს, ამ უკანასკნელმა დაბრმავა თავისი ძმა — მუსტოუფი ყული-ხანი და ტყვეობაში ჰყავდა.

34 АВПР, д. 486, л. 17.

35 АВПР, д. № 486, л. 13. აღსანიშნავია, რომ კავკასიის ხაზიდან პეტერბურგში გაგზავნილ ცნობებში სწერია, რომ შიშკინი არ ასრულებდა მიცემულ მითითებას და ითხოვენ მის ან დასჯას, ან შეცვლას.

36 АВПР, д. № 486, л. 106. როგორც ზემოთ დავინახეთ რეზა ყული-ხანი მხარს უჭერდა მურთაზა ყული-ხანს. სპარსული წყაროების მიხედვით, ზენდებთან იგი დიდხანს არ გაჩერებულა, 1784 წლის მარცხის შემდეგ იგი წავიდა ხორასანში და იქ გარდაიცვალა. სინამდვილეში კი იგი ზენდებთან იმყოფებოდა 1791 წლამდე. ეტყობა, ზენდების საბოლოო დამარცხების შემდეგ წავიდა ხორასანში და იქ დაასრულა სიცოცხლე.

მურთაზა ყული-ხანს უკვე აღარ ჰქონდა საფუძველი გილანში მმართველობისა და თუ მოახერხებდა იქ გაბატონებას მხოლოდ იმ პირობით, თუ მას მხარს დაუჭერდა და დაეხმარებოდა რუსეთი. ეს კარგად ეცნობოდა მას და ამით იყო გამოწვეული, რომ იგი წერდა: აქაურმა მცხოვრებლებმა (ე. ი. გილანელებმა) კარგად იციან, რომ არ შეიძლება დამშვიდებით ყოფნა რუსეთის დახმარების გარეშე[37].

როდესაც რუსეთის მთავრობა დარწმუნდა მურთაზა ყული-ხანის ერთგულებაში, კავკასიის ხაზს მიეცა მითითება, რომ მისთვის აღმოეჩინათ დახმარება და მიეცათ თავშესაფარი რუსეთის ტერიტორიაზე[38].

მურთაზა ყული-ხანისადმი რუსეთის განწყობილება კარგად ყოფილა ცნობილი ირანის ჩრდილოეთით მდებარე სახანოების გამგებლებისათვის და, ალბათ, თვით აღა-მაჰმად-ხანისათვისაც. თალიშის მმართველი მუსტაფა-ხანი 1795 წელს მურთაზა ყული-ხანს უგზავნის წერილს თხოვნით, რომ მან იშუამდგომლოს რუსეთის მთავრობის წინაშე, რათა რუსეთმა გაუწიოს დახმარება თალიშელებს და ბოლო მოუღოს თეირანის მბრძანებლებს აღა-მაჰმად-ხანს[39].

1795 წლის დასაწყისში მურთაზა ყული-ხანი ასტრახანიდან პეტერბურგში მიემგზავრება, სადაც მას კარგად ღებულობენ იმპერატორის კარზე[40]. 1796 წლის ივნისში პოლკოვნიკ პ. კოვალევსკის თანხლებით მურთაზა ყული-ხანი პეტერბურგიდან ასტრახანში გაემგზავრა[41].

რუსეთის იმპერატორი აღა-მაჰმად-ხანს სახელმწიფო ხელისუფლების მიმტაცებელს უწოდებს. იგი მითითებას აძლევს კავკასიის ხაზის ხელმძღვანელობას, რომ მხარი დაუჭირონ მურთაზა ყული-ხანს[42].

---

37 АВПР. д. № 486, 1791—1793 гг., л. 5.

38 АВПР. д. № 486, л. 144.

39 АВПР, д. № 474, 1796—1800 гг., л. 25. წერილში აღნიშნულია, რომ ირანში იციან მურთაზა ყული-ხანის დამოკიდებულება რუსეთისადმი და ისიც იციან, რომ რუსეთის დედოფალი თქვენზე დახმარების გაწევას აპირებსო.

40 აღსანიშნავია, რომ მე-18 საუკუნის რუსეთის გამოჩენილმა მხატვარმა ვ. ბოროვიკოვსკიმ შექმნა მურთაზა ყული-ხანის პორტრეტი მისი პეტერბურგში ყოფნის დროს. ამ პორტრეტის ერთი ესკიზი ინახება ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეაში (ინვ. ნომერი 101). ხოლო მეორე ესკიზი და მისი დიდი პორტრეტი დაცულია ლენინგრადში — რუსეთის სახელმწიფო მუზეუმში.

41 სპარსელი ისტორიკოსები აღნიშნავენ, თითქოს მურთაზა ყული-ხანი მონაწილეობას ღებულობდა ამიერკავკასიაში აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში. მაგრამ ეს აზრი არ შეეფერება სინამდვილეს, ვინაიდან 1795 წლის დასაწყისში იგი პეტერბურგში მიემგზავრებოდა და არ შეიძლებოდა ამ ბრძოლებში მიეღო მონაწილეობა.

42 АВПР, д. № 487, 1794—1799, л. 27—28.

მაგრამ, როგორც ცნობილია, ეკატერინე II-ის გარდაცვალების შემდეგ შეიცვალა რუსეთის პოლიტიკა ირანის მიმართ და მურთაზა ყული-ხანსაც აღარ მიეცა საშუალება განეხორციელებინა თავისი მიზნები.

სპარსელმა ისტორიკოსებმა იციან, რომ მურთაზა ყული-ხანი სიკვდილამდე რუსეთში იმყოფებოდა და შემდეგ მისი ნეშთი წაიღეს და წმინდა ადგილზე დაასაფლავეს, მაგრამ არსად არ არის აღნიშნული, თუ როდის გარდაიცვალა იგი. ბუტკოვის მასალების მიხედვით მურთაზა ყული-ხანი გარდაიცვალა 1800 წელს ასტრახანში[43].

ამგვარად, აღა-მაჰმად-ხანი თერთმეტი წლის განმავლობაში — 1780 წლიდან 1791 წლამდე ებრძოდა მურთაზა ყული-ხანს. სამჯერ გამოსტაცა მურთაზა ყული-ხანმა აღა-მაჰმად-ხანს გილანი. მაგრამ სამჯერვე გაძევებულ იქნა იქიდან.. მურთაზა ყული-ხანი ჯერ ზენდებს მიემხრო, ხოლო შემდეგში, როდესაც დაინახა, რომ მისი ირანში მმართველობა შესაძლებელი იყო მხოლოდ რუსეთის მფარველობის ქვეშ ყოფნის შემთხვევაში, მიმართა რუსეთს დახმარების სათვის, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ მოახერხა ირანის კასპიისპირა პროვინციების ხელში ჩაგდება.

*

* *

წერილი მაღალადგილოვან, სიძლიერისა, სიდიადისა და იღბლის თანამგზავრის ანშეფ ივანე პეტროვიჩისადმი[1]

მოგახსენებთ მურთაზა ყული-ხანის ვექილი[2], თქვენი ერთგული აღა მოჰამედი, რომელიც შარშან აპრილის თვის თხუთმეტში ჩამოვედი ასტრახანში. მე გამომგზავნა ელჩად მაღალმა და დიდადგილოვანმა პატრონმა აწ განსვენებული, სამოთხეში დამკვიდრებული ირანის საქმეების უფროსის, მოჰამედ ჰასან-ხანის შვილმა მურთაზა ყული-ხანმა. მოვიტანე რამდენიმე არზა[3] და წერილი; და ძსურდა მზის ქუდიანი ფადეშაჰის ქვეყნის მფარველის სასახლის კარზე მისვლა; [ამიტომ] ჩამოვედი ასტრახანში. პეტრე ივანეს ძე შიშკინმა, რომელიც არის საზღვაო ფლოტის[4] უფროსი, მნახა და მითხრა, რომ ამ ვილაიეთის[5] უფროსი და ჯარების სარდალი არის მაღალადგილო-

---

43 Бутков, II, стр. 435.

1 წერილი დაწერილია გენერალ ანშეფ ი. ბ. სალტიკოვის სახელზე.

2 წარმომადგენელი, რწმუნებული.

3 მოხსენებითი ბარათი, წერილი.

4 იგულისხმება კასპიის ზღვის ფლოტი.

5 ოლქის, რაიონის.

ვანი პეტრე იბრაჰიმის ძე თექელოვი[6] და საქმის ჭეშმარიტი ვითარება მას უნდა ეცნობოსო. უერთგულესი[7] იძულებული შეიქნა ორი წერილი...

აღა-მაჰმად-ხანი, რომელიც რეშთში იყო გაიქცა...

ათი დღის შემდეგ ფედორ პეტროვიჩ ალექსეევი იქ იქნა გამოძახებული. ამიტომ გილანის ვილაიეთის მცხოვრებლები განაწყენდნენ და განსვენებული ფათჰ ალი-ხანის მეცხოვნე ჯარი დაბრუნდა თავის ვილაიეთში. ათი ათას კაციანი აღა-მაჰმად-ხანის ლაშქარი, რომელსაც მეთაურობდა სოლეიმან-ხანი, შევიდა ქალაქ რეშთში. მურთაზა ყული-ხანი სამასი კაცით[8] გამოვიდა ფადეშაჰის[9] სამფლობელოდან მათი ციხე-სიმაგრეების [ასაღებად] და შეებრძოლა მათ. ორი ათასი კაცი [მათი ჯარიდან] ტყვედ ჩაიგდო და მათი [ლაშქრის] ხუთასი კაცი დახოცა. სოლეიმან-ხანი დამარცხდა და ყაზვინში გაიქცა. როდესაც აღა-მაჰმად-ხანმა ეს ცნობა მიიღო დაბრუნდა მუსტაფა ყული-ხანი, რომელიც დედით იყო მურთაზა ყული-ხანის ძმა და აღა-მაჰმად ხანთან იმყოფებოდა; და [აღა-მაჰმად-ხანმა] თორმეტი ათასი კაციანი ლაშქარი. ჯაფარ ყული-ხანის ხელმძღვანელობით, გაგზავნა ჩაჰარრაჰის გზით. ამ ცნობის მიღების შემდეგ მურთაზა ყული-ხანი იძულებული გახდა ენზელის ნავსადგურში წასულიყო. ენზელის ციხე ააშენა[10] და იქ დაბანაკდა. [მას] იქ მყოფი ფადეშაჰის გემის[11] იმედი ჰქონდა.

აღა-მაჰმად-ხანის ჯარი რეშთში შევიდა. რამდენიმე დღის შემდეგ [მისი ჯარი] წავიდა ენზელიში. ორი თვის განმვლობაში ბრძოლის ცეცხლი იყო გაჩაღებული. ბოლოს, იმის გამო, რომ ფადეშაჰის გემის კაპიტნებმა არ აღმოუჩინეს დახმარება მაღალ ბეგს — მურთაზა ყული-ხანს, იგი იძულებული შეიქნა გამოსულიყო [ენზელიდან] და ბაქოში გამგზავრებულიყო. იქ იგი ელოდება ფადეშაჰის უზომო წყალობას.

---

6 პეტრე აბრამის ძე თექელოვი.

7 ე. ი. წერილის ავტორი.

8 სამასი კაცით ძნელი იყო აღა-მაჰმად-ხანის ათი ათას კაციან ლაშქართან ბრძოლა. თუ აქ (ტექსტში) შეცდომა არ არის, მაშინ, საფიქრებელია, რომ მურთაზა ყული-ხანს რუსეთის „სამფლობელოდან" გამოყვანილ ლაშქართან ერთად, სხვა ცოცხალი ძალაც გააჩნდა.

9 იგულისხმება რუსეთის იმპერატორი.

10 ალბათ უნდა გავიგოთ „შეაკეთა", ვინაიდან ენზელის ციხე ადრე არსებობდა.

11 შეიძლება გულისხმობს „ფლოტს".

ვინაიდან ადრე გენერალ პეტრე იბრაჰიმოვიჩს[12] ეთხოვა დახმარება, ორჯერ გამოგზავნა ფედორ პეტრეს ძე ალექსეევი ორი გემით, ახლა [კი] ისინი [გემები] ბაქოში იმყოფებიან. თუ ღმერთი ინებებს [ამ გემებს] გადაწყვეტილი აქვთ წავიდნენ რეშთში. მაღალმა ბეგმა მურთაზა ყული-ხანმა არ იცის, გასული წლის მსგავსად, ისინი[13] დაბრუნდებიან უკან, თუ დარჩებიან მასთან[14] ერთად. უერთგულესისათვისაც არავის უთქვამს[15]: არზას (წერილს), რომელიც მაღალ ბეგს დაამშვიდებს ნუ დაწერო... [ერთი წერილი] მაღალადგილოვან პეტრე იბრაჰიმოვიჩთან იყო, რომელიც ჩააბარა პეტრე ივანეს ძე შიშკინს[16], ხოლო მეორე ამომავალი მზის, მზისქუდიანი ფადეშაჰისათვის დაწერილი, ჩემთან არის დარჩენილი.

ვინაიდან მაღალადგილოვანი პეტრე იბრაჰიმოვიჩი ჯარში არ იმყოფებოდა, [მე] უერთგულესს წერილი მომწერა: ახლა იმ მხარეში ჯარში ვიმყოფები და ასტრახანში ვრჩები, [ხოლო] წერილი მაღალადგილოვან მურთაზა ყული-ხანისა გავუგზავნე დიდ ვეზირსო. როგორც კი პასუხი მოვა, მე შევატყობინებ მას.

ცხრა თვის შემდეგ უერთგულესი [თექელოვმა] თავისთან გამომიძახა და გავემგზავრე „ეგორიევსკის კრეპოსტში". ჩემსა და ხსენებულ მაღალადგილოვანს [თექელოვს] შორის, მაღალადგილოვან მურთაზა ყული-ხანის მიერ დასმულ საკითხებზე საუბრის შემდეგ, მან ჩემგან წაიღო წერილი და გაუგზავნა დიდ ვეზირს[17]. უერთგულესი გამგზავნა ასტრახანში, რათა ჩემს წერილზე პასუხის მიღების შემთხვევაში გავეგზავნე დიდ ვეზირთან.

ამჟამად რვა თვე ხდება, რომ უერთგულესი ამ იმედით ასტრახანში გაურკვეველ [მდგომარეობაში] ვიმყოფები. არც დიდი ვეზირისაგან და არც გენერლისაგან არავითარი პასუხი არ ისმის. ახლა იტყობინებიან, რომ ხსენებული გენერალი[18] სამსახურიდან გაუთავისუფლებიათ. ამ რაიონის გამგებლობა იმ მაღალადგილოვან დიდებულს[19] გადაეცა. იძულებული შევიქენი, რომ მაღალი პირები შემეწუხებინა და მისთვის გამეგებინებინა მაღალადგილოვანი მურთაზა ყული-ხანის ჰეშმარიტი მდგომარეობა. ჰეშმარიტება [კი] ისაა, რომ აღა-მაჰმად-ხანი და მურთაზა ყული-ხანი, ორივე არიან განსვე-

---

12 თექელოვს.

13 გემები.

14 ე. ი. მურთაზა ყული-ხანთან.

15 არ აუხსნია.

16 კასპიის ზღვის საზღვაო ფლოტის უფროსს.

17 იგულისხმება პოტიომკინი.

18 ე. ი. თექელოვი.

19 ე. ი. სალტიკოვს.

ნებული მოჰამედ ჰასან-ხან ყაჯარის შვილები და წაიჩხუბნენ სამემ-კვიდრეო სამფლობელოს[20] თაობაზე. ხუთი წლის განმავლობაში მათ ასე თუ ისე ჰქონდათ [გარკვეული] ურთიერთობა. დაბოლოს, აღა-მაჰმად-ხანმა კავშირი დაამყარა ვილაიეთის ზოგიერთ ყაჩაღთან და ქურდთან და მურთაზა ყული-ხანი გააძევა თავისი სამემკვიდრეო სამფლობელოდან.

მურთაზა ყული-ხანი გაემგზავრა რეშთში, რომელიც იყო ჰე-დაიეთ-ხან გილანელის მფლობელობაში. კაპიტან ლეიტენანტ ფე-დორ პეტრეს-ძე ალექსეევთან ერთად, რომელიც იყო ფადეშაჰის ფრეგატების უფროსი, უერთგულესი გავემგზავრე ასტრახანში, რა-თა იქედან ხალხის იმედის მომცემ მზისქუდიანი ფადეშაჰის სასახ-ლეში გავმგზავრებულიყავი. როდესაც ასტრახანში შევედი, პავლე სერგის ძემ, ამ საზღვრების ჯარების სარდალმა და ამ ვილაიეთის უფროსმა, რომელიც ეკატერინოგრადში იმყოფებოდა, მისი ბრწყინ-ვალების წინაშე გამომიძახა.

როდესაც იქ ჩავედი, წერილები გამომართვეს და დიდ ვეზირს, პატივცემულ პატრონს[21] გაუგზავნეს, ხოლო მე ასტრახანში გამგ-ზავნეს. დაახლოებით ერთი წელი უერთგულესი ასტრახანში დავრ-ჩი. [ამ დროს] აღა-მაჰმად-ხანის ჯარი ქალაქ რეშთში შევიდა, ჰედა-იეთ-ხანი მოჰკლეს და მურთაზა ყული-ხანი გილანიდან ქალაქ შირ-ვანში გაემგზავრა ფათჰ ალი-ხანთან. [მურთაზა ყული-ხანი] მელო-დებოდა მე და იძულებული გავხდი პასუხის მიუღებლად ქალაქ შირვანში გავმგზავრებულიყავი. მივედი რა მაღალადგილოვან მურ-თაზა ყული-ხანთან, მოვახსენე საქმის ჭეშმარიტი ვითარება. რამ-დენიმე ხნის შემდეგ კვლავ კაპიტან . . . ალექსეევმა . . . წერილი მაღალადგილოვან პავლე სერგეის ძისგან მოიტანა, რო-ჩელშიაც იტყობინებოდა, რომ იგი იქნება ამ ორი ფრეგატის უფ-როსი და ახალი კონსული. ამით იმედი მიეცა მურთაზა ყული-ხანს. მან განსვენებული ფათჰ ალი-ხანისაგან ლაშქარი წამოიყვანა და მზისქუდიანი ფადეშაჰის გარდუვალი იღბლის წყალობით ათი ათას კაციანი ლაშქრით მთელს ადგილებს მოედო[22]. მურთაზა ყული-ხანი ქალაქ რეშთში შევიდა... ერთად ასტრახანში წავიდა ნებართვის გარეშე მცირერიცხოვან დარჩენილ ქვეშევრდომებთან ერთად იქ დასარჩენად, რომ ხმელეთიდან და წყლიდან ამ დავაში[23] მას დახ-მარებოდა.

---

20 „მოლქე მოურესი".

21 ან ბატონს.

22 ალბათ იგულისხმება: „გილანი დაიკავა".

23 იგულისხმება ბრძოლაში.

უერთგულესი ან უნდა გავეგზავნე დიდ ვეზირთან, ან მისი ბრწყინვალების წინაშე უნდა გამოვეძახებინე, რათა საფუძველი მოემზადებინა და ამგვარად მურთაზა ყული-ხანის საქმეები წინ წასულიყო. ყოველშემთხვევაში, მისთვის აუცილებელი[24] იყო ათასი კაცი ფადეშაჰის ლაშქრიდან და რამდენი შესაძლებლობაც ჰქონდა [რუსეთს] სესხის სახით ფული მიეცა მისთვის. ღმერთის წყალობით, ვილაიეთის აღების შემდეგ ეს თანხა დაუბრუნდება [რუსეთის] სახელმწიფო წარმომადგენლებს.

მურთაზა ყული-ხანი..., რომელმაც თავისი ხელი გაუწვდინა ფადეშაჰის სახელმწიფო კალთას და ირანის ხალხისაგან ხელი აიღო, ის მაღალადგილოვანი და მაღალი წარმოშობის[25] არ მისცემს [არავის] ნებას, რომ მზისქუდიანი ფადეშაჰის სახელი ცუდად მოიხსენიონ ირანში და თქვან, რომ განსვენებული მოჰამედ ჰასან-ხანის შვილმა დახმარება სთხოვა რუსეთის ფადეშაჰის სამეფოს და რუსეთის ფადეშაჰმა არაფერი არ გააკეთა იმისათვის, რომ ყურადღება მიექცია მისი საქმეებისათვისო. რასაკვირველია, ასეთ სირცხვილს [რუსეთი] არ იკისრებს. იმ შემთხვევაში, თუ ის მაღალი დიდებული ვერ შეძლებს ამ საქმის გაკეთებას, მაშინ ვისაც ჩათვლიან მიზანშეწონილად, იმას დაავალონ და ბრძანება დაწერონ; [რომ მან] მე მომამზადოს და დიდ ვეზირთან გამგზავნოს, რათა მის სამსახურში ნამდვილი საფუძველი ჩაეყაროს [კარგ ურთიერთობას]. რა თქმა უნდა, [ვეზირის] ყველა შეწუხება, რომელიც მას მიაყენა მურთაზა ყული-ხანმა ამაოდ არ ჩაივლის. ირანში მის მიმართ გამოიჩენენ მეგობრულ დამოკიდებულებას[26] და ის მაღალადგილოვანი დიდებული კმაყოფილი დარჩება.

მურთაზა ყული-ხანი[27] სამემკვიდრეო ვილაიეთის ხელში ჩაგდების შემდეგ თავის თავს ჩათვლის დიდი სახელმწიფოს მიერ მოვლინებულად. ეს სიტყვა[28] ურღვევია. უერთგულესი პირობას იძლევა, რომ რამდენიც არ უნდა გაიღოს თანხა [რუსეთმა], ვილაიეთის დაპყრობის შემდეგ დაუბრუნდება[29] [მის] რწმუნებულებს. რამდენადაც შესაძლებლობა იქნება სახელმწიფოსათვის, რაც შეიძლება სასწრაფოდ გასცენ ბრძანება, რათა [ეს] განხორციელდეს.

ვრჩები თქვენი ბრძანების მორჩილი.

---

24 საჭირო.

25 ე. ი. მურთაზა ყული-ხანი.

26 სამსახურს.

27 ტექსტის მიხედვით იქნება: „მურთაზა ყული-ხანის აზრი ისაა, რომ“...

28 პირობა.

29 ჩაბარდება.

عریضه خدمت عالیجاه شوکت و عظمت و اقبال همراه ایوان پطرویچ گنرال انشف

بعرض میرساند آقا محمد وکیل مرتضی قلی خان که پار سال در پانزدهم ماه اپریل مخلص وارد حاجی ترخان گردیده واز جانب عالیجاه معلی جایگاه صاحب مرتضی قلیخان قاجار ولد مرحوم به غفران پناه محمد حسن خان صاحب کارایران ایلچی میباشد و بعضی عرایض و نوشته جات آورده اراده در گاه جهان پناه پادشاه خورشید کلاه داشته ورود بحاجی ترخان پطر ایوان‌ایچ ششکین که، گمی بیگی میباشد مخلص‌را دیده خواهش نموده که صاحب کار اینولایت و سردار قوشون این سامان عالیجاه رفیع جایگاه پطر ابرهم‌ایچ تکلی میباشد باید حقیقت حال‌را باو حالی کرد مخلص لابد شده دو طغرا مراسله که، یکی آن در خدمت[1]... گنرال پوتمکین بود و دیگرآن نباید متوجه گرفته روانه رشت گردید اقا محمد خان در رشت بوده فرار نموده‌اند یک[2]... گردیده بفاصله ده روز بعد قدر پطرویچ الیکس‌صیو را درآنجا طلبیده گردیدند بهمین جهت اهل ولایت گیلان دل شکشته شدند و قوشون قلعه مرحوم فتحعلی خان مراجعت بولایت خود نموده‌اند و ده هزار کس قوشون آقا محمد خان بر سلمیان خان وارد شهر رشت شدند مرتضی قلی خان با سیصد نفر پی باروی ایشان رفته از دولت پادشاهی باایشان جنگ کرده دو هزار نفر ایشان‌را دستگیر نموده و پانصد نفر شان‌را کشته سلیمان خان شکست خورده فرار به قزوین نموده این خبر که به‌اقا محمد خان رسیده مصطفی قلی خان برادر مادری مرتضی قلی خان‌را که دردست داشته کور نموده و دوازده هزار نفر باتفاق جعفر قلیخان قوشون از چهارراه تعین کرده ورود رسیدن این خبرمرتضی

---

1 აქ დაზიანებულია ერთი სტრიქონი. იგი მიკრულია საქმეზე და მისი სრულად წაკითხვა შეუძლებელი გახდა ჩვენთვის.

2 მომდევნო სიტყვა გაუგებარია.

قلیخان لابد شده روانه فرضه انزلی شده و قلعه انزلی را ساخته بخاطر جمعی گمی پادشاهی در آنجا مسکی نموده قوشون اقا محمد خان وارد رشت گردیدند بفاصله چند روز روانه انزلی گردیده مدت دو ماه نایره جنگ اشتعال اخرالامر از امداد نکردن کپتان های کشتی پادشاهی بکان عالی مرتضی قلی خان لابد شده بنارا بسازش گذاشته‌اند باین طور که بکان عالی مرتضی قلیخان از انزلی بیرون برود بکان عالی لابد شده از نداشتن کومک بیرون آمده وارد بادکوبه شده و منتظر مرحمت بیکران پادشاهی[3] میباشد چون قبل ازاین از پطر ابراهم‌ایچ گنه‌رال خواهش کومک شده بود دو باره فدر پطرویچ الیکس صو را بادو فروند گنرال مذکور شفقت فرموده حال در بادکوبه میباشد و اراده رشت دارند که انشالله بروند نهایت بربکان عالی مرتضی قلی خان حالی نمیباشد که مثل پارسال اینها مراجعت نمایند یا درپیش‌او بمانند و بمخلص هم کسی حالی نکرده که عریضه نه نویسد بکان عالی‌را خاطر جمع نماید[4]... درپیش عالیجاه پطر ابراهم‌ایچ بوده تسلیم پطر اوان‌ایچ شیکن نموده و عریضه خدمت آفتاب طلعت پادشاه خورشید کلاه در پیش مخلص مانده چون عالیجاه پطر ابراهم‌ایچ در قشون نبوده به مخلص نوشته نوشته که حال آنجانب در قوشون میباشد و او در حاجی ترحان بماند و مراسله عالیجاه مرتضی قلی خان روانه خدمت وزیراعظم نموده‌یم هر اوقات جواب بیاید باو حالی نمایم بعد از نه ماه مخلص را در پیش خود طلبیده و مخلص روانه یوگراسکی کری پوست شده بعد از دید و باز دید گفتگوئی درمیان مخلص و عالیجاه مذکور شده آنچه مطالب عالیجاه مرتضی قلی خان بوده از مخلص عریضه گرفته جهت وزیراعظم فرستاد و مخلص را روانه حاجی ترخان نموده که در وقت آمدن جواب عریضه مخلص را روانه نزد وزیر اعظم نماید و حال هشت ماه میشود که مخلص باین امید در حاجی ترخان سرگردان میباشد نه جوابی از وزیر اعظم شنیده نه از گنرال و حال مذکور گردیده که گنرال مذکور از خدمت مرخص شده و اختیار این حدود بآن عالیجاه والاتبار شده لابد گردیده که ملازمان عالی را تصدیع دهد و حقیقت حال عالیجاه مرتضی قلیخان را باو حالی نماید حقیقت اینکه آقا محمد خان و مرتضی قلیخان هردو ولد مرحوم محمد حسنخان قاجار میباشند و بخصوص ملک موروثی در میان

---

[3] შეცდომით ორჯერ სწერია „ფადეშაჰი“.

[4] მომდევნო ორი სტრიქონის წაკითხვა შეუძლებელი გახდა, ვინაიდან მათ ფარავს ქაღალდი, რომელზედაც დაწებებულია საბუთი.

نزاعی واقع شده مدت پنجسال کجدار مریض باهم رفتار کرده‌اند آخرالامر آقا محمدخان با بعضی اشرار و دزدان ولایت سازش کرده مرتضی قلیخان را از ملک موروثی خود بیرون نموده و مرتضی قلیخان روانه رشت گردیده که در تصرف هدایت خان گیلانی بوده و مخلص باتفاق کاپیتان لنی تنان فدر پطروایچ السکیو که کماندان فرکت پادشاهی بوده روانه حاجی ترخان نموده که از آنجا روانه درگاه خلایق امیدگاه پادشاه خورشید کلاه شود ورود بحاجی ترخان عالیجاه پایل سرگیچ درین حدود سردار قشون و اختیار دار این ولایت بوده و در یکاترینوگرات

منزل داشته و مخلص را بحضور طلبیده بعد از ورد بآنجا عرایض را از مخلص گرفته[5] جهت وزیر اعظم و صاحب اکرم فرستاد و مخلص‌را روانهٔ حاجی ترخان نموده قریب یک سال مخلص در حاجی ترخان مانده و قوشون آقا محمد خان بشهررشت آمده هدایت خان‌را کشته‌اند و مرتضی قلیخان از گیلان روانه شهر شیروان شده و در پیش فتحعلیخان آمده و نتظر مخلص بوده مخلص لابد شده بدون جواب روانه شهر شیروان شده و خدمت عالیجاه مرتضی قلیخان رسیده حقیقت را عرض نموده بعد از مدتی دو باره کپیتان لنی تنان الیکس صو[6]... را گردیدند و نوشته از عالیجاه پایل سرگیچ اورده اند که من الحکم این دو روند گمی و شاه بندر نو باشند در اینخصوص مرتضی قلیخان امیدوار شده از مرحوم فتحعلی خان اوشون و از اقبال بی زوال پادساه خورشید کلاه ده هزار کس قوشون همه جارا کشته اند و مرتضی قلیخان وارد شهر رشت و او باتفاف[7]... روانه حاجی ترخان شده هم بدون اذن باقی[8]... ابوابجمعی خود در آنجا بماند از خشکی وآب در دعوا کومک بکند و مخلص را یا روانه نزد وزیر اعظم نماید یا بحضور خود طلبیده بنارا درستی شود واین طور امور مرتضی قلی خان از پیش برود لااقل هزار نفر آدم از قوشون پاد شاهی باو ضروری و بقدر ممکن پول به عنوان قرض باید باو مرحمت بفرمایند که انشاءالله بعد از تسخیر ولایت وجه را تسلیم گماشتگان امنای دولت نماید و مرتضی قلی خان[9]... که دست در دامن دولت پاد شاهی زده از خلقا ایران دست برداشته آنعالیجاه و والا تبارهم راضی نشو که اسم مبارک پادشاه خورشید کلاه در ایران بد نام بشود و بگویند که ولد مرحوم

---

5 ორჯერაა ტექსტში გამეორებული „არაიეზრა“.
6 შემდეგ გაუგებარია.
7 გაუგებარია რა სწერია დოკუმენტის დაზიანების გამო.
8 დაზიანებულია ერთი სტრიქონი.
9 გაუგებარია ერთი სტრიქონი.

محمد حسنخان کمک از دولت پادشاه روسیه کرده واز پادشاه روسیه اینقدر بر نیامده که متوجه امور او البته این ننگ‌را بگردن نخواهند برداشت هرگاه از آن عالیجاه والاتبار برنیاید که این طور بنا گذاری نماید بعهده هر که صلاح بدانند فرمایش مرقوم بفرمایند که تدارک فرمایش مخلص را ببیند و مخلص را روانه نزد وزیراعظم نماید که در خدمت او بنا گذاری درستی شود و البته هر تصدیعی که جهت مرتضی قلیخان ایشان بکشند عیب نخواهد شد و درایران محبت خدمتی باو خواهد کرد که آن عالیجاه والا تبار از او خوشنود گردد و منظور نظر مرتضی قلیخان این که بعد از تصرف ولایت موروثی خود را از جانب دولت عظمی کیوانات حساب نماید واین سخن خلافی ندارد و هر قدر پول که مرحمت بفرمایند مخلص حجت می‌سپارد که بعد از تسخیر ولایت تحویل گماشته‌گان سرکاری نماید هر قسم صلاح دولت باشد بزودی امر بفرمایند که عمل کرده شود

باقی امر کم مطاع[10]

З. ШАРАШЕНИДЗЕ

МАТЕРИАЛЫ К ИСТОРИИ ВНУТРИФЕОДАЛЬНОЙ БОРЬБЫ В ИРАНЕ КОНЦА XVIII ВЕКА

Резюме

В междоусобицах и войнах, развернувшихся в Иране в последней четверти 18 века, значительное место занимает борьба Ага Мохаммед-хана со своим братом Муртаза Кули-ханом.

На основе персидских источников («Насех-от-таварих», «Роузат-ос-сафае Насери», «Монтаземе Насери»), документов архива Министерства иностранных дел СССР и материалов Н. Г. Буткова устанавливается, что в северных районах Ирана Муртаза Кули-хан оказал большое сопротивление Ага Мохаммед-хану. Три раза он брал власть в свои руки в Гиляне и трижды был изгнан оттуда.

Муртаза Кули-хан вначале ориентировался на зендов, однако убедившись, что без содействия России не сможет прийти к власти, он неоднократно обращался к Екатерине II с

---

[10] АВПР, 1787—1796, Д. 485, Л. 48—49; სპარსული ტექსტის ამოკითხვაში დიდი დახმარება გამიწიეს მ. ფათემიმ და ჯ. გიუნაშვილმა, რისთვისაც მათ დიდი მადლობას მოვახსენებ.

просьбой о помощи в завоевании Гиляна, Мазандарана и Астарабада. При этом обязывался принять покровительство России и разрешить русским купцам беспошлинную торговлю в своих владениях.

Ввиду того, что Россия не оказала помощи Муртаза Кули-хану, ему не удалось завоевать власть в северных районах Ирана.

К статье прилагается письмо Мохаммеда Бея, посланника Муртаза Кули-хана, генералу И. П. Салтыкову (фотокопия письма, наборный текст и грузинский перевод).

ლ. ბაზოვა

ავღანისტანის მრეწველობა XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე

მე-19 ს. მეორე ნახევარში ავღანისტანი წარმოადგენდა გარე სამყაროსაგან მოწყვეტილ ჩამორჩენილ ქვეყანას ყოველგვარი ფაბრიკა-ქარხნული მრეწველობის გარეშე.

ავღანისტანში, ისევე როგორც აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლის პროცესი მეტისმეტად გაჭიანურდა და მისი გარდამავალი ფორმები საწარმოო ურთიერთობათა ნორმად იქცა. ხოლო თუ დამოუკიდებელ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური ევოლუციის პროცესი მხოლოდ მომენტის საქმე იყო, იგი კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში ფეოდალურ-აგრარულ ურთიერთობათა ჩამორჩენილი ფორმების მეტად ნელ ცვლად სისტემად გადაიქცა[1].

ფაბრიკა-ქარხნული მრეწველობის შესაქმნელად ავღანისტანში პირველი ნაბიჯები გადადგმულ იქნა XIX ს-ის მიწურულის ემირ. აბდურაჰმან-ხანის (1880—1901) მიერ.

ჯერ კიდევ მანამდე, ემირ აბდურაჰმან-ხანის წინამორბედი ემირი შერ ალი-ხანი (1868—1819) შეეცადა განეხორციელებინა ქვეყნის საშინაო ცხოვრების სრული გარდაქმნა, რაც, ყველაზე გადაუდებელი, სამხედრო და საგადასახადო სისტემის რეფორმებით დაიწყო[2].

---

[1] Аграрно-крестьянский вопрос в суверенных слаборазвитых странах Азии. М., 1961. გვ. 65.

[2] ემირ შერ ალი-ხანის დროს მთელი ავღანისტანი დანაწილებული იყო სარდლებს შორის, რომლებიც თვითონ კრეფდნენ გადასახადებს და სახელმწიფო ხაზინაში საერთო შემოსავლის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი შექონდათ. აღნიშნული სარდლების გავლენა რომ შეესუსტებინა შერ ალი-ხანი შეეცადა ჩამოერთმია მათთვის გადასახადების აკრების უფლება და შეექმნა ცენტრალური ხელისუფლებისათვის დაქვემდებარებული მუდმივი ჯარი 26 ათასი კაცის რაოდენობით. იხ: Донесение русского посла в Иране И. А. Зиновьева в Министерство Ино-

ემირ შერ ალი-ხანის რეფორმები მიმართული იყო ავღანისტანის ეკონომიური და კულტურული განვითარებისაკენ, მაგრამ მათ განხორციელებას დიდად შეუშალა ხელი ინგლისელთა მიერ წამოწყებულმა ახალმა აგრესიამ 1878—80 წლებში.

ავღანისტანში, ისევე როგორც ფეოდალური აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, სამრეწველო საქონლის შეტანა დიდ გავლენას ახდენდა ადგილობრივი ხელოსნური წარმოების სხვადასხვა დარგის მდგომარეობაზე და ხელს უშლიდა ეროვნული მრეწველობის განვითარებას.

ავღანისტანის გადაქცევა მსოფლიო კაპიტალისტური ბაზრისათვის ნედლეულის მიმწოდებელ წყაროდ ქვეყნის იზოლიაციის პირობებში ხდებოდა და ავღანელები მოკლებული იყვნენ თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გაცნობისა და გამოყენების შესაძლებლობებს[3]. ეს გარემოება ხელს აძლევდა ინგლისელებს, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ ავღანისტანი არ მოხვედრილიყო მეტოქე სახელმწიფოთა გავლენის სფეროში და ხელს უშლიდნენ სხვა ქვეყნებთან და ხალხებთან სამეურნეო და კულტურული კავშირ-ურთიერთობის დამყარების ცდებს[4].

ავღანისტანის მრეწველობის განვითარების გზაზე XIX ს-ის უკანასკნელ მეოთხედში დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა, აგრეთვე, ბინადარი და ნომადური ტიპის მეურნეობათა თანაარსებობა ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში.

მიუხედავად ჩამოთვლილი სიძნელეებისა, ავღანისტანის ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ და ენერგიული აბდურაჰმან-ხანის მიერ დამოუკიდებელი ტომების დამორჩილებამ ხელი შეუწყო ვაჭრობა—ხელოსნობის განვითარებასა და ეროვნული მრეწველობის შექმნას.

ავღანისტანის ეროვნული მრეწველობის განვითარებას სხვა სახის სიძნელეებიც ახლდა თან. საქმე ისაა, რომ XVIII ს-ის დასასრულსა და XIX ს-ის დასაწყისში ქვეყნის მთელი ვაჭრობა-ხელოსნობა, გარდა ყანდაჰარის ოლქისა. ტაჯიკებისა და ინდოელების ხელში იყო. უცხოელი მოგზაურები, რომლებსაც იმ ხანებში ყოფნა მოუხდათ ავღანისტანში, ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ იქაური ქალაქები და დაბები, ძირითადად ინდოელებითა და პენჯაპელი მუსლიმა-

---

странных дел от 14 августа 1892 г., ციტირებულია ნ. ხალფინის წიგნის მიხედვით: Н. А. Халфин, Провал британской агрессии в Афганистане, М., 1959, გვ. 76.

[3] В. А. Ромодин, История Афганистана, М., 1965, გვ. 276.

[4] Н. М. Гуревич, Внешняя торговля Афганистана до второй мировой войны, М., 1959, გვ. 14.

ნებით იყო დასახლებული[5]. ამასთან, იგივე მოგზაურები საგანგებოდ უსვამდნენ ხაზს ვაჭრობა-ხელოსნობაში მათ განსაკუთრებულ გაწაფულობას[6]. აღნიშნული ხანის ავღანისტანის ქალაქების ეროვნულ შემადგენლობას რომ ეხებოდა, პროფ. ი. რეისნერი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ფუშთუს ენაში სხვადასხვა პროფესიისა და ხელობის აღმნიშვნელი სიტყვები, მომთაბარე ტომების ყოფა-ცხოვრების ამსახველი ტერმინების გამოკლებით, ჩვეულებრივ ნასესხებია ტაჯიკური, სპარსული, არაბული და სხვადასხვა ინდური ენებიდან[7].

ავღანისტანის ქალაქებში მხოლოდ XIX ს-ის მეორე ნახევრიდან ჩნდება ადგილობრივი წარმოშობის ვაჭარ-ხელოსანთა ცოტად თუ ბევრად შესამჩნევი ფენა. მათ გამოჩენას ხელს უწყობდა ემირ აბდურაჰმან-ხანის საგანგებო ღონისძიებები.

ავღანისტანში ადგილობრივი მრეწველობის განვითარების მიზნით აბდურაჰმან-ხანი ინგლისიდან, ინდოეთიდან და სხვა სახელმწიფოებიდან იწვევდა სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს. მათთან დადებულ გარიგებებში გათვალისწინებული იყო ხოლმე სპეციალური პუნქტი, რომლის მიხედვითაც მოწვეულ სპეციალისტებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლოთ სამსახურისათვის თავის დანებება, თუ მათი ავღანელი შეგირდები საქმის გაძღოლას შეძლებდნენ დამოუკიდებლად თავიანთი უცხოელი მასწავლებლების გარეშე. ასეთი ღონისძიების მეოხებით, მრეწველობის ბევრი სხვადასხვა დარგი თანდათან გადადიოდა ავღანელების ხელში[8].

ავღანისტანის საქალაქო ხელოსნობაში გაბატონებული იყო ამქრული წესები და პროლეტარიატი ის-ის იყო ისახებოდა. ერთ-ერთ ყველაზე ძველ ადგილობრივ ხელობას ცხვრის ტყავის დამუშავება და ტარსიკონის გამოყვანა შეადგენდა. იგი განსაკუთრებით კარგად იყო განვითარებული ყანდაჰარის ოლქში, მაგრამ ინდოეთში, ბუხარასა და რუსეთში ამ საქონელზე მოთხოვნილების ზრდასთან დაკავშირებით, ეს დარგი თანდათან უფრო გაფართოვდა და ყანდაჰარიდან გავრცელდა ყაზნასა, ქაბულსა, მეიმენესა და ჰერათში[9].

ავღანისტანი ცხვრის ტყავის ქურქებით ამარაგებდა, აგრეთვე, ვოლგის ქვემო წელისა და კავკასიის მოსახლეობას[10].

---

[5] Foster G, Voyage du Bengal a Petersburg, Paris, 1800, II, გვ. 33.

[6] იქვე. გვ. 71.

[7] И. М. Рейснер, К вопросу о складывании афганской нации, — В. И., 1949, № 7, გვ. 66.

[8] Снесарев, Афганистан, СПб, 1921, გვ. 46.

[9] Ромодин.... II, გვ. 335.

[10] Е. П. Ковалев, Афганистан. Его промышленность и торговля. Отчет управляющего Бухарскою таможнею Ковалева по командировке 1907 г., გვ. 245.

ავღანისტანში განსაკუთრებით კარგად იყო განვითარებული კრაველის ტყავის გამოყვანის ხელობა, მაგრამ ასეთი ტყავით ვაჭრობა ემირის ერთპიროვნულ მონოპოლიას წარმოადგენდა. ემირის მიერ დანიშნული სპეციალური მოხელეები ხელმძღვანელობდნენ მთელ ავღანისტანში მოსახლეობის მიერ გამოყვანილი ტყავის მიღებისა და შეფასების საქმეს. ტყავის ჩამბარებლებს ურიგდებოდათ სპეციალური კვიტანციები მათ მიერ ჩაბარებული ტყავების ღირებულების აღნიშვნით, რითაც დასახელებულ თანხას იღებდნენ ემირის ხაზინიდან.

კრაველის ტყავის შესყიდვისა და ხარისხისა და ფასის განსაზღვრის დროს ადგილი ჰქონდა მრავალ ბოროტმოქმედებას აღნიშნული მოხელეების მხრივ. მდიდარი ავღანელი მალდარები ახერხებდნენ სხვადასხვაგვარი შეღავათების მიღებას ემირის მოხელეების მოსყიდვის გზით და ამ მონოპოლიის მთელი სიმძიმე მოსახლეობის უღარიბესი ფენების ზურგზე გადადიოდა. ეს მდგომარეობა მოსახლეობას აიძულებდა, განსაკუთრებით ბუხარისა და იმპერკასპიის ოლქის მოსაზღვრე რაიონებში, ყოველგვარი ხრიკები გამოეყენებინა ემირის მოხელისათვის კრაველის ტყავების დასამალავად, უფრო ხელსაყრელ ფასში მათი გაყიდვის მიზნით. ამ გარემოებამ ფართო გასაქანი მისცა კონტრაბანდის განვითარებას ამუდარიის მთელი დინების გასწვრივ[11].

მართალია აბდურაჰმანმა ქაბულში დააარსა ფეხსაცმელების ქარხანა, მაგრამ მისი პროდუქცია მხოლოდ არმიის საჭიროებას ხმარდებოდა და ამით ტყავის კუსტარულ გამოყვანას არავითარი ზიანი მოსვლია[12].

ავღანისტანში ფართოდ იყო გავრცელებული, აგრეთვე, ხალიჩების ქსოვაც. აქ, მსგავსად ირანისა, ხალიჩების ფაბრიკული წარმოება ჯერ კიდევ არ არსებობდა და მხოლოდ კუსტარული წესით მზადდებოდა. ხალიჩების ქსოვაზე თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ქალები მუშაობდნენ. განსაკუთრებით განთქმული იყო თურქმანული და ჰერათული ხალიჩები[13].

ავღანისტანში განვითარებული იყო აგრეთვე მეაბრეშუმეობა და აბრეშუმის ქსოვილების კუსტარული დამზადება. ამ საქმეშიც განსაკუთრებით უანდაჰარი გამოირჩეოდა. მართალია აქ მეაბრეშუმეობას, ისევე როგორც ირანსა და ბუხარაში, უძველესი დროიდან

---

[11] Ковалев,..., გვ. 36; Гуревич, Внешняя торговля Афганистана, გვ. 112; И. А. Ремез, Внешняя торговля Бухары до мировой войны. Ташкент, 1922, გვ. 26.

[12] А. Гамильтон, Афганистан, СПб, 1908, გვ. 45.

[13] Ромодин, История Афганистана, II, გვ. 337.

მისდევდნენ, მაგრამ ამ ხნის მანძილზე არავითარი გაუმჯობესება მომხდარა არც აბრეშუმის პარკის ჯიშებში და არც ძაფის დამუშავების საქმეში. მეაბრეშუმეობა კვლავაც კუსტარულ ხელობად რჩებოდა ყოვლად პრიმიტიული ტექნიკით. ქსოვილები მზადდებოდა ხელის დაზგაზე (დივ ჩარხ)[14], მდარე გამოდიოდა და ვერ აკმაყოფილებდა ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებას აბრეშუმის ნაწარმზე. ამიტომ, აბრეშუმის ქსოვილები შემოჰქონდათ ინდოეთიდან, ირანიდან და ბუხარიდან. შედარებით კარგი ღირსების აბრეშუმის ქსოვილები, რომელიც ემირის კარის ჰარემისა და შეძლებული ადმინისტრაციის საჭიროებას ხმარდებოდა ლიონიდან და მარსელიდან შემოქონდათ მე-20 ს-ის დასაწყისში[15].

საკმაოდ განვითარებული იყო, აგრეთვე, ავღანისტანში კამვოლური და შალის ქსოვილების კუსტარული წარმოება.[16] ამ საქმეში განსაკუთრებით კარგად იყვნენ გაწაფული ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ავღანისტანის მთიან რაიონებში. ავღანისტანის მოსახლეობა კი მას ბამბის ქსოვილებზე მეტად ენატრებოდა[17].

მებამბეობა ავღანისტანში ადრევე იყო გავრცელებული, მაგრამ იგი, როგორც სასაქონლო დარგი XIX ს-ის უკანასკნელ მეოთხედში გააქტიურდა[18]. ამას ხელი შეუწყო რუსეთის მსხვილი სამანუფაქტურო ფირმების მიერ ბამბის შესასყიდი სააგენტოების გახსნამ ბუხარის სახანოსა და შუა აზიის სხვა პუნქტებში, სადაც ყოველწლიურად იზრდებოდა მისი შესასყიდი ფასი[19]. ლოძისა და მოსკოვის სამანუფაქტურო ფირმებმა იქვე ბამბის საწმენდი და საწნეხი რამდენიმე ქარხანაც ააშენეს.

აღნიშნულმა გარემოებამ გამოაცოცხლა ავღანელი ვაჭრების საქმიანობა, რომლებმაც დაიწყეს ხამი ბამბის ქარავნების გაგზავნა შუა აზიისაკენ ბალხის, მაზარი შერიფისა და ჰერათის რაიონებიდან. ისინი ადგილობრივ გლეხებს ავანსსაც კი აძლევდნენ და შედარებით მაღალ ფასად ყიდულობდნენ მათი ბამბის მთელ მოსავალს. ჩქარა ავღანისტანის ჩრდილო რაიონებში შესამჩნევად გაფართოვდა ბამბის ნათესები და ყოველწლიურად იზრდებოდა მისი გატანა[20].

---

[14] Ковалев, Афганистан, გვ. 162.

[15] იქვე.

[16] იქვე, გვ. 53.

[17] Н. И. Вавилов и Д. Д. Букинич, Земледельческий Афганистан, Л., 1929, გვ. 210.

[18] А. Д. Давыдов, Развитие капиталистических отношений в земледелии Афганистана, М., 1962, გვ. 26.

[19] Ковалев, Афганистан, გვ. 124.

[20] Гуревич, Внешняя торговля Афганистана, გვ. 46.

ასე, მაგალითად, თუ 1890 წ. ავღანისტანიდან რუსეთში გატანილი იქნა 576 მანეთის საერთო ღირებულების 320 ფუთი ნედლი ბამბა, 1897 წლისათვის, უკვე, მისმა ექსპორტმა 39 ათას 689 მანეთის ღირებულების 33 ათას 74 ფუთი შეადგინა[21].

მომდევნო ხანებში, სპეციალური საბაჟო ტარიფების შემოღების შემდეგ, 1904 წელს ავღანისტანიდან რუსეთში ბამბის გატანამ ჩქარა იკლო და 1905 წლისათვის მხოლოდ 5 ათას 335 ფუთი შეადგინა[22]. აღნიშნული მდგომარეობა იმ გარემოებამაც განაპირობა, რომ ავღანისტანში ბამბის საწმენდი და საწნეხი ქარხნების უქონლობის გამო, მინდერებიდან აღებული დაუმუშავებელი ნედლი ბამბა ე. წ. „ღუზა“ პირდაპირ ბუხარაში ჩაქონდათ. იქ კი ერთი ფუთი გაწმენდილი ბამბა გაცილებით ძვირი ჯდებოდა იმავე ხარისხის ბუხარულ ბამბასთან შედარებით. ამის გამო, ავღანური ბამბის შესყიდვა თანდათან შეწყდა და ავღანელ გლეხებს 1905 წლის ბამბის მოსავლის დიდი ნაწილი გაუყიდავი დარჩათ[23]. ასეთმა მდგომარეობამ არა მარტო ავღანელი მიწისმოქმედები გააჩანაგა, არამედ რუსეთ-ავღანისტანის გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობაც ჩაკლა[24].

ავღანისტანის მრეწველობის განსაკუთრებულ დარგს სამკურნალო, სამღებრო და გუმერაბიკის შემცველი მცენარეულობის გაშენება და შეგროვება წარმოადგენდა[25]. ავღანისტანი ძველთაგანვე ამარაგებდა ასეთი მცენარეულობით არა მარტო ინდოეთს, ირანს, შუა აზიასა და ჩინეთს, არამედ თურქეთსა და ევროპასაც. ევროპაში ქარხნული წესი ქიმიური საღებავების დამზადების შემდეგ ავღანისტანიდან სამღებრო მცენარეების ექსპორტი მკვეთრად შემცირდა, ხოლო როდესაც ასეთმა საღებავებმა ავღანისტანამდეც მოაღწია აქაურმა მოსახლეობამაც მისი გამოყენება დაიწყო[26].

ევროპაში კაპიტალისტური მრეწველობის სწრაფმა განვითარებამ გამოიწვია ინგლისისა და რუსეთის დიდი დაინტერესება შუა აზიისა და ავღანისტანის სამრეწველო ნედლეულით. რუსეთი შუა აზიაში, ხოლო ინგლისი ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთში რკინიგზების მშენებლობა-გაყვანას შეუდგა.

რკინიგზების მეშვეობით უხვად შემოდიოდა ავღანისტანში ფაბ-

---

21 Ковалев, Афганистан, გვ. 145.

22 იქვე.

23 იქვე.

24 იქვე.

25 ერთ-ერთი გენუელი კონსულის მოხსენებაში, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებთან კაფას (აწინდელი ფეოდოსიის) ვაჭრობას შეეხება, მოხსენებულია „სამკურნალო მცენარეების 118 შეკვრა პახტანთა ქვეყნიდან“. Ковалёв, Афганистан, 116; H. W. Bellew, The races Of Afghanistan, Calcutta, p. 102.

26 Ковалев, Афганистан, გვ. 118.

რიკული წარმოების იაფი ქსოვილები. ადგილობრივ კუსტარულ-წარმოებას მათთან კონკურენცია აღარ შეეძლო.

აბდურაჰმან-ხანის მიერ მე-19 ს-ის დასასრულისათვის შექმნილი ქარხნული მრეწველობა, თითქმის მთლიანად ემსახურებოდა სახელმწიფოს მომარაგებას სამხედრო იარაღ-საჭურველით. უპირველეს ყოვლისა, საზღვარგარეთ შეძენილი იქნა ისეთი მანქანები, რომლებიც ზარბაზნების, თოფებისა და მათთვის საჭირო ჭურვებისა და ვაზნების დასამზადებლად გამოდგებოდა[27]. ამასთან ერთად, აბდურაჰმან-ხანის დროს ავღანისტანს მზა პროდუქციაც შემოქონდა უცხოეთიდან ზარბაზნებისა და შაშხანების სახით. საზღვარგარეთიდან შემოტანილი მანქანები კი, უმთავრესად, დაზიანებული იარაღ-საჭურველის რემონტისათვის გამოიყენებოდა. მაგრამ, 1894 წ. როდესაც ინგლისელებმა ხელი შეუშალეს უცხოეთში ნაყიდი სწრაფმსროლელი ზარბაზნების შეტანას ავღანელებმა თვითონ დაიწყეს მათი წარმოება სათანადო ნახაზების მიხედვით. ზარბაზნების ქარხანა ავღანისტანში აგებული იქნა უცხოელი სპეციალისტების მიერ.[28]

ასევე მოგვარდა თოფების ადგილობრივი წარმოება მოწვეული სპეციალისტების დახმარებით[29].

ემირი აბდურაჰმან-ხანი ცდილობდა საქარხნო მრეწველობისათვის თავი მოეყარა ქაბულის მიდამოებში, სადაც დაარსებული იქნა სახვრეტი და საღარავი ჩარხებით აღჭურვილი მექანიკური საწარმოები[30]. იქვე იყო ინსტრუმენტები და მანქანები სხვადასხვა სახარატო ოპერაციების შესასრულებლად.

გარდა სამხედრო ქარხნებისა ავღანისტანში დაარსებული იქნა, აგრეთვე, ღვინის, ტყავის, საპნის, ასანთისა და სხვ. ქარხნები.[31] მუშათა რიცხვი კი, რომლებიც სახაზინო ქარხნებში, ფაბრიკებში სახელოსნოებში, მაღაროებში და სხვა მსგავს საწარმოებში მუშაობდნენ 100 ათას კაცამდე გაიზარდა[32].

ადგილობრივი ეროვნული მრეწველობის განვითარებისა და სწორი ხელმძღვანელობის მიზნით ემირ აბდურაჰმან-ხანის დროს შეიქმნა მრეწველობის საქმეთა სპეციალური სამართველო, რომელსაც „მირ მუნში" (میر مونشي) ეწოდებოდა. ამ დაწესებულებაში თავს იყრიდა ანგარიში ყველა საწარმო—სახელოსნოს შესახებ, რომლებიც კი ავღანისტანში არსებობდა. ეს ანგარიშები, ჩვეულებრივ,

---

27 Снесарев, Афганистан, გვ. 86.

28 Абдуррахман, Автобиография, СПб., 1902, II, გვ. 16.

29 Гамильтон, გვ. 68.

30 გვ. 352. فض محمد، سراج التواريخ، كابل

31 Снесарев, Афганистан, გვ. 86.

32 იქვე.

უცხოელების მიერ დგებოდა, რომლებიც ავღანისტანის ემირის სამსახურში იყვნენ. ამავე სამართველოში სპარსულ ენაზე ითარგმნებოდა ყოველგვარი წიგნები, რომლებიც საქარხნო წარმოებას, ქიმიას, ფიზიკას და მათემატიკას შეეხებოდა.

ემირ ჰაბიბულა-ხანის (1901—1919) მეფობის დროს ყურადღება მიექცა, აგრეთვე, სამთომადნო მრეწველობის განვითარებას. ჰაბიბულა-ხანმა 1901 წ. პროვინციათა სარდლებს დაავალა დაწვრილებითი ცნობები შეეგროვებინათ მათდამი დაქვემდებარებული ტერიტორიის წიაღისეული სიმდიდრეების შესახებ. გარდა ამისა, ემირი აპირებდა იაპონიასა და გერმანიაში გაეგზავნა ავღანელი ახალგაზრდობა სამთომადნო და საქარხნო მრეწველობის საქმის შესასწავლად. ამასთან ერთად, შექმნილი იქნა სამთო საქმეთა სპეციალური სამართველო, რომლის მოვალეობასაც წიაღისეულ სიმდიდრეთა მოპოვებისადმი სათანადო ხელმძღვანელობა შეადგენდა[33].

მიუხედავად იმისა, რომ ავღანისტანის ტერიტორიაზე საკმაო რაოდენობით იქნა მიკვლეული ოქროს, ვერცხლის, ბადახშის, ქვანახშირის, რკინის, გოგირდის, სპილენძის, ტყვიისა და სხვა მინერალების საბადოები, სამთომადნო მრეწველობის განუვითარებლობის გამო, ავღანისტანი იძულებული იყო უცხო ბაზარზე შეეძინა სხვადასხვა ლითონი საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად[34].

მრეწველობის საქმეთა სამართველოს გარდა, ავღანისტანში შეიქნა ახალი გზა ქაბულიდან მაზარე შერიფამდე და იქიდან რუსეთის უწყებამ დაიწყო ქვის სახლების მშენებლობა და გზების გაყვანა ავღანისტანის სხვადასხვა კუთხეში. უპირველეს ყოვლისა, გაყვანილი იქნა ახალი გზა ყაბულიდან მაზარე შერიფამდე და იქიდან რუსეთის საზღვრებამდე. ამის შემდეგ გზა იქნა გაყვანილი ქაბულიდან ჰერათამდე, ჰერათიდან ყანდაჰარამდე, ყაზნამდე და ა. შ. ქაბული დაკავშირებული იქნა, აგრეთვე, ხეზარეჯათის, ჯელალაბადის, ასმარისა და ქაფირისტანის ოლქებთან[35]. ქაბულ-ფეშავერის გზა, თანგე ყარუნის გავლით, მთელი ათი წლის განმავლობაში შენდებოდა და მის გაყვანაზე 10 ათასზე მეტი მუშა შრომობდა[36].

ტვირთი ავღანისტანში რკინიგზების უქონლობის გამო სასაპალნე ცხოველების მეშვეობით გადაჰქონდათ. განსაკუთრებით მძიმე მანქანა-იარაღების გადასატანად სპილოებიც იყვნენ გამოყენებული. სპილოებს განსაკუთრებით სახაზინო ტვირთის გადასაზიდად იყენებდნენ. პირველი მსოფლიო ომის დროს 50 ასეთი სპილო იყო ჰაბიბულა-ხანის განკარგულებაში. გარდა ამისა, ქაბულსა და ფე-

---

33 Ковалев, გვ. 325.

34 იქვე.

35 «سراج التواريخ»—გვ. 351; Снесарев, Афганистан. გვ. 49.

36 იქვე, Гамильтон, გვ. 63.

შავერს შორის ტვირთის სატარებლად ჰაბიბულა-ხანი შეეცადა გამოეყენებინა, აგრეთვე, ავტოტრანსპორტი. ამ მიზნით უცხოეთში შეძენილი იქნა 15 სატვირთო ავტომანქანა, მაგრამ გზის უკარგისობის გამო მათი გამოყენება შორეული ტვირთზიდვისათვის არ მოხერხდა[37].

გზათა ცუდი მდგომარეობა და სატრანსპორტო საშუალებათა უქონლობა დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა ვაჭრობა—მრეწველობის განვითარების საქმეში. უცხოეთში შეძენილი საქარხნო მოწყობილობათა სიძვირეს თან ახლდა ამ მოწყობილობათა ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული უზარმაზარი ხარჯები. ასე, მაგალითად, კამვოლური მაუდის ფაბრიკისათვის უცხოეთში ნაყიდი მოწყობილობის ადგილზე მიტანას 240 ათასი დოლარი დასჭირდა, მაშინ როცა თვითონ მოწყობილობა 800 ათასი დოლარი ღირდა[38]. აღნიშნული ფაბრიკისათვის ბინის მშენებლობა კი საშენ მასალათა ტრანსპორტირების სიძნელეების გამო, მთელი ხუთი წელიწადი გაჭიანურდა. 1907 წ. დაწყებული ავღანისტანის პირველი ელსადგურის მშენებლობა 1919 წლამდე გაჭიანურდა იმავე მიზეზების გამო.

ავღანისტანის მთავრობის ღონისძიებები ეროვნული მრეწველობის შესაქმნელად მრავალ დაბრკოლებას აწყდებოდა როგორც ქვეყნის შიგნით (ცენტრმსბოლი ძალების სახით), ისე ქვეყნის გარეთ ინგლისელი კოლონიზატორების მხრივ.

ინგლისელი იმპერიალისტები ყოველნაირად ცდილობდნენ ტომობრივი სეპარატიზმის კონსერვაციისა და ავღანთა ცენტრალიზებული სახელმწიფოს განმტკიცებისათვის ხელის შეშლას. ისინი მარჯვედ იყენებდნენ ცალკეული ტომების ფეოდალური ზედაფენის სეპარატისტულ ტენდენციებს და უპირისპირებდნენ ემირის ცენტრალურ ხელისუფლებას. სწორედ ინგლისის ასეთი პოლიტიკის შედეგად მოხდა, რომ ფუშთუნისტანის 6 მილიონი ავღანი ხელოვნურად იქნა მოწყვეტილი სამშობლოსაგან სწორედ მაშინ, როდესაც ყველაზე უკეთ შეინიშნებოდა მთელი ავღანელების ერთ ცენტრალიზებულ ავღანურ სახელმწიფოში გაერთიანების მკაფიოდ გამოსახული ტენდენცია[39].

XIX—XX საუკუნეთა მიჯნისათვის ავღანისტანში მეტად ნელა და უმნიშვნელო მასშტაბებით იკვლევდა გზას თანამედროვე ტექნი-

---

[37] Baker and other consular officers, British India, Washington, 1915, pp. 535. 536, 543.

[38] იქვე, გვ. 545.

[39] Л. Р. Гордон-Полонская — Пережитки общинно-родового строя в социально-экономическом развитии афганцев в XIX в., М., 1960, Доклады делегатов СССР на XXV международном конгрессе востоковедов.

კა და დაბალი იყო არსებულ საწარმოთა შრომისნაყოფიერება. ასე, მაგალითად. მეორე მსოფლიო ომის წინა ხანებში ყაბულის არსენალს დღეში მხოლოდ 25 შაშხანის გამოშვება და კვირაში 20 ათასი ვაზნისა და ორი ზარბაზნის დამზადება შეეძლო[40]. ტყავფეხსაცმელის ქარხანა დღეში 400 წყვილ ჯარისკაცის ფეხსაცმელს კერავდა, საპნის ქარხანა კვირაში 10 ტონა საპონსა და სანთლის ფაბრიკა 100 ათას სანთელს უშვებდა, ხოლო ზარაფ ხანა დღეში 20 ათას მონეტას ჭრიდა[41]. მაგრამ, ყოველივე ეს ისეთი ქვეყნისათვის, რომლის მოსახლეობა უკვე 10 მილიონს უდრიდა ფრიად მცირე რამ იყო.

თანამედროვე ფაბრიკა-ქარხნული მრეწველობა ავღანისტანში მხოლოდ XX ს-ის 30-იან წლებში შეიქმნა, როდესაც ეროვნულ საჯაჭრო კაპიტალს გარკვეული დაგროვება აღმოაჩნდა და მისი ერთი ნაწილის მრეწველობაში დაბანდების საშუალება ქონდა.

Л. БААЗОВА

ПРОМЫШЛЕННОСТЬ АФГАНИСТАНА НА РУБЕЖЕ XIX—XX ВВ.

Резюме

Афганистан конца XIX—начала XX вв. представлял собой изолированную от внешнего мира, отсталую феодальную страну с пережитками патриархально-племенных отношений, что способствовало экономической разобщённости и тормозило развитие производительных сил.

Местные кустарные ремёсла не могли удовлетворить растущих потребностей внутреннего рынка, а национальной промышленности в стране не существовало. Поэтому в Афганистан ввозились товары фабричного производства из-за границы (в основном, из Британской Индии и царской России), взамен же вывозилось разного вида сырьё, что влекло за собой превращение страны в аграрно-сырьевой придаток капиталистического мира.

Реформаторская деятельность Абдуррахман-хана (1880—1901), а затем мероприятия его преемника Хабибуллы (1901—1919) предусматривали в стране создание местной национальной промышленности. Однако, ввиду крайней отсталости социально-экономических отношений в стране, а также политики «закрытых дверей», проводившейся этими эмирами, попытки создания местной промышленности не вышли за рамки обеспечения военных нужд страны.

Национальная промышленность в Афганистане была создана лишь в 30-х годах XX в., благодаря накоплению национального капитала.

[40] Ромодин,..., გვ. 345.

[41] იქვე.

ო. გიგინეიშვილი

თურქეთის XVIII საუკუნის 70-ანი წლების ისტორიის ზოგიერთი საკითხი

1774 წელს ქუჩუქ კაინარჯაში დადებული ზავის შემდეგ ოსმალეთის როგორც ეკონომიური, ისე საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა სწრაფად განაგრძობდა გაუარესებას. ომებში დამარცხება თურქეთისათვის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, მაგრამ არც ერთი ომი არ იყო ოსმალეთის იმპერიისათვის ისეთი მძიმე თავისი შედეგებით, როგორც 1768—1774 წლების ომი რუსეთთან. ამ ომმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს მეურნეობის მთავარი დარგი და სახელმწიფო შემოსავლის ძირითადი წყარო—ომები დეფიციტურ დარგად იქცა და სახელმწიფოსათვის ზარალის მეტი არაფერი მოჰქონდა. ეს ნიშნავდა იმას, რომ არსებული სამხედრო-ლენური სისტემა აღარ ამართლებდა თავის თავს. კაპიტალისტურ ურთიერთობათა ელემენტების სისუსტის გამო, თურქეთში არ იყო ძალა, რომელიც იქ არსებულ ფეოდალურ ურთიერთობებს ახლით, კაპიტალისტურით შეცვლიდა. ამიტომ თურქეთში არავინ ცდილობდა, რომ ბურჟუაზიული რეფორმების გზით ქვეყანას თავი დაეღწია მწვავე ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისისათვის. რამდენადაც ოსმალეთის იმპერიის მმართველ წრეებს ქვეყნის დეგრადაციისა და დასუსტების მიზეზად სამხედრო დამარცხებები მიაჩნდათ, ერთადერთი, რასაც იმდროინდელ თურქეთში ცდილობდნენ — ეს იყო თურქეთის სამხედრო ძლიერების აღდგენა იმ დარღვევებთან და უკანონობასთან ბრძოლის გზით, რასაც, მათი აზრით, ადგილი ჰქონდა სამხედრო-ლენურ მიწათმფლობელობის სისტემაში[1].

---

1 ბაგალეთისათვის მივუთითებთ ლ. ულთან ბაბდულპამიდ I მიერ გამოცემულ ნიზამნამეზე ზაიმებისა და თიმარიოთების შესახებ.

ომებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება თურქეთმა საკუთარი მოსახლეობის ექსპლოატაციის გაძლიერების ხარჯზე სცადა. ამ მოვლენას თან სდევდა იმ სოციალური ფენის მნიშვნელობისა და გავლენის დაცემა, რომელიც ომებს ემსახურებოდა და იმ პირთა ეკონომიური ძლიერებისა და პოლიტიკური გავლენის ზრდა, ვინც საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის ექსპლოატაციის საქმეს განაგებდა. ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო აპარატი, რომელიც მანამდე ძირითადად სამხედრო დარგს ემსახურებოდა, იცვლის თავის ხასიათს, და ქვეყნის შიგნით საგადასახადო საქმის გაძღოლა მის მთავარ დანიშნულებად იქცა. სამხედრო-სამოხელეო თანამდებობებს შეეცვალათ თავისი ფუნქციები: ისინი ფისკალური უწყების წმინდა სამოხელეო თანამდებობებად გადაიქცნენ. ამ პროცესმა შეცვალა მმართველი წრეების შემადგენლობაც. სამხედრო საქმეებში გაწაფულ პირებს თანამდებობებზე თანდათანობით სცვლიან ისეთი მოხელეები, რომლებსაც სამხედრო საქმის არა გაეგებათ რა, მაგრამ სამაგიეროდ კარგად არიან გაწაფული გადასახადების აკრეფის, საფინანსო და ბიუროკრატიულ საქმეებში. ამ დროიდან ოსმალეთში სახელმწიფო აპარატში თანამდებობის დასაკავებლად საჭირო იყო სულ სხვა პირადი თვისებები, ვიდრე მანამდე. მიწებს მფლობელობაში იღებდა ის, ვისაც სახელმწიფო აპარატში ნაცნობობა და ქრთამის მიცემის შესაძლებლობა ჰქონდა. მათ არ თხოვდნენ არც სამხედრო საქმის ცოდნას და არც სამხედრო ვალდებულების პირნათლად შესრულებას. ეს იყო სამხედრო-ფეოდალური სისტემის გადაგვარების პროცესი.

ოსმალეთის იმპერიაში არ არსებობდა მემკვიდრეობითი ფეოდალური არისტოკრატია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ოსმანთა დინასტიას. სახელმწიფოში არსებული ყველა თანამდებობა, ფეოდალური იერარქიის ყველა საფეხური, გარდა სულთნობისა, მისაწვდომი იყო ყველასათვის. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც გუშინდელი მონები სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობებს იკავებდნენ, მათ შორის დიდი ვეზირისაც. ამისათვის არ ჰქონდა მნიშვნელობა არც სოციალურ წარმოშობას, არც ეროვნებას, არც რასას, საჭირო იყო მხოლოდ ერთი პირობა — მუსლიმანობა, რომლის მიღება ყველას შეეძლო. ეს იყო სწორედ ის დემოკრატიულ-დესპოტური საწყისები, რაზედაც მიუთითებდა კ. მარქსი[2].

თანამდებობის დაკარგვის შემთხვევაში ადამიანი კარგავდა ყველაფერს: ქონება-შემოსავალსაც და საზოგადოებრივ მდგომა-

---

2 Архив Маркса и Энгельса, т. VI, Москва, 1939, стр. 177.

რეობასაც: ადამიანს ფასი ჰქონდა მხოლოდ მანამდის, სანამ მას თანამდებობა ეკავა, ვინაიდან პიროვნება მხოლოდ დაკავებული თანამდებობის მიხედვით ფასდებოდა. ცვლილებებმა სახელმწიფო აპარატის შემადგენლობაში და მოხელეთა ფუნქციებში, ტენდენციებმა, რომლის შედეგად სამხედრო ლენების მფლობელები თანდათანობით დაინტერესდენ მიწების სამეურნეო ექსპლოატაციით, გამოიწვიეს ლენის მფლობელთა მისწრაფება ხელში ჩაეგდოთ რამდენიმე ლენი ერთად[3]. ამ მისწრაფებას აძლიერებდა ის გარემოებაც, რომ ლენის მფლობელი ადვილად იცდენდა თავიდან მასზე დაკისრებულ სამხედრო ვალდებულებას. ერთ პირზე რამდენიმე ლენის გაცემა ოსმალეთის იმპერიაში აკრძალული იყო, მაგრამ კანონის დარღვევა იოლად შეიძლებოდა. ლენებს სულთანის სახელით განაგებდა დიდი ვეზირი. დიდი ვეზირის ასეთ საქმეზე „დათანხმება" კი ძნელ ამოცანას არ წარმოადგენდა. საჭირო იყო მხოლოდ ქრთამი შუამავლად სახელმწიფო აპარატის ყველა მოხელე გამოდგებოდა. ქრთამი სახელმწიფო მოხელეთა შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ გადაიქცა. მექრთამეობაში გარეული და დაინტერესებული მთელი სახელმწიფო აპარატი აღმოჩნდა. რამდენადაც კანონის დარღვევა მათი შემოსავლის წყარო გახდა, ისინი არ დაუშვებდნენ კანონის შეცვლას ისე, რომ კანონის დარღვევის საჭიროება სახელმწიფოში შემცირებულიყო.

ქონებრივი მდგომარეობა ოსმალეთში თანდათანობით საზოგადოებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა. სახელმწიფო აპარატში თანამდებობის დაკავება გამდიდრებას ისახავდა მიზნად ისევე, როგორც ლენების ხელში ჩაგდება. ფულის და სიმდიდრის მოსაპოვებლად უკვე არავინ არაფერს არ ერიდებოდა, რამაც არა მარტო მწარმოებელი მოსახლეობის ძარცვის, არამედ სახელმწიფო ქონების დატაცების ფორმებიც მიიღო. თანხები სახელმწიფო ხაზინის მაგივრად სახელმწიფო თანამდებობის პირთა პირად განკარგულებაში აღმოჩნდა. როდესაც მთავრობას აღარ ჰქონდა საშუალება იანიჩრებისა და სიფაჰიებისათვის ჯამაგირი სახელმწიფო ხაზინიდან მიეცა, იგი იძულებული გახდა ჯამაგირისათვის ფული უმაღლეს სახელმწიფო მოხელეთა შორის შეეგროვებინა. ასე მაგალითად, 1777 წლის სექტემბერში სიფაჰიებმა სტამბოლში დიდი ვეზირის კართან ჯამაგირების მიუღებლობის გამო აურზაური ასტეხეს. მაშინ დიდმა ვეზირმა, რამდენადაც ხაზინაში აღარაფერი იყო, ფულის შემოტანა უმაღლესი რანგის მოხელეებს დაავალა. პირადად მან შეიტანა 100 ქისა ფული, ქე-

[3] А. Ф. Миллер, Мустафа паша Байрактар, Москва-Ленинград, 1947, стр. 32.

თჰუდა ბეიმ — 50, დეფთერდარმა — 50, ქაფუდან ფაშამ — 50, ხოლო დანარჩენებმა ფული ერთმანეთში შეაგროვეს და სესხის სახით გადასცეს ხაზინას[4].

მოსახლეობის ექსპლოატაციის გაძლიერებას, სახელმწიფო სამმართველო აპარატის გახრწნას თან სდევდა იმპერიის პროვინციებში უკმაყოფილების ზრდა და სოციალური კონფლიქტის შემდგომი გამწვავება. განსაკუთრებით საშიშ ფორმებს მოსახლეობის უკმაყოფილება იმპერიის განაპირა რაიონებში იღებდა, რითაც ადვილად სარგებლობდნენ ოსმალეთის მოწინააღმდეგენი. მწარმოებელი მოსახლეობის გაძლიერებულ ექსპლოატაციაზე თურქეთის მმართველი წრეები უარს ვერ იტყოდნენ, ამიტომ თავისი ავტორიტეტის შენარჩუნების მიზნით ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს შეუქმნას უკმაყოფილო მოსახლეობას ისეთი აზრი, რომ თითქოს ქვეყნის მძიმე მდგომარეობა გამოწვეულია არა სულთანის მთავრობის პოლიტიკით, არამედ ამ პოლიტიკის დარღვევით ცალკეული თანამდებობის პირთა მიერ. ეს საშუალებას აძლევდა სულთანს და მის ახლო მდგომ პირებს თავიდან მოეცილებინათ არასასურველი პირები და კონფისკაციების არსებული წესის თანახმად მიეთვისებინათ მათ მიერ დაგროვებული სიმდიდრე. ამ მხრივ დამახასიათებელია პოლიტიკა, რომელსაც ატარებდა სულთნის მთავრობა მოლდავეთის, ვლახეთის და მათი მთავრების მიმართ. დუნაისპირა სამთავროების სათავეში მე-18 ს., როგორც წესი, ფანარიოტები — სტამბოლელი ბერძნები ინიშნებოდნენ. ფანარიოტები თავისებურ მოვლენას წარმოადგენდნენ ოსმალეთის ისტორიაში. მართალია, ისინი იყვნენ ბერძნები და მართლმადიდებლები, მაგრამ სინამდვილეში არ იყვნენ არც ერთნი და არც მეორენი. მათ არ გააჩნდათ არც რწმენა და არც სამშობლო. ემსახურებოდნენ იმას, ვის ხელშიაც იყო ძალა და ვისგანაც მეტს მოელოდნენ. ფანარიოტების სახით ოსმალეთი მოლდავეთისა და ვლახეთის სათავეში აყენებდა ერთის მხრივ მოლდაველებისა და ვლახელებისათვის ერთმორწმუნე ადამიანებს, ხოლო მეორეს მხრით თავისათვის არა ნაკლებად ერთგულ პირებს, ვიდრე იყვნენ მუსლიმანი ფაშები იმპერიის სხვა პროვინციებში. ოსმალეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ ფანარიოტი მთავრები როგორც მოლდაველებისა და ვლახელებისათვის უცხო ტომის წარმომადგენლები და ამავე დროს გამდიდრებისადმი დახარბებული და ოსმალეთის მმართველობის სის-

---

4 სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი (შემდგომში სპა) ფონდი — რუსეთ-თურქეთის ურთიერთობანი. საქმე —498, ფურცელი—94.

ტემასთან მჭიდროდ დაკავშირებული პირები ვერასდროს ვერ მოიპოვებდნენ პოპულარობასა და ნდობას მოლდაველებსა და ვლახელებში. ეს ნაკლებად შესაძლებელს ხდიდა, რომ მოლდავეთისა და ვლახეთის ფანარიოტი მთავრები ჩადგომოდნენ სათავეში რომელიმე სეპარატისტულ მოძრაობას სტამბოლის წინააღმდეგ. ერთადერთი, რისი შიშიც შეიძლებოდა ჰქონოდა სულთნის მთავრობას იყო ის, რომ მოლდავეთისა და ვლახეთის ფანარიოტი გოსპოდარები მიემხრობოდნენ იმ უცხო სახელმწიფოს, რომლის სახით ისინი დაინახავდნენ ძალას და რომელსაც ისინი მეტს გამორჩებოდნენ.

1777 წელს სულთან აბდულჰამიდ I განკარგულებით მოლდაეეთის მთავარი გრიგორი ალექსანდრე გიკა[5] თანამდებობიდან გადააყენეს და სიკვდილით დასაჯეს. გიკას სიკვდილით დასჯის მთავარი მიზეზი რუსეთის ხელისუფლებასთან მისი მეტად მჭიდრო ურთიერთობა იყო. ოსმალეთის მთავრობა, რომლის კარზე ეჭვიანობისა და უნდობლობის ატმოსფერო იყო გაბატონებული, მხოლოდ მცირე ეჭვის მიტანის შემთხვევაშიც კი სიკვდილით სჯიდა თავის მოხელეებს. რუსეთმა გრიგორი გიკას მიმართ მფარველობითი პოლიტიკის გატარება დაიწყო. გენერალ-ფელდმარშალმა პ. რუმიანცევმა 1774 წლის 28 აგვისტოს სპეციალური წერილით მიმართა დიდ ვეზირს იზეთ მეჰმედ ფაშას და მოსთხოვა, რომ გიკასთვის დაემტკიცებინათ უფლება მთელი სიცოცხლის განმავლობაში დარჩენილიყო მოლდავეთის მთავრად. ოსმალეთი იძულებული იყო რუსეთისათვის თანხმობა მიეცა[6]. ასეთი უფლებით გათამამებული გიკა გაცხოველებულ მიმოწერას აწარმოებდა პ. რუმიანცევთან და, როგორც ჩანს, ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა რუსეთის მიერ ყირიმის ხანის ტახტზე დასმულ შაგინ გირეისთან[7]. გიკას მოლდავეთის მთავრად დანიშვნაც რუსეთის რეკომენდაციით მოხდა. ცხადია, ასეთ მთავარს ოსმალეთი ვერ ენდობოდა. ალბათ თურქები მას ადრევე მოიცილებდნენ თავიდან, მაგრამ რუსეთის შიშით ასეთი ნაბიჯის გადადგმას დიდხანს ვერ ბედავდნენ, სანამ ნაწილობრივ მაინც არ აღადგინეს თავისი ციხე-სიმაგრეები დუნაისპირა სამთავროებში[8]. სტამბოლში კი ამავე დროს გავრცელ-

---

5 გიკას გვარი ალბანური წარმოშობისაა. ამ გვარის წარმომადგენლები დიდი ხნის განმავლობაში ოსმალეთის სახელმწიფო სამსახურში იმყოფებოდნენ და დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს. მიუხედავად თავისი წარმოშობისა გიორგი ალექსანდრე გიკას პოლიტიკა ვლახეთისა და შემდეგ მოლდავეთის მთავრად ყოფნის დროს არ განსხვავდებოდა ფანარიოტ მთავრების პოლიტიკიდან.

6 სპა, ფონდი 0გივე, 1777, ს. 499, ფ. 2-3.

7 იქვე, ფ. 14.

8 იქვე, ფ. 11.

და ხმები, რომ გიკას გადაყენება მოწყობილი იყო ოსმალეთის უზენაესი კარის თარჯიმნის კოსტაკი მურუზის მიერ, რომელმაც გიკას შემდეგ დაიკავა მოლდავეთის მთავრის თანამდებობა[9]. ეს ხმები სულ უსაფუძვლო არ უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ქრთამების მსგავსად ინტრიგების საშუალებით თანამდებობებისათვის ბრძოლა ოსმალეთის იმპერიაში საკმაოდ გავრცელებული მოვლენა იყო.

მოლდავეთისა და ვლახეთის მთავრებმა კარგად იცოდნენ, თუ რამდენად მერყეევი იყო მათი მდგომარეობა, კარგად იცოდნენ ისიც, რომ მთავრის თანამდებობაზე უკეთეს შემთხვევაში სამ წელიწადს დაყოფდნენ. ასეთ პირობებში ისინი ცდილობდნენ აეკრიფათ რაც შეიძლება მეტი გადასახადი. ბუნებრივია, რომ მთავრების მოქმედება დიდ უკმაყოფილებას იწვევდა მოლდაველებსა და ვლახელებში. ეს უკმაყოფილება ოსმალეთის წინააღმდეგ რომ არ წარმართულიყო, თურქები დუნაისპირა სამთავროების მოსახლეობას საქმეს ისე წარმოუდგენდნენ ხოლმე, თითქოს სულთანი უკრძალავს მთავრებს კანონით გაუთვალისწინებელი გადასახადების აკრეფას და ასეთ მოქმედებისთვის სჯის კიდეც მათ. ასე მოიქცა ოსმალეთი გიკას მიმართაც. როდესაც სულთანი პროვინციაში მომუშავე რომელიმე მაღალი რანგის მოხელეს სიკვდილის განაჩენს გამოუტანდა, განაჩენის სისრულეში მოსაყვანად ქაფიჯი ბაში იგზავნებოდა. ამ შემთხვევაშიც გიკას სიკვდილით დასასჯელად მოლდავეთში ქაფიჯი ბაში აჰმეთ ბეი გაიგზავნა[10]. მან ადგილობრივ ბოიარებსა და სამღვდელოებას მოსთხოვა დაეწერათ საჩივრები იმის თაობაზე, რომ გიკა მოსახლეობიდან უკანონოდ კრეფდა ღალას, იმ დროს როდესაც მოლდაველები სულთნის მიერ ორი წლის ვადით განთავისუფლებულნი იყვნენ ყოველგვარი გადასახადიდან[11]. გიკას წაუყენეს ბრალდება, რომ ის იყო მეტად ძუნწი, შემოიღო დიდი სულადობრივი ღალა და მოლდავეთის მცხოვრებლებს დიდი რაოდენობით გამოძალა ფული[12].

გიკას მოჭრილი თავი სამი დღით სტამბოლში გამოაფინეს[13]. თავთან დადებულ წარწერაში ნათქვამი იყო, რომ გიკა უზომო ანგარების გამო არ იშლიდა როგორც თავისი ქვეშევრდომების, ისე ბოიარების ჩაგვრას. ამის გამო ხალხი მას უჩიოდა, სულთანი იძულებული გახდა მიეღო გადაწყვეტილება გიკას გადაყენების შესა-

---

9 იქვე, ფ. 12.

10 სპა, ფონდი იგივე, 1777, ს. 499, ფ. 1.

11 სპა, ფონდი იგივე. 1777, ს. 493, ფ. 59.

12 იქვე, ფ. 33.

13 იქვე, ფ. 57.

ხებ და მისცა მას მითითება სტამბოლში დაბრუნებულიყო. მაგრამ გიკა ბრძანებას არ დაემორჩილა, რის გამოც სიკვდილით იქნა დასჯილი[14].

სულთნის ხელისუფალთა განცხადება, რომ გიკა მოსახლეობიდან უკანონო გადასახადებს კრეფდა, სინამდვილეს შეეფერებოდა (თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ეს არ იყო გიკას სიკვდილით დასჯის ნამდვილი მიზეზი). ასე იქცეოდა მოლდავეთისა და ვლახეთის ყველა მთავარი ფანარიოტთა ეპოქაში. სხვანაირად ოსმალეთის არც ერთ თანამდებობის პირს არ შეეძლო მოქცეულიყო არა მარტო მოლდავეთსა და ვლახეთში, არამედ საერთოდ თურქეთში, ვინაიდან თანამდებობის პირთა მოქმედებას განსაზღვრავდა სახელმწიფოში არსებული სისტემა. დუნაისპირა სამთავროებისა თუ რომელიმე სხვა ტერიტორიის მოსახლეობის ძარცვა უკანონო გადასახადებისა და გამოძალვების საშუალებით ოსმალეთის სახელმწიფო სამსახურში მყოფ მოხელეებისათვის აუცილებელი იყო უპირველეს ყოვლისა იმისათვის, რათა აენაზღაურებინათ ამ თანამდებობაზე დანიშვნისათვის, უფრო სწორად კი თანამდებობის ყიდვისათვის გაწეული ხარჯები.

როდესაც გიკას მაგივრად მოლდავეთის მთავრად დანიშნული კოსტაკი მურუზი მოლდავეთის დედაქალაქ იასისაკენ გაემგზავრა, სტამბოლიდან უამრავი ვალები წაიღო. ამასთან დაკავშირებით რუსეთის დესპანი კონსტანტინოპოლში ა. სტახიევი იტყობინებოდა, რომ მოლდავეთის ახალი მთავარი „ბაირამის შემდეგ გაემგზავრება და უკვე ახლა აგროვებს თავის სასახლის მოსამსახურეებს, რის გამოც სესხულობს ფულს, რაც მას დიდის რაოდენობით სჭირდება“[15]. ხოლო მეორე წერილში ა. სტახიევი თავის მთავრობას აცნობებდა: „მოლდავეთის ახალმა მთავარმა თავისი პირველი შიკრიკი უკვე გაგზავნა იასში, და, როგორც ამბობენ, თვითონაც ორი კვირის შემდეგ იქითკენ გაემგზავრება, ხოლო ახლა კი თავის ვალდებულებათა გასანაღდებლად და შტატის შესაქმნელად ყველგან ეძებს ოთხასამდე ქისა ფულს“[16]. ასეთსავე მდგომარეობაში იყო თავის დროზე გიკაც. მან, როდესაც ვლახეთის მთავრად დანიშვნას ითხოვდა, ხაჭინიდან სესხად 520 ქისა ფული აიღო“[17].

სახელმწიფოში არავის არ ეპარებოდა ეჭვი იმ შედეგებში, რომელიც მოჰყვებოდა ასეთი მეთოდებით დანიშნული მმართველების მოღვაწეობას პროვინციებში. ყველა კარგად ხედავდა, თუ

14 სპა, ფონდი იგივე, 1777, ს. 499, ფ. 57.
15 იქვე, ფ. 12.
16 იქვე, ფ. 5.
17 იქვე, ფ. 10.

როგორ იძარცვებოდა და ეკონომიურად ჩანაგდებოდა პროვინციები. ზარალდებოდა სახელმწიფო, სახელმწიფოსთან ერთად კი სულთანიც. სულთანი მოკლებული იყო საშუალებას რაიმე მოემოქმედნა, ვინაიდან პროვინციების მმართველების ნაძარცვის დიდი ნაწილი სახელმწიფო მოხელეების სასარგებლოდ მიდიოდა და სახელმწიფო აპარატი, ქვეყნის ნამდვილი გამგებელი, სულთანს მხარს არ დაუჭერდა არც ერთ ისეთ ღონისძიებაში, რომელიც მიმართული იქნებოდა ამ მოვლენის აღმოსაფხვრელად. საკუთარი მოსახლეობის შეუზღუდველ ძარცვასა და გლეჯას ოსმალეთის სახელმწიფო აპარატში ყველა მფარველობდა და მასში ყველა იყო დაინტერესებული.

პროვინციების ეკონომიური გაჩანაგება ნიშნავდა სახელმწიფო შემოსავლის წყაროების განადგურებას და ხაზინის დაცლას. ქუჩუქ კაინარჯაში დადებული ზავის შემდეგ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი იმდენად გაიზარდა, რომ თანდათანობით ოსმალეთმა სახელმწიფო აპარატისა და ჯარის შენახვის შესაძლებლობა დაკარგა. ხაზინა მიმდინარე ხარჯებსაც კი ვეღარ ფარავდა. მძიმე მდგომარეობიდან თავის დასაღწევად სახელმწიფო მიმართავს უკიდურეს ზომებს, რასაც მხოლოდ ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის შემდგომი მკვეთრი გაუარესება შეეძლო გამოეწვია. ამ მიმართულებით ოსმალეთის მმართველი წრეები ისე შორს წავიდნენ და ისეთ ზომებს მიმართეს, რომ ა. სტახიევიც კი გაკვირვებული აღნიშნავდა, რომ ასეთი რამ აქამდე გაუგონარ ამბავს წარმოადგენდაო[18]. მთავრობამ ხარაჯას ამკრებ მოიჯარადრეებს 1777 წლის აგვისტოში მოსთხოვა, რომ მათ დაუყოვნებლივ, ე. ი. თითქმის ნახევარი წლით ადრე მუჰარემამდე, როდესაც თანახმად ოსმალეთში არსებული წესისა კრეფდნენ ხარაჯას, შეეტანათ ხაზინაში 4333 ქისა ფული, რაც საერთო ასაკრეფი თანხის ერთ მეოთხედს უდრიდა. ხარაჯას აკრეფის დროს გადამხდელებს სპეციალური ქვითრები ეძლეოდათ, რომლებითაც მოიჯარადრეებს ცენტრალური მთავრობა ამარაგებდა. ამ შემთხვევაში მოიჯარადრეებს ქვითრები არ დაეგზავნათ, მათ ხარაჯა ვერ აკრიფეს და იძულებულნი გახდნენ ეს 4333 ქისა ფული მომავლის ანგარიშში თავისი საკუთარი თანხებიდან დაეფარათ[19].

---

18 სპა, ფონდი იგივე, 1777, საქმე 512, ფ. 39.

19 იქვე.

საინტერესოა ცნობები, რომელსაც ა. სტახიევი ხარაჯასთან დაკავშირებით იმავე წერილში იძლევა. მისი სიტყვით, ხარაჯის გადასახადიდან ხაზინა წელიწადში 17000 ქისამდე ფულს ანუ 8500000 ლევკს იღებდა. ამ სულადობრივ გადასახადს იხდიდა ყველა არაგათურქებული მამაკაცი ათი წლის ასაკიდან დაწყებული (ამ შემთხვევაში ა. სტახიევი სიტყვას „გათურქებული“ ხმარობს. როგორც გამუსლიმანებულის სინონიმს ო. გ.). არამუსლიმანი მამაკაცი ვალდებული იყო ეხადა ხარა-

ამ განსაკუთრებულ ღონისძიებათა შედეგად მდგომარეობა ოდნავადაც არ შემსუბუქებულა. იმავე წლის სექტემბერ-ოქტომბერში ხაზინა ისევე ცარიელი აღმოჩნდა. მისმა ყოველკვირეულმა გასაეალმა 200 ქისა ფულს გადააჭარბა[20]. ამჯერად ჯამაგირების დასარიგებლად და სხვა მიმდინარე ხარჯების დასაფარავად სახელმწიფომ სესხი მევახშეებისაგან აიღო. კვლავ იქნა გაცემული განკარგულება ხარაჯისა და სხვა გადასახადების ვადაზე ადრე აკრეფის შესახებ[21]. სახელმწიფოს მიერ კერძო პირებიდან ფულის სესხება სისტემატურ ხასიათს იღებს. სახელმწიფო ფულს სესხულობს არა მარტო დიდი თანხებით, არამედ ხშირად წვრილ მევახშეებსაც მიმართავს. ასე მოაგროვა მან წვრილ მევახშეებს შორის 1777 წლის სექტემბერში 300 ქისა ფული, რათა გადაეხადა ჯამაგირი იანიჩრებისათვის[22]. ჯამაგირების მიუღებლობის გამო ჯარისკაცები ხოცავდნენ ფინანსიური უწყების მოხელეებს[23]. უკმაყოფილება ვრცელდება უმაღლესი რანგის მოხელეებს შორისაც. 1777 წლის ოქტომბერში თანამდებობებიდან მოხსნეს და კუნძულ კვიპროსზე გადაასახლეს სიფაჰ აღასი და სიფაჰ ქათიბი[24], რომლებმაც ჯამაგირების მიუღებლობის გამო მთავრობისადმი უკმაყოფილება გამოთქვეს[25]. უზენაეს კარზე კარგად გრძნობდნენ თავის უძლურებას. ამით იყო გამოწვეული დათმობები იანიჩართა მიმართ. ერთის მხრით მთავრობა ჯამაგირების შეწყვეტით ემუქრება იმ იანიჩრებს, რომლებიც სიებში ირიცხებიან, დღეში იღებენ 30-დან 90 ასპრამდე[26], და ორთაებში კი არ ცხადდებიან[27], იმ იანიჩრებს კი, რომლებსაც დიდი ჯამაგირები აქვთ და ეს ჯამაგირები უკვე მიიღეს,—რომ ძალით გააგზავნიან სალაშქროდ. მაგრამ ამავე დროს აცხადებს, რომ იმ იანიჩრებს, რომელთაც მცირე ჯამაგირები აქვთ, შეუძლიათ სტამ-

---

ჯა ღრმა მოხუცებულობამდე. როდესაც მას უკვე აღარ შეეძლო თვითონ ეშოვა სარჩო. ხარაჯა სამ ჯგუფად იყოფოდა იმის მიხედვით, თუ რა საქმიანობას მისდევდა გადამხდელი და როგორი ქონების პატრონი იყო. ეს ჯგუფები იყო: საძი, ხუთნახევარი და თერთმეტი ლევკი წელიწადში.

20 სპა, ფონდი იგივე, 1777, ს. 499, ფ. 56.

21 იქვე.

22 სპა, ფონდი იგივე, 1777, ს. 512, ფ. 24.

23 იქვე, ფ. 75.

24 თანამდებობანი უზენაეს კარზე განაგებდნენ სიფაჰიების კორპუსის საქმეებს.

25 სპა, ფონდი იგივე, 1777, ს. 499, ფ. 13, ს. 512, ფ. 74.

26 ასპრი — ასე უწოდებდნენ თურქული ფულის ერთეულ აქჩეს ევროპიელები.

27 სპა, ფონდი იგივე, 1777 ს. 512, ფ. 41.

ბოლში დარჩნენ, თუ კი მათ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება არ სურთ[28].

უზენაეს კარზე ვარაუდობდნენ, რომ ჯამაგირების გაცემის შემდეგ სტამბოლიდან დუნაის მხარეში სალაშქროდ გაგზავნიდნენ იანიჩართა 48 ორთას. სინამდვილეში ამ 48 ორთაში სიებთან შედარებით მებრძოლთა ერთი მესამედიც არ იყო. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, სტამბოლში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ამ მესამედის გარკვეული ნაწილი იმის შიშით, რომ მათ რუსეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის მიღება მოუხდებოდათ, გზაზე დაიფანტებოდა. ამიტომ იანიჩრებში ავრცელებენ ხმებს, რომ ისინი დუნაისპირა მხარეში იგზავნებიან არა რუსეთის წინააღმდეგ საომრად, არამედ ისლამის მოღალატის, ყირიმის ახალი ხანის შაგინ გირეის შემოტევიდან თურქეთის საზღვრების დასაცავად[29].

თურქეთის შეიარაღებული ძალების მდგომარეობას კარგად ახასიათებს შემდეგი ეპიზოდიც: 1777 წლის სექტემბერში თურქებმა დააპირეს ჯარის ნაწილების სტამბოლიდან გემებით გადაყვანა. მაგრამ ზურგის ქარი არ იყო და გემებმა სრუტეების ნავსადგურებს შეაფარეს თავი. ამით ისარგებლეს გემებზე მყოფმა ჯარისკაცებმა და გემებიდან გაპარვა დაიწყეს. მათთან ვერავინ ვერაფერს გახდა. ჯარისკაცების წინაშე უძლური აღმოჩნდა იანიჩარ აღაც და მან სხვა რომ ვერაფერი გააწყო ვედრებით მიმართა ალაჰს, რომ ზურგის ქარი ამოვარდნილიყო მანამდე, სანამ გემებიდან მთელი ჯარი არ დაიფანტა[30].

მებრძოლთა რაოდენობა ოსმალეთის შეიარაღებულ ძალებში განუწყვეტლივ მცირდებოდა. დანაკლისის ანაზღაურების მიზნით ცენტრალური ხელისუფლება განუწყვეტლივ ზრდის დაქირავებული ჯარის ე. წ. სახაზინო ჯარისკაცების რიცხვს. ჯარისკაცების დაქირავება ძნელ ამოცანას არ წარმოადგენდა, ვინაიდან ქალაქებში მრავლად იყვნენ დეკლასირებული ელემენტები და სოფლებიდან გამოქცეული გაპარტახებული გლეხები. ბოგანოები მრავლად იყვნენ სოფლადაც. ეს იყო ის ელემენტი, რომელთა შორის ხდებოდა სახაზინო ჯარისკაცების შეგროვება. სახაზინო ჯარისკაცების ინსტიტუტის შექმნა უშუალოდ იყო დაკავშირებული სამხედრო — ლენური სისტემის კრიზისთან. იმის გამო, რომ სამხედრო ლენების მფლობელები აღარ ასრულებდნენ თავის სამხედრო ვალდებულებებს, მოლაშქრე ფეოდალ სიფაჰიების რიცხვი თანდათანობით მცირდებოდა. ეს ტენდენცია ჯერ კიდევ სულეიმან კანონის

28 იქვე, ფ. 25.

29 იქვე.

30 იქვე, ფ. 42.

დროიდან გახდა შესამჩნევი. ამის საპასუხოდ ოსმალებმა იანიჩართა-რიცხვის გაზრდა სცადეს. მაგრამ როდესაც ლაშქრობაში მონაწილე იანიჩართა რიცხვმაც იკლო, მაშინ თურქეთი მდგომარეობის გამოსწორებას სახაზინო ჯარისკაცების მეშვეობით შეეცადა. რაც უფრო მცირდებოდა ოსმალეთის იმპერიის შეიარაღებულ ძალებში ფეოდალ-სიფაჰიებისა და იანიჩართა რიცხვი, მით უფრო იზრდებოდა სახაზინო ჯარისკაცთა რაოდენობა. მათ როგორც წესი ომიანობის დროისათვის ქირაობენ, მაგრამ რამდენადაც მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალეთის იმპერიაში საომარი მოქმედებანი თითქმის არ შეწყვეტილა, სახაზინო ჯარისკაცებზედაც მოთხოვნილება არ შემცირებულა. სტამბოლიდან გამუდმებით იძლევიან მითითებებს ჯარისკაცების დაქირავების შესახებ და სათანადო დავალებებით პროვინციაში თანამდებობის პირებსაც აგზავნიან[31].

ბუნებრივია, რომ სახაზინო ჯარისკაცები მძიმე ტვირთად აწვებოდნენ სახელმწიფოს რაც კიდევ უფრო აუარესებდა ისედაც მძიმე ფინანსიურ-ეკონომიურ მდგომარეობას, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო და სტამბოლში უზენაეს კარზე გამუდმებით ეძებდნენ შემოსავლის წყაროების გაფართოების შესაძლებლობებს. ამ მხრივ ინტერესს არ არის მოკლებული სულთან აბდულჰამიდ I მიერ 1778 წლის თებერვალში ათენის ფაშისადმი გაგზავნილი ჰათ-ი შერიფი, რომლის თანახმად ათენის ფაშისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე იმ სამხედრო ლენების მფლობელებს, რომელთაც არ სურდათ ომში მონაწილეობის მიღება, სანაცვლოდ ხაზინის სასარგებლოდ შეეძლოთ გადაეხადათ ფულადი თანხა მათ სარგებლობაში მყოფი მიწების ოდენობის პროპორციულად. სტამბოლში ვარაუდობდნენ, რომ ათენის ფაშა სულთანის ჰათ-ი შერიფის საფუძველზე აკრეფდა 20.000 ჯარისკაცის ჯამაგირისათვის საკმარის თანხას[32].

---

31 არის შემთხვევები, როდესაც რუსეთის კონსტანტინოპოლის საელჩოს საბუთებში სახაზინო ჯარისკაცები იანიჩრებად არიან მოხსენებულნი. ხშირად არ არის დაზუსტებული, თუ რომელ ჯარზეა ლაპარაკი: სიფაჰიების ლაშქარზე, იანიჩრებზე თუ სახაზინო ჯარისკაცებზე. როგორც ჩანს, რუსეთის საელჩოს თავის 1777 წლის სექტემბრის ანგარიშში („Записка принесённым из Константинополя известиям"), როდესაც ის იხსენიებს ჯარის შეგროვებას იმპერიის პროვინციებში, რამდენიმე ადგილას მხედველობაში ჰყავს სწორედ სახაზინო ჯარისკაცები (მაგ., სპა, ფონდი იგივე, 1777, ს. 512, ფფ. 33, 42). იგივე მდგომარეობაა ა. სტახიევის 1773 წლის იანვრის წერილში (სპა, ფონდი იგივე, 1778, ს. 516. ფ. 17). გვხვდება შემთხვევები, როდესაც რუსული საბუთები სახაზინო ჯარისკაცებს მილიციად იხსენიებენ, მაგ. „Cavaliers de la milice nommée Mirlasheri". (სპა, ფონდი იგივე, 1778, ს. 513, ფ. 70).

32 სპა, ფონდი იგივე, 1778, ს. 513, ფ. 98.

დიდი ხანი არ იყო გასული ზაიმებისა და თიმარიოთების შესახებ ნიზამნამეს გამოქვეყნების შემდეგ, როდესაც ზემოხსენებული ჰათ-ი შერიფი იქნა გამოცემული. ამ ორი საბუთის დაახლოებით ერთსა და იმავე პერიოდში შექმნა მიუთითებს იმ დაბნეულობაზე, რომელიც უზენაეს კარზე არსებობდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ნიზამნამემ ზაიმებისა და თიმარიოთების შესახებ ვერ გაამართლა მასზე დამყარებული იმედები, ხოლო იმპერიის ზოგიერთ პროვინციებში კი მისი განხორციელება საერთოდ შეუძლებელი აღმოჩნდა, ვინაიდან ცენტრალურ ხელისუფლებას აღარ გააჩნდა არც სათანადო ძალა და არც შესაფერისი ავტორიტეტი. ამიტომ ცენტრალური ხელისუფლება, რომელსაც ფულადი სახსრები უჭირდა, თანხმდება სამხედრო ლენების მფლობელთა ნაწილს სამხედრო ვალდებულება ფულადი ვალდებულებებით შეუცვალოს. ეს მოასწავებდა იმას, რომ ასეთი სამხედრო ლენების მფლობელები ამიერიდან უპირველეს ყოვლისა უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებულნი ლენების სამეურნეო და არა მხოლოდ ფისკალური ექსპლოატაციით. ეს კი ხელს უწყობდა სამხედრო ლენების მემამულურ მეურნეობებად გადაქცევას, სადაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სასაქონლო წარმოება დაიწყებოდა. აბდულჰამიდ I-ის ზემომოყვანილი ჰათ-ი შერიფი ნიშნავდა აგრეთვე იმას, რომ სამხედრო — ლენური სისტემა კარგავდა თავის მნიშვნელობას თურქეთის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოსათვის, თუმცა თურქეთში კიდევ დიდხანს ცდილობდნენ სამხედრო-ლენური სისტემის განმტკიცების გზით გამოესწორებინათ მდგომარეობა და აღედგინათ ოსმალეთის წარსული სამხედრო ძლიერება. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება. სახელდობრ ის, რომ სამხედრო ლენების მფლობელთათვის სამხედრო ვალდებულების ფულადი ვალდებულებით შეცვლაში დაინტერესებული იყო სახელმწიფო აპარატის დიდი ნაწილი, ვინაიდან სიფაჰიების ლაშქრიდან მათ არც თუ ისე დიდი გამორჩენა ჰქონდათ, დაქირავებული ჯარი კი მათთვის პირადი გამდიდრების დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენდა.

მძიმე ფინანსიურ-ეკონომიური კრიზისი ემთხვეოდა არა ნაკლებ მძიმე საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელიც განუწყვეტლივ უარესდებოდა. თურქეთისათვის განსაკუთრებით საშიში მდგომარეობა შეიქმნა შავი ზღვის რაიონში. აქ თითქოს ზავის მდგომარეობა იყო, მაგრამ თურქეთი მაინც განაგრძობდა ტერიტორიების დაკარგვას, კერძოდ თათრებზე გავლენის დაკარგვასთან ერთად იკარგებოდა ვრცელი ტერიტორიები შავიზღვისპირეთში, რომლებსაც შექმნილ ვითარებაში ოსმალეთისათვის არა მარტო დიდი ეკონომიური, არამედ განსაკუთრებული სტრატეგიული მნი-

შვნელობა ჰქონდა. ყუბანის მხარისა და ჩრდილოეთ კავკასიის ტრამალების დაკარგვასთან ერთად აღარ არსებობდა არავითარი ხელისშემშლელი ფაქტორი რუსეთისა და საქართველოს უშუალო ტერიტორიული კონტაქტისათვის. გაიზარდა საშიშროება მოლდავეთისა და ვლახეთის მიმართ. ბუნებრივი იყო ოსმალების მისწრაფება, რომ მიუხედავად კრიტიკული მდგომარეობისა აღმოსავლეთ ანატოლიაში სპარსეთის საზღვრებზე, არაბეთის ქვეყნებსა და ჩრდილოეთ აფრიკაში აღედგინათ და შეეკეთებინათ დუნაისპირა სამთავროების ციხე-სიმაგრეები და დაეკომპლექტებინათ ისინი გარნიზონებით. თურქეთში კარგად ესმოდათ, რომ მიუხედავად რევანშის დიდი სურვილისა, რუსეთთან ომის უახლოეს მომავალში დაწყება შეუძლებელი საქმე იყო. ამიტომ სამხედრო ღონისძიებანი დუნაისპირა სამთავროებში ძირითად მიზნად ისახავდა ამ სამთავროების შემომტკიცებას და იქ რუსეთისა და ავსტრიის გავლენის ზრდის შეჩერებას. ძლიერი გარნიზონები მოლდავეთსა და ვლახეთში დუნაისპირა სამთავროების ოსმალეთისათვის სასურველი პოლიტიკური ორიენტაციის გარანტია იქნებოდა. ამავე დროს ოსმალეთი სულაც არ ამბობდა უარს, რომ მომავალში, როდესაც არ უნდა ყოფილიყო ეს, კვლავ ეცადა აღედგინა თავისი ძალაუფლება ყირიმში და შავიზღვისპირა რაიონებში. თურქეთის წლობით გაჭიანურებულმა უნაყოფო ცდებმა დიპლომატიური მოლაპარაკების გზით გადაესინჯა ყირიმის საკითხი და ნაწილობრივ მაინც აღედგინა იქ თავისი გავლენა დაარწმუნა როგორც თურქეთი, ისე რუსეთი, რომ საკითხს მხოლოდ იარაღი გადაწყვეტდა. თუ ყველა ეს სამხედრო ღონისძიებანი, რომელსაც ოსმალეთი ატარებდა დუნაისპირა სამთავროებსა და შავიზღვისპირა რაიონებში, ახლო მომავლისათვის მარტო თავდაცვით მიზნებს ისახავდა, უფრო შორეულ მომავალში, თურქეთის მმართველი წრეების აზრით, ის შეტევისათვის გამოდგებოდა.

რუსეთთან საზღვრების გასამაგრებლად ოსმალებმა რამდენიმე ღონისძიება წამოიწყეს, მაგრამ სახსრების უქონლობა, სამხედრო ძალებისა და სახელმწიფო აპარატის დეზორგანიზაცია ხელს უშლიდა მათ ბოლომდე მიეყვანათ წამოწყებული საქმე. ერთ გეგმას მეორე ცვლიდა, ერთ ჩაშლილ ღონისძიებას მოსდევდა მეორის წამოწყება, მაგრამ მეორეც ისევე განუხორციელებელი რჩებოდა, როგორც პირველი.

1777—1778 წლის ზამთრისათვის ოსმალებმა თავისთვის დიდი გეგმები დასახეს. 1777 წლის სექტემბერში ხოტინში სარდლობა სამთუღიან ფაშას სულეიმანს დაავალეს და იქ გასაგზავნად 7000 კაცი გაამზადეს, აბდულაჰ ფაშა და მუჰაფიზ ფაშა ბენდერში განამ-

წესეს, მეჰმედ ფაშა ვარნაში, ხოლო დაღისტანლი ალი ფაშა ამჯერად სოფიაში დაინიშნა. სულ რუმელიაში აპირებდნენ ლაშქრის შექმნას 30000 მებრძოლის რაოდენობით, რომელთა შორის 7000 სტამბოლელი იანიჩარი უნდა ყოფილიყო[33]. დასახული გეგმა 1777—1778 წლების ზამთრისათვის შავი ზღვის სანაპიროებზე როგორც ევროპულ, ისე აზიურ ნაწილში, მდინარეების დნესტრისა და დუნაის რაიონში თავდაცვის საქმის წესრიგში მოყვანას ითვალისწინებდა[34]. დიდი სამუშაოები იყო განზრახული შავი ზღვის ნავსადგურების რეკონსტრუქციის საქმეშიც. კერძოდ, ოსმალები აპირებდნენ ანატოლიის სანაპიროს აღმოსავლეთ რაიონში მძლავრი საზღვაო დასაყრდენი ბაზის შექმნას. ასეთ პუნქტად მათ სინოპი აირჩიეს, რომლის ნავსადგურს რეკონსტრუქციის შემდეგ უნდა მიეღო გამოსაზამთრებლად 8—10 გემი[35]. ოსმალეთის გეგმები უფრო შორსაც მიდიოდა. იყო აზრი, რომ შეექმნათ შავი ზღვის ფლოტი როგორც ცალკე ერთეული თავისი საადმირალოთი და ფლოტისა და საადმირალოს ადგილსამყოფელი სინოპში დაეწესებინათ[36].

სინოპთან დაკავშირებული ყოველგვარი პროექტები შემთხვევითი არ იყო. რუსეთის პოზიციები შავ ზღვაზე სწრაფად მტკიცდებოდა. ასევე სწრაფად მიიწევდა წინ იმ შავიზღვისპირა რაიონების კოლონიზაცია, რომლებიც რუსეთის ხელში გადავიდა. შავ ზღვაზე რუსეთი ძლიერ ფლოტს ქმნიდა. ამასთან დაკავშირებით მკვეთრად გაუარესდა თურქეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სტრატეგიული მდგომარეობა. აქამდე მას მხოლოდ ერთ ფრონტზე — ხმელთაშუა ზღვაზე უხდებოდა მოქმედება, ზურგი კი უზრუნველყოფილი ჰქონდა, ვინაიდან შავი ზღვა სინამდვილეში თურქების ტბას წარმოადგენდა. მას შემდეგ, რაც შავ ზღვაზე რუსეთის ფლოტი შეიქმნა, თურქეთის ფლოტს ერთდროულად ორ ფრონტზე მოუხდებოდა საომარი მოქმედების წარმოება. ეს აშკარად აღემატებოდა მის ძალებს. ამასთან ერთად მხედველობაში ძისაღებია ის გარემოება, რომ თურქეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტში ისეთივე ანარქია სუფევდა, როგორიც მის სამხედრო-სახმელეთო ძალებში.

თურქეთის საერთო ეკონომიური დეგრადაციის პერიოდში სწრაფად ძლიერდებიან, როგორც ეკონომიური, ისე სამხედრო

---

33 სპა, ფონდი იგივე. 1777, ს. 512, ფ. 21.

34 იქვე.

35 იქვე, ფ. 22.

36 იქვე, ფ. 24.

თვალსაზრისით დასავლეთ ევროპის ქვეყნები და რუსეთი. ევროპული საქონელი სულ უფრო და უფრო მზარდი რაოდენობით შემოდის თურქეთში. ევროპის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი როლი თვითონ სახელმწიფოს ეკუთვნის. თურქეთის ტექნიკურად სუსტად აღჭურვილი არსენალები და გემთსაამშენებლო ქარხნები, რომლებსაც არც სათანადოდ მომზადებული სპეციალისტები გააჩნდათ, ვერ უზრუნველყოფდნენ გაზრდილ სამხედრო მოთხოვნილებებს ვერც რაოდენობის და ვერც გამოშვებული პროდუქციის ხარისხის მხრივ. ეს განსაკუთრებით ითქმის არტილერიასა და სამხედრო-საზღვაო გემებზე. ამიტომ თურქეთი გემებისა და საარტილერიო ჭურვების შესყიდვას ევროპის სახელმწიფოებში იწყებს. განსაკუთრებით სწრაფად იზრდება თურქეთის სამხედრო შეკვეთები დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ქუჩუქ კაინარჯის ზავის შემდეგ. სამხედრო გემებს თურქეთი უმთავრესად ინგლისში ყიდულობს. 1777 წლის სექტემბერში სტამბოლში მოელოდნენ სამ გემს, რომლებიც თურქეთმა ინგლისში 60 000 ლევკად იყიდა[37]. რამდენიმე თვის შეშდეგ ოსმალებმა ინგლისში 30 000 ლევკად ორი ფრეგატი შეიძინეს[38]. ინგლისელები სარგებლობდნენ თურქეთის მეტად მძიმე ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობით და ხშირად ასაღებდნენ იმას, რაც უვარგისი იყო და თვითონ აღარ სჭირდებოდათ. მაგალითად, ამ ორი ფრეგატიდან ერთი იყო ძველი და უკვე შეკეთებაში ნამყოფი[39]. თურქეთის სავაჭრო ურთიერთობას დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან პოლიტიკური საფუძველიც ედვა. ეს უპირველეს ყოვლისა ითქმის თურქეთ-შვეიცარიის სავაჭრო ურთიერთობაზე (ანტირუსული ღერძი სტამბოლი-სტოკჰოლმი). შვეიცარიაში, სადაც განვითარებული იყო მეტალურგიული მრეწველობა, თურქეთი გამუდმებით იძენს იარაღს, სახელდობრ, ზარბაზნებს სამხედრო გემებისათვის. ასე მაგალითად, 1778 წლის იანვარში სტამბოლში ჩავიდა ორი შვედური გემი, რომლებმაც ჩამოიტანეს 56 თვრამეტგირვანქიანი, 76 ექვსგირვანქიანი და 30 ოთხგირვანქიანი ყალიბის თუჯის ზარბაზანი. სულ 160 ზარბაზანი[40]. ამ 160 ზარბაზნიდან სახელმწიფომ გადაიხადა მხოლოდ 24 ზარბაზნის ფასი. დანარჩენი გადაახდევინეს ძოლდავეთისა და ვლახეთის მთავრებს და საბაჟოების გამგეებს[41]. ზარბაზნებთან ერთად გემებმა შვეციიდა ჩამოიტანეს: ზარბაზნის

---

37 სპა, ფონდი იგივე, 1777, ს. 512, ფ. 24.

38 სპა, ფონდი იგივე, 1778, ს. 520, ფ. 45.

39 იქვე, ფ. 46, ერთი ამ ფრეგატთაგანი 40 ზარბაზნიანი იყო.

40 სპა, ფონდი იგივე, 1778, ს. 516, ფ. 24.

41 იქვე.

2450ჭურვი, 3748 რკინის ზოდი საერთო წონით 1585 ცენტნერი, 180 ფუთი ლურსმანი და 191 კასრი ფისი[42]. ეს არ იყო შვეციიდან თურქეთში იარაღის ჩამოტანის პირველი შემთხვევა. ზარბაზნებითა და ჭურვებით დატვირთული გემები შვეციიდან კონსტანტინოპოლში ადრეც მოდიოდნენ. მაგალითად, 1776 წლის აპრილში სტამბოლში მოვიდა შვეციის ორი გემი, რომლებმაც ჩამოიტანეს 106 თუჯის ზარბაზანი და ზარბაზნის 10 600 ჭურვი[43].

ისტორიულ ლიტერატურაში ხშირად მიუთითებენ, რომ ოსმალეთის იმპერიაში საგარეო ვაჭრობის საქმე ფაქტიურად მონოპოლიზებული იყო უცხოელების მიერ. ეს მხოლოდ ნაწილობრივ შეეფერება სინამდვილეს, თუ მხედველობაში ვიქონიებთ პერიოდს მე-18 საუკუნის მეორე ნახევრამდე. დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და თურქეთს შორის ვაჭრობა კაპიტულაციების წყალობით მთლიანად უცხოელ ვაჭართა ხელში გადავიდა, ხოლო საქონლის გაცვლისა და ევროპელ და თურქ[44] ვაჭართა შეხვედრის პუნქტები თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობდნენ (სტამბოლი, იზმირი და სხვ.). რაც შეეხება შავი ზღვის აუზს, აქ ვაჭრობის საქმე კიდევ დიდხანს თურქი ვაჭრების ხელში იყო და ოსმალეთი მთლიანად უწევდა მას კონტროლს. ეს იყო შედეგი იმისა, რომ შავ ზღვაზე არ ვრცელდებოდა ევროპის ქვეყნების მიერ კაპიტულაციებით მიღებული სანაოსნო პრივილეგიები და ყველა უცხოეთის გემს სპეციალური ნებართვის გარეშე ეკრძალებოდა შავ ზღვაში შესვლა (თურქები ასეთი ნებართვების გაცემას მუდამ თავს არიდებდნენ). ამიტომ ევროპული საქონელი, როდესაც ის ტრანზიტით შავი ზღვისაკენ უნდა წასულიყო, თურქეთის გემებზე იტვირთებოდა. თურქეთს კარგად ესმოდა შავი ზღვის აუზში ვაჭრობაზე კონტროლის დაწესების სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა. მისთვის ეს რაიონი იყო ღრმა ზურგი, რომელიც მას მუსლიმანურ სამყაროსთან აკავშირებდა. თურქეთს არ შეეძლო მიეცა საშუალება ევროპელებისათვის, რომ ისინი უშუალოდ დაკავშირებოდნენ ოსმალეთის იმპერიის ზურგში მოქმედ ანტითურქულ ძალებს, რომლებიც განსაკუთრებით საშიშნი გახდნენ რუსეთის გაძლიერების შედეგად. ეს პირველ რიგში საქართველოს შეეხებოდა. სადაც „დასავლეთ ევროპიდან იარაღი დიდი გაჭირვებით შემოდიოდა, რადგან საქართველოსა და მათ შორის გადაღობილი იყო

---

42 სპა, ფონდი იგივე, 1778, ს. 516, ფ. 24.

43 სპა, ფონდი იგივე, 1776, ს. 472, ფ. 61.

44 იგულისხმება თურქეთის ქვეშევრდომობაში მყოფი ვაჭრები, რომელთა უმრავლესობა იყო: ბერძნები, ლევანტიელები, სომხები, ებრაელები და თათრები.

დიდი ოსმალეთი"[46]. ოსმალეთი სარგებლობდა თავისი კონტროლით შავი ზღვის რაიონის სავაჭრო გზებსა და ვაჭრობაზე და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა გადაეკრა ყველა შესაძლებელი გზა, რომლითაც საქართველო ევროპის ქვეყნებთან პოლიტიკურ კავშირს დაამყარებდა და მათგან იარაღს მიიღებდა.

თურქეთის სახელმწიფოს დასუსტებას და მძიმე ფინანსიურ-ეკონომიურ კრიზისს და მის პარალელურად რუსეთის სახელმწიფოს გაძლიერებას და ტერიტორიულ ზრდას თან სდევდა რუსეთ-თურქეთის ვაჭრობის ცენტრების რუსეთის ტერიტორიიდან თურქეთის ტერიტორიაზე გადანაცვლება და სავაჭრო ინიციატივის მთლიანად რუსეთის ხელში გადასვლა. თუ მე-16 საუკუნეში თურქი ვაჭრები შავი ზღვისა და ყირიმის გავლით მოსკოვამდე ჩადიოდნენ, მე-17 საუკუნეში და მე-18 საუკუნის დასაწყისისათვის რუსეთ-თურქეთის სავაჭრო ცენტრებმა სამხრეთისაკენ გადაინაცვლეს. ეს იყო ნეჟინის ბაზრობები უკრაინაში, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ რუსი და თურქი ვაჭრები[46], ჩერკასი, სადაც ყირიმელ თათრებს ჩამოჰქონდათ ოსმალური, ხოლო რუსებს რუსული საქონელი[47].

ქუჩუქ კაინარჯის ზავის დადების შემდეგ თურქებმა დაკარგეს ნაოსნობის მონოპოლია შავ ზღვაზე და, ცხადია, შავი ზღვის რაიონში ვაჭრობაზე განუსაზღვრელი კონტროლის საშუალებაც. 1774 წლის შემდეგ მკვეთრად მატულობს რუსეთის გემების რაოდენობა, რომლებიც სავაჭრო მიზნებით თურქეთის ნავსადგურებში ჩადიან. ამ გემების დიდ ნაწილს რუსული წარმოების საქონელი პეტერბურგიდან და ტაგანროგიდან პირდაპირ კონსტანტინოპოლში მიაქვთ. რუსეთ-თურქეთის სავაჭრო პუნქტებმა ამჯერად სამხრეთ რუსეთიდან და უკრაინიდან კონსტანტინოპოლში გადაინაცვლეს. ამრიგად, თურქეთი შავი ზღვის აუზშიც კარგავს სავაჭრო ინიციატივას. მე-18 საუკუნეში ვაჭრობა თურქეთსა და ევროპის ქვეყნებს შორის იღებს იმ დამახასიათებელ პროფილს, რომელიც არსებობს სამრეწველო და აგრარულ ქვეყნებს შორის. რაც უფრო იზრდებოდა სხვაობა თურქეთისა და ევროპის ქვეყნების ეკონომიური განვითარების დონეს შორის, მით უფრო მკვეთრად ჭარბობდა თურქეთის იმპორტში სამრეწველო, ხოლო ექსპორტში სასოფლო-სამეურნეო საქონელი და ნედლეული. თურქული წარმოების სამრეწვე-

---

[45] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართული ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III—IV, თბილისი, 1962, გვ.281.

[46] В. Улянницкий, Дарданеллы, Босфор и Черное море в XVIII в. Москва, 1883, стр. 75.

[47] М. П. Федоров, Соперничество торговых интересов на Востоке. С.-Петербург, 1903, стр. 153.

ლო საქონელი ვეღარ უწევს კონკურენციას ევროპულ საქონელს. მაგალითად, ოსმალეთის იმპერიაში რკინა მზადდებოდა ბოსნიასა და მაკედონიაში, მაგრამ მე-18 საუკუნეში ეს რკინა თავისი ხარისხით ვეღარ აკმაყოფილებდა სამრეწველო წარმოების მოთხოვნებს, ვინაიდან ძალიან რბილი იყო. ამიტომ თურქეთი თვითონ გახდა იძულებული შემოეტანა მაღალხარისხოვანი რკინა უცხოეთიდან. თუ წინათ რკინა და რკინის ნაწარმი თურქეთიდან რუსეთში გაჰქონდათ, ახლა პირიქით, რუსეთიდან შემოჰქონდათ თურქეთში[48]. საინტერესოა იმ საგნების დასახელება, რომლებიც ფრეგატმა „წმინდა პავლემ" პეტერბურგიდან სტამბოლში ჩაიტანა 1777 წელს. ამ საქონელს შორის არის: წითელი აგური — 20 000 ცალი, ტყვია — 72 ზოდი, ანთებადი გოგირდი — 40 კასრი, საწერი ქაღალდი — 38 შეკვრა, საფანტი — 16 კასრი და 20 ფიქვის ფიცარი[49].

უცხოეთიდან თურქეთში შეტანილი სამრეწველო საქონლის რაოდენობა მატულობს არა მარტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებთან შეფარდებით, არამედ აბსოლუტური მოცულობითაც. ასეთ ზრდას ხელს უწყობს თურქეთის სახელმწიფო შესყიდვებიც. საიმპორტო საქონლის მნიშვნელოვანი ნაწილი თურქეთს სამხედრო მიზნებისათვის ესაჭიროებოდა. საგარეო ვაჭრობას ოსმალეთისათვის მანამდე არასოდეს არ ჰქონია ისეთი დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, როგორც მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში. ბუნებრივია, რომ საგარეო ვაჭრობა თურქეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად საკითხად იქცა, ვინაიდან თურქეთის სამხედრო ძლიერება და საზელმწიფოს კეთილდღეობა ამიერიდან უცხოეთთან ვაჭრობაზე იყო დამოკიდებული.

პირველ ხანებში ომის დამთავრების შემდეგ რუსეთი ჯერ კიდევ არ იყო მზად ქუჩუქ კაინარჯის ზავით მიღებული უფლებებისა და პრივილეგიების სრულად გამოსაყენებლად. ეს უპირველეს ყოვლისა ითქმის ნაოსნობისა და ვაჭრობის საკითხებზე. საკუთარი სავაჭრო ფლოტის სიმცირე და სავაჭრო კაპიტალის სისუსტე რუსეთისათვის თურქეთთან და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან ვაჭრობის განვითარების დიდ დამაბრკოლებელ მიზეზს წარმოადგენდა. რუსეთს ჯერ კიდევ წლები სჭირდებოდა, რათა აეთვისებინა საზღვაო-სავაჭრო გზები შავ ზღვაზე და შესაფერისი ადგილი დაეკავებინა თურქეთის საგარეო ვაჭრობაში. რუსეთი ამას თვითონაც კარგად ხედავდა და თავის პოლიტიკას თურქეთის მიმართ სწორედ ასეთ ვარაუდზე აგებდა. ინსტრუქციაში, რომელიც რუსეთის სა-

48 სპა, ფონდი იგივე, 1775, ს. 452. ფ. 46.

49 სპა, ფონდი იგივე, 1777, ს. 494. ფ. 21.

გენგებო და სრულუფლებიან ელჩს ნ. რეპნინს მისცეს პეტერბურგში. პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ რუსეთი ჯერ კიდევ არ არის მზად სათანადო მოცულობით გაშალოს ვაჭრობა თურქეთთან და რომ ეს მომავლის საქმეა[50].

რამდენადაც რუსეთს ჯერ არ შეეძლო თურქეთთან სავაჭრო ურთიერთობაში სრულად გამოეყენებინა ომში თავისი გამარჯვების შედეგები, შავ ზღვაზე თურქეთის სანაოსნო მონოპოლიის მოსპობასთან დაკავშირებით იქმნებოდა საშიშროება, რომ თურქეთზე რუსეთის გამარჯვებას უფრო მეტად დასავლეთ ევროპის ქვეყნები გამოიყენებდნენ. რუსეთი ყველა ღონეს ხმარობდა იმისათვის, რათა არ დაეშვა, რომ მის მიერ შავ ზღვაზე მოპოვებული უფლებები თურქეთს დასავლეთ ევროპის ქვეყნებისთვისაც მიეცა. ეს იყო რუსეთის დიპლომატიის ერთ-ერთი მთავარი მიზანი მე-18 საუკუნის 70-იან წლებში. ამ მიზნის მიღწევა არც თუ ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა, ვინაიდან საფრანგეთი და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნები თავისთვისაც მოითხოვდნენ ანალოგიურ უფლებებს და თურქეთს შავ ზღვაზე დარღვეული წონასწორობის აღდგენის მიზნით შეიძლება დაეკმაყოფილებინა ევროპის ქვეყნების პრეტენზიები. ამიტომ ნ. რეპნინს დაევალა თურქეთში ყოფნისას მიეღო ყველა ზომა, რათა ოსმალეთს შავ ზღვაზე არ დაეშვა საფრანგეთის სავაჭრო ხომალდების თავისუფალი ნაოსნობა[51]. თანახმად მიღებული ინსტრუქციისა ნ. რეპნინს თავისი მოთხოვნა უნდა დაესაბუთებინა იმით, რომ შავ ზღვაზე სხვა ქვეყნების თავისუფალი ნაოსნობა არა მარტო დააზარალებდა ვაჭრობას ოსმალეთისა და რუსეთს შორის არამედ შეარყევდა კიდეც ამ ორ ქვეყანას შორის არსებულ მშვიდობასა და მეგობრობას, ვინაიდან ყველასათვის ნებადართული ვაჭრობის შედეგად შეიქმნებოდა ახალი კავშირები, ახალი მიზნები და ახალი ინტერესები, რაც არ იქნებოდა სასურველი არც ამ ორი ქვეყნის ინტერესების და არც მათივე უშიშროებისათვის[52].

შავ ზღვაზე ნაოსნობის უფლებას საფრანგეთის გარდა მოითხოვდნენ აგრეთვე ინგლისი და ავსტრია. ინგლისის ელჩმა კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩთან ერთად მიმართა კიდეც სათანადო თხოვნით უზენაეს კარს. მაგრამ რუსეთს მიაჩნდა, რომ ინგლისი შავ ზღვაზე ისახავდა მხოლოდდამხოლოდ სავაჭრო მიზნებს, იმ დროს, როდესაც საფრანგეთს ჰქონდა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური მიზნები[53]. ამიტომ, როგორც ვხედავთ,

50 სპა, ფონდი იგივე, 1775, ს. 443, ფ. 22.

51 იქვე, ფ. 11.

52 იქვე. ფ. 12.

53 იქვე.

რუსეთი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საფრანგეთს შავ ზღვაზე აქვს არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური ინტერესებიც. გამწვავებული ურთიერთობა, რომელიც არსებობდა საფრანგეთსა და რუსეთს შორის მე-18 საუკუნეში, მათი წინააღმდეგობა თურქეთთან დაკავშირებით უფლებას აძლევდა რუსეთს საფრანგეთის სახით დაენახა არა მარტო სავაჭრო, არამედ. რაც მთავარია, პოლიტიკური კონკურენტიც. საფრანგეთის ვაჭრობა თურქეთში თავისი მოცულობით ბევრად სჭარბობდა ინგლისისას. ამიტომ რუსეთს ინგლისის სავაჭრო კონკურენციის შედარებით ნაკლებად ეშინოდა და ზოგიერთ შემთხვევაში ინგლისი თავის მოკავშირედაც კი მიაჩნდა საფრანგეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ პოზიციებთან ბრძოლაში. საფრანგეთი განსაკუთრებით საშიში იყო რუსეთისათვის მანამდე, სანამ რუსეთმა მტკიცედ არ მოიკიდა ფეხი შავი ზღვის აუზში. ლევანტი უკვე კარგა ხანია, რაც საფრანგეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ დასაყრდენს წარმოადგენდა მახლობელ აღმოსავლეთში და ლევანტიდან საფრანგეთის გავლენა ადვილად შეიძლებოდა გავრცელებულიყო შავი ზღვის აუზშიც და იქ დიდი სიძნელეები შეექმნა რუსეთისათვის, რომელსაც ჯერ კიდევ . არ შეეძლო ქუჩუქ კაინარჯის ზავით მიღებულ შესაძლებლობათა სრული რეალიზაცია არც პოლიტიკურ და არც ეკონომიურ სფეროში პოლიტიკურად რუსეთისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამ რჩებოდა გადაუჭრელი: არ იყო საბოლოოდ გადაწყვეტილი არც ყირიმის და არც საქართველოს საკითხი. ამის გარეშე კი რუსეთი ამ რაიონში ვერაფერს ახალს ვერ მოიმოქმედებდა.

რუსეთი შესანიშნავად იყო ინფორმირებული თურქეთის საშინაო მდგომარეობის შესახებ. მან ძალიან კარგად იცოდა, თუ რა შეეძლო და რა არ შეეძლო თურქეთს. რუსეთისათვის კარგად იყო ცნობილი, და მასში ეჭვიც არავის არ ეპარებოდა, რომ თურქეთი მარტო თავისი ძალებით და თავისავე ინიციატივით ახლო მომავალში რუსეთთან ომს ვერ დაიწყებდა. თურქეთი როგორც შემტევი ძალა რუსეთისათვის დიდ საშიშროებას აღარ წარმოადგენდა. თურქეთი საშიში იყო მხოლოდ რომელიმე ევროპელ მოკავშირესთან ერთად. სანამ საბოლოოდ არ გადაწყდებოდა საქართველოსა და ყირიმის საკითხი ისე, როგორც ეს ლოღიკურად გამომდინარეობდა ქუჩუქ კაინარჯის ზავის პირობებიდან, რუსეთი იბრძოლებდა, რათა შავი ზღვის აუზში ის თურქეთის პირისპირ დარჩენილიყო. ასეთ მომენტში მესამე ძალის როგორც თურქეთის მოკავშირის გამოჩენა ამ რაიონში მხოლოდ შეაფერხებდა ქუჩუქ კაინარჯის ზავით მიღებული შესაძლებლობების რუსეთის სასარგებლოდ რეალიზაციას.

О. ГИГИНЕИШВИЛИ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ИСТОРИИ ТУРЦИИ 70-х ГОДОВ XVIII В.

Резюме

После поражения в войне 1768—1774 годов турецкие правящие круги, стараясь восстановить былую военную мощь, предпринимают ряд попыток с целью навести порядок в янычарском войске и вынудить военных ленников выполнять свои обязательства. Однако все подобные мероприятия оказались безуспешными. Не дала ощутимых результатов и попытка увеличить число наемных солдат, чтобы восполнить убыль в феодальном ополчении и янычарах. Разорение государства и разложение государственного аппарата вызывают дальнейшее ослабление власти центрального правительства, которое вынуждено идти на ряд уступок янычарам и военным ленникам, что в свою очередь способствовало дальнейшему ослаблению вооруженных сил государства. Так, напр. в 1777 г. тем янычарам, которые не получили в срок жалованья, было разрешено не выступать в поход, если только они сами того не захотят, а в некоторых провинциях военные ленники получили право заменять свои военные обязательства денежными взносами. Недовольство населения, особенно на окраинах империи, становится фактором, с которым вынуждено считаться султанское правительство. В этом отношении характерны обвинения, предъявленные молдавскому господарю Григорию Гика в 1777 году. Среди ряда мероприятий по восстановлению былой мощи государства следует отметить быстрый рост государственных закупок вооружения, военных материалов и военных кораблей за границей, поскольку отсталая промышленность Турции не могла обеспечить свои вооруженные силы современным оружием и кораблями. Таким образом, от внешней торговли начинают в значительной степени зависеть вооруженные силы и благополучие империи. Вопросы внешней торговли становятся одним из основных факторов, определяющих направление внешней политики Турции.

Кючюк-Кайнарджийский договор поставил в порядок дня, но окончательно не разрешил два равных по значимости и тесно связанных между собой вопроса: Крыма и Грузии.

Крым и Грузия открывали России огромные внешнеполитические перспективы на Ближнем Востоке. Поэтому основной задачей русской внешней политики было реализовать в свою пользу все возможности, которые давал ей Кючюк-Кайнарджийский договор в отношении Крыма и Грузии. Это хорошо понимали и в Турции, и в Западной Европе. Естественно, что в Турции активизировалась дипломатия западных держав, особенно французская. Францию Россия справедливо считала своим основным соперником в районе Черного моря и Россия, пока она окончательно не разрешила крымского и грузинского вопросов, не могла допустить в район Черного моря третью силу, особенно Францию. Поэтому дипломатические представители России получают инструкцию сделать все возможное, чтобы Франция не получала для своих кораблей права свободного доступа в Черное море.

G. S. CHIPASHVILI

AGRICULTURAL COOPERATIVES IN IRAN

Summary

The first attempts at setting up agricultural cooperatives in Iran date back to the 1930's. But this inceptive trend met with no success at the time owing to the week development of capitalism in agriculture. During the ensuing years the government came forward with a number of enactments providing for credits to the more prosperous peasant housholds. The first loan and sale consumer cooperatives were organized on tracts purchased from the crown and on *khalisa* lands. A new stage in the development of the cooperative movement was inaugurated by the enactment of the land reform. Whereas before the reform only 950 cooperatives had been set up, by February 1965 their number was brought to 4246 units with a total membership of over 500,000. An analysis of the official statistics shows that, owing to financial difficulties, not all the existing cooperatives are viable. Their functions are mainly restricted to crediting transactions and serve the interests of strengthening the more prosperous farms that constitute the mainstay of Iran's present-day social system.

Nevertheless, the cooperative movement in Iran has its positive aspects as well. To some extent it is capable of stimulating an increase of agricultural production and will contribute to the development of class consciousness and to a more organized struggle of the peasants for the improvement of their economic and legal status.

Sh. KURDGHELASHVILI

ON THE ROLE OF EGYPT'S PROGRESSIVE MILITARY INTELLIGENTSIA IN THE REVOLUTION OF 1952.

Summary

A study of primary sources and the memoirs of a number of the leaders of the 1952 Revolution enables investigation into the inception and development of patriotic revolutionary movement in Egypt's national army.

The revolutionary action of the Egyptian army in J was — contrary to the allegations of a number of bourg hors—not a mere military coup by a narrow circle of E officers, isolated from the masses, but was the sequel to a thoroughgoing revolutionary activity of Egypt's progres litary intelligentsia united since 1942 in the secret orga of Free Officers.

M. FATEMI

PROBLEMS OF IRAN'S ECONOMY AS DISCUSSED IRANIAN ECONOMIC LITERATURE BETWEEN 19 1961

Summary

The paper presents a brief bibliographic review of t significant works of Iranian authors dealing with the varic ches of the national economy, primarily of post-war Ira cularly with industry, agriculture, trade, finance and transport; in addition, the works throw light on the c general economic condition.

The bulk of the literature published in Iran on problems is assessed by the present writer as reflecting the of Iran's landlords, national and comprador bourgeoisie, ruling circles.

A. M. MENTESHASHVILI

ANTI-IMPERIALIST STRUGGLE IN IRAQ DURING THE LAST YEARS OF THE BRITISH MA

Summary

The rise of national-liberation movement in Iraq d closing years of the British mandate was, on the one ha sed by the effects of the world economic crisis that had and on the other hand, by the growing desire of the Irac to shake itself free from the shackles of British imperia

Despite numerous anti-British demonstrations anc action by the Iraqi people, the British imperialism,

aid of the ruling dynasty and compradors, succeeded in imposing in 1930 on Iraq a new onerous treaty that was to replace the British mandate.

Although Iraq was only formally declared an independent state, the cessasion of the British mandate stepped up Iraq's progress towards independence, created conditions for uniting the Iraqi working-class and the development of its self-consciousness, as well as providing a further impetus to the anti-British movement in the country.

N. V. KOMAKHIDZE

THE 1945 AGRARIAN REFORM IN TURKEY AND ITS SOCIAL NATURE

Summary

An analysis of the social nature of the Law of Distribution of Land to the Peasants, adopted by the Turkish National Assembly in June 1945, shows that the ruling classes of Turkey, while preserving the feudal proprietary ownership of land, by an agrarian reform from «above» are endeavouring to transform the country's agricultural economy with the object of slowly adapting the agrarian system to the needs of the country's developing capitalism.

The agrarian reform has gone through two stages: the first—1945—1950, and the second—1950—1960 (the year of the military coup). During the 15 years since the adoption of the Law the peasants were sold, on a 20-year deferred-payment plan, 1,748,900 ha of state-owned arable land and 1,191,000 ha of grasslands and pastures. 347,611 peasant families received plots. However, this is a very small number by comparison with the total number of landless and land-starved families that lack even the so-called «starvation» minimum of land. In addition, an excessive burden of the redemption money fell on the peasants who had received land.

The reform has proved to be of significance for Turkey's socio-economic life, for it has contributed to the development of her production forces, to the expansion of the home market and to the growth of agricultural production.

However, the reform has failed to bring about a substantial improvement for the majority of those peasants who actually toil on the land.

Land in a Turkish village does not yet belong to those who cultivate it. As before, the peasantry is resolutely claiming its right to land.

At present the agrarian question in Turkey still awaits solution, the main issue being, as in the past, the land problem.

O. M. GVILAVA

THE SOCIAL STRUCTURE OF IRANIAN TURKMENS IN LATE 19th AND EARLY 20th CENTURY

Summary

The Turkmens and their way of life have been studied by many investigators and it is their almost general consensus that up to the 1870's and 1880's that people had no government or polity, being regarded by all as «a people without a head», the phrase, needless to say, implying not civic independence but utter lack of organization, anarchy. The present paper is an attempt to show the untenability of such assertions.

From primary sources the present writer has ascertained that over the period under discussion the basis of Turkmen social structure was the clan uniting several pastoral areas held by consanguineous nomad groups of families; the clan was headed by an elective leader diversely referred to in literature as *aq-saqal*, *kadkhuda*, *kalantar*, *reish sufeed*.

Common law played an important role in the life of the Turkmens, regulating as it did many facets of their social life. It was common law that guided the decisions of the Councils of the elders — their supreme elective organs.

The Turkmen tribal and clan elite comprised *khans*, *aq-saqals*, *sarkardehs*, *mirabs*. As to the *sardar*, who was the tribal leader in the *alaman* days, numerous facts speak against his belonging to the tribal or clan elite (the official could be elected from the rank and-file and re-elected at the outset of every new campaign).

Merchants, clergy and persons of free professions, were also to be found in the Turkmen communities of the time. The rank-and-file nomads and husbandmen came lowest in the clan and tribal hierarchy.

The Turkmen society was, as to descent, subdivided into the following categories: 1. *Igh* (pure-blooded Turkmens); 2. *Celmisek* (Turkmenized tribes of Arab origin); 3. *Gul* and *Gyrnak* (enslaved prisoners of war); and 4. *Yarym* (offspring of a pure-blooded Turkmen by a *Gyrnak*-slave).

Z. M. SHARASHENIDZE

MATERIALS ON THE HISTORY OF INTERNECINE STRIFE IN IRAN AT THE CLOSE OF THE 18th CENTURY

Summary

A prominent part in the dissentions and internecine war raging in Iran in the last quarter of the 18th century was held by the struggle between Agha Mohammed Khan and his brother Murtaza Kuli-Khan.

From Persian sources (*Nasek-ot-tavarih*, *Rouzat-os-safae Naseri*, *Montazeme Naseri*), as well as from the documents in the Archives of the USSR Ministry of Foreign Affairs, and the materials of N. G. Butkov, it has been established by the writer that in the northern provinces of Iran Murtaza Kuli-Khan had offered a stiff resistance to Agha Mohammed-Khan. Thrice had he seized power in Gilan and thrice was ejected from the province.

At first Murtaza Kuli-Khan was leaning on the Zends. However, having realized that unless he were supported by Russia he could never attain to power, he repeatedly appealed to Catherine II to aid him in conquering Gilan, Mazanderan and Astarabad. At the same time he pledged to come under Russia's protection and grant Russian merchants rights of free trade in his possessions.

Since Murtaza Kuli-Khan received no aid from Russia, he failed to come to power in the northern provinces of Iran.

O. GIGINEISHVILI

SOME PROBLEMS OF TURKISH HISTORY IN THE LATTER HALF OF THE 1770s

Summary

After their defeat in the war of 1768—1774 the Turkish ruling circles, with the object of restoring the country's former military might, make a number of attempts at introducing order into the janizary corps and forcing the military fief holders to fulfil their duties. However, all such measures proved unsuccessful. Nor did any tangible results follow from an attempt at increasing the number of mercenary troops with the object of making up the losses in the feudal volunteer corps and the janizaries. Impoverishment of the state and corruption of its administration led to a further weakening of the authority of the central government which was forced to make certain concessions to the janizaries and military fief holders, this in its turn contributing to a further deterioration of the state's armed forces. Thus, in 1777 those janizaries who had not received pay in time were exempted from taking the field unless they themselves wished to, while in some provinces military fief holders obtained the right of substituting monetary contributions for military service. The discontent of the population, especially in the outlying areas of the empire now grew into a factor the Sultan's government could no longer ignore. Characteristic in this connection are the charges brought against the Moldavian hospodar Gregory Ghika in 1771. Among the series of measures for restoring the state's former power note should be made of the rapid growth in the state purchases abroad of arms, ammunition, and warships, for the backward industry of Turkey was unable to supply her armed forces with modern arms and ships. Thus, the armed forces and the welfare of the state came largely to depend on foreign trade. Problems of foreign trade come to rank among the major factors determining the direction of Turkey's foreign policy.

The treaty of Kuchuk Kaynarji put on the agenda, but failed to provide a final settlement, two equally significant and closely inter-connected questions: that of the Crimea and that of Georgia. The Crimea and Georgia opened up vast prospects for Russia's foreign policy in the Near East. Therefore the main

task of Russian foreign policy was to turn to advantage all the opportunities given her by the treaty of Kuchuk Kaynarji in respect of the Crimea and Georgia. This was fully appreciated both in Turkey and Western Europe. It was but natural for the diplomacy of the Western powers, for French diplomacy, in particular, to become more active. Justly considering France to be her principal rival in the Black sea area, Russia—pending a final settlement of the questions of the Crimea and Georgia — could not tolerate the presence of a third power, especially France, in the Black Sea region. Therefore, Russian diplomatic representatives were instructed to do everything possible to thwart France's obtaining the right of free access for her shipping to the Black Sea.

I. N. BAAZOVA

AFGHANISTAN'S INDUSTRY AT THE TURN OF THE 20th CENTURY

Summary

Afghanistan at the turn of the 20th century was a backward feudal country, cut off from the outside world, with survivals of patriarchal-tribal relations, contributiug to economic disunity and impeding the development of productive forces.

Local handicrafts failed to meet the growing demands of the home market, while national industry was non-existent. This led to import of manufactured goods (mainly from British India and Tsarist Russia). To offset the imports various raw materials were exported, and this led to the country turning into an agricultural and raw-material-supplying appendage of the capitalist world.

The reformatory activity of Abdur Rahman Khan (1880—1901), as well as the measures taken by his successor Habibullah (1901—1919) envisaged creation of a national industry. However, in view of the extreme backwardness of the country's socio-economic relations, as well as of the «closed doors» policy carried out by the two amirs, attempts at creating a native industry failed to go beyond providing the country's military needs.

National industry in Afghanistan came into being only in the 30s of the 20th century as a result of accumulation of national capital.

შინაარსი

	ᲒᲒ
გ. ჭიპაშვილი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ირანში	5
Г. Чипашвили, Сельскохозяйственные кооперативы в Иране	24
შ. კურდღელაშვილი, ეგვიპტის 1952 წლის რევოლუციაში პროგრესული სამხედრო ინტელიგენციის როლის საკითხისათვის	25
Ш. Курдгелашвили, К вопросу о роли прогрессивной военной интелигенции Египта в революции 1952 года	52
М. Фатеми, Разработка вопросов экономики Ирана в иранской экономической литературе за 1945—1961 годы	53
ა. მენთეშაშვილი, ანტიიმპერიალისტური მოძრაობა ერაყში ინგლისის სამანდატო რეჟიმის მიწურულს	61
А. Ментешашвили, Антиимпериалистическое движение в Ираке в конце английского мандатного режима	80
ნ. კომახიძე, 1945 წლის აგრარული რეფორმა თურქეთში და მისი სოციალური არსი	81
Н. Комахидзе, Аграрная реформа 1945 года в Турции и ее социальная сущность	104
ო. გვილავა, ირანელ თურქმენთა საზოგადოებრივი წყობა მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დამდეგს	106
О. Гвилава, Общественный строй туркменов Ирана в конце XIX—начале XX веков	129
ზ. შარაშენიძე, მასალები შინაფეოდალური ბრძოლის ისტორიიდან XVIII საუკუნის დასასრულის ირანში	131
З. Шарашенидзе, Материалы к истории внутрифеодальной борьбы в Иране конца XVIII века	150
ლ. ბაზოვა, ავღანისტანის მრეწველობა XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე	152
Л. Баазова, Промышленность Афганистана на рубеже XIX—XX вв.	161
ო. გიგინეიშვილი, თურქეთის XVIII საუკუნის 70-იანი წლების ისტორიის ზოგიერთი საკითხი	162
О. Гигинейшвили, Некоторые вопросы истории Турции 70-х годов XVIII в.	182
ინგლისური რეზუმეები	184

ВОПРОСЫ НОВОЙ И НОВЕЙШЕЙ ИСТОРИИ СТРАН БЛИЖНЕГО ВОСТОКА

(на грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ო. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი
გამომცემლობის რედაქტორი დ. ლ ე ქ ა ვ ა
მხატვარი გ. ნ ა დ ი რ ა ძ ე
ტექრედაქტორი ნ. ბ ო კ ე რ ი ა
კორექტორი ი. დ ო ნ ა ძ ე

გადაეცა წარმოებას 19.5.1966; ხელმოწერილია დასაბეჭდად 8.4.1967;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ნაბეჭდი თაბახი 12.25; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 11.36; უე 01247; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 910;
ფასი 92 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

გამომცემლობა „მეცნიერების" სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15